

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართველოლოგიის ცენტრი

მამია ფალავა, ნანა ცეცხლაძე

სამხრული კილოები -
ბრუნებისა და უღლების ძირითადი
პარადიგმები

გამომცემლობა „ივერიონი“
თბილისი
2017

მონოგრაფიაში საუბარია სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის ლინგვისტურ საფუძველზე, გამოყოფილია ოთხი დიალექტი: აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური, მოცემულია დიალექტების საერთო და კერძო მახასიათებლების გამიჯვნის ცდა და სამხრული კილოების ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები...

წიგნი განკუთვნილია ქართული დიალექტების, ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის მკვლევართათვის, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი მაია ბარამიძე

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი მაია კიკვაძე
ასისტენტ პროფესორი მზია ხახუტაიშვილი

პირველი გამოცემა
მაია ფალავა, ნანა ცეცხლაძე, 2017

გამომცემლობა „ივერიონი“.

ISBN

შინაარსი

წინასიტყვაობა-----6

თავი I. სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის ლინგვისტური საფუძველი

§1. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი -----	13
1.1. სამხრული კილოების ბგერითი შედგენილობიდან -----	13
1.2. უმლაუტი -----	14
1.3. ასიმილაცია -----	14
1.4. დისიმილაცია -----	14
1.5. ბგერის გაჩენა და დაკარგვა -----	14
1.6. მეტათეზისი -----	15
1.7. სუბსტიტუცია -----	15
1.8. მახვილი -----	15
§ 2. ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებანი -----	15
2.1. სახელთა ბრუნება -----	15
2.2. ზმნა -----	18
2.3. უდეტრები -----	25
2.4. სახელზმნა -----	27
§3. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი -----	30
§4. ლექსიკური თავისებურებანი -----	33
§5. სტილისტიკური თავისებურებანი -----	36

თავი II. აჭარული დიალექტი

§1. ფონეტიკური თავისებურებანი -----	41
§2. მორფოლოგიური თავისებურებანი -----	49
2.1. სახელი -----	49
2.2. ზმნა -----	52
2.3. სახელზმნა -----	59
2.4. უდეტრები -----	60
§3. სინტაქსური თავისებურებანი -----	63
§4. ლექსიკური თავისებურებანი -----	64

§5. სიტყვანარმოება აჭარულში -----	76
§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები აჭარულში -----	80
§7. უღლების ძირითადი პარადიგმები აჭარულში -----	86

თავი III. შავშური დიალექტი

§1. ფონეტიკური თავისებურებანი -----	105
§ 2. მორფოლოგიური თავისებურებანი -----	115
2.1. სახელთა ბრუნება -----	115
2.2. ზმნა -----	118
2.3. სახელზმნა -----	123
2.4. უდეტრები -----	124
§3. სინტაქსური თავისებურებანი -----	126
§4. ლექსიკური თავისებურებანი -----	128
§5. სიტყვანარმოება -----	132
§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები შავშურში -----	136
§7. უღლების ძირითადი პარადიგმები შავშურში -----	142

თავი IV. ტაოური დიალექტი

§1. მთავარი ფონეტიკური თავისებურებანი -----	174
1.1. ტაოურის ბგერითი შედგენილობიდან -----	174
1.2. ფონეტიკური მოვლენები -----	176
§2. მორფოლოგიური თავისებურებანი -----	178
2.1. სახელთა ბრუნება -----	178
2.2. ზმნა -----	179
2.3. სახელზმნა -----	184
2.4. უდეტრები -----	185
§3. სინტაქსური თავისებურებანი -----	185
§4. ლექსიკური თავისებურებანი -----	186
§5. სიტყვანარმოება -----	187
§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები ტაოურში -----	189
§7. უღლების ძირითადი პარადიგმები ტაოურში -----	195

თავი V. კლარჯული კილო

§1. ფონეტიკური თავისებურებანი -----	225
§2. მორფოლოგიური თავისებურებანი -----	230
2.1. სახელთა ბრუნება -----	230
2.2. ზმნა -----	233
2.3. სახელზმნა -----	253
2.4. უდეტრები -----	257
§3. სინტაქსური თავისებურებანი -----	259
§4. ლექსიკური თავისებურებანი -----	263
§5. სიტყვანარმოება -----	266
§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები კლარჯულში -----	274
§7. უღლების ძირითადი პარადიგმები კლარჯულში -----	281
ბოლოთქმა -----	312
შემოკლებათა განმარტებანი -----	314
წყაროები -----	315
გამოყენებული ლიტერატურა -----	317
რეზიუმე -----	333

წინასიტყვაობა

სამხრეთ საქართველოს („თურქეთის საქართველოს“, „ოსმალის საქართველოს“, „სამუსლიმანო საქართველოს“) მეცნიერულ შესწავლას XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. მის სათავეებთან დგანან ცნობილი ისტორიკოსი **დიმიტრი ბაქრაძე** და ასევე ცნობილი მოგზაური, გეოგრაფი და სამხედრო სპეციალისტი **გიორგი ყაზბეგი**.

სამხრეთ საქართველოს შესახებ წერდნენ „დროების“ კორესპონდენტები: ს. ანთაძე, ვ. ლისოვსკი, ნ. სოლნიშკინი და სხვები. ოსმალის საქართველოში ბევრს მოგზაურობდნენ და აქაურთა ყოფას აღწერდნენ ზ. ჭიჭინაძე და თ. სახოკია.

ფასდაუდებელია **აკად. ნიკო მარის** ღვაწლი „თურქეთის საქართველოს“ შესწავლაში. გასული საუკუნის დასაწყისში, **1904** წელს, მან მოაწყო ექსპედიცია გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე, ზედმიწევნით აღწერა ნახული და განცდილი, ჩაიწერა იმერხეული (შავშური) მეტყველების ნიმუშები და „მოგზაურობის დღიურები“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“ ერთად გამოაქვეყნა **1911** წელს (იხ. Март, 1911; შდრ. მარი, 2012). შემდეგი ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო **1917** წელს. აქედან მოკიდებული თითქმის 70 წლის განმავლობაში, XX საუკუნის 80-იან წლებამდე, ქართველ მკვლევარს თურქეთის ქართულ პროვინციებში ფეხი არ დაუდგამს. სამხრული მეტყველებისა და სამხრეთ საქართველოს შესახებ მეცნიერები მსჯელობდნენ იმ ჩანაწერებითა და ცნობებით, ძველი თაობის მკვლევრებმა რომ დაგვიტოვეს.

გასული საუკუნის **80-იანი** წლებიდან შესაძლებელი გახდა „ოსმალის საქართველოში“ ჩვენი მკვლევრების მუშაობა. პირველად პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ იმოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში, ჩაიწერა იქ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშები და გამოაქვეყნა ცალკე წიგნად (იხ. ფუტყარაძე, 1993). უკანასკნელ ხანს გამოიცა ამ შრომის მეორე ნაწილიც (იხ. ფუტყარაძე, 2016). ორივემ ერთად სპეციალისტთა (და საერთოდ ქართული საზოგადოების) დიდი ინტერესი გამოიწვია.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ ქართველოლოგებს წინ დიდი და საინტერესო მუშაობა ელოდათ. საჭირო იყო ძალების შემოკრება, ისტორიული სამხრეთი საქართველოს შესწავლის კომპლექსური გეგმის დამუშავება და შესაბამისი სამუშაოების დაწყება. პირველ ეტაპზე მთავარი იყო ემპირიული მასალის მოპოვება და კვლევა-ძიების სწორად წარმართვა. გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც.

1994 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმდროინდელი რექტორის, ბატონი აზიზ ახვლედიანის ინიციატივით შეიქმნა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“ ორი განყოფილებით: ა. **დიალექტოლოგიისა და ფოლკლორის** და ბ. **ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის**. საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ: დოც. მამია ფალავა (დიალექტოლოგია), დოც. ელგუჯა მაკარაძე (ფოლკლორი), პროფ. ამირან კახიძე (არქეოლოგია), დოც. აბელ სურგულაძე (ისტორია), დოც. ნოდარ კახიძე (ეთნოგრაფია). შემუშავდა სამუშაო გეგმა, გამოიკვეთა პრიორიტეტები – ისტორიული სამხრეთი საქართველოსა (ჭოროხის ხეობა) და ლაზეთის კვლევა. ახლადშექმნილი ლაბორატორიის ხელმძღვანელობა დაევალა დოც. მამია ფალავას.

1995 წლის **აგვისტო-სექტემბერში** მოეწყო კიდევ პირველი ექსპედიცია ისტორიულ **ტაოში**. ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: დოც. **მამია ფალავა** (ხელმძღვანელი), დოც. **მერი ცინცაძე**, დოც. **ელგუჯა მაკარაძე**, დოც. **რეზო დიასამიძე**, მასწ. **ლილე თანდილავა** და მძლოლი **ტარიელ ნიჭარაძე**, მოიარა **ამიერ** და **იმიერტაო** და მისი მიმდებარე რეგიონები, ჩაიწერა საყურადღებო მასალები და განსაზღვრა მომავალი კვლევის პრიორიტეტები... მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა და ლაბორატორიამაც შეწყვიტა არსებობა, შესაბამისად, შეჩერდა კარგად დაწყებული საქმე. ლაბორატორიამ ვერ იმუშავა.

2000 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (შემდეგ „სამეცნიერო ცენტრი“), რომლის პრიორიტეტად განისაზღვრა ჭოროხის ქვეყნების ქართული ქვეყნებისა და ლაზეთის კვლევა („სამეცნიერო ცენტრმა“ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი: 2005 წლიდან

ენოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2008 წლიდან – „ქართველოლოგიის ინსტიტუტი“, ბოლოს – ქართველოლოგიის ცენტრი“). „სამეცნიერო ცენტრთან“ ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი – პროფ. მამია ფალავა), დაარსდა ცენტრის პერიოდული გამოცემა „კრებული“ (დაიბეჭდა 10 ნიგნი).

ქართულ ენათმეცნიერებაში აღიარებული იყო, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველება ერთიანია და მას **იმერხელ**, ზოგჯერ **კლარჯულ** კილოს უწოდებდნენ (იხ. ვ. თოფურია, 1963; ბ. ჯორბენაძე, 1989; არ. მარტიროსოვი, 1977), თუმცა რეალობა სულ სხვაა. დღეისათვის, როცა სამხრული მეტყველება შევიწროებულია თურქული ენისაგან, როცა ბევრ ისტორიულ ქართულ პროვინციაში დავიწყებით ქართული, კიდევ არის გადარჩენილი რაღაც ნაწილი, რომლის ანალიზი შეგვაძლებინებს სამხრული მეტყველების ისტორიული პროფილის აღდგენას.

რამდენიმე წლის წინ ვწერდით, რომ „სამხრული მეტყველების დიალექტური და კილოკაური შედგენილობის დასადგენად დამატებითი მასალები იყო საძიებელი, რაც მაშინ მომავლის საქმედ გვესახებოდა. დღეისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია (პირობითად მაინც) სამხრეთ საქართველოში გამოიყოს ოთხი დიალექტური ერთეული, ესენია: **აჭარული** (მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებითურთ), **შავშური** (მაჭახლური და იმერხეული), **კლარჯული** და **ტაოური**.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური კილოების გამოყოფის საკითხი ემყარება ლინგვისტურ საფუძველს: თითოეული მათგანი ავლენს ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს, რაც ქმნის მათი ცალკე დიალექტებად გამოყოფის შესაძლებლობას. დასახელებული დიალექტები ქმნიან ქართული ენის დიალექტთა სამხრულ ჯგუფს. მათ ვუწოდებთ **სამხრულ კილოებს ან სამხრულ დიალექტებს**, ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებას ზოგადად – **სამხრულ მეტყველებას** (იხ. ფალავა, 2013:136).

სამხრული მეტყველების შესწავლისას ამოსავლად აჭარულის (აჭარელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებასთან

ერთად) მახასიათებელი ნიშნები უნდა ავიღოთ, ამიტომაც კიდევ ერთხელ დაისმება აჭარულის გამოწვლილვითი შესწავლის საკითხი.

კლარჯული კილო ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა. მისი გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის ხეობის ქვემო წელია. ძველი კლარჯეთის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, ართვინის, მურღულისა და არტანუჯის ილჩებშია (რაიონებში) მოქცეული, სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) საქართველოს საზღვრებშია.

შავშური კილო შავშთა მეტყველებაა. ისტორიული შავშეთი მთლიანად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია. ის შედის ართვინის ილის შავშათის ილჩეში. შავშეთის ნაწილად მივიჩნევთ მაჭახელსაც, რომლის ნაწილი, ზემომაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებშია, ნაწილიც, ქვემო მაჭახელი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის (საქართველო, აჭარის არ) შემადგენლობაში.

ჩვენი აზრით, „იმერხევი ისტორიული შავშეთის ნაწილია, მისი ერთი ხეობაა ორ ათეულამდე ქართულად მოლაპარაკე სოფლით. იმერხევი „დაუპირისპირდა“ შავშეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი შავშეთის იმ ნაწილმა, რომელსაც დღეს შავშეთს უწოდებენ და ცალკე ქვეყნად მოიაზრებენ, დაივიწყა ქართული ენა, „გათურქდა“, როგორც იმერხეველები იტყვიან. დავაზუსტებთ, ქართული ენის, როგორც ეროვნული იდენტობის უპირველესი ნიშნის ცოდნით „დაუპირისპირდა იმერხევი დანარჩენ შავშეთს. თურქეთელ ქართველთა ცნობიერებაში შავშეთი ორად გაიყო: იმერხევად, რომელმაც შეინახა ქართული ენა, ვუნოდოთ მას **მექართულე შავშეთი** (იმერხევი, უსტამისი...) და **შავშეთად**, რომელმაც დაივიწყა ქართული ენა, ვუნოდოთ მას **მეთურქულე შავშეთი** (მშობლიურენადაკარგული ნაწილი შავშეთის ქვეყნისა). იმერხეველთა მეტყველებას უწოდეს **იმერხეული კილო** და ეს თითქოს ბუნებრივიცაა, თუმცა ტერმინი ვერ ასახავს სინამდვილეს, ვერც ისტორიულსა და ვერც – თანამედროვეს. საქმე ისაა,

რომ იმერხევის გარდა ქართული ისმის შავშეთის სხვა სოფლებშიც, მაგალითად, უსტამისში, შესაბამისად, ტერმინი ვერ არის მარჯვე და მოხერხებული. თუ გავითვალისწინებთ ყველა გარემოებას, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, უმჯობესია, ამ კუთხის მეტყველებას ვუნოდოთ **შავშური კილო** (მდრ. შავშური ფოლკლორი, შავშური ყოფა, შავშური სიტყვიერება...), **იმერხეული** კი უნდა ეწოდოს შავშურის ერთ კარგად გადარჩენილ კილოკავს (იხ. ფალავა, 2013:137).

ტაოური კილო გავრცელებულია ისტორიულ ტაოში (სოფლები: ჭილათი, ელიასხევი, ბალხი, ცუცუკარი, ქვაბაი კარი, ხევეკი...). ისტორიულ ტაოს უნდა მიეკუთვნოს ბინათიც, მექართულე სოფელი (მდებარეობს ართვინი-იუსუფელის გზის 25-ე კილომეტრზე გადასახვევიდან ხუთ კილომეტრში, იმავე სექტორში, სადაც გაშენებულია ჭიმჭიმი. იხ. ფალავა, 2015).

აქვე აღვნიშნავთ, რომ **მუჰაჯირ** აჭარლებს, შავშებსა და კლარჯებს სოფლები შეუქმნიათ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში და დღემდე დაუცავთ წინაპართა ენა, ფოლკლორი და ყოფა. მუჰაჯირთა დასახლებებით ფართოვდება სამხრული კილოების გავრცელების არეალი.

საჭიროა, ყურადღება გავამახვილოთ სოციოლინგვისტურ ტერმინებზე: „შიდა დიალექტი“ და „გარე დიალექტი.“ ტაოური, შავშური და კლარჯული ქართულენოვან სისტემას მოსწყდნენ და განვითარება დამოუკიდებლად, უცხოენოვან გარემოში განაგრძეს, ისინი ენის გარე დიალექტებია, აჭარული შიდა დიალექტია. „დიალექტების ამ ორ სახეს შორის განსხვავება არ უკავშირდება მხოლოდ გეოგრაფიულ ან თუნდაც გეოპოლიტიკურ ასპექტში მათ განხილვას. განსხვავება ის არის, რომ თითოეული, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურად ქართული სისტემის ნაწილია, ქართულ ენასთან სოციოლინგვისტური მიმართების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულია. შიდა დიალექტი ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენის გავლენას განიცდის, მაგრამ დიალექტის ეს სახე, თავის მხრივ, აქტიურად მოქმედებს სალიტერატურო ენაზე და გარკვეული თვალსაზრისით მისი განვითარების შიდა რესურსს წარმოადგენს ანუ ზე-

მოქმედების ვექტორი სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის ორმხრივია. გარე დიალექტი, მონყვეტილია რა ქართულ სალიტერატურო ენას, ვერც მის შიდა რესურსს ქმნის და არც გავლენას არა აქვს ადგილი (არც ცალმხრივს და, მით უმეტეს, არც ორმხრივს). მაგალითად, ფერეიდნულის შემთხვევაში სალიტერატურო ენის (რესპ. დომინანტი ენის) ფუნქციას სპარსული ენა ასრულებს, ინგილოურის შემთხვევაში კი – აზერბაიჯანული. ფერეიდნული, როგორც უცხო გარემოში მოხვედრილი, იმდენად დაშორდა კახურს, რომ ქართული ენის დამოუკიდებელ ვარიანტად ჩამოყალიბდა და ქართული ენის დიალექტების პარადიგმატული სისტემის წევრად იქცა. ამ თვალსაზრისით, იმერხეული და ფერეიდნული, რომლებიც დღეისათვის „გარე დიალექტების“ სტატუსით არიან აღჭურვილი, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტური კონის თვისობრივად სხვადასხვა წევრს წარმოადგენენ“ (თანდაშვილი, 2016: 45-46).

მ. თანდაშვილის მიხედვით, თუ „შიდა დიალექტი“ ბუნებრივი დიალექტია და მონაწილეობს ბუნებრივი კოინეს ფორმირებაში, „გარე დიალექტი“ კი – არა. შესაბამისად, განსხვავებულია ენობრივი სიტუაციაც, ის ზოგადი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელშიც უხდება ენას გარკვეულ ქვეყანაში, გარკვეულ ტერიტორიასა და დროში ფუნქციონირება მოცემულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და განსაკუთრებით კულტურულ ფონზე.

ნაშრომში განხილულია სამხრული მეტყველების კილოებად დიფერენციაციის საკითხი, ცალკეული კილოს თავისებურებანი და მოცემულია ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები. შესაძლებელია, დადასტურდეს განსხვავებული სახელური და ზმნური ფორმებიც, რომლებსაც ტიპურად ვერ მივიჩნევთ.

წინამდებარე ნაშრომმა უნდა წარმოაჩინოს შიდა და გარე დიალექტების როლი როგორც ენის ისტორიის, ისე სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. კვლევის შედეგების განზოგადება გამოავლენს, რამდენად ინახავს ძველ ფორმებს გარე დიალექტი და როგორ ვითარდება ის საერთოქართული სივრცისაგან მონყვეტილი.

სამხრული დიალექტების შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულიც (იხ. ფალავა, 2015: 123-156; ცინცაძე, ფალავა, 1998:5-6). „საყურადღებოა იგი ისტორიული დიალექტოლოგიისთვისაც, რამდენადაც მას შემოუნახავს ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომლებიც დაუკარგავს სამხრულ მეტყველებას“ (ფალავა, 2013: 140).

სამხრული კილოების შესწავლა აქტუალურია ენის ისტორიის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და ქართული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. სამხრული მეტყველება მეტად საინტერესო მასალას იძლევა ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქო- და სოციოლინგვისტიკისთვისაც.

თავი I. სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის ლინგვისტური საფუძველი

ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ აჭარული, ტაოური, კლარჯული და შავშური კილოების ზოგადი და კერძო თავისებურებანი.

§ I. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი

1.1. სამხრული კილოების ბგერითი შედგენილობიდან. სამხრულ კილოებში გვხვდება ე.წ. ხმარებიდან გასული ასოები, რაც ადასტურებს, რომ აქ დაცულია არქაული ვითარება.

ფარინგალური ჯ გვხვდება შავშურსა და ტაოურში: ჯარები, ჯიდი, გაჭდა, მოვწნავთ, ჯვენრული, ნაჭვენე, ჯვენიანი, ფერჯი, ჯევი, ჯარი, მჯარი.

ეს ბგერა შენიშნა ნ. მარმა. მისი შავშეთში მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, ჯდღესაცაა შემონახული შავშეთის თითქმის ყველა მექართულე სოფლის მეტყველებაში.

ჯ ბგერას იმერხეულსა და ტაოურში (იხ. ფუტკარაძე, 1995; ფუტკარაძე, 2008) ადასტურებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 2008: 88).

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ჯ და ხ ერთმანეთის მონაცვლედ იხმარება და ვერ ქმნიან ოპოზიციას: ხიდი//ჯიდი; ფეხი//ფეჯი...“ (იხ. ფალავა, 2005:47; 2004:17-18). ანალოგიური ვითარებაა ტაოურ კილოშიც.

დიფთონგი. ნახევარხმოვანი x დაჩნდება ყველა სამხრულ კილოში. ის გვხვდება დამავალი დიფთონგის (აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ) შემადგენლობაში: მაღლაჲ ყანეხი, დაბლაჲ ყანეხი, ყუელაჲ ახალგაზრდეხი, პანაჲ ფურუნი (იხ. ფალავა, 1995, 29-35; შდრ. ხუბუა, 1932, 6-7; ნოლაიდელი, 1960, 9-10; ნიჟარაძე, 1957, 5-7; 1961, 16-18; 1975, 58-60; ჯორბენაძე, 1989, 541-542).

იგივე ბგერა დასტურდება y ბგერის გადმოსაცემად აღმავალ დიფთონგში (თურქულ და უმეტესად თურქულის გზით შემოსულ აღმოსავლურ სიტყვებში): აალი, აერი, ააზმა, აასალი, აეგანი... ყველა დანარჩენ შემთხვევაში ი გვაქვს (იხ. ფალავა, 1995).

სამხრულ დიალექტებში x დასტურდება:

ა. ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (რაჲს, რაჲთ);

ბ. სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაში (ადვილაჲ, ძნელაჲ);

გ. ზმნის ფორმებში (ზმნისწინისეული ხმოვანი ვნებითი გვარის ან სათავისო ქცევის ნიშნთან ქმნის დიფთონგს: ნეჲქცა, მეჲყვანა, დეჲლაპარიკა...) და ა. შ.

შავშურსა და აჭარულში ნეიტრალური გ ბგერაც გვხვდება. იგი ან 1. ანაპტიქსური ხმოვანია: თჳლათ, კჳლდეები, ქობღლეთ ან 2. რომელიმე ბგერის ალომორფი: არგ, ჩგხორ.

სამხრულ დიალექტებში უმარცვლო უ'ც გვხვდება აჭარულში, შავშურში, ტაოურსა და კლარჯულ კილოებში შემდეგ სიტყვებში: თუალები, კუალი, ღუედი, ჭკუები, ძალუან, შეგუაყვარე, აძუეფს, ბუერი... ქუა, ამყუა, ქვაბისთაუში, თქუენ... ოღონდ სამხრულ კილოებში უმარცვლო უ არ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა.

1.2. უმლაუტი. ტაოურში გვაქვს უმლაუტის მსგავსი მოვლენა, ვე' კომპლექსი გვაძლევს ო'ს, (ეხონებიან, ჩონი, ხონნები, ქომოდამ), ვი' – უ'ს (ფაფაზისთუნ, ასკერებითუნ, გამოცხობითუნ) (ვრცლად იხ. ფალავა, 2002:66-74).

1.3. ასიმილაცია. სამხრულ კილოებში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ასიმილაცია. განსაკუთრებით თვალში საცემია ხმოვანთა დამსგავსება: დეეცეს, დეგვენივინენ, დეელაპარიკებოდა, დეეკარქენ, დეემართოს, დეელაპარიკა, დეენვა, ნეეყვანეს, დუურიგებენ, დოდოფალი...

ხშირია თანხმოვანთა ასიმილაციაც: შჭირს, შჭირდება, დაშჩა...

აქვე დასტურდება ასიმილაციის საფუძველზე ბგერის დავინროებაც: მოზობელი, აქოვრობა.

1.4. დისიმილაცია. დასტურდება ხმოვანთა და თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიც: ევა, გევა, შიეტყო, არაფელი, ანბავი, არალი (ს)...

1.5. ბგერის გაჩენა და დაკარგვა. სამხრულ კილოებში სიტყვაში ბგერის ჩართვა გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა: უმფროსი, მწყნარი, გემბრიელი, ხუმბრა, აჩუქვა და ა.შ.

ბგერის დაკარგვა ზოგადად ზეპირმეტყველების თავისებუ-

რებაა, რომელიც სისტემურად გვხვდება სამხრულ კილოებშიც: ზდის, თაზე, კინა, წაი, ჩაი, ევეი, ჩევეი...

1.6. მეტათეზისი. სამხრულ დიალექტებში ხშირია მეტათეზისიც: ზრუგი, თუთხმეტი, ძვილს//ძვილ, მანგალი, გასხნა, დემგავნა... ეს მეტად გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა შავშურში: გერმელი, ჭვამოთ, ჭვამთ, ლესკები, ვრა...

1.7. სუბსტიტუცია. სუბსტიტუციის ნიმუშებია: დამამინწყდა, ფხალი, ბზე, ლემსი...

ეს მოვლენა ყველაზე მეტადაა გავრცელებული შავშურში: ზმა, ზველია, უზოვნია, ნაზვი, დევიზინოთ, ზუზუ, ზე, გზელი, ბაზგირელი, ყურზენი, ჯავე, ანჯავეფს, მინავალი, სული, გამლილიყო, ბზე.

1.8. ტონური მახვილი. ტაოურს ახასიათებს ტონური მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე (მოვი'და, ხე'დავ). ნაშთის სახით ეს მოვლენა სხვა სამხრულ კილოებშიც დასტურდება (იხ. ფალავა, 1997).

ვფიქრობთ, ტონური მახვილი უნდა გვექონდეს ქობულეთურ ენერგიულ გამოთქმაში (გვხვდება ქობულეთურ გამოთქმაშიც და მუჭაჯირებთანაც): ე'რი (<ერთი)... ბაღნები ვორი მყავს: ე'რი გოგო, ე'რი ბიჭი (ტახტაბაში); ე'რი კაცი იყო, რას იზამდა... (ჩათალფინარი). შდრ. ე'რი ნაჭარი კაცი იყო (ხუცუბანი) (ფალავა, 2002:113)...

§ 2. ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. სახელთა ბრუნვა. წრფელობითი ბრუნვა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ტაოურსა და კლარჯულ დიალექტებში. ამ კილოებს დაუცავთ უძველესი ვითარება. წრფელობითი ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა. თვით, ძველი ქართული ... იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხნის ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი გადის ხმარებიდან, ზოგი ძველი ფუნქცია მას თანდათან უსხლტება ხელიდან, ზოგიც კვლავ შენარჩუნებული აქვს, ზოგიც მხოლოდ მის განუყოფელ განკარგულებაშია“ (იმნაიშვილი, 1957: 637).

ძველ ქართულში წრფელობითი გამოიყენებოდა: 1. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად; 2. ქვემდებარედ; 3. პირდაპირ დამატებად გარდამავალ ზმნებთან; 4. დროის გარემოებად; 5. ვითარების გარემოებად; 6. რთულ ზმნათა სახელად ნაწილად.

სახელობითმა, როგორც აქტიურმა ბრუნვამ, შემოიმტკიცა ნომინაციის ფუნქცია და წრფელობითიც ზედმეტი აღმოჩნდა.

სამხრულ კილოებში წრფელობითის ბევრი ფუნქცია მოშლილია, მაგრამ რამდენიმე მათგანი შენარჩუნებულია. იგი იხმარება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, ქვემდებარედ, პირდაპირ დამატებად.

წრფელობითის გამოყენების შემთხვევები დადასტურდა ტაოს ქართულში: ამით **წყალ** აღარ ნამეფლოთ, ღვინო ნამეფლეთ; **ქართველ** ვიყო; **ქუედაზორ** დაჰწერე? **ტახებ** არიან; **წყლებ** აქი დამ მოდის; **თევზებ** არიან, ყოლიმფრით ვიჭირავთ; **ტყეებ** ყოფილა, გათავებულა... **ჭარა** დამ **მოსულ არიან** (ტაო, 151).

წრფელობითის ფორმა კლარჯულში შენიშნა შ. ფუტყარაძემ: „ლახანამ **თავ** ქნა“. ლივანურში; **სახელ** დოუძახე, ოდას **თავან** არ აქვა... ავტორის კომენტარით, იგი სახელობითია: „თანხმოვანფუძიანი სახელი სახელობითში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ფუძის სახით“ (ფუტყარაძე, 2016:182). მეცნიერი ანალოგიურად აფასებს ტაოურში დადასტურებულ ფორმებსაც (იქვე, 281).

სამხრული კილოები ბრუნვის ნიშნების ხმარებისასაც გვიჩვენებს არქაულ ვითარებას. შავშურში მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ბრუნვის ნიშნის სრული **მან** ვარიანტიცა და **ნ'** მოკვეცილიც: **მან//მა: დრომან, ძველებმან, დედამა, მამამა, ბაღანამა, დედემა...**

ხშირად გამოიყენება სავრცობი **ა: ღმერთსა, კაცსა, წლისა...**

სამხრული კილოები საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნიან კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ცოცხალ კილოებში **რედუქცია** უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული (თოფურია, 1946:88). ტაოურში თანხმოვანფუძიანი სახელები ძირითადად **შეკუმშულია: მანქნით, პარხლის...** აქ უკუმშველი ფორმები საზოგადოდ ცოტაა: **დედოფალის, გელები...** სამაგიეროდ, შავშურსა და კლარჯულში თვალში საცემია **უკუმშვე-**

ლობა: წყალის, წყალები, ცხვარის, მგელები, მანგალის, სოფელის, სოფელიდან, ყურძენის, სომეხები, ბებერები, მაყარის, სტუმარები, ნამალადაც. აქ შეკუმშული ფორმებია იშვიათი: **სტუმრები, ახლები, მუსლიმნები...**

კლარჯულში ზოგჯერ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდაცაა (დიალექტოლოგიაში ამას ფორმათა შერევა, სიჭრელე ჰქვია).

უფრო მეტიც, ერთ წინადადებაში, ერთი და იგივე სახელი გვხვდება ორგვარი ფორმით: **კაკალით და კაკლით, თათრები და თათარები...**

აჭარული სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს: ქვემოაჭარულს ახასიათებს უკუმშველობა, ზემოაჭარულს – კუმშვა.

ხმოვანფუძიანი სახელები ტაოურ კილოში ძირითადად უკვეცელია: **ქობაჲდამ, აჭარაჲდამ (ტაო), სიმღერას, ღელეს, ხეს ...** კლარჯულში არსებითი სახელი **ღვინო** უკვეცელია.

ტაოურში, კლარჯულსა და შავშურში კვეცადი ა' ფუძიანი ზოგი სახელი ებ'იან მრავლობითში ორ ე'ს იჩენს: **თეები, გზეები, ხოჯეები, ყანეები** (შდრ. **ქილისეები, ღელეები**).

გვხვდება დისიმილირებული ფორმებიც: **თხიები, დედიები, ქვიები, თიები, ბახჩიები, ხოჯიები.**

შავშურში ამგვარ ფორმათა ანალოგიით თანხმოვანფუძიანი სახელიც იბრუნება: **წყლიები, თითიები...**

აჭარულში დისიმილირებული ფორმები ხშირია, არ დასტურდება **თეები, გზეები, ხოჯეები და ა. შ.**

სამხრულ კილოებში თავისებურია ნაცვალსახელიც. გვაქვს ფორმები: **მეგ, იგინები, მაგინები, ამფერი, იმფერი, ამსოჲ, იმსოჲ...**

აქვე გვხვდება **ემე' ნაცვალსახელიც.** საკითხი იმერხეულსა (შავშური-ავტ.) და ტაოურში შეისწავლა ეკა დადიანმა და აღნიშნა, რომ მისი ფუნქციაა პაუზის შევსება: **ემეს** ევლებ, იქედამ მოდის, **ემეს** ძირი დამ, **ემეზე** წასულა, **ემეს** ვიჯებით, ვჭრით; ყანას **ემეს** ვიჯებით; ერთ ათ წელნადსაც **ემე** ვქენ; თევზი ასე **ემესიჯება**, იმ შავ ადგილ **ემეიქამ**, გაჰყრი...

ემე გვხვდება მრავლობით რიცხვშიც: **ემეები, ემენი.**

ემე დასტურდება ლივანურშიც. ის ფონეტიკური სახესხვაო-

ბით დასტურდება სხვა დიალექტებშიც: კახურში გვაქვს **იმე**, ხევსურულსა და მოხეურში – **ამე**; ქართლურსა და კახურში – **ისემე**, **ისამე**...

დავძენთ, რომ ამგვარი ფორმები ნიშანდობლივია ზემოაჭარულისტვის. ქვემოაჭარულისტვის კი – სრულიად უცხო. ამ სიტყვის წარმომავლობას უკავშირებენ **ამა** ნაცვალსახელს... **ისემე** რთული შედგენილობისაა: **ეს, ის+ ემე** (დადიანი, 2013:28–29).

2.2. ზმნა. პირის ნიშნები. სამხრულ კილოებში გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარება. ტაოურში გვაქვს **ჰამეტი** ფორმები: **დავჰკლავთ, დავჰჭრით, შევჰჭამთ, დავჰკლათ, დავჰკრიბავ, ჩაჰყრი, დავჰკრიფენ, გაჰყიდიან, მოვჰკვეთო.**

შავშურში **ხანმეტი** ფორმებიც დასტურდება: **შევხკონავთ, ხქონდა...** ქობულეთურ მეტყველებაშიც ასეა და ეს ენის შინაგანი პოტენციის გამოვლინებაა, კონვერგენციაა (ხონდა, მოხონდა).

ქობულეთურ კილოკავში ჭარბობს **სანნარევი** ფორმები: **დასნერა, ჩასთვალე, სთქვი, სტკლიცა...**

ზოგჯერ ზმნაში გვხვდება ერთი პირი ორი ნიშნითაა აღნიშნული: **მიჰსცემდი, მოჰსწველდი...**ესენი კონტამინირებული დანერეილობის ნიმუშებია.

ცოცხალი მეტყველების ზოგადი ტენდენციაა უნიშნო ფორმების პოზიტივობა, რაც სამხრულშიც დასტურდება: **ქვია, ქონდა, ყავდა...**

შავშურში **მყავს** ზმნაში არ არის **ს: მყავ**. კლარჯულში **მაქვა** ტიპის ფორმები ჭარბობს...

სამხრულ კილოებში იკვეთება პირის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენციაც: დამახასიათებელია ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა არა **-თ** სუფიქსით, არამედ **ან/ენ-**ით: **გყავან/ გყავენ, მიყავან/მიყავენ, უყვარან, უკვირან. უნდა** ზმნას ორმაგი **-ან** დაერთვის: **უნდანან.** ეს ფაქტი ყველაზე მეტად გამოკვეთილია კლარჯულში, ჩანს აჭარულშიც.

შავშურში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში გამოკვეთილია **-ან** სუფიქსის უნიფიკაცია: **მიღევან, ესმიან...**

ქობულეთურსა და ტაოურში, ქობულეთელ და მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში წყვეტილის მწკრივში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში ძირითადად **ეს** გვხვდება (**ისხდეს, იჯდეს, ეილებდეს, გედეიტანდეს, იყვნეს**), რაც ძველი ქართულისთვის ნორმაა.

ტაოურში წყვეტილში სუბიექტის მრავლობითობა გადმოიცემა **-ენ** სუფიქსით, ისევე, როგორც ძველ ქართულშია: **დევეჩვიენით, დედალენით, დევადენით, გეეზარდენით.**

ზემოაჭარულში, ტაოურსა და კლარჯულში მეორე სერიაში, წყვეტილის მწკრივში, დასტურდება **დეინახევი** ტიპის ფორმებიც: **დეეჭირევი, ეაკიდევი, გავაგდევი, ჭამევი.** გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებიც: **ჭამევი, ჭამევი** და **ჰაიდა, წვეელით** (ხულო).

ტაოურში ამავე მწკრივში მხოლობითი რიცხვის მესამე პირში **ა**'ს ნაცვლად **-ო** დადასტურდა: **მოკდო.** ამავე კილოს თავისებურებაა II კავშირებითი მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **ე**'ს ნაცვლად **ო**'ს გამოყენება: **მოქცოს, ამოვდონ, წევდონ, შეშინდონ.** ანალოგიური ფორმები გავრცელებულია კლარჯულში, დაჩნდება ქობულეთურშიც.

ტაოურსა და კლარჯულში ხშირია ინკლუზივ-ექსკლუზივი: **მეამეზიან, მოქვწონან, მეტყვიან, მიყვარან, მაქვან, მეზარებიან, მყავდენ...**

კლარჯულში შეინიშნება ერთი მეტად თავისებური ენობრივი მოვლენა: მრავლობითობის **ენ//ან** სუფიქსები ზმნაში მაშინაც გვაქვს, როცა არც სუბიექტია მრავლობითში და არც ობიექტი: ერთი კაცი **მყავდენ**; მაჭახლელი **ხოჯა მყავან**, ერთი **გოგო მყავან**; ტრაქტორი **მყავან**; მე სიძე **მყავან**, ერთი კაცი **მყავდენ**; არ **მყავან ქათამი**; **მაგინყდებიან ქართული**; არ **მაქვან ფასფორთი**; **მუსაფირი გიმინარდებიან...**

აქ მხოლობითის და მრავლობითის ფორმები უნიფიკირებულია: **ქათამი/ გოგო/ სიძე მყავან.** ამგვარი მოვლენა დასტურდება გლოლურშიც. ერთმანეთისგან ტერიტორიულად დაშორებულ კილოებში ერთისა და იმავე ენობრივი ფაქტის გამოვლენა შესაძლებელია ავხსნათ ენის შინაგანი განვითარების ტენდენციით (იხ. ცეცხლაძე, 2014: 31).

სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელია **თემის ნიშანთა უნიფიკაცია**, რაც, მრავალფორმიანობიდან ერთ ფორმაზე, წარმოების განსხვავებული პრინციპიდან ერთ პრინციპზე გადასვლას ნიშნავს... მორფემათა ნაირსახეობანი იცვლება ერთგვაროვნობით“ (ჯორბენაძე, 1989:137).

უნიფიკაციის საფუძველია ანალოგია: ენა ისწრაფვის, რომელიმე ერთი მნიშვნელობისათვის უპირატესობა მიანიჭოს ერთ ფორმას. კერძოდ, -ავ თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან და ფუძედრეკად, მწკრივში ფუძემონაცვლე ზმნებსაც: **ვიჭირავთ, ვყიდავ, გამოჭრავ, ვკრიბავთ, გითხრავ, ვიქნევდით...**

სამხრულ კილოებში ავ თემისნიშნისანი ზმნები თემისნიშნისეულ ხმოვანს მეტნილად იკვეცენ: **განურვენ, უკითხვენ, სმენ...**ეს მოვლენაც არქაიზმია. მოვიყვანთ მაგალითებს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან: რეცა თუ ჟამსა **წირვენ** (ლიმ. 106, 26); რომელნი **შესწირვენ** წმიდასა შესანიშნავსა (ბოლნ. 115, 38); განრისხებულ არიან ღმერთნი და **ძრვენ** ქუეყანასა (ისტ. ქრ. II. 63, 27).

შავშურსა და კლარჯულში -ავ თემის ნიშანი ამ'ს ცვლის: **მიაართავს, ურტყავს, შესვავს, დგავს, აართავს.**

საინტერესო მოვლენაა **თემის ნიშანთა მონაცვლეობაც: ამ//ავ; ებ//ავ; ი//ავ; დააბებენ, გატებებენ, კლებენ, მეაპარებენ** (კლარჯ.); **მოკლის, მოხნის, უკრის** (კლარჯ.; ქობ.).

ხშირად გვაქვს **ამ** თემატური ნიშანი ავ'ის ნაცვლად: **შევდლობამ, აადულამ...** (ტაოური).

ევ', ემ' თემისნიშნისანი ზმნები (**ფქვევდა, სძინევდა, სწერევდა**) მეტად გავრცელებულია კლარჯულში, შავშურსა და ზემოაჭარულში, ქვემოაჭარულში კი **ვიდმიდიანია (სმიდეს, ჩამომსმიდა, ჩევცმიდე)** გაბატონებული. ასეთი ფორმები ახასიათებს ქობულეთურსაც. ისინი ჭარბობს ტაოურშიც.

ზმნათა -**ევ' და -ემ'** თემისნიშნისანი ფორმები ბატონობს ძველსა და საშუალ ქართულში, მრავლად დასტურდება ჩვენებურთა მეტყველებაშიც: ღამე გულითა ჩემითა **ვზრუნევდ** (ფსალმ. 76,7); ჰაერთა შინა **ვფრინევდი** (ყარ.); და **შეასხემდეს** ქებასა (რუსუდ. 396. 23); მზესა თქუენსა **ფიცევდეს** (ვისრ. 3,11); იქედამ ჩავვიყუანეს საოსტატო სახლებში, საცა ქევებს **ხერხევდენ** (საბა, მოგზ.); ვნახე-

ვი, ... როგორ **ხარშევდენ** ... და რას მოადულებდენ (იქვე); სოფელში იმისისხვან გოდრებ **ვზიდევდი** და მაშინ არ მტკივოდა... (ჩვენებ.); ძუელათ **ვუკრევდი** მუზიკას (იქვე, 156); ბაღვი ნერწყვებს **ყლაპევდა** (იქვე); ნალიაზე **ჩამოაბემდენ** ზენჯირებ (იქვე); ხალხ **იჭირევდენ** მეგემ (იქვე)...

ძველსა და საშუალ ქართულში გვხვდება **ვიდმიდიანი ფორმებიც**: მრავალნი მათგანნი არა **სუმიდეს** ღვინოსა ყოვლადვე (ხანძთ. 216,6); ფარაო **ჰრისხვიდა** მონათა თვისთა (დაბ. 41,10); კითხვით **მკითხვიდა** ჩუენ კაცი იგი (იქვე, 43,7); ვარსქენ თავსა თუსსა ძლუნად **შესწირვიდა** მეფის მის მიმართ (შუშ. 133, 19); ზოგი ცხვარს **სწველვიდა** (საბა); უშანგ-შა ბარამ ჯიბილს ქებას **შეასხმიდა** (ყარ. 61,19); ძიძა ვითარცა **ჰკაზმიდა**, ვისი ამაშიგან ტიროდის (ვისრ. 36, 27)...

ანალოგიური ზმნები არც თუ იშვიათია ჩვენებურთა მეტყველებაშიც: ემჯამი **იდრიკვიდა** ფეხ მაშინ (ჩვენებ.); იქ ირანელები იყვნეს, უშაქროს **სმიდეს** (იქვე, 34)...

იგივე წარმოება ქობულეთის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში სამივე პირში დასტურდება: **ვპარვიდი, ვწველვიდი; ხედვიდი**, იმნაძე ასლანამ რა მითხრა? შენ **იზმიდი**, არ შექცვებოდა? (ქობ. რ-ნი, ხალა).

სამხრული კილოების მონაცემები გვეხმარება, პასუხი გავცეთ კითხვას, რა არის ეს **ევ' და ემ'**? არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ისინი სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსული დამოუკიდებელი თემის ნიშნებია, თანაც -ავ და -ამ-ზე ძველი. ამ მოსაზრებას ემხრობიან ი. ქავთარაძე, პ. ჯაჯანიძე, ბ. ცხადაძე.

განსხვავებული, ტრანსფორმაციული თვალსაზრისით, -**ევ'** და -**ემ'** დამოუკიდებელი ფორმანტები კი არა, -**ავ'** და -**ამ'** თემის ნიშნებისგანაა მიღებული ფონეტიკურ საფუძველზე (ლ. კიკნაძე); სხვები კიდევ მოვლენის მორფოლოგიურ საფუძველზე საუბრობენ.

ზ. სარჯველაძის აზრით „-**ევ და -ემიან** ფორმათა არსებობა სამივე პირში სამწერლობო ქართულში **დიალექტიზმია**, ასეთი ფორმები სამწერლობო ქართულში სამხრული კილოებიდანაა შესული“ (სარჯველაძე, 1984:449).

ლ. კიკნაძის აზრით, შეუძლებელია განსხვავებული თემის ნიშანი ჰქონდეს ზმნას სხვადასხვა მწკრივში, პირსა და რიცხვში. **ევ'** და **ემ'** თემის ნიშნებზე საუბარი ზედმეტია ანმეოსა და ანმეოს ხოლმეობითში, აგრეთვე ანმეოზე დაყრდნობილ I თურმეობითში მხოლოდ და მხოლოდ **ავ** და **ამ** თემის ნიშნები გვაქვს, ჯერ არავის დაუდასტურებია ასეთი უცნაური ფორმები: **ვკლევ, ვსუემ, მომიკლევს, შემისუემს** (კიკნაძე, 1947: 320; 334).

ივანე და ვახტანგ იმნაიშვილების აზრით, „ასეთი ფორმები, მართალია, ძველმა ქართულმა არ იცის, მაგრამ სამაგიეროდ, ძველ ქართულში არის ნამდვილი **ევ'**იანი და **ემ'**იანი ზმნები, რომელთა უღლებაც ახლოს არ ეკარება მორფოლოგიური თეორიის მიმდევართა ვარაუდს. აი, როგორ იუღლებიან ისინი უწყვეტელში: **ვაკურთხევდი, აკურთხევდი, აკურთხევდა** და არა **აკურთხვიდა** ან კიდევ: **მისცემდი, მისცემდი, მისცემდა** და არა **მისცმიდა...** ეს საკითხის ერთი მხარეა, მეორე და მთავარი ისაა, რომ ეს ზმნები **ევ'** და **ემ'** თემის ნიშნებით იხმარება ანმეოში, ანმეოს ხოლმეობითსა და პირველ თურმეობითში. ამნაირი ფორმები საძებარი და უპოვნელი კი არა, სავსეა ჩვენს ენაში“ (იმნაიშვილები, 1996:128).

ჩვენი აზრით, I თურმეობითი, როგორც მესამე სერიის მწკრივი, გვიანაა გაჩენილი, ამიტომ ის ვერ შეგვიქმნის **ევ', ემ'** ფორმანტთა დამოუკიდებელ თემის ნიშნებად მიჩნევაში წინააღმდეგობას (ცეცხლაძე, 2007: 118).

სამხრულ მეტყველებაში გამოვლენილია **ევ** თემისნიშნისანი ფორმები ანმეოს სამივე პირში: **ვზიდევ, ხედევ, აკოჭევ, ძინევს** (კირნათ-მარადიდი) (ცინცაძე, ფალავა, 1998:71).

მოყვანილი მასალა ამართლებს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს. ანალოგიური ფორმები (**ფქვევენ, კენკვეენ, კითხვეენ**) მანამდე ზემოიშეწოდებულში გამოავლინა ქ. ძონენიძემ, ოღონდ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირში.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს მიმლეობური ფორმებიც ძველ ქართულში. ესენია: **ნამარხევი, ნაპარევი, ნასხლევი**. ივ. იმნაიშვილი ამგვარ ფორმებში დისიმილაციის განსაკუთრებულ სახეობაზე საუბრობს: **დანათრგუნავი-> დანათრგუნევი, სასხლავი -> სასხლევი** (იმნაიშვილი, 1954:84).

ევ' დასტურდება ძველი ქართულის ისეთ მიმლეობებშიც, რომელთა ამოსავალ პირიან ზმნებშიც **ავ'** საერთოდ არ გვაქვს. ესენია **ნაქმნევი** და **ნასყიდევი** (შდრ: **ყიდევდა** (ჩვენებ. 131, 19); **ყყიდევდი** (იქვე: 45, 21).

ძველ ქართულში მიმლეობის პარალელური ფორმების არსებობა გვაფარაუდებინებს მათს სხვადასხვა დიალექტიდან წარმომავლობას: **პირველი ნარისუავი (ნარისუევი B// ნარისუალი G // ნარისუელი S)** ცხოვართა შენთა მისცე მას (II სჯულისაჲ 18. 4 DES) (იხ. ცეცხლაძე, 2006: 10).

ამრიგად, არნ. ჩიქობავას მოსაზრებას ზემოიშეწოდებულთან ერთად განამტკიცებს სამხრული მეტყველების მონაცემები, რომ **-ევ'** და **-ემ'** თემის ნიშნები პირველადი და დამოუკიდებელი სუფიქსებია. როგორც ვხედავთ, სამხრული დიალექტები ძვირფას მასალას იძლევა თემის ნიშანთა ისტორიის თვალსაზრისითაც.

შუალობითი კონტაქტი. შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად სამხრულ კილოებში **ინ** და **ევენ** სუფიქსები თითქმის არ გვხვდება: **დაანერია, გააკეთებია, დააშლია, დაადგმია.**

კლარჯულში დასტურდება **ებ//ავ** მონაცვლეობა კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: **გააცინავს, დააყენავს, აცემიავს, გაგატეხიავს, ატირავს, დაგანერიაავს...** ასეთი რამ არ ახასიათებს აჭარულს.

ზმნისწინები. ზმნისწინთა თავისებურებანი თვალში საცემია ტაოურში. აქ ვლინდება **ჩა, წა, და, გა, შემო** ზმნისწინთა **ჩო, წო, დო, გო, შომო, შუმუ** ვარიანტები: **წოულიან, დოუმალავან, შოუტოლეფ, გოურევ, გომოჩნდა, ჩომოვდენ.**

ტაოურსა და შავშურში დასტურდება **მააყრიან, მაასხამენ, შაასწავლებდით, მააქვან, მაახტები, მამპარეს, გამამიყვანა...** ფორმები (**მო>მა**).

საინტერესო ფაქტია ზმნისწინთა მონაცვლეობაც: შავშურში (ასევე ზემოაჭარულში) **წა'** - ზმნისწინი გამოიყენება **მი**'ს ნაცვლად (**წავდივარ**), **მა'** - **მო**'ს (**მაატყვილეფ, მააპარევი**), **გა'** - **შე**'ს (**გავწუხდე, გავპირდი**), **შა'** - **შე**'ს (**შამოჲ, შამეყვანს**); **ჩე'** - **ჩა**'ს მაგივრად (**ჩეგისხა**).

ზმნისწინისეული ა ხმოვნის დავინროება კარგად ჩანს ტაოური

კილოს რთულ ზმნისწინებში: **გომოჩნდა, ჩომოვდენ, ჩომოდიოდა, ჩომონვეს, გომოთხარეს, ნომოვდოდი, ნომოვალ...**

გვარი: ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება სამხრულში ძირითადად არქაულია: **გეშინის, მეიხარშვის...**

არქაიზმებია ტაოურ კილოში შემონახული **ნარიანი ვნებითის ფორმებიც: დავდგნეთ, დასხნეთ, დავჯნეთ, დავსხნებით, დამსხნარან, სხენან...**

სამხრულ კილოებში, მეტწილად აჭარულსა და შავშურში ხშირია ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოება: პრეფიქსიანი ვნებითი დასტურდება **დონიანის** ნაცვლად: **გეეთხვა, გეეხარა, მეემშევა, დეესახლა, გეეჩქარე...** აქ ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება ვნებითი გვარის ფორმათა პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება.

ერთპირიან უნიშნო ვნებითათვის **მესამე** სერიაში გვაქვს **მიმღეობური ფუძეები: გახდილა, დამჩალა...**

ცალკეული ზმნის თავისებურებანი. სამხრულ დიალექტებში მეტად თავისებურია **გავლა** ზმნის უღლება. აქ გვაქვს პარალელური ფორმები: **გევეარ//გევიარ//გევარ, მოვდა//მოიდა, ვარეზოდი//ვიარეზოდით** (ტაო, აჭ. შავშ.). თავისებურია წყვეტილის მწკრივიც: **გომოინეს, გამოიდნენ...**

გევეარე ტიპის ზმნები **შავშურ დიალექტში** დასტურდება (გვხვდება ზემოაჭარულშიც). აქვე გვხვდება **გევეარე, გევიარე** და **მისთ. ფორმებიც.**

სამხრული კილოების თავისებურებათაგან განსაკუთრებით საყურადღებო და თვალში საცემია **რედუცირებულ ფუძიანი გეიშლა** და **გაშლა** ტიპის ფორმები. ისინი დავადასტურეთ ზემოაჭარულში, კლარჯულ დიალექტში, ნიგალურში, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში (გვხვდება ინგილოურშიც).

ასეთი ფორმები გამოვლინდა აორისტსა და II კავშირებითში: **დაშლა** (ქობ.), **გაყრეს, მოთხრეს, შეიშლა** (იქვე, ინგილოური, კაკური); **გეიზდა** (შავშ.; ჩვენებ.; ზემოაჭ. მუჰაჯ.; ლივ., ნიგალ., კლარჯ.; ჯავახ.), **გამოვცლა** (ქობ.).

არნ. ჩიქობავამ სრულხმოვნობის მოშლა დაუკავშირა ძლიერ დინამიკურ მახვილს. კუმშვაც მახვილის მოქმედებით იყო გამო-

წვეული. ეგვეე მოვლენა არის სავარაუდებელი ზმნის უღვლილებაშიც: **ვთლი, ვთალი, ვთალე** (მაჭავარიანი, 2012:25).

ჭანურში ფუძე სამივე პირში რედუცირებულია მაშინ, როცა ქართულში I და II პირებში ხმოვანი დაცულია. რედუცირებული ფორმები გავრცელდა ზანურში და განზოგადდა „შეკუმშული ფორმები ფუძენაშივე უნდა ვივარაუდოთ. ზანურში კი არ მომხდარა რედუქცია, არამედ იგი პირდაპირ ნაანდერძევია ფუძენიდან. შეკუმშული ფორმა ანალოგიით გავრცელდა I და II პირებშიც. ამდენად, ზანურში განზოგადდა აბლაუტის ის საფეხური, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ფუძე აორისტის III პირში“ (მაჭავარიანი, 2012:25).

რედუქციას თუ წინარექართველურიდან მომდინარედ დავსახავთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრულ კილოებში თავი იჩინა ისტორიულმა ენობრივმა მოვლენამ. მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია, რომ **III პირში რედუცირებული ფორმები გამოვლინდა ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში, ე-სუფიქსიანი** წყვეტილი კი კაკურმა არ იცის (ალიაბაძურ კილოკავში მხოლოდ ე სუფიქსი აწარმოებს მწკრივის ფორმებს: **გიცანე, უთხარე** (შდრ: **ვუთხარე** მახინჯ.). ამ დიალექტებს, გარდა საერთო წარმომავლობისა, საერთო აქვთ ისტორიული ბედი (იხ. ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2015).

რედუცირებულ ფუძიან ზმნურ ფორმათა პოვნისებურება სამხრულ კილოებში გვარის კატეგორიის კვლევასაც მოჰყენს ნათელს.

2.3. უდეტრები

ზმნიზედა. სამხრულ მეტყველებაში (ქობულეთური კილოკავისა და ბათუმის შემოგარენის სოფლების მკვიდრთა მეტყველების გამოკლებით) გავრცელებულია **აქ, იქ, მაქ** ზმნიზედების **ზე, ში** თანდებულებიანი ფორმები: **აგ ზე, იგ ზე, მაგ ზე, აქში, იქში...** იგი უჩვეულოა სხვა დიალექტებისათვის. ქობულეთურში გვხვდება **აქანა, იქანა** ფორმები. ზემოაჭარულისთვის ნიშანდობლივია **შიან, ზედან** ფორმებიც, რომლებიც უცხოა ქვემოაჭარულისა და ქობულეთურისთვის. აქ **შით, ზეთ** ზმნიზედებია გავრცელებული.

ხელახლა’ ზმნიზედის სანაცვლოდ ხშირად ზემოაჭარულში გამოიყენება **ხელხამ, ხამათ//ხამაა...**

აჭარულისთვის დამახასიათებელია **დროის ზმნიზედები: ავლა, ჩავლა...** ეიერს (ავლის დროს), ჩამეიერს (ჩამოვლის დროს), გეიერს (გავლის დროს) ტიპის ფორმები გვხვდება ქობულეთელთა მეტყველებაში. აქვე დასტურდება **ჯდომიხან, წასლიხან ტიპის** დროის ზმნიზედებიც. ვითარების ზმნისართებში **ა** დაჩნდება-ტყულაჲ, ძვილაჲ, ჩუმათაჲ...

სამხრულ მეტყველებაში **უკან** ზმნიზედა გამოიყენება **წინას და შემდეგ-ის** ნაცვლად: **შუადღეს უკან; ორის დღის უკან...** ყველაზე მეტად ეს მოვლენა კლარჯულშია გამოკვეთილი. ამ უკანასკნელი დიალექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა **უკან** სიტყვის გამოყენება **თან, -ერთად** თანდებულების მნიშვნელობით.

მუჭაჯირთა მეტყველებაში ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი **კარგი/კაჲ:**

კაჲ (კარგად) ირეცხვოდა, **კაჲ** (კარგად) ვარ.

თანდებული. დან თანდებული აჭარულში გამოიყენება **გან**’ის ნაცვლად: **შენიდან/ შენგან. მდე**’ იძლევა სახესხვაობებს: **მდინ/ მდე; თვის – თვინ; ვით- ვენ/ ვეფ** (ქვასავეთ, შენსავეთ).

თვის’ თანდებული სამხრულ კილოებში იძლევა **თვინ-ს.** ეს თანდებული შავშურში **თინ**’ ფორმითაა წარმოდგენილი. ქობულეთურში გავრცელებულია **იზდა//იზა(<ისდა): სადილიზა, შენი გულობიზა...**

ში’ თანდებულისანი მიცემითის ნაცვლად დასტურდება არქაული, უთანდებულო ფორმებიც: **ხულას, შუახეფ (ს).** შავშურსა და ტაოურში **კენ**’ თანდებული გვხვდება **კე**’ ფორმით. **შავშურსა და ზემოაჭარულში თან**’ თანდებულის წინ იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი: **ფერიდეთან, მემედათან...**

საინტერესოა **ვით**’ თანდებულის ფონეტიკური სახესხვაობები სამხრულ კილოებში. იგი გვხვდება **ვეთ/ვეფ/ვენ ვარიანტებით.**

დან თანდებულის ფონეტიკური ვარიანტი **-დამ**’ დასტურდება შავშურში, სპორადულად გვხვდება აჭარულშიც.

ნაწილაკი. აჭარულში **უნდა** ნაწილაკი გვაძლევს **ნდა/და/ნა** ვარიანტებს: **უნდა>და; უნდა>ნდა, უნდა>ნა: მოვდე’და, მოვდე’ნდა, მოვდე’ნა...**

შავშურში კი’ს ფუნქციით **ქი** გვხვდება.

სამხრულმა კილოებმა შემოგვინახეს კითხვითი **ა ნაწილაკიც.** ის გვხვდება ტაოურში, კლარჯულში, შავშურში, ქობულეთელ მუჭაჯირთა მეტყველებაში.

2.4. სახელზმნა. სამხრული კილოები ყურადღებას იქცევს **საწყისისა და მიმღობის ფორმათა წარმოების თავისებურებებით.**

ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნათა საწყისებში პირიან ზმნათაგან გადაყოლილია **ვ’ (დრიკვა, გლიჯვა, ფლითვა, წერვა...).** გავრცელებულია შემდეგი ტიპის ფორმები: **თევზაობა, გორაობა, ცურაობა...** პარალელურად გვაქვს **ბურთავი, გორავი, ჭიდავი...**

მიმღობა. სამხრულ მეტყველებაში დაჩნდება რამდენიმე თავისებურება მიმღობის წარმოებაში. შემონახულია **არქაული** ფორმები: **საგდოლი, საფრთხოლი// საფრთხული, საქსოლი...**

ნარცხი, მიმღობის ურედუქციო ფუძე, გავრცელებულია ძველსა და საშუალ ქართულში, მაჭახლისა და ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში. ეს ფორმა, როგორც არქაიზმი, პირველად შ. ნიჟარაძემ გამოყო. აჭარულში ის ნიშნავს ხილის, ბოსტნეულის ნახარშს. ის სხვა დიალექტებშიცაა და ნიშნავს ჯამის, კოვზის, ჭურჭლის მონარეცხს.

სიტყვა **მორბედი**’ სემანტიკით რამდენადმე განსხვავებულია ძველი ქართულის **მორბედისგან** (მორბენალი) და საოჯახო საქმეების მკეთებელს ნიშნავს: ამხელა ბაღანა ახლა **მორბედია** შენთვის, ყველაფერს გიგიკეთებს სახში (ქობ.). სამხრულში, კერძოდ, მუჭაჯირთა მეტყველებაში ის მოსამსახურესაც ნიშნავს: სახში ვერაფერს ვერ გააკეთებებ მაგას, სხვისი **მორბედია** მუდამ.

არქაიზმია **მოდგამიც** (ძვ.: მოზიარე, თანამოსაქმე, თანამოაზრე), რომელიც შემონახულია ქიყურშიც და გუთნეულში შეამხანაგებულს ნიშნავს, ქართლურში კი – ხვნაში მონაწილეს ხარით ან სახვნელით.

სამხრულ მეტყველებას დაუცავს მიმღობის არქაული ფორმები, რომლებიც საწყისის ფუძიდანაა ნაწარმოები: **აღდგომილი, დაჟდომილი.**

სამხრულ მეტყველებაში უხვად გამოვლინდა მიმღობის პა-

რალელური ფორმებიც: **თხვარი//თხველი// მთხველი...** კერძოდ, გვხვდება ა) **პრეფიქსული და სუფიქსული ნაწარმოების მიმღობურ ფორმათა მონაცვლეობა:** ჩემი მოქსოვნილი ნაცუამი აქუან შაბანას, შემსიდას, ჯემალას; ეს **ნაქსუარი** პანაა სინი იყოს, კაია.

ასეთი ფორმების მონაცვლეობა სამხრულ მეტყველებაში თვით ერთ წინადადებაშიც გვხვდება: დვენახე **დანერილი, ნანერავი...**

ბ) **პრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური ფორმების მონაცვლეობა:** **ნასაქმი// ნასაქმური; ნაცოდნი და ნაცოდნელი...** **ნაცოდნელი** ინსანი კააა...

გ) **სუფიქსთა შენაცვლება:** განსაკუთრებით საინტერესოა **-ილ** და **-ულ** სუფიქსიან ფორმათა მონაცვლეობა. ა. შანიძე გამიჯნავდა მათი ხმარების შემთხვევებსაც, მაგრამ მათი მონაცვლეობა მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია, რომელიც ბადებს კითხვას: ხომ არაა ისინი სხვადასხვა დიალექტური წრის შემოსატანი? უფრო საინტერესოა ამ მონაცვლეობის გამოვლენა ერთი დიალექტის შიგნით.

კლარჯულ დიალექტში **-ილ** სუფიქსი ცვლის **ულ**'ს: მაგ.: ბათუმის ფარა არი შიგან **ჩადებილი** (ჩვენებ.179); **მოხარშილ** ქათმებ ჩუუნყობთ (იქვე,117); მეორე სახში შევდა, რომე სასადილო ხორცებია **დამზადილი**.

მეტად იშვიათად **ულ-იც** ენაცვლება **ილ-ს:** **გახახული** ბერექეთიანია ბალი (იქვე, 414).

ზოგჯერ **-ილ** და **-ულ** სუფიქსიანი ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება: **დაბადილი//დაბადული, დაძრილი//დაძრული, შეკერებული//შეკერილი**.

მოვიყვანთ მაგალითებს: კარები **დაძრილი იყო;** ჯამები **დაძრული** იყო (ინ.); კითხევდა სახელებსა: – რომელ წელში იყო **დაბადილი,** იმასაც კითხევდა (ჩვენებ. 238); იმისი ბაღვები ჩვენ უკან **დაბადული** არიან (იქვე, 38).

დაძინულ ში თემის ნიშანი არ რეალიზდება: სამასი წელიწადი **დაძინული** ვყოფილვართო (ჩვენებ.29).

შერგობილში ებ' თემისნიშნის ნაცვლად **ტბ'** გვაქვს: ჩვენ ძილი **შერგობილი** არ გუაქ იმი ბარობაი (იქვე, 77).

აქვე გვხვდება **ჭამადი** ტიპის მიმღობები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გაარსებითებული, ე. ი. გასუბსტანტივების პროცესი აქ არაა დასრულებული: **საჭამადი კიტრი// ლობიო**.

სამხრულ მეტყველებაში გამოვლინდა **მ-ო** კონფიქსიანი მიმღობებიც: **გამხილო, მომხმარო, მომფერო:** **თვალგამხილო** რომ იქნება, მოძებნის (ჩვენებ. 160); ისინი ჩუენი **გამრიგო** არიან (ძირითადი ოჯახიდან გაყოფილი) (იქვე); ეს კაცი ჩემი **მომხმაროა** (იქვე, 510); ძალიან **მომფერო** კაცი იყო (იქვე).

მომფერო'ს გვერდით სამხრულ მეტყველებაში **მომფერეც** გვაქვს, **მ-ე** კონფიქსიანი მიმღობა: მათი ქალები ჩუენსავით **მომფერე** არ არიან (ჩვენებ.510). ეს უკანასკნელი ისეთივე წარმოებისაა, როგორებიცაა: **მძლე, მრე, მღე, შემწე** და მოხერხებულს ნიშნავს. ამავე წარმოებისაა **მომჭმე'ც** (კარგი მჭამელი).

სამხრულში, კერძოდ, მუჭაჯირთა საუბარში გამოვლინდა მიმღობის იშვიათი ფორმები: **მსტავლობელი და მსწავლებელი** (ნაწნავლი, განსწავლული): ამ მობძანებულ დიდ **მსტავლობელ** ხანუმსა ხათრინა უუშენო (ჩვენებ.57); ამ ჯამესა ერთი დიდი **მსწავლებელი** ხოჯა აკეთებებდა მეგემ მისი ფართთა (იქვე, 59).

კიდევ უფრო საინტერესოა ფორმები: **მომკდენარი და მიმხდენარი** (მიხვედრილი). თუ დავუკვირდებით, ეს ფორმები უფრო უკეთ გადმოსცემენ შინაარსს: ჩუენზე წინ **მომკდენარი** ინსნები არ დეივინყოთ (ჩვენებ. 74); პანა ომარაჲ ტანდაბალი კაცი იყო მარა, ჭკვიანი იყო დიდი, **მიმხდენარი,** მომფერე, დამფასებელი დიდ-პანასი (იქვე, 44).

განცალკევებით დგას **ნათხვედი**. იგი ნათხოვარს ნიშნავს: მიღმაიდან მაქ **ნათხუედი** აჲ კასრი (ჩვენებ. 78); ფეხზე **ნათხუედი** ეცვა (იქვე).

განსაკუთრებით საინტერესოა უარყოფითი მიმღობის ფორმები, რომლებიც ორგვარადაა ნაწარმოები:

1. წართქმით ფორმაზე უ პრეფიქსის დართვით: **უაშენებული, უდანერილი:** **უაშენებული** ქვეშ არ დეფუდუმლება (ინ.); მის **უდანერილი** ვერსად ვერ ნახუალ (იქვე); **უდანოლილი** ვერ მეფსუენებ (იქვე).

ამ ფორმებს უ პრეფიქსი ზმნისნიშნის შემდეგ კი არ დაერთვის,

არამედ წინ. საინტერესოა ფორმები: **უამობრუნებელი, უათავებელი**. მეგ **უამობრუნებელი** გააცურვონა, თვარამ...ჭამის **უათავებელი** ერთჯელ ადგა (ინ.). ეს უკანასკნელი ფორმები არ დასტურდება აჭარულ დიალექტში.

2. სუბლექტურად: უგუმუცლელი, უდუუნახველი, უგუდუურჩენელი: კაე გინდა, **უგუმუცლელი**ნა გახსოვდეს (ედ.); **უგუდუურჩენელს გადაარჩენდა, იმფერი ქალი იყო ჩემი ნენეა** (ინ.); ხორცი **უდუუჭრელი** შეინახა ბუზდოლაბში (იქვე); სოვნი **უგუუტანელი** გავხდით (იქვე); შურუბსა **უგუუმხმარისას** აკეთებენ (იმ.); რაფერ ამოვდა ამ ფერიდან **უდუუბნეველი?**(თ.ქ.); **უდუუღვეველი** რა ნახე ამ დუნიახე? (იქვე); ამ თუელზე ხასანა **უდუუქორნილებელი** არ დეიტევა (იქვე).

ზემოდასახელებული ტიპის ფორმები დასტურდება ზემოაჭარულშიც: ამდენ პატივცემას რაფერ ვერ ხედავს, მაე **უდუუნახველი**, მაე (შუახ.); ამხელა ნაჭარი **უდუუჭრელი** რავაე იჭმება (იქვე). ამგვარ წარმოებას არ იცნობს ქვემოაჭარული მეტყველება, მეტადრე – ქობულეთური.

§ 3. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი

მსაზღვრელ-მსაზღვრულის ბრუნება. ზემოაჭარულში, კლარჯულსა და ტაოურ დიალექტებში ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვისნიშნისეული ს თანხმოვანი ხშირად დაკარგულია: **მთებ ვხედავ**,

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება საზღვრულთანაც: **შავ ჩადრ, დღვანელ კაც, ჭვანელ კაც, დაჭირულ თევზებ, ჩემ ნათესავებ, ერთ ადგილ, სამას წელწად, პანა ფურუნ...** არც ამგვარი ფორმები ახასიათებს ქვემოაჭარულს, მეტადრე – ქობულეთურს.

ზემოაჭარულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იკარგება მართულ მსაზღვრელთანაც: (მ)თი(ს) **წყალი, მემედა ბაღვი, სულთანა პრატი...**

ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშური და ტაოური კილოებისთვისაც (შავშეთი, 2011:457), სხვა დიალექტთაგან საკმაოდ გა-

ვრცელებულია იგი ზემოიმერულში, მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებთან, იშვიათია ქვემოიმერულში, ხშირია კახურსა და, განსაკუთრებით, ქიზიყურში (იხ. ძონენიძე, 1973: 20).

საზღვრულ სახელი მიცემითი ბრუნვის ნიშანს მაშინ ინარჩუნებს, თუ ის სავრცობს ან ნაწილაკს დაირთავს: **ჩუენ სისხლს და ხორცსაც, დიდ გენილსა, ჩემ გოგოსა, ჩემ დედესა...**

ძველ ქართულში ნორმა იყო მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა, დღევანდელი ქართულისთვის კი გარდამავალი სახეობაა ნიშანდობლივი. ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება **შეკვეცილი და ვულგარული სახეობებიც** (ნორმები, 1970: 132).

ზემოაჭარულში, კლარჯულსა და ტაოურში ძირითადად გვაქვს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნების **შეკვეცილი სახეობა**: მსაზღვრელი, გადმოცემული მეტყველების სხვადასხვა ნაწილით, მოთხრობითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ჩემ ძმამ, ჩემ ანალუღმა, ჩემ ანამ, ჩემ ღარჭმა, ჩვენ ბაჭლებმა...** უფრო მეტიც, ტაოურში ზოგჯერ სახელობითშიც კი არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს: **ჩემ ბაბოე** (ბაზგ.); **ჩემ პანაე გოგო** (ბრ.)...

ნათესაობით ბრუნვაშიც მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ჩემ მამაეს, ჩემ დედესი, ჩემ ძიასი, ჩემ ხისიმების, ჩვენ ბატონის, ჩემ ხათრითინ...**

იგივე ვითარება გვაქვს **მოქმედებით** ბრუნვაშიც: **მალალ ხმითი, ცხელ წყლით, ცივ წყლით, დიდვან კასრებით, ექვს ძმიდან...**

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შეკვეცილი სახეობა გვხვდება ზემოაჭარულში, ქვემოაჭარულისთვის უცხოა; სავსებით უცხოა ქობულეთური მეტყველებისთვის.

ტაოურში იშვიათად გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **ვულგარული** სახეობაც: **ოთხი მარცუალ** გამეღებენ, **ჩემი ბაბამ...** ამგვარი რამ სრულიად უცხოა აჭარულისთვის.

ამრიგად, სამხრულ კილოებში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი** სახეობაა გაბატონებული, გვხვდება **ვულგარული** სახეობაც, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელი გარდამავალი სახეობა მეტად იშვიათია და მხოლოდ ქვემო აჭარულში დასტურდება.

ერგატიული კონსტრუქცია. მოთხრობითი ქართველური და

სხვა იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვაა. იგი უცხოა ინდოევროპული, სემიტური და სხვა ჯგუფების ენებისათვის. იმ ფუნქციას, რომელიც მოთხრობითს ქართველურ ენებში აკისრია, ინდოევროპულსა და სხვა ენებში სახელობითი ასრულებს, ამიტომ მოთხრობითბრუნვიანი, ერგატიული კონსტრუქცია ქართველური და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენების თავისებურებაა.

ქართულში მოთხრობითი ბრუნვის ერთადერთი ფუნქციაა ქვემდებარის გამოხატვა მხოლოდ 1) გარდამავალ ზმნებთან; 2) II სერიის მწკრივებთან.

მაშასადამე, გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის ხმარება შეუძლებელია; შეუძლებელია მისი გამოყენება აგრეთვე II სერიის გარდა რომელიმე სხვა მწკრივთან (თუნდაც გარდამავალ ზმნებთან).

მოკლედ, ქართულ ენაში მოთხრობით ბრუნვას ერთადერთი, საუკუნეების განმავლობაში უცვლელი ფუნქცია აქვს: გამოხატოს გარდამავალი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებთან. ზმნა ამ დროს შეიძლება იყოს ორპირიანი, სამპირიანი და ზოგჯერ – ერთპირიანიც კი (ამ დროს, როგორც წესი, დაკარგულია ობიექტური პირი).

სამხრული კილოების საერთო თავისებურებაა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში დგომა. აქედან კი ერგატიული კონსტრუქცია ყველაზე მეტადაა გავრცელებული კლარჯულში.

ქვემდებარე მოთხრობითშია ა) I სერიის ზმნებთანაც: **ახლანდელეზმა მოდიან, ჭამენ თესლი ქათმებმა, ძროხებმა ძოვდენ, აძღვეს ჰაქუმათმა, ქედელმა მოკლიდა, უფროსმა ხალხი აწვევს, მეიმანმა მიცემს, ძაღლმა თაფლი ჭამს, დედმა ცომი გააკეთებდა; ვინმემ არ გცემს...ქალებმა იკითხებენ, ილოცავენ; კაცმა ვერ ტანულობს; არაბამ არ წავა; მირტყმიდა მუჰელიმმა (ნუსრეთიე); იქა დედამისმა უყვიროდა;**

ბ) მეორე სერიის ფორმებთან: შეეყარა **დათვმა**, ამან გურჯისტანში გეიზდა; ჩემმა **ძმამ** შუაში **ჩადგა**, ამ **ძმამ** მომიკტა.

პირველსა და მეორე სერიებში ერგატიული კონსტრუქციის

ინტენსიური გამოყენებით კლარჯული კილო არსებითად განსხვავდება სხვა სამხრული დიალექტებისგან.

ზემოთ აღნიშნული თავისებურებები სხვა დასავლური კილოებისთვისაც არის დამახასიათებელი (ჯორბენაძე, 1989: 403, 444, 514).

ამრიგად, **აჭარულ, კლარჯულ, შავშურ და ტაოურ კილოებს** სამხრული კილოებისთვის საერთოსთან ერთად ახასიათებს თავისებურებანი, რომლებიც ქმნის მათი დამოუკიდებელ დიალექტებად გამოყოფის საფუძველს.

შავშურ კილოში **იცის** ზმნასთან ქვემდებარე ძირითადად სახელობით ბრუნვაშია: **ხოჯა იცის** გურჯული; **სოფელი თურქია** არიცის.

თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ სამხრულ კილოებში გვხვდება **ენის უცოდინრობის** დამადასტურებელი კონსტრუქციები. კლარჯულსა და შავშურში პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება ხშირად სახელობითშია: **ჩაი** ვადუღებთ; **ზოგი** მოხარშავ...

სამხრულ კილოებში არ გვხვდება ორმაგი უარყოფა. აღნიშნული სემანტიკა გადმოიცემა განუსაზღვრელობითნაცვალსახელიანი ან ნაწილაკიანი კონსტრუქციებით: **სადმე არ არის, ვინმემ არ იცის, რამე არ მომხდარა.**

§4. ლექსიკური თავისებურებანი

განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების – ჩვენებურების მეტყველებაში დაცული არქაული ლექსიკა. გამოყოფენ შემდეგ არქაიზმებს: **ტანტრაბა, მერული, როგომანა, ნანწალაკი, ხიხალი, ჩქოლი, კარაჭინი, დელამუტი, ქურო, ქორი, საყვარი, ჯინჯიხი, ყინტორი, კეში, უგლაგარჯი, სულუსხარი, პაშტა, ბანდალი, სუნგალი, დატიტვა, განაჭვა და ა.შ.**(პაქსაძე, 1995).

სამხრულ კილოებში გვხვდება თურქულიდან ან თურქულის გზით შემოსული სიტყვები ქართული თანდებულებით: **ქენერში** (კუთხეში), **თერეფში** (მხარეს), **ესკერში** (სამხედრო სამსახური), **მაჰალეში** (უბანში); **აილაში** (საზაფხულო საძოვარზე); **არაბაში**

(მანქანა, ურემი, საზიდარი, ეტლი. 2. ავტომანქანა. 3. ვაგონი. 4. ხეიბრის, ბავშვის ეტლი); **დოხტორთან** (ექიმი, მკურნალი, დოქტორი); **ქოშესთან** (კუთხე); **მეხელულთან** (სასაფლაო); **თერეფიდან** – (მხარე); **დეველეთიდან** (სახელმწიფო, იმპერია); **მემლექეთიდან** (ქვეყანა, მხარე, ოლქი, რაიონი); **ჰასთაჰანედან** (საავადმყოფო); **ხალიდან** (დეიდა); **მაჰალისკენ**.

თურქულიდან ნასესხები -**ობ** სუფიქსით ნაწარმოები ფუძეებია: **ასკრობა** (ჯარისკაცობა); **ბაარამობა** (დღესასწაული, ზეიმი); **ჰიზმეთჯობა** (მომსახურება); **ინსნობა** (1. ადამიანი, კაცი. 2. ადამიანური; **დუგუნობა** (ქორწილი, წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ლხინი); **დოხტრობა** (ექიმი, მკურნალი); **ფეთიმობა** (ობლობა), **ემექლობა** (ემექლი – I. პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი)...

თურქული ფუძეებისგან -**იან** სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელებია: **ინათიანი, ზარფიანი, ყაბულიანი, -ურ//ულ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელებია: **გურჯული, მემლექეთური** და ა. შ.

მუჰაჯირთა მეტყველებაში გვხვდება ნასახელარი ზმნები, რომლებიც თურქულიდან ნასესხები სიტყვებისგან -**ებ** თემის ნიშნითაა ნაწარმოები: **გამოსალამება – გამოჯანმრთელება, დადინგლება** (მოსმენა), **გაზენგილება** (გამდიდრება).

გვხვდება ასევე -**მე** (<მო) ზმნისწინიანი ნასახელარი ზმნები: **მეეხიზმეთა** (მოემსახურა); **მეეკალიბე...** (ჩოხარაძე, 2013: 46–52).

მ. კიკვაძის დაკვირვებით „სახელებთან შედარებით მუჰაჯირებში მინიმუმამდეა დაყვანილი ნასესხები ზმნები, მაგრამ ტექსტებში რაც დადასტურდა, ძალზე საინტერესოა მორფოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვეთილია **მწკრივი, დრო, პირი, კილო, გვარი**. პირის ნიშნები მორგებულია თურქული ზმნის ძირს, თვალში საცემია ნასახელარი ზმნები: **გაჰერსდება** (გაბრაზდება) – მყოფადი; **ყაშმერობდით** ერთმანებში (გხუმრობდით) – უწყვეტელი; **დეემოსაფირა** (სტუმრად გაუხდა) – წყვეტილი; **გვეხიზმეთონო** (გვემსახურონო) (კიკვაძე, 2013: 56).

მაია კიკვაძემ შეისწავლა **თურქიზმები მუჰაჯირთა მეტყველებაში** და ისინი დააჯგუფა მეტყველების ნაწილების მიხედვით: **1) არსებითი სახელები: ბაზშიში, ახნი, დოშამე, ლეჩერი, ალი, ყათ-**

ი, ოქული, ჰუქუმეთი, მოსაფირი, ზოფა, უზუმი, ბექმეზი, ფიშელი, ფარა, ხელალი, ხერამი, ფუნარაობა, გენჯობა...

თვეების სახელები: ზეჰმერი (იანვარი) თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, **ქირეზა**, ჩურუგა, მარიობა, ენკენა, უზუმა, ქურუკიაზი, ყარაყიმი;

დღეებისა: ორშაბათი, სამშაბათი, ოთშაბათი, ხუთშაბათი, **ჯუმა**.

ზედსართავი სახელები: ბეთი, ესკი, ანი, ზენგინი, ფეთიმი, ანი, დოღრი...

რიცხვითი სახელები: დოხსან იქი, ვოცი ბინ, ოთუზ, ჟუზ ალთიმ ბინ სექიზ ჟუზ დოქსან უჩ...

შეინიშნება, რომ მუჰაჯირთა მეტყველებაში ყველაზე მრავლად გვხვდება ნასესხები სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი) და უდეტრები. მცირე რაოდენობითაა ზმნები, თურქიზმებად ნაცვალსახელები თითქმის არ შეგვხვდრია (კიკვაძე, 2013: 52–56).

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხი სამხრულ კილოებსა და მუჰაჯირების შთამომავალთა ქართულში შეისწავლა მ. ბარამიძემ. აქ გვხვდება ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის **გაფართოების** შემთხვევები: **ადგა** (ხმარებიდან გავიდა, ჩვეულება მოიშალა): **ნესი ... ადგა;** იმ ადეთებმა ადგა; **სიფთე, ძიას** ეტყოდენ დიდ ძმას, ახლა ადგა; ჩვენებურობა ადგა.

ამავე მნიშვნელობისაა **ანევა – 1.** გაუქმება (სიფთე ჩვენებურა სამობდენ, ახლა ანიეს); **2., „ანევა“** იხმარება აგრეთვე მიცვალებულის და კრძალვის მნიშვნელობით, უფრო ზუსტად, აღნიშნავს დასაკრძალავად აღებას, ნალებას: რომ მოკდება, იმ დღეს **ანევეთ**.

კითხვა სწავლა, სწავლება, ლოცვა, შელოცვაა: ჯემალა ცხრა-მეტი წლისაა, **კითხულობს** უნივერსიტეტში; ბალნებ და **აკითხოს**; შაკიკის **კითხვა** იცია შენ? დღეს'ნა უკან, უნიას'ნა ჩვედენ'ნა, **ვიკითხო**'ნა.

საქმობა მუშაობა, სამსახურია: დევლეთში'ნა ვისაქმო; აქა საქმობენ, ბევრი კაცი მოვა აქ საქმითვინ.

გაქცევა ქალის გატაცება, ცოლად წაყვანა: სამი წელია, ქალი **გამოვაქციე**; ზორით არ **გამუაქციე**, ქალმა მისთათალა წამოვდა, ზორით არ წამეყვავა.

დგას – ცხოვრობს: ბიჭი აქ არ არის, უნიას **დგას** (ბარამიძე, 2013:25–26).

სამხრულ კილოებში თურქულთან უშუალო კონტაქტის შედეგად გაჩნდა აღმოსავლური ფრაზეოლოგიზმების კალკები. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია ისინი: **ყუსურზე დახედვა, სულის სიმწართ, სიტყვის დაკავება// ნაქცევა, თვალიდან ჩამოგდება, ქესაში ჩაგდება** (სპ. დაიმედება), **ეზიეთის მიცემა** (შ. ნიჟარაძე); **ბოლთის ცემა** (კ. დონდუა); **სჯულიდან გადაბრუნება, კლავის გაწვდა, ენაზე მოსვლა** (ნ. გურგენიძე); **ხათრის გატეხა, წყალივით იცის** (ს. ჯიქია); **ლაზურში-ჯოხის ჭამა, ამბის მიცემა პირდაპირ მოსვლა და ა.შ.** (ს. ჯიქია); **ყუსურზე დარჩენა, ყუსურის ჩუქება, ბეზარზე მოსვლა, ხათრის აშენება, ცოდვები გავა მეიდანში, იუზის მიცემა, ფითის მიცემა, ხიშმის ჭამა, ყაფა აღარ საქმობს...**

ფრაზების სხვა ენის ყაიდაზე აგება ამავდროულად მეტყველების ფსიქოლოგიის შეცვლაცაა. იშვიათი გამოთქმა **ყუსურის ჩუქება** საინტერესოა ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით საინტერესოა კალკის კალკითვე ახსნა და ქვეტექსტი, რომ მისი ე. წ. ნაკლი დაიფაროს, მასპინძელთანვე დარჩეს (ცეცხლაძე, 2016: 130).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ „ფრაზეოლოგიური კალკირება უფრო ხშირად შეიმჩნევა მოტივირებულ ფრაზეოლოგიზმებში, სადაც მეტაფორა ნათელია, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა კომპონენტთა შეკავშირებას, შიდაფრაზეოლოგიურ ვალენტობას ეყრდნობა“ (მამულია, 1987:6). ამასთან, კალკირებულია მეტწილად ზმნური ფრაზეოლოგიზმები.

§5. სტილისტიკური თავისებურებანი

სამხრულ კილოებში, კერძოდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ დიალექტებში გამოკვეთილია ერთი სტილისტიკური ხერხი, **სინონიმური პარალელიზმი**.

გზა შენნა გუუნარბო, გზა შენნა მისცე; გული დემენვა, გული იმიტირდა; ქირდათ ეილებს... და მის თოკზე დეწყებს სამას; იმ-

ფერი კაე მოლაპარიკე იყო, **სიტყუაში არ დემეტრეოდა, სიტყუაში ვერ დააბემდი**; ამ დუნიას ქალისთვინაც კაქნა იყო, ქალის სიტყვით ანაა-ბაბოე გეიქნიეო და ესენი მოჭიჭყეო, ისენი ატირეო, ლმერთი არ გებნევა (ჩვენებ. 73); **ხებერი არ ქონია, რაცხა გუუგონია, ყურიდან ყურში გამშპარაო; ჭკვას თვალი არ ეცემაო, ვინმე ვინმეს ჭკვას არ ასწევს; შვილები მარტო ხესავენ არ'ნა გაზარდო, შვილებს ეს დუნიაც დაასტავლეთო; მისი ნათქუამი ძირს არ დავარდება, სიტყვა არ წიექცევა; ძემ გადმეაარა – ნენეს ხებერი არ აქ/ინსანს მისი ააბი ბუკზე არ'ნა შამოკრა, სირცხვილიდან'ნა გამეფევანო; უჯანგო ფაფრიკაა, კაე მოგება აქ; სისხლიდან არ გავრეცხილვართ, ისვენ ხისიმ-ახრაბა ვართ ერთმანეთიზა“** (ცეცხლაძე, 2011: 48).

სინონიმური პარალელიზმის საფუძველზე აგებული წინადადება მეტად ექსპრესიულია. ეს ერთგვარი სტილისტიკური ხერხია და მეტყველებას მეტ დამაჯერებლობას სძენს. თავდაპირველად კი მას უცხოური ფრაზების განმარტების ფუნქცია უნდა დაკისრებოდა. მთქმელი თავადვე ამზადებს კომუნიკაციის პირობას, მას ხაზგასმით განუმარტავს სათქმელს. აქაური მთქმელი განუმარტავს არ ტოვებს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვას და მის გვერდიგვერდ გვაძლევს შესატყვის ფრაზეოლოგიზმს“ (ცეცხლაძე, 2013: 172).

„შეიძლებაოდა გვევარაუდა, რომ ამ ხერხს მუჰაჯირი მაშინ მიმართავს, როცა ქართველს ესაუბრება. არც ამის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ წინასწარი ვარაუდით, ფრაზის ამნაირად აგება აღმოსავლურ ენათა თავისებურებაა. ბილინგვი მოსაუბრე მას იღებს დომინანტი ენისგან, თუმცა მის ცნობიერებაში ამოტივტივდება ქართული ფრაზები, ენობრივი კოდები გააქტიურდება და პარალელურად ამოქმედდება. სწორედ ამით უნდა აიხსნას კალკურ ფრაზეოლოგიზმთა პრაგმატიკული თავისებურებანი თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ქართული ენის სამხრულ კილოებში აჭარულ დიალექტთან შედარებით“ (ცეცხლაძე, 2016: 130–131).

ამრიგად, **სამხრული კილოების ზოგადი თავისებურებებია**: ე. წ. ხმარებიდან გასული ასოების პოვნიერება: **ჟ, ჳ, გ**, უმარცვლო **უ**; **უმლაუტი და ტონური მახვილი**. ფონეტიკური მოვლენებიდან აღ-

სანიშნავია ასიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, დისიმილაცია და ა.შ.

მორფოლოგიურ თავისებურებათაგან სამხრულ კილოებში შემონახულია **ჰაემეტი და ხანმეტი ფორმები**; გამოკვეთილია **სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარება**; პირის და თემის ნიშანთა უნიფიკაცია; დაცულია **ინკლუზივ-ექსკლუზივის** კატეგორია. სპეციფიკურია ასევე მოქმედებითი და ვნებითი გვარის **რედუცირებულფუძიანი** ფორმების პოზიტივობა, **შუალობითი კონტაქტის ნიშნების** დაკარგვა, სახელზმნის თავისებური წარმოება (სანყისთა სუფიქსაციის გაბატონება, უარყოფის ორმაგად გამოხატვა მიმლეობაში).

თავისებურია **ნაცვალსახელები: ემე, აგინები, იგინები. თავისის** ნაცვლად ყველგან **მისი** გამოიყენება.

გავრცელებულია ზმნიზედების თანდებულებიანი ფორმები: **აგ ზე, იგ ზე, აქში, მაქში.**

შემონახულია **უდეტრების არქაული ფორმები: დას(ტ)ურ, ში(გ)ან, ზედან...**

სინტაქსურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი** სახეობის გაბატონება, **ერგატიული კონსტრუქციის** უპირატესი გამოყენება. საერთოდ არ გვხვდება ორმაგი უარყოფა.

ლექსიკაში დაცულია არქაული ფენაც და ხელშესახებია თურქულის გზით შემოსული აღმოსავლური სიტყვებიც. აქვე დასტურდება სიტყვათა სემანტიკური გადაზრიანების უამრავი შემთხვევაც.

სიტყვანარმოებით თავისებურებათაგან აღსანიშნავია შემდეგი: დაცულია რამდენიმე საერთოქართველური სუფიქსი **ფხე, ურ...**

სამხრულ კილოებში, უფრო გარე დიალექტებში: ტაოურში, კლარჯულსა და შავშურში, ასევე მუჭაჯირთა მეტყველებაში ბევრია თურქული სიტყვა თუ კალკური ფრაზეოლოგიზმი. აჭარული დიალექტისგან განსხვავებით, ამ კილოებში გამოკვეთილია ამგვარ სიტყვათა და გამოთქმათა სინონიმებით ახსნის ხერხი, სინონიმური პარალელიზმი.

თავი II. აჭარული დიალექტი

აჭარული დიალექტი ერთ-ერთი სამხრული კილოთაგანია. ამ კილოს თავისებურებანი ასევე შეაპირობა გურულ და მესხურ კილოებთან მეზობლობამ. დიალექტში, ბუნებრივია, შეინიშნება კოლხურის კვალიც, რაც. აჭარული დიალექტის ლექსიკაზე გარკვეული გავლენა იქონია თურქულმა ენამაც...

აჭარული დიალექტი ისტორიული სამხრული მეტყველების კარგად გადარჩენილი მონმე, შედარებით კარგადაა შესწავლილი, თუმცა საკვლევი და დასახუსტებელი ჯერ კიდევ ბევრია. კერძოდ, შესადგენია აჭარულის ვრცელი ლექსიკონი, არსებული ლექსიკონი ძირითადად ასახავს ზემოაჭარულს და უკვე ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ასევე, აჭარულის ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული მახასიათებლები მოითხოვს კვლევას (ფალავა, 2013: 138).

ახლებური კლასიფიკაციით, ქვემო მაჭახელი, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის (აჭარის არ) შემადგენლობაშია, შავშეთის ნაწილად მივიჩნით, ამავე რაიონის მირვეთის, ქვემო მარადიდისა და კირნათის მკვიდრი მოსახლეობის მეტყველება კი – კლარჯულად.

შევნიშნავთ, რომ აჭარულის შესახებ არსებული გამოკვლევები მეტწილად ზემოაჭარის მასალებს ეყრდნობა. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სავსე ექსპედიციები უმეტესად ზემო აჭარაში ეწყობოდა, სულ რამდენიმე ექსპედიციამ იმუშავა ქობულეთში, ჩანერილი მასალები მწირია და ყოველთვის არც თუ სანდო (ფალავა, 2003 (1): 88–113), ხოლო რაც შეეხება ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველებას (ვუნოდოთ ბათუმური მეტყველება), იგი, ქობულეთურთან ერთად, ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალური კვლევის ობიექტი (შეუსწავლელია ბათუმი ეთნოლოგიურადაც), არავის ჩაუწერია ბათუმური მეტყველების ნიმუშები... როდესაც გვექნება ქობულეთური, ბათუმური, ზემოაჭარული მეტყველების მეტ-ნაკლებად სრული სურათი, ვფიქრობთ, აჭარულის კილოკური შედგენილობის საკითხი კიდევ ერთხელ გახდება მსჯელობის საგანი, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. სადღეისოდ შე-

იძლება გავაკეთოთ წინასწარი განცხადება: აჭარულში შეიძლება გამოიყოს კილოკავები: ა. **ზემოაჭარული** (ქედის, შუახევისა და ხულოს მეტყველება); ბ. **ბათუმური** (ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველება, შეიძლება ვუნოდოთ ქვემოაჭარულიც); გ. **ქობულეთური** (ქობულეთისა და ჩაქვის მეტყველება) (ფალავა, 2013: 138).

აჭარული დიალექტი იყოფა ზემოაჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებად. აჭარულის კილოკაური დიფერენციაციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი თვალსაზრისით, ზემოაჭარული მოიცავს ხულოს და შუახევის, ქვემოაჭარული კი ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მეტყველებას (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961).

ლინგვისტურ ქართველოლოგიაში აზრთა სხვაობაა ქობულეთური მეტყველების დიალექტური კვალიფიკაციის შესახებ, კერძოდ, ქობულეთური ქვემოაჭარულის ნაწილია (იხ. მარტიროსოვი, 1972:79; ნოლაიდელი, 1941:4; ნიჟარაძე, 1957...). ჯ. ნოლაიდელმა ქობულეთური მიიჩნია გურულ და აჭარულ კილოებს შორის გარდამავალ მეტყველებად.

ქობულეთური ცალკე კილოკავად გამოყო შ. ნიჟარაძემ (ნიჟარაძე, 1975:15-22) და დაასახელა რიგი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თავისებურება, რომლებითაც იგი უპირისპირდება აჭარულის სხვა კილოკავებს. ქობულეთურს ნაკლებად ატყვია თურქული ენის გავლენაც.

ჯ. ნოლაიდელის მოსაზრებით „აჭარელთა მეტყველებაში ჩვენ კილოს ორი შტო უნდა დავინახოთ, სახელდობრ: **აჭარული**, რომელიც მოიცავს ორ რაიონს: ხულასა და ქედის (იმხანად შუახევიც ხულოს რაიონში შედიოდა (მ.ფ.), ბათუმის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის (მაჭახლისა და კირნათ-მარადიდის მეტყველება (მ.ფ.) ჩათვლით, რომელსაც, კერძოდ, ახალციხური მეტყველების და, საერთოდ, სამხრეთი საქართველოს (შავშეთი, კლარჯეთი და სხვ.) გავლენის ბეჭედი აზის და ბ. **ქობულური**, რომელიც ქობულეთის რაიონის და ბათუმის რაიონის ნაწილს შეიცავს, რომელსაც გურული დიალექტის დიდ გავლენას ვამჩნევთ“ (იხ. ნოლაიდელი, 1936: 3). ამავე აზრს იმეორებს მკვლევარი სხვა შრომებშიც (იხ. ნოლაიდელი, 1960: 7; 1972: 209).

ჯ. ნოლაიდელი „ქობულურს“ უწოდებს **ქვემოაჭარულ კილოკავს, ბარის აჭარულს**. ტერმინის უხერხულობას მკვლევარი თავადვე გრძნობს და იძლევა განმარტებას: „რაც შეეხება სიტყვა „ქობულურს,“ ნაწილობრივ უხერხულობას ბადებს, ვინაიდან მის მაგიერ გავრცელებულია „ქობულეთური“. ქობულეთი გეოგრაფიული ტერიტორიის აღმნიშვნელია, ისე როგორც იმერეთი, კახეთი, სვანეთი და სხვ. მაგრამ არავინ არ იტყვის, თუ იგი კახეთში ღვინოს იყიდის, **კახეთური ღვინო ვიყიდე, ან იმერეთული ყველი... აგრეთვე, სადაურობის აღსანიშნავად მეტყველებაში ჩვეულებრივ გამოყენებულია -ელ სუფიქსი: თუ იმერეთის მკვიდრთან გვაქვს საქმე, ვამბობთ იმერელი და არა იმერული. ასევე არ შეიძლება თქმა კახეთელი... მაშასადამე, ქობულეთელიც, არამედ კახელი, ჯავახელი, ქობულელი“ (ნოლაიდელი, 1936:3).**

საგულისხმო დაკვირვებაა, მაგრამ სწორი ტერმინები: **ქობულური, ქობულელი** (მდრ. კახური, კახელი) მაინც არ დამკვიდრდა ქართულ ენათმეცნიერებაში (იხ. ფალავა, 2003 (1): 69).

როგორც აღვნიშნეთ, შ. ნიჟარაძის აზრითაც, ქობულეთური აჭარულის ცალკე კილოკავია (ნიჟარაძე, 1975:15-22). „ქობულეთურისა და ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა კიდევ უფრო განამტკიცებს შესაძლებლობას, რათა აღნიშნული მეტყველება ცალკე კილოკავად გამოიყოს“ (ფალავა, 2015; ხახუტაიშვილი, 2008, 2009; 2014).

§ 1. ფონეტიკური თავისებურებანი

აჭარულ დიალექტში დასტურდება **ა, უ და გ ხმოვნები** (ირაციონალური ხმოვანი). შ. ნიჟარაძის მიხედვით, გვაქვს ე.წ. „**გემინირებული ხმოვნები**“ (ნიჟარაძე, 1957; 1961; 1975; მდრ. ფალავა, 2004)... ჩვენი აზრით, „გემინირებული“, ე.წ. გრძელი ხმოვნები აჭარულში არ არსებობს (იხ. ფალავა 2003)...

აჭარულში გვხვდება **ა** და ქმნის **დიფთონგს: ფთაა, დროა, დღეა...** ის, ისევე, როგორც სხვა კილოებში, ქმნის **დამავალ დიფთონგს**. აღმავალი დიფთონგი კი მხოლოდ თურქულ ან თურქუ-

ლის გზით შემოსულ სიტყვებში იქმნება: **აღლი, ალაღლი...** სხვაგვარად, გვხვდება ნასესხებ სიტყვებში **y** ბგერის გადმოსაცემად: **აულურთი** (yogurt) (იხ. ფალავა, 2003).

ა დასტურდება სხვაგანაც:

1. ნაცვალსახელებში თანხმოვნის დაკარგვის შედეგად: **მაა, აა...** მაა საცერი მომეცი აქით (ჩაქ.); აა კაცი რაცხა მეცნობა (ქობ.).

2. ზმნებში: **მოა, გაა...** მოა, წევდეთ მდინარეზე (შუახ.); **გაა და გამომიტაა** მჭადის ქვილი, ახლა დაქფოვლი იქნება (ჩაქ.).

3. ვითარების ზმნიზედებში: **ტყულათალაა, ნაპირეველაა, მაგიერაა, ტყულაა, ძვირაა, უცფაა...** ნაპირეველაა მიყევი და კრიფე, სადმე რამე არ დატოო (ჩაქ.); ტყულის **ტყულათალაა** ვიმკურნალე ამდენი (ჩაქ.); **იაფაა** ყიდულოფს, **ძვირაა** ყიდის (ქობ.).

4. ა გვხვდება ბევრ სხვა ფორმაშიც: **ჩემთათვინაა** უმფო კარქა ვიჯები (ხულო); **ჩემითანაა** მშრომელი კიდო ბევრი გყავდენ თქვენ (ბათ.)...

„ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არაა სარწმუნო, თთქოს ა აჭარულში გვხვდებოდეს ხმოვნის წინა პოზიციამი, აღმავალ დიფთონგში, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში: **კაბეზი, ქვეზი, ნეფაზი, მამაზი, ძალაზი, დატაა...** (შ. ნიჭარაძე, ჯ. ნოლაიდელი) (იხ. ფალავა, 1995).

ფონეტიკური მოვლენები. აჭარულში ფართოდაა გავრცელებული **ასიმილაცია**. ამის შედეგად ფუძისეული თანხმოვნები გვაძლევს ვარიანტებს:

პირის ნიშნები ასიმილირებულია შიშინა თანხმოვნებთან:

სჭირს>შჭირს: **მოშჩა, შჯობია, შინჯავს, ქახალდი, გახტა, მიზდეგს...** ერ მეტრას არ მოშჩა კიდევ? (ნოლ. შუახ. 45); რა **შჭირს** მაგას, გიმიგე ერთი (ხელვან.); ერი ნაჭარი ყველი **მოშჩა?** (ქობ.); აა ბაღნები რას **მიზდევენ** (ბათ.); ავათ **გახტა** და ველარ ნამუელით (შუახ.); ჩემ ბაღნებს საერთოთ არ **გუუშინჯიან** ხალადეცი (ჩაქვი).

ჰ+გ = ღგ>ღ: **ჰგონია>ღგონია>ღონია:** თავი ფელევეანი **ღონია**;

ჰ+ქ = ხქ>ხ: **ჰქონდა>ხქონდა>ხონდა:** მას მას განაგონი **ხონდა** ტახის შესახებ (ნოლ. 90); ის არ **მიხავან** (ნოლ. 180. ქობ.)...

ზმნისწინისეული **ა** ხმოვანი ვნებითი გვარის ან სათავისო ქცევის ნიშნის წინ **ე**, **ი** კი **ა**'დ იქცევა: **აიჩემა>ეიჩემა> ეაჩემა; ნაი-**

ლო> ნეილო> ნეალო: **ეაჩემა**, ბათუმ მივალო და წევდა (შუახ); მის ბაბამ **ნეალო** წერილი (იქვე).

ეს მოვლენა მეგრულსა და აჭარულ-გურულ-იმერულში საერთო ფაქტორებითაა გამოწვეული (ვ. თოფურია).

პრევერბისეული ხმოვანი სასხვისო ქცევის **ი** ნიშანთან სრულად ასიმილირდება: **ჩა>ჩი, ნა>წი; გა>გი:** **გიგინარდა** ხომ? (ბათ.); ტვინი **წიმილო** მაგ ბაღების ჭყიპინმა (შუახ.); **ჩიგივდა** ჩემი ნაყიდი ტუფლები? (ბათ.).

ზმნისწინისეული **ა**, **ო** ხმოვნები სასხვისო ქცევის **უ** ნიშანთან სრული ასიმილაციით გვაძლევს **უუ** კომპლექსს: **მიუტანა>მუუტანა; დაუნყო>დოუნყო>დუუნყო...** (მდრ. ნიჭარაძე, 1957; 1961. ძიძიგური, 1946; ნოლაიდელი, 1936; 1960): ამ დილას **მუუტანა** წამლები (ჩაქ.); ყველაფერი **დუუნყო, დუულაგა** გელინმა (შუახ.).

ასიმილაციის ნიმუშებია ასევე: **დოდოფალი, ოზო, მოზობელი...** **ოზოში** გვედეთ, კაი ხაფრია (ქობ.); გლახა **მოზობელი** ქონების პატრონს გაქხდის (იქვე); **რასძალა** ლამაზი დოდოფალი მეფევათ თქვენ (შუახ.); ამმადა **დოდოფალი** მუუყვანიან, დედომინის სამძიმარი (ქობ.).

ვა/ ვი კომპლექსი ქობულეთურ მეტყველებაში გვაძლევს **უ**'ს: **აცუმს, წუმს...** ისეთი **უნწუმია**, ღვარები ამდგარა სულ (ნოლ. 49); **გაჭუმს, გასუმს, გაცუმს** (ქობ.).

ქობულეთურ კოლოკავში **ო** ხმოვანი დავინრობებულია: **რუმ, ხუმ, რატუმ, რუმელი:** **რუმელი** საათია ბუძიავ? (ქობ.); **ხუმ** გითხარი, ოსმან ბუძიავს გოგოა-მეთქინ (იქვე); ერი **ტუმარაა** ქვილი მასესხოთ'და ვინცხამ (იქვე); ამ **ფართუბზე** რა შეიძლება **რუმ** დავრგათ? (იქვე)...

ქობულეთურ კოლოკავშივე დასტურდება **ბუძიე**'ს ტიპის ფორმები: მამუდ **ბუძიე**' გაქცეულა შიშისგან (ქობ. მუჰ. კრებ. VI: 203); რეჯებ **ბუძიე** ბალაძე რუმ დეაწყებდა ლაპარიკს, ჰემ იტირებდა, ჰემ ილაპარიოკებდა (ორდ. 226); შავი **ლობიე**, წვენნიანი ფხალი (იქვე, 205); ოსმან **ბუძიე**ს ლევერი ხემდა მქონდა ჯიბეში (ქობ.)...

დისიმილაციის მაგალითებია: **ევა, გევა, ანბავი, არაფელი, ბეგრჯელ, ოროლი, არალი, გუშხამ:** **არაფელი** აღარ ვიცი მაგენის

(ბათ.); სახში საჭმელ-სასმელი არალი (შუახ.); ანბავი შედტყე? (ჩაქ.); მაგან ბევრჯელ დამატყვილა (შუახ.); ევა სოფელში, ჩამუა (შუახ.); გუშხამ ისე განვიმდა, დაღვარა ყველაფერი (ხალა).

ქობულეთურ მეტყველებაში არავინ ნაცვალსახელის ნაცვლად ხმარება არიკაცი, რომელიც არაკაცის დისიმილირებული ფორმაა.

აჭარულისთვის დამახასიათებელია თანხმოვნის დაკარგვა ნებისმიერ პოზიციაში: [რ]კინა, [მ]თა,[რ]ქა, მა[გ]რა[მ], [მ]სხალი, მობ[რ]ძანდა, [მ]სუქანი...

ვ' იკარგება თანხმოვნებს შორის: ასლა, შეძრა, კნესა...ასლაში დეველალე (ჩაქ.); რა შჭირს და ჭამა-კნესა (იქვე).

ლ' იკარგება სიტყვაში მეზიზ[ლ]ება: მეზიზება, ყველაჲს გაკეთებულ მანონს რავაი შევჭამ (ჩაქ.).

ზმნებში რედუცირდება ი ხმოვანი (ქცევის, გვარის ნიშანი ან ფუძისეული): მივტან, გევტან, მევგეფ, გევდა...(ბაბუა)...

ბგერის დაკარგვის ნიმუშებია ასევე: ექსი, კინა, ჭახე, სხალი, ასლა-ჩამოსლა: ექსჯერ დასახლებულა, ექსი ქალი ხოლია (ტახტაბაში). კინის ჯიშკარი გუუკეთოთ მაგა (შუახ.); მაჲ ჭახე სხლები რას დიგიკრეფიან ბაღნებო! (შუახ.); ასლა-ჩამოსლა უმფო ძვირი დიგვიჟდება (ქედა); სუქანი დედალი დავკლათნა (ხულო).

ბგერის დაკარგვა განსაკუთრებით დამახასიათებელია ქობულეთური კილოკავისთვის: ზამფხულში სოფელში მუალთ (ჩათალფინარი); ზამთარში მიალთ (იქვე); ფაშა-ბიბი ეტყოდით (ჩვენ) (იქვე); ზაფხულ აქ ვარ მე, ზამთარში – მიალ (ყორლანი); არის აქანაჲ დარჩენილი ჩვენებურაჲ: მიალთ, მუალთ (თახტაბაში); ჩვენ აქ მეზელულზე ამიედით (ყორლანი)...

მოყვანილ მაგალითებში დაკარგულია პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი. მიალ, მუალ... ტიპური ქობულეთური გამოთქმებია, და რაც მთავარია, ასეთ ფორმებში ვ' სისტემურად იკარგება. ვ'ს დაკარგვის ტიპური ნიმუშია: ექსი, თექსმეტი (ფალავა, 2013(1): 17).

ქობულეთურში ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევებია: ერი (<ერთი) მაღლა ნენეჲ იყო; ერი (<ერთი) ოჯახია იგიც; ერ(<ერთ) ხელში ფუნა აქ, ერ ხელში ბალახი; მაჲ (<მაგი) დარჩენილა; ცეხ-

ლი(<ცეცხლი) ეკიდება; დასურ(<დასტურ) ქალია; სა(<სად) იყავი; იი (<იგი) ვინაა? (იხ. ბარამიძე, 2013: 24).

ხშირად რამდენიმე ბგერა იკარგება: მუეი, ევეი, ნევეი, დატიე... აჭარულისთვის არც ბგერის გაჩენაა უცხო: გვამთვალეირებს, კიდვენ, იძულვებული, ვორმოცი, ამეზლამ, უმფროსი, ურცხო, მწვალება, მენდალი, ხუმბრა, გემბრიელი, უდგანს, საცოდვაი, არუქვა...

როგორც უმფროსი ძმანები ნეყევანა ტყვილით, იმფრათ ნეყევანა ეს ძმაც (ნოლ. 117. შუახ.); იძულვებული გავხტი (იქვე); უმფროს დას ურცხო სილამაზე აქ (შუახ.); ჩენი ხუმბრა შაბავს, მაგენისაა გემბრიელი (კახაბ.); გვერდში უდგანს მუდამ (ბათ.); მწვალების მეტა მაგზე რა არი (ბათ.); საცოდვაი რატონაა, თავრობამ არუქვა სახლი (ხულო); რა მიცეს და ხახვის მენდალი!(იქვე); ვორმოცმა დღემ გაშპა, გეარა (იქვე)...

მუჰაჯირი ქობულეთელის მეტყველებაში და ზოგადად ქობულეთურში ვ' ჩნდება ხმოვნის წინ: საფარიძე ვოთხი ბალანაჲ მოსულან (ჩათალფინარი); (ფაშა-ბიბი) იტყოდა: ვორი კიბილი გამოვდაო, კიდო (იქვე)... შდრ. რაცხა ვორი კაკალი ბალი იყო, ბაღნებს დუუჟვერიან (კვირიკე) (ფალავა, 2013 (1): 17).

ვ' ჩნდება სხვათა სიტყვის ნაწილაკის წინ: აქედანავო, ჩემიავო, იქნებაავო: დუუჩემებია, ჩემიავო, არანდარა სხვისია (შუახ.); სვალე-ზეგე იქნებაავო, გინდა არ გინდა, მეიტანონდავო (ჩაქ.).

აჭარულში გვხვდება სიტყვებიც, სადაც თანხმოვანთგასაყარად ჩნდება ი': კიბილები დიმიტვალენ მაგენმა (შუახ.); რამხელვანი კილდეები ყოფილა აგზე (შუახ.); ხობო დაამწყრიე და ამუალ (ქობ.); წიგინი და რვევლი მაგის ხელში არ დიმიწახია (ქედა); ქიბილი არ დიმიქვოვია ჯერემთ (ქობ.)...

ასეთ ზოგ სიტყვაში ხმოვანი ქართველურ ენათაგანაა გადმოყოლილი, ზოგიც თანხმოვანთ გასაყარია (თანხმოვნებს შორის ხმოვნის გაჩენის ტენდენციას აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციით ხსნიან); ზოგ ფუძეში კიდევ ხმოვნის არსებობა თურქული ენის გავლენითაა შეპირობებული ფილავი, აშიქარე).

გავრცელებულია სუბსტიტუციაც: სიზმარი > სიძმარი; გეიდრო > გეიზრო; ძროხა > ზროხა; მზითი > გზითი; ნემსი > ლემსი;

ემდურის> ენდურის; ტლინკი> ტრინკი; კოვზი> კობზი; ვარცხნა > ბარცხნა; ვეუბნები> ვებნევი; უთხრობია > უთხრომია...

ექიმს დიეტა არ უთხრომია...ვებნევი, სახში ამოვთ მეთქინ და არ ესმიან მაგენს (ჩაქ.); ერთი კობზი პირი თავლი ურთევით შიან (შუახ.); გზითი ვუყიდევით მაგ ფართი (ხულო); ვუთხარე, მარა ტლინკები აყარა, იმიტონაც ჭამა ჭიმური (შუახ.); ხომ არ მენდური, ხმას რატონ არ ილევ? (ხულო); ლემსის ყურნში გაძრება და ოჯალს არ მიატევს (შუახ.); ზროხა რომ არ დეირჩო და რომ არ დევლუპეთ, რალას ვჩივი (ჩაქ.).

ბგერათმონაცვლეობა გამოკვეთილი ფონეტიკური მოვლენაა ქობულეთურშიც: ფ/ყ მონაცვლეობის ნიმუშებია: ტყეში ჩამოსულან, დამფდარან; შდრ. ფაშას უთქმია, იქიდან მონავალი კაცები დაჟდენ (ჩათალფინარი); ჟავანაძიები//ჯავანაძიები არიან (იქვე); აქა ვჯდანვართ, ყაზახო//ყაძახო...

ქობულეთურში ფ/ყ მონაცვლე ფორმები ერთმანეთის პარალელურად იხმარება, რაც საყურადღებო ფაქტია (იხ. მ. ფალავა, 2009: 181).

მ/ნ: მინავალი, მონავალი, ამონავალი... ფაშას უთქმია, იქიდან მონავალი კაცები დაჟდენ (ჩათალფინარი); მინავალი აღარ გაჩერებულა, წევდა (იქვე)... შდრ. ამონავალ მზეს დილას დეეტყობა.

ც/წ მონაცვლეობა: აქ ბევრი გვარები ცხოვრობენ: კონნელიძე (კონნელიფხე)... ეს მონაცვლეობა გვხვდება ბათუმურ მეტყველებშიც (ფალავა, 2013 (1): 18).

ქობულეთურ კილოკავში ჰ იქცევა ხ'დ: ჰექია> ხექია, ჰე>ხე... ხე ბძანეთ ახლა, ბუერუმი ნათქვამია (ქობ.); ხამან ახლა ამტკივდა თავმა (იქვე); მაგის ხექია რამდენჯერ და მოვსმინო! (იქვე); ბაზრამის ხელვა მომიკითხეს (იქვე); ერი მათ ხესი მომე, არიელი არ მინდა (იქვე)...

ჩვენი დაკვირვებით „საერთოდ „ხანმეტობა“ ქობულეთურს გამოარჩევს აჭარულის სხვა კილოკავებისაგან და მისი მომიჯნავე ქვემოგურულისაგან. თუ მთელ აჭარულში გავრცელებულია ჰაი-დარ (მამაკაცის სახელი), ქობულეთში – ხაიდარი; ასევე: ქობულეთურში – ხაივანი, სხვა კილოკავებში – ჰაივანი (პირუტყვი), ხალა-ლი//ხელალი (ქობულეთურში), სხვა კილოკავებში – ჰალალი//

ჰელალი//ალალი ...არ გამაგონო, ერთი კიდო! (ქობულეთი). შდრ. ხელალი და ხერამი იცით და! (ლორი) ჩვენზე ხერამია, ჩვენში მუსლიმანია, ხერამია... (ფალავა, 2013 (1): 17).

აჭარულ დიალექტში დაცულია ჰ' თურქულის გზით შემოსულ ბევრ სიტყვაში: ჰემ, ჰერამი, ჰელალი: ჰელალს არ გიზამს (იქვე); ჰემ კაკა და ჰემ კუკუ არ იქნება! თუ გატყვებდე, ჰერამი იყოს (იქვე).

ქობულეთურს სხვა კუთხის მეტყველებისაგან გამოარჩევს ვ//ფ მონაცვლეობა: აფსილი, დაფსილი, გაფსილი: აქა აფსილია ამფერი; დეფსო კაცი! გეფსო ყოლიფერი; მათ დაფსილი ყოფილა... (ფალავა, 2013 (1): 17).

აფრიკატიზაციის ნიმუშებია: პარცვა, პენცია, ჯინი, ჯეშტი... პარცვაში გევეჭარი ლოყა და სისხლი მდის (ბათ.); ჯეშტის გადახურვა მინდა (ჩაქ.); მაგის ჯინები ხომ ამევეყარე! (ბუკნ.); პენციაზე მოგცემ, დიმიტიე ნისია (ქედა).

აქვე უნდა დავასახელოთ ში//ჩი მონაცვლეობაც: ში თანდებული გვაძლევს ჩი-ს: ჯუმარჩი, ოზურგეჩი (მ. ხუბუა).

დეზაფრიკატიზაციის მაგალითებია: ნიძლავი, ისტავლა, შტვი-რი, ფოშტა...ფოშტის ცხენივით დარბის, სახში არ ჩერდება (ხელვარ.); ნიძლავი დავდვათ, რაზეც გინდა დეენიძლავოთ (ჩაქ.); სტავლა ზოვლი ძულს მაგ ბალვსა (შუახ.).

აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელია მეტათეზისიც: ზრუგი, სხნის, ძვილს... მოინიკვა და ბანალი მისცა (ნოლ. 93); მოდი შემჯეჟი ზრუქში (იქვე, ხულო); აა კამპოტი რაით'ნა გავსხნა, ჰაცხან სასხნელი მქონდა (შუახ.); ძვილს არ მოვთქვი სული, აქნობამდე სა ვიყავი (ხალა).

ს' სპირანტის დასუსტების შედეგია მისი ქცევა ჰ'დ: სად>ჰად, სადაური>ჰადაური. ჰა წევდე, ჰა დევკარქო, აა ვიცი (ქედა); ჰიდაური გენილი მეყვანევით? (ხულო).

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში დასტურდება უმლა-უტიც. საყურადღებოა, რომ პალატარული ხმოვნები უმეტესად იმავე პოზიციაში ფიქსირდება, რაც ქობულეთურ კილოკავში. ბუნებრივია, არც ქობულეთურში და არც ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში იგი „არ არის რეგულარული, მეორეული შემთხვევა ჩანს“ (ფალავა, 2002:113).

შეიძლება გვეფიქრა, რომ უმლაუტი ქობულეთურში (განსაკუთრებით ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში) თურქული ენის გავლენის შედეგია. დაშვება ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ თურქულთან აჭარულის ხანგრძლივ ურთიერთობას, მაგრამ გამოვლენილი მასალები ყოველთვის არ უჭერს მხარს ამ ვარაუდს, რამდენადაც დასტურდება ისეთი შემთხვევებიც „სვანური ენისთვის რომაა დამახასიათებელი... ამ მოვლენას საფუძვლად უდევს საუმლაუტო ხმოვანზე მომდევნო ე, ან, განსაკუთრებით, ი ხმოვნის გავლენა, მაშინ როდესაც თურქულ ენებში წინამავალი ხმოვანი ახდენს გავლენას მომდევნოზე (ნაწილობრივ იმსგავსებს მას) და რაც ხმოვანთა ჰარმონიის სახელით არის ცნობილი“ (იხ. შანიძე, 1981: 323).

უმლაუტის შემთხვევები მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება იგი აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ტაოურში (იხ. ფალავა, 2002:113–121). აჭარულის კილოკავთაგან უფრო ხელშესახებია იგი ქობულეთურში. „ქართული ენის დიალექტთაგან უმლაუტი (თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა) დასტურდება ინგილოურში (რეგულარულად) (იმნაიშვილი, 1963; 1966), მოხეურში (ქავთარაძე, 1985), მესხურში, ჯავახურში (მარტიროსოვი, 1984), ქვემოქართლურში (ჯორბენაძე, 1998).

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში გამოვყოფთ უმლაუტის ორი შემთხვევას:

1. **მაუმლაუტებელია მომდევნო ხმოვანი** (სვანურის მსგავსი უმლაუტი):

ქალაქიდან რომ **ნოხვიდე**, ძალვან კაჟა (თონგელდუზი); მილეთი ფეხზე **ადგობოდა** (კაპადუზი); ისე მომკტარა ... ვერ **ნოვდა** (ჩუბუქლუ); ჩვენ ყანიეფში **ბოვრია** (ქილი) (ჩუბუქლუ)...

მოყვანილ მაგალითებში **ო<ე**’საგან.

ო ა-სგანაა მიღებული შემდეგ მაგალითებში: ჩხავერი **აქოვრი** არ არი (კაპადღალი); უქუმეთს **აქოვრობა** მუუცემია (კაპადღალი); **აქოვრობა** ჯილით დეჟკავეს (ჩათალფინარი)...

ვისაქმებთ **სხოგან** (ჩათალფინარი) (**ო <ვა**’საგან)... **ო< ვე** ჩვენ თეთრში, თეთრში **შავახოვთ** (ორდ. 220).

2. **მაუმლაუტებელია წინამავალი ხმოვანი ე>ო**’ს: ენამ არ’და

დაგავინყდოს; ჩამოვდო, აგინთან საქმე მაქ (ტახტაბაში); ან ფულელები **მივსცოთ** უნდა (ჩათალფინარი); ახლა **მოვდოს**’და რახი (იქვე); ქალებმა **მოვდონ** და მოგვეხიზმეთონო (დუაერი)...

ანალოგიური შემთხვევები დადასტურებული გვაქვს ქობულეთურში, ასევე აჭარულის სხვა კილოკავებშიც (იხ. ფალავა, 2002; შდრ. ფალავა, 2009(2):181; ფალავა, 2013 (1): 16).

ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ იმ მოსაზრებას, რომ „უმლაუტი ქართული კილოებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი მოვლენაა როგორც ისტორიულად (ქავთარაძე, 1964:74–85), ისე ახლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულმა ენამ „იგი ვერ იგუა“ (ჯორბენაძე, 1998: 38).

§ 2. მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. სახელთა ბრუნება. აჭარულ კილოში, მეტწილად ქვემოაჭარულში თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას ზოგჯერ გვხვდება **უკუმშველობაც: ეკალის, წყალის, ძვალის, ქმარის, ქოჩორით, ხმალით, ქამართ, გენერალები.**

მოვიყვანთ მაგალითებს: **ეკალის** შესობა მინდოდა ზუსტათ! (ხულო); სპილოჟს **ძვალისაა** მაგი (ჩაქ.); **წყალის** მეტა რაა (ხელვარ.); **წყალებში** ფეხი არ ჩაადგა! (მახო);

აღსანიშნავია, რომ ზოგი სიტყვა ხულოს რაიონის მკვიდრთა, უფრო მოხუცებულთა მეტყველებაში შეკუმშულია სახელობით ბრუნვაშიც კი: **ნახვარი, წამწმები, ნახვარი:** რა ლამაზი **წამწმები** აქ მაგ ბაღსა (ხულო); **ნახვარი წელწადია** მაგზე ყრია (ხულო).

შ. ნიჟარაძე წერს: აჭარულში გვაქვს აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენებიც და დასავლურიც. ქვემოაჭარულსა და ქობულეთურში რედუქციის პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ზემოაჭარულში გვაქვს **წამწმები, ნაღბი, ნარცხი.** ქვემოაჭარულსა და ქობულეთურში რედუქცია შესუსტებულია (ნიჟარაძე, 1975:113).

ზემოაჭარულში სავრცობი **ა’ც** გამოიყენება: რაიჯებით **თქვენა?** (ხულო); ასძრა სული **ბაღსა!** (შუახ.).

ხმოვანფუძიანი (ა, ე, ო) სახელების ებ'იან მრავლობითში ჯერ ხდება ასიმილაცია, შემდეგ-დისიმილაცია: **ლოყიები, ქიები, ბახჩიები, თვიები**. ასეთი ფორმები ზოგადად ახასიათებს სამხრულ კილოებს: **ლოყიები** დანიტლებული აქ (ქედა); მაგ ძროხას **ქიები** დატეხილი აქ, აღარ ვიყიდოთ (ხელვარ.); **ბახჩიებში** ვუყურებდი, რა აქვან დარგული-მეთქი (ხელვარ.); **ლობიებში** გევიარე და თლათ დამსუსხა (ჩაქ.).

კვირა აჭარულში ე'ფუძიანია და ებ'იან მრავლობით რიცხვში ორ ე'ს იჩენს: **კვირები**. გვხვდება დისიმილირებული ფორმა **კვირიებიც**.

ა'სა და ე'ზე დაბოლოებული სახელები ზოგჯერ უკვეცელია: **საცოლეს, დღეს, ხეადან**.

ს, როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილი, **ზემოაჭარულში იკარგება: ბოთლ მოქცემ** (ნოდ. შუახ. 52); **სანთელ** მოგინათეფ (იქვე); **მემედა** ბაღვია მეგა (იქვე)...

ვითარებებში ბრუნვის ნიშანი ხშირად ნაწილობრივია შენარჩუნებული: **ქალიან-ბაღნიანა, სტუმრებიანა...**

საკუთარ სახელებს წოდებით ბრუნვაში დაერთვის **ო და ვ. ო'** სუფიქსი ჭვანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში პატივისცემის ნიშნად დაერთვის საკუთარ სახელს: **დემურალო, ბილალო. ბილალო**, სახში შამობხანდი! (შუახ.); **დემურალო**, ხვალ, დილაზე აგზე ვიქნები (იქვე).

ვ, პირიქით, კნინობითი მნიშვნელობისაა: **ჯემალავ, ბილალავ, დემურალავ...ჯემალავ**, რა იქნა, რა ამბავია შინავრ და გარეველ ველარ ცნოფ? **ბილალავ**, მაგზე თუ ჩამუელ, ზაათი ძვალი და ბილი გიგიერთიანონა! (იქვე).

ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის გაგებას იძლევა ფორმები: **დიდზე დიდი, მალაღზე მალაღი (შდრ. მალაღ-მალაღი კაცი), ყინვაზე ყინვა...**

ოდნობითი ხარისხის საწარმოებლად ელ'ზე დაბოლოებული ზედსართავები მო-ე კონფიქსს იყენებს: **მოთხე, მოგძე, მოსქე...** მერისის ხეობაში გავრცელებულია **და-ო** კონფიქსიანი ფორმები: **დანიტლო, დამცრო, დაშავო** (ნ. სურმავა).

შ. ნიჟარაძის მიხედვით, აჭარული დიალექტი ნართანიან მრავლობითს არ იცნობს, ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით კი, აჭარულში **ნ'არი** ჩანს ნაცვალსახელებშიც: **აგინმა, აგინს, აგინის, აგინით**.

ნ ორმაგად გამოიყენება **ვე** ნაწილაკიან რიცხვით სახელებშიც – **ორნავენი: ორნავეს** თავები'ნა დუუთქლიფო (შუახ.); **ორსავეს** ამოგიტან და შიადარე (ჩაქ.).

ზოგ თქმაში ორმაგი მრავლობითი გვაქვს: **აგინები, აგინებმა...** (ჯ. ნოლაიდელი, მ. ცინცაძე) **აგინებს** რან'და ვუყო? (ხელვარ.); **აგინის** საქმეებს ვინ გეფეფს!

ქობულეთურში შემონახულია **ძმანები**'ს ტიპის ფორმები: **დანები, გვერდენები, ხალვაშნები, ბიძანები...** აჭარულში – **ქიქავანები, ფალავანები...** იგინი **და-ძმანები** არიან (ორდ. 222); ჩამოსულა **დანების** ერთგან (იქვე).

ორმაგი მრავლობითის ფორმებია: **ბეჟანიძნები** სოფელ ქობლეთიდან წამოვდენ (ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2013: 180); **ცეცხლადნების** ხისიმი ყოფილა (იქვე, 222).

ქობულეთურში არ გვხვდება **ის, ეს** ნაცვალსახელები, ჩვეულებრივია **იგი, მაგი, აგი**, რომელთა მრავლობითი ორმაგად არის ნაწარმოები: **იგინები, მაგინები, აგინები: იგინებთან** იყავით? **აგინებმა** თქვეს (ბარამიძე, 2013:24).

ზემოაჭარულში დასტურდება ჩვენებითი **მეგ** ნაცვალსახელი, რომელიც მეორე პირთან სიახლოვეზე მიუთითებს: მეც **მეგ** უთხარი (შუახ.); **მეგ** ადგილი მითხარ (იქვე). მრავლობითში გვაქვს **მეგენი: მეგენი** მე გაჩუქვეთ (შუახ.); **მეგენი** სახში ამოსლას არ აპირებენ? (იქვე).

ერთმანეთი'ს ნაცვლად გვაქვს **ერთქვანები** (ჯორბენაძე, 1989:556).

აჭარულისთვის ზოგადად დამახასიათებელია კუთვნილების გამოსახატავად **მისი** ნაცვალსახელის გამოყენება **თავისის** სანაცვლოდ... ყველამ **მის მამიდას** მიხედოს (ბათ.); მოვდა კაცმა და რას ხედავს! **მისი** ცოლი მომკტარა! (ხალა).

2.2. ზმნა პირის ნიშნები. სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები ზემოაჭარულში მთელი რიგი თავისებუ-

რებით გამოირჩევა,- გვაქვს **ჰაემეტი** ფორმები **სანნარევის** ნაცვლად: **აჰნია, დაჰნვა, დაჰცქერი, შეჰჭამ...** სანამ არ **შეჰჭამ**, ვერსა ვერ ნახვალ (ხულო).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის **ჰ** ნიშნის ნაცვლად გვაქვს **ხ'**: საცოდვავს **ახკიდა** ამხელა ჭვირთი! (ქობ.); შუყყვარდა და **გამოხვა** თვარა, იქიდან აქ ქალი ჩამოვდოდა? (ნ. ნოლაიდელი; მ. ფალავა. მ. ხახუტაიშვილი).

„ქობულეთელი იშვიათად გამოთქვამს **ჰ**'ს, ყველა პოზიციაში მას **ხან'**ით ცვლის. განსაკუთრებით ეს ხელშესახებია ნასესხებ სიტყვებსა და ზმნებში: **ხავს** (<ჰყავს), **ხოლია** (<ჰყოლია), **ხკითხე** (<ჰკითხე); დინემისი **ხოლია** დედაბერი (ბაჯანალი); მას **ხკითხე**, მე არ ვი (ბაჯანალი) (ფალავა, 2013 (1): 17). ასეთ ფორმებში ფუძისეული თანხმოვანი ხშირად დაკარგულია:

ქობულეთურში მრავლადაა **სანნარევი** ფორმაც: **გასტეხა ჭიქა, გასტრა** ქვილი. ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც ობიექტური პირის პრეფიქსი **ს-** იხმარება იქ, სადაც მოსალოდნელი არ არის: ყინვა იმას ექცევა, გაახმობს, **სწვავს** (ჩათალფინარი); თეთრი ყურძენი არი, რა **სთქვია** აღარ მახსოვს (კაპალდალი); თურქ გოგოს არ **მივსცემდით** (ჩათალფინარი); აადა აა ფულები **მივსცოთ** უნდა...

ანალოგიური ფორმები დასტურდება მხოლოდ ქობულეთურსა და ჩაქვის მკვიდრთა მეტყველებაში (ფალავა, 2013(1):19). ზოგჯერ ერთ ზმნაში ირიბობიექტური პირი ორი ნიშნითაა გამოხატული: მოხჰკიდა (მ. ნიჟარაძე, ქ. ლომთათიძე, ჯ. ნოლაიდელი); **სწყდება, სჩანდა**.

დასტურდება უნიშნო ფორმებიც: **ქვია, ქონდა, ტკივა, ყავს...**

მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობით რიცხვში ანმყოს მწკრივში გვაქვს **ა ს'** ნაცვლად: **ჩანა, კივა, დგანა, ჟდანა**: საჭმლის მომტანელი არავინ **ჩანა** (ნოლ.130.ქედა); სადმე რამე არ **ჩანა** (ჩაქ.); მაა ბალანა რამხელას **კივა** (ქობ.).

ეს მოვლენა დამახასიათებელია გურულის, ლეჩხუმურისა და იმერულისთვის. იგი ქართული ოთხთავის რედაქციებშიც კი შესულა. ადიშის ოთხთავში გვაქვს: **ქათამი ყივა**.

ქობულეთურში **ა** სუფიქსი გამოიყენება წყვეტილის მწკრივ-

შიც **ო'**ს ნაცვლადაც: **მიაგნა, დარგა, მუასტრა, იცნა**. ეს მოვლენა ცნობილია ძველი ქართულიდან, სადაც გვაქვს ფორმები: **ცნა(ცნო), შეიპყრა (შეიპყრო), აგრძნა (იგრძნო)**. ძველი და საშუალო ქართულის მიჯნაზე პარალელური ფორმები გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში: **ესრეთ დაემცნლ მზარეულისადა, დაემცნა კელარისადა** (აგ. ძეგლ. II. 83: 23).

მეტად საინტერესო მოვლენაა უნიფიკაცია: ირიბი ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება III სუბიექტური პირის ნიშნებით. ეს მოვლენა ახასიათებს დასავლურ კილოებს და ზანურის გავლენითაა ახსნილი (არნ. ჩიქობავა).

ეს' სუფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტის მრავლობითობას წყვეტილში, რეალური სუბიექტის მრავლობითობას წყვეტილსა და II თურმეობითში: **ეგონეს, დიენერეს**. სხვა შემთხვევაში იხმარება **ენ/ან**; **უნეგან, გონიან, ყავან, უკვირან; დუუნახვან, დუნერიან**.

ამავე პირის მრავლობით რიცხვში გვხვდება **-ან** სუფიქსი **-ენ'**ის ნაცვლად: მაგ.: ხემნიფი გოგოს **მიზდეგან** (ნოლ. ხულო, 57).

-ან სუფიქსი ინვერსიულ ზმნებში **თ'**ს მაგივრად ინტენსიურად გამოიყენება: განის ხერხი **გაქვან** თქვენა? (ნოლ. 48. შუახ.); ნაჯალი არ **გაქვან**, ლამფაა არ **გაქვან** (იქვე, 51); უთქმან ფადიშაპიზა (ნოლ. ხულო, 72.109); თუ არ **უყვარან**, ვერ გუუძღებენ (ბათ.)...

როგორც ცნობილია, ახლანდელი **ნენ** სუფიქსის ნაცვლად ძველ ქართულში **-ეს** სუფიქსი გამოიყენებოდა უწყვეტელსა და წყვეტილში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში: **დანერეს, განტვეს**. დღევანდელ ქართულში გარდაუვალ ზმნებში გვაქვს **ნენ'**.

„ქართული ენის კილოებში დღეს იგრძნობა დაუცხრომელი ლტოლვა უნიფიკაციისაკენ: უპირატესობა ენიჭება **ენ** სუფიქსს. გურულში, მაგალითად, **ეს'** სუფიქსი თანდათან ტოვებს სამოქმედო ასპარეზს და იმ ერთადერთ ადგილასაც იკარგება, სადაც ის ჯერ კიდევ შემორჩენილია (წყვეტილი გარდამავალ ზმნებში), რადგან აქ **ენ'** სუფიქსია გაბატონებული: **გააკეთენ, ითამაშენ, მიულოცენ**“ (იმნაიშვილები, 1996: 30).

როცა **-ეს'** სუფიქსმა სრულიად დათმო ასპარეზი, მის ადგილას აღმოჩნდა ორი ფორმანტი: **ენ'** და **ნენ'**. ეს უკანასკნელი ხშირი იყო

ვნებით გვარში, დანარჩენში კი – ენ. მათი ჭიდილი ჩვენი საუკუნის 30-იან წლამდე გრძელდებოდა. საბოლოოდ საკითხი გადაწყვიტა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ (ნიკოლაიშვილი, 1978:108). 1936 წლამდე ნორმა იყო წერდენ, ახალი ფორმა კი საზიარო აღმოჩნდა კავშირებითისა და უწყვეტლისთვის.

აჭარულში ზმნის მესამე სუბიექტური პირის სიმრავლეს გამოხატავს ენ: იყვენ, მოკტენ, გევდენ. მოვიყვანთ მაგალითებს: თავს უშველენ იგინმა და აგინმა უკან გეიქცენ (ნოლ. ქობ.178); იმფერი საქმე გააკეთენ, რომ რა გინდა (ბათ.).

გარდამავალ ზმნებთან გვაქვს პარალელური ფორმები: უთხრენ// უთხრეს//იმუშეინ// იმუშეის. ქობულეთურ კილოკავში გვაქვს -ეს სუფიქსი: დაჟდეს, ჩივოდეს (ხახუტაიშვილი; შდრ. ფალავა, 2013(1): 18–19).

ანალოგიური ფორმები დავადასტურეთ ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც: წევდოდეს, მოვდოდეს, მუუყვანდეს, ამბობდეს, ლაპარიკობდეს...

და ბევრი იცოდეს, ნახვიდეს (ბაჭარიე); იქა მოსწონდეს ჩემი ლაპარიკი (იქვე); სარფის კარის გახსნამდე მოვდოდეს, მივდოდეს, სარფი დაკილტულა, ველარ გევდოდეს (იქვე); აქა არაფერი არ ხონდეს, სახლი არ ხონდეს, მინა არ ხონდეს... (იქვე); აქა ამბობდეს სულ, ლაპარიკობდეს ბერები (იქვე); დიდვანები წევდოდეს, მოიკითხვიდეს, მუუყვანდეს (იქვე); გოგვები დიდვანები იყვეს, იმას გავდეს სულ... (იქვე)...

კავშირებითში ყველა ფორმანტს 6 ცვლის ქონდენ. იშვიათად წყვეტილში ნენ სუფიქსიც გვაქვს: იგინი დეიმალნენ (ნოლ. 64, ხულო).

ამავე დიალექტში სპორადულად ვლინდება მრავალგზისობის კატეგორიაც. ამგვარი შინაარსისაა ზემოაჭარულში გავრცელებული ფორმები: წადის,წადიოდა: იმ ტყეში ყოველდღე წადის სანადიროდ (ნიჟ.).

წყავროკაში ჩანერილში ორი ასეთი ფორმაა: „იაგუნდის მარანში თეთრი ღვინო ჩთის;

ყანაოზის პერანგში თეთრი ხორცი გამოჩთის.“

ქობულეთურ კილოკავში ჯ. ნოლაიდელმა გამოავლინა ინთის

ფორმა: აქეთ სობა ინთის და აქეთ ლექსებს იტყოდენ (ქობ).

ხოლმეობითის ფორმები აჭარულში მნიშვნელოვანი ფაქტია სამხრული მეტყველების ზოგადი სტრუქტურისათვის.

-დ' სავრცობის ნაცვლად ზოგ ზმნას აქვს ოდ': ვიცინიდი, გვაქვს იცინიოდა' და უხარიოდა' ტიპის ფორმებიც.

ქობულეთურსა და ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც თავისებურად ინარმოება ობიექტური ნყობის ფორმები: გიგნები (მე), უგნები (შენ), უგნება (ის), მიგნები (მე):

მე რუმ შენ გიგნები, ყველაჲ სტორია; დიასამიძე ბუიშვილს უგნებიან (კაპალდალი); ამტოლი იცი, ამტოლს უგნები (იქვე); ბაბაჲ სტორეს უგნება, ვერ ხტება (ჩათალფინარი).

აჭარულისთვის დამახასიათებელია თემის ნიშანთა უნიფიკაცია. ყველაზე გავრცელებულია ავ თემატური სუფიქსის გამოყენება ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებთან: წერავს, ტეხავს, გლიჯავს, კრეფავს, ზელავს...

ავ/ ამ თემისნიშნთან ზმნებს მრავლობით რიცხვში ეკარგება თემის ნიშნისეული ხმოვანი: კლვენ, ართმენ. მათ გვერდით გვაქვს ფორმები: მიაართუმენ, აართუამენ||აართუმენ (ქობულეთური, ბათუმური).

„ქობულეთურის მორფოლოგიურ თავისებურებებს მიეკუთვნება ზმნის ზოგიერთი ფორმა. -ამ თემის ნიშნთანია თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და სხვა დიალექტების აართმევს: კაცი ვერ აართუამს ხელიდან; რაფერ წამართუამ, ვნახავ“ (ბარამიძე, 2013:24).

საინტერესო ფორმაა დააბემს: ხბოს დააბემს, ძროხას დააბემს და მუა (ნოლ. 51. შუახ.). ამგვარი ფორმები გამოვლენილია სხვა სამხრულ კილოებშიც: კლარჯულში, შავშურში (ცინცაძე, ფალავა).

ზოგჯერ -ებ თემის ნიშანი -ემ'საც გვაძლევს: ვერ ვამუშავემ (ნოლ. 51.შუახ.).

ზემოაჭარულს ახასიათებს -ევ/-ემ თემისნიშნისანი ფორმები, ქობულეთურსა და ქვემოაჭარულს – ვიდმიდიანები: თავე ჭვირთს ვზიდვიდი (ნოლ.178.ქობ.); ვწვიდი... მოკლევდით, დავწვევდით, მოვხარჩევდით (ნოლ. ხულო, 85); მკლიდა პატრონი და გვექეციო (იქვე).

ვიდმიდიანი ფორმები ქობულეთისა და ბათუმის მკვიდრთა მეტყველებაში სამივე პირში დასტურდება: კიტრებს **ვპარვიდი** ბახჩიებში; ძროხებს **ვწველვიდი**; ხედვიდი, იმნაძე ასლანამ რა მი-თხრა? შენ **იზმიდი**, არ შექცხვებოდა? (ქობ. რ-ნი, ხალა).

დასტურდება **სხვა თემის ნიშანთა მონაცვლეობაც**, მაგ.: **ებ//ობ**: მღერობენ; **დეინყებს/ დეინყოზს, აანთებს /აანთოზს, ასწრებს/ ასწროზს** (შდრ. ფალავა, 2014:3-8).

აჭარულში შემონახულია არქაული ფორმებიც: **თიბდა, ნაყდა, შეინახდა**: დედეა **შეინახდა** ააღსა გვარდაში (შუახ.); **დანაყდა** ნიგოზს, შუურევედა ნიორს, ქინძს და პიტნას (ქობ.).

ქობულეთურ კილოკავში ზოგი **ავ'** თემისნიშნისანი ზმნა **ი'** თემის ნიშანს დაირთავს: **მოხნის, მოკლის, უკრის**. ყორიფელს ვფიცავარ, ჩემი ხელით **მოვკლი მაგას** (ქობ.); გარმონს რა ლამაზათ **უკრიდა** ივერი (ქობ.)...

იმავე სურათს იძლევა ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველება: იმას **კლიდენ** (იქვე, 202); სკივრის ყურში **დავ-მალვიდი** (იქვე, 208); ხორც არ **აჭმიდენ** (იქვე, 215); არტახებს **გა-დააკრიდენ** (იქვე); **მოხაზვიდა** იმ მიწას (იქვე, 212)...

ზემოაჭარულში **ე'** ბოლოსართიანი ზმნები ნყვეტილში გვაძლევს **ვი** მარცვალს: **ჩავაგდევით, დავწერევით**. ამგვარი წარმოება სრულიად უცხოა ქობულეთურისა და ქვემოაჭარულისათვის.

-ევ სუფიქსი ნამყო ძირითადის მანარმოებლად გვხვდება ქართულსა და მეგრულში, სადაც მისი ფონეტიკური ვარიანტებია **ე ← ევ უ ← ევ**. გ. როგავამ გამოიკვლია, რომ ის მეგრულის ზმნის გარკვეულ წარმოებას ახასიათებდა დრო-კილოთა ორივე ჯგუფში (როგავა, 1995: 651).

ა. ჩიქობავა თვლიდა, რომ აორისტის **ე** ნიშანი **-ევ** სუფიქსისგან მომდინარეობს: **ევ>ე** (ჩიქობავა, 1938: 407; 1936, 135-136).

მიგვაჩნია, რომ ეს უძველესი სუფიქსი შემონახულია სამხრულში, მათ შორის აჭარულშიც. ისინი გავრცელებულია ზემოაჭარაში, მუჭაჯირთა მეტყველებაში, ქვემოაჭარულში კი - არა. აღნიშნული ტიპის ფორმები „დასტურდება ასევე ქართლურში (**ვნახევი, ვნახეი**), ზემომიერულში (**ვიყიდევი, ვიყიდეი**), იმერულში გვაქვს **მოვუსევი, წავუსევი** ფორმებიც (ჯორბენაძე, 1998: 652).

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: მე აქ თქუენ **განზილევით**, ჰალალი **მიზამევითო**, თქუენ **დაგაბრალევი** ცულიო (ჩვენებ.88), **დიმინერევით** მეთქი, ვეხვენე (იქვე,31), ლოჯიები **შეველებევით...** (იქვე, 31), **დეინახევი**, რაფერ მიძუნძულობს? (ხულო), ერთი კი ვუთხარ ქალი **მეიყვანევი** მეთქი და ხელათ მეიყვანა (შუახევი)...

დევნახევი' ტიპის ფორმები გვაქვს საშუალი ქართულის ძეგლებშიც: აზრალ შეკრული მას შიგან **ჩავაგდევით** (ყარ.51,15), და ჩვენ აზრალი **წამოვიდევით** და წამოვედით (იქვე,52,2); აზრალი მეთილისმეც მოვიყვანეთ, ხელმწიფისა წინაშე ეგრე უპატიოდ **დავაგდევით** (იქვე, 53,13); მაშინვე ბრძანა, წასვლისა თადარიგი **ინყევითო** (იქვე,157,73); სამი დიდი პური **გამოაცხევე** და შიგ კარგი და პატიოსანი თვლები **ჩადევე** (საბა,12)...

ამრიგად, ზემოაჭარულის **დევნახევი'** ტიპის ფორმებში შემონახულია ერთი უძველესი საერთოქართველური სუფიქსი, რომელიც ადრე უფრო ინტენსიურად გამოიყენებოდა, ვიდრე დღეს იხმარება (ცეცხლაძე, ახვლედიანი, 2009: 40-48).

ზმნისწინი. აჭარულში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი, გამოკვეთილია შენაცვლება: **წა** ზმნისწინი გამოიყენება **მი**'ს ნაცვლად, **შა** ცვლის **შე**'ს (**შამოა, შამეაყვანს**); **ჩე//ჩა** (**ჩეგისხა**); **შამოვდა...** **მომატყვილა/დამატყვილა, აჩქარდა//შეჩქარდა...** აჭარულში გვაქვს **გაძულდა შეძულდა**'ს ნაცვლად. **შეფასებული** ზემოაჭარულში **დაფასებულს** ნიშნავს.

აჭარულში ზმნისწინი გამარტივებულია მაშინაც კი, როცა სალიტერატურო ენაში გაუმარტივებელია: **ანიშნა, აწერა** (შ. ნიჟარაძე).

და ზმნისწინი სალიტერატურო ენასთან შედარებით აქ უფრო პროდუქტიულია თითოობის აღსანიშნავად: **დეაჭიპა, დამაძღარი. და** ცვლის სხვა ზმნისწინებსაც: **დაქნონდა, დამატყვილა** (ნ. სურმავა).

მწკრივთა წარმოების ზოგიერთი თავისებურება. ნართაული **ი**, როგორც ცნობილია, თავდაპირველად თანხმოვანგასაყარი იყო. სალიტერატურო ენის ძეგლებში იგი IX საუკუნიდან ჩნდება და უწყვეტელსა და ნყვეტილში მწკრივის ნიშანია. სავარაუდოა, რომ **ი'** ცოცხალ მეტყველებაში ადრე, VII-VIII საუკუნეებში არსებული-

ყო. აჭარულში გვხვდება უძველესი ფორმებიც, სადაც **ნართაული** ი არ გვაქვს და ახალიც.

ავდექ, დაჯექი...ავდექ რომ რას ხედავ... (ჩაქ.); **დაჯექ** და ისწავლე მაღ ლექსი (მახინჯ.). პარალელურად გამოიყენება ფორმები: **ავდექი, დაჯექი...**

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები აჭარულში თავისებურია. **ზის** ზმნა **აჭარულ დიალექტში** გვაძლევს **ჟდას** ფორმას, მრავლობით რიცხვში გვაქვს პარალელური ფორმები: **ზიან// ჟდანან// ჟდარან, ჟდიან...**

ვარდნა' ზმნის შესაბამისია **ზავება: მიაზავდენ** დევებმა (ნოლ. 76, შუახ.).

თავისებურია **მნკრივში მონაცვლე ზმნებიც: ქმნა** ზმნის მყოფადის ფუძე **ზამ'** ფუძე არ იცვლება მეორე სერიაში: **მიზამე, მიზამა.**

გვარი. აჭარულში ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება ძირითადად არქაულია: **იბნიდვიან, იმაღვიან...** მის დანახვაზე **იბნიდვიან** (ბათ, ნოლ. 172); ერთი ქელლე შექერი **დვია** (ნოლ. 77. შუახ.).

სშირია **ე'ნიანი** ვნებითი დონიანის ნაცვლად: **მომემშია, გვეთხვა..**

საშუალი გვარის ზმნათაგან მოქმედებითი გვარის ზმნათა საწარმოებლად აჭარულში ასეთი მოდელი გვაქვს: **ხტის- ახტუნებს/ ახტუმლებს ...**

განსხვავებულად იწარმოება საშუალი გვარის ზმნათა მეორე სერიის ფორმებიც: **ელვიძა** კი არა **ღვიძავდა; ეძინა** კი არა, **ძინავდა...**

ქცევა. სასხვისო ქცევის ნიშანი გვხვდება ერთპირიან ზმნებშიც: **გუდუუხტა, გუუნვა, გუუთევს, გუუნევს...** **მუუნია** მაგინის დრომ; ე სხალი მაგდენ ხან არ **გუუნევს** (შუახ.). ასეთი ფორმები გვხვდება შავშურ კილოშიც.

კონტაქტი. შუალობითი კონტაქტის მანარმოებლად **-ინ/-ვეინ** სუფიქსები არ გამოიყენება, უძველესი **ევ/ივ** აღარ რთულდება **ინ** ფორმანტი. გვაქვს ფორმები: **დაანერია, დააშლია...** **დაანერია** დავალებები და გუუშვა სტადიონზე (ჩაქ.); მამფერი წამლებით **დააშლია** მარილები (ბათ.).

ცალკეული ზმნის თავისებურებანი. თავისებურად იუღლება **უნდა' და აქვს'** ზმნები: **თ'** სუფიქსის ნაცვლად **უნდა** ზმნას ზემოაჭარულში ორმაგი **-ან** დაერთვის: **უნდანან.** ზემოაჭარულში გვაქვს **უნდარან** ფორმაც. ქვემოაჭარულსა და ქობულეთურში გვხვდება ფორმა **უნდებიან (ქობ.).**

ამ თავისებურების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში: **„გინდა, უნდა** ზმნები მრავლობით რიცხვში დაირთავენ **-ებ** თემის ნიშანს: რაცხა თუ **გინდებიან**, მითხარით; რა **უნდებიან**, არ ვიცი...“ (ბარამიძე, 2013: 24).

აქვს' ზმნა ანმყოში რამდენიმე ფორმით გვხვდება: **გაქნენ (ზემოაჭ.), გაქვან//გაქვენ** (ქობულეთური, ქვემოაჭარული).

აჭარულ დიალექტში **გავლა'ს გარება** ცვლის პირიან ფორმებშიც და სახელზმნებშიც: რაც გულში **გიგარს**, საჭმელები ხაზირი იქნებავო (ნოლ. 86. ხულო); მის **გარებულ** ადგილზე ბალახი დგებოდა (იქვე, 67)...

შ. ნიჟარაძის დაკვირვებით, **მოვიდა'** ზმნაში ზოგან (უჩამბა, მერისი) იკარგება **ვ** და გავაქვს **მოდა.** ქვემოაჭარულში **მოვდა** ფორმა გავრცელებული, მასში ძირისეული **ი** არის დაკარგული. **მოდა'** აღმოსავლურ დიალექტებშიც გვხვდება, **მოვდა** კი- ინგილოურსა და იმერხეულში (შ. ნიჟარაძე). თავისებურია ეს ზმნა ქობულეთურშიც: **მიალ, მუალ...** (მ. ხახუტაიშვილი).

კეთება ზმნას ქობულეთურსა და ბათუმურში ენაცვლება **ექცევა** (ნ. ნოლაიდელი). შდრ. ცავ, შეხედე, ბალანა რას **ექცევა!** (ორთაბ.); რას **ექცევი**, ახმედ, არ უყურეფ?(იქვე)... **ქცევა** გამოიყენება I სერიის ანმყოს მნკრივის ფორმებით (**იქდა, იქს, იქდეს**).

დგას ფორმის ანალოგიით აჭარულ დიალექტში გვაქვს **ჟდას// ჯდას.**

2.3. სახელზმნა

აჭარული დიალექტი ყურადღებას იქცევს საწყისთა თავისებური წარმოებით: ნასახელარ ზმნათა საწყისებს დაერთვის ობა: **ქეიფობა, ღალატობა:** იყო **ქეიფობა**, სმა, ჭამა (ნოლ. 94); დეინყო ხალხის **პატიჟობა** (ნოლ. 132. ქედა); არ მქონია **ღალატობა** (ნოლ. 54. შუახ.)...

ზოგჯერ მონაცვლეობენ სუფიქსები: დეჟნყო კუკუ **ძახნა** (ნოდ. 119. შუახ.).

საშუალო გვარის ზმნათა (აქ: გორაობს, ცურაობს) საწყისებია: **გორაობა, ცურაობა** ან **გორავი, ცურავი, ბურთავი** ანდა **ჭიდავი**: ჩემი ბიჭი, ამის მამამისისი ისაა, **ჭიდავში** რომაა (შუახ.); **ცურვი-ცურვით** ჩევდა იგზე (იქვე).

გვხვდება **ჭუმაც**: თურქებმაც იციან **ჭუმა, იჭუმოდა** (ქობ.); აი რაა ბუძიავ, თქვენთან სტუმარს „კალბასს“ და „სნიკერსს“ არ **აჭუმენ?** (ქობ.)...

მიმღეობის საწარმოებლად გამოიყენება ზმნის მარტივი ფუძე: **გავსილი, მოსწრილი, დამწიფული**... შემონახულია არქაული ფორმები: **ნათხზენი, მე(ნ)ცარი** (მ. ცინცაძე); **სარწყული, საგდოლი** (ლიგიდა), **ნაზარდული, სამყოფისი, მოდგამი, მორბედი**...

საგდოლი ჩამოსწიე და გიეღებავო (შუახ.); ჩემი **ნახზენია** მაგი (ქედა); **საყოფისი** ორ კაცს არ მუუვდოდა სიმინდი და ლობია (აჭ.).

ზემოაჭარულში დავადასტურეთ მიმღეობის იშვიათი ფორმა **ნაზარდული** (იგივეა, რაც **ნანაზარდი**): რაცხა **ნაზარდულებიანი** ხე ყოფილა (შუახ.).

არქაიზმებია საწყისის ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობები: **გადნობილი, დაჟდომილი, გამოცხობილი**... ავ' თემისნიშნთან ზმნათა მიმღეობებში შენარჩუნებულია ვ': **დახურვილი, გაბურღვილი**. არქაიზმია **გავლა**' საწყისის შესატყვისი **გარებაც**.

აქვე დასტურდება სახვედურიც, რაც ხვედრს, წილს, კუთვნილს ნიშნავს. „ჩემი სახვედური, რაც მეკუთნის, მომეცი და სხვას რას ეძებ, შენ“ (ნიჟარაძე, 1971: 316).

გავრცელებულია უარყოფითი მიმღეობების **ორმაგი ფორმები**: **უდუღებელი, უმუსლელი** (მ. ხუბუა): **უდუღუნახველია** მაგი, ვერავის პატივისცემას ვერ ხედავს (შუახ.); ჩემთან **უმუსლელი** არ დადგეთ (იქვე)...

ასეთი მოვლენა დასტურდება ინგილოურშიც.

2.4. უდეტრები.

თავდაპირველად განვიხილოთ **ზმნიზედა**. აქ', მაქ' ზმნიზედები ზემოაჭარულში დაირთავს **ზე/ ში** თანდებულებს: აქში, აგზე...

ზე'ს წინ ქ გამჟღერდა: **აგზე, მაგზე** ფორმები უცხოა ქობულეთურისა და ზოგადად ქვემოაჭარულისთვის. ასევე უცხოა ქობულეთურისა და ბათუმურისათვის ზემო აჭარულისთვის ნიშანდობლივი **„შიან“** (**შიგ//შიგან**) ზმნიზედა: **შიან** რა არი ძიავ? (შუახ.); დავასკვი **ზედან!** (იქვე).

აგზე, მაგზე ზმნიზედები ქობულეთურში აქ//აქა//აქანა ფორმით გვხვდება: **აქანა** კაცი მუუკლია; **იქანა** დავჯექით; **აქა** ჭამდა, **აქა** სმიდა; იქა ჩაჭრილა; ხასანა იქ დარჩენილა... ეს მოვლენა გურულთან სიახლოვითაა შეპირობებული.

შიან' კი „შით“ ფორმით დასტურდება ქობულეთელ მუჭაჯირთა მეტყველებაში: **შით** ნიგოზს მუამწყრევენ; ფარას ჩადებდენ **შით** (ხახუტაიშვილი, 2013).

ხელახლა' ზმნიზედის სანაცვლოდ ხშირად ზემოაჭარულში გამოიყენება **ხელხამ, ხამათ// ხამა ... ხელხამ** მოგოზე (შუახ.); მაგი **ხამათ** გასაკეთებელია, რათ მინდა საორხელო საქმე! (შუახ.).

ქობულეთურისთვის დამახასიათებელია **დროის ზმნიზედები**: **ეიერს** (ავლის დროს); **ჩამეიერს** (ჩამოვლის დროს); **გეიერს** (გავლის დროს) შდრ. **აჭარული**: **გავლა, ავლა, ჩავლა**.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა მ. ხახუტაიშვილმა და გამოავლინა, რომ ქობულეთურში დროის ზმნიზედას გამოხატავს მრავალფეროვანი ფორმები: **ამგზობა** (ახლახანს, ამჯერად); **ამნახანება** (უახლოეს წარსულში); **უცფათა** (უცებ) რუმ შევხედე; **ლიანქრა** (გურ. ოდნავ, ბუნდოვნად) მახსოვს.

ჭარბადაა „ხან“ ფორმით ნაწარმოები დროის ზმნიზედები: **ჟდომიხან; მოსლიხან**: ასკერში **წასლიხან** დავრგით; **მარგლიხან** რუმ ყივოდენ; **რახან** მოხვალ? (კითხვის ზმნიზედის მნიშვნელობით)...

გვხვდება ვითარების ზმნისართები: **ტყულა, ძვილა, ჩუმათა**, რომელთაც ქვემოგურულისამებრ -ი//ე დაერთვის.

დასტურდება ძველი ქართული **„მერმე“** დროის ზმნიზედა **„მემრე//მემრენ“** (სუბსტიტუციითა და ნაზალიზაციით): **მემრე** ფაცას მია; **მემრე** ერი ცხენი ბოშათ დარჩა; **მემრე** წერილები მიეცი.

ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობით დასტურდება **საცხა-სადაც**: **საცხა** მიხვალ; **საცხა** ლამაზ გოგვებს ვნახავ...

მიმართულების აღმნიშვნელი **ერკენ** (ერთ მხარეს), მეორეკენ (მეორე მხარეს): **ერი** სოფელი **ერკენ**, მიორე სოფელი **მიორეკენ**...

ქობულეთურში გვხვდება კითხვითი ზმნიზედა **რატუმ** ძირის ხმოვნის ცვლილებით, რაც უცხოა აჭარულისათვის; ასევე გვაქვს **რეიზა** კითხვის გამომხატველი **რატომ** ზმნიზედის მნიშვნელობით.

მუჭაჯირთა მეტყველებაში ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი **კარგი/კაი**:

კაი (კარგად) ირეცხვოდა, ლამაზი სული ექნებოდა; **კაი** (კარგად) ვიყავით.

საგანგებო ყურადღება უნდა დავუთმოთ **თანდებულსაც**. **დან** თანდებული აჭარულში გამოიყენება **გან**'ის ნაცვლად: **შენიდან/შენგან** მინდა პატრონობავო; **ჩემიდან** გეკუთნის სამი ოქროვო (ნოლ. 114. შუახ.).

მდე იძლევა სახესხვაობებს: **მდინ/მდე; თვის - თვინ; ვით- ვენ/ვეფ** (ქვასავეთ, შენსავეთ).

თან თანდებულში იკარგება **თ**: მაგასან, დედასან (76).

აჭარულის სხვა კილოკავების **თვის//თვინ//თინ** თანდებულისან სახელთა ნაცვლად ქობულეთურში გავრცელებულია **იზდა//იზა(<ისდა)** დართული ფორმები: **ლოცვიზა** დუუხრეტია კაკებს; **რაიზდა** ჩამოვდა აქა? (ბარამიძე, 2013:24. შდრ. ხახუტაიშვილი, 2011:57-58).

აჭარულში სპორადულად გვხვდება **-დამ** თანდებულიც: ჰიდამ მობძანდით თქუენ, **ხულიდამ** ხომ არ მობძანდით? (ქდ. 396) (დანვრილებით იხ. ფალავა, 2011:238-239).

ზე/ში თანდებულისანი ფორმები მიზნის გარემოების ფუნქციით გამოიყენება: **მოსაგებზე** მივდივარ; მივდივარ **ხოჯიობაზე** (ბათუმი, ნოლ. 142); **საძებარში** წევალ...

ში თანდებულისანი მიცემითის ნაცვლად დასტურდება უთანდებულო ფორმები: **ბაღნობას, ერზრუმს...გან** თანდებულისანი ნათესაობითის ნაცვლად დასტურდება ამავე თანდებულისანი მოქმედებითი: **მისიდან, ღმერთიდან, იმიდან** (ხახუტაიშვილი, 2011: 57-58).

გამო თანდებულს აჭარულში ცვლის **მგონე**: შიში **მგონე** კილარმე ჭკვაზე შეირეკა (შ. ნიჟარაძე).

მიმართულებას გამოხატავს **კედაროს**: ჩემ კედაროს არ მობრუნდა, ხედავ?

ნანილაკი. აჭარულში კარკვეულ თავისებურებებს იჩენს ნანილაკიც, კერძოდ:**უნდა** ნანილაკი გვაძლევს ვარიანტებს: **უნდა>და; უნდა>ნდა, უნდა>ნა: მოვდე'და, მოვდე'ნდა, მოვდე'ნა**...ზემოაჭარულში გვხვდება **-ნა**, ქვემოაჭარულში კი **და//ნდა ფორმები**.

დადასტურებითი ნანილაკ-მორფემოიდებია: **ჰაგრე, აბა, და, ხომ// ხუმ, ქე//ქი, დასურ (ქობ.)**.

კითხვითი **ხომ** ქობულეთურში გვაძლევს **ხუმ**'ს (ცვლილების საფუძველი ფონეტიკურია):

შენ **ხუმ** არ წერავ ლექსებს? გვხვდება დადასტურებითი **დასურ** (<დასტურ) ნანილაკი: **დასურ** ვაამბობფ; **დასურ** თქვა?(მ. ხახუტაიშვილი)

ასეთი სიტყვები ხშირადაა ფონეტიკურად სახეცვლილი: გვხვდება **კილაგ<კვლაგ**: **კილაგ** ვიცით ახსნი...

ზემოაჭარულში **კიდევ>კიდვენ**: **კიდვენ** მოხთა ხაპი თავში...

ქობულეთელ მუჭაჯირთა მეტყველებაში სპორადულად დაჩნდება კითხვითი **ა'** ნანილაკი: ახირზამანი რატომ ჩივიან, იცია? (ჩათალფინარი)...(იხ. ფალავა, 2009:29-35); (ხახუტაიშვილი, 2013:40-45).

დროის ზმნიზედად გვხვდება **მასკან** (მასუკან). **უკან** გამოიყენება **შემდეგ-ის** ნაცვლად: **შუადღეს უკან** რომ ჭამო თაფლი, აფერს არ აწყენს (შუახ.ნოლ. 49).

აჭარულის კილოკავთაგან მხოლოდ ქობულეთურში გამოიყენება **ერთგან ერთად**'-ის მნიშვნელობით: „სამი, ვოთხი, ხუთი კაცი (ისამებდა), ასე **ერთგან**... (ჩათალფინარი).

§3. სინტაქსური თაპისიპურაპანი

აჭარულში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ფართოდაა გავრცელებული ერგატიული კონსტრუქცია: გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითშია:

მივდა მელამ (ნოლ.114.შუახ.); მეფის **შვილმა გადირია** სიხარუ-

ლით (ნოლ. 90.ქობ.); **შვილმა ჩევდა** (ნოლ. 86); **ბელყიამაც შეშინდა;** **გამოშა ტრედმა**, გაფრინდა და გეიქცა (ნოლ. 93); **მანაც** მოდის (ჩაქ.)...

დარღვეულია სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების წესები: კრებით სახელთან ზმნა მრავლობითშია: **ხალხი მიდიან, ჯოგი ბალახობენ...** ქვემოაჭარულში ზმნა მხოლობით შიმდგას მაშინ, როცა რავლობითში: სტუმრები მოდის...

ზემოაჭარულში გავრცელებულია ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი სახეობა**: **უმფროს ვაჟმა** ჩეცვა ტანზე (ნოლ.136.ბათ.); **დაბალ ხმით** სიმღერა უთხრა (ნოლ.77.ხულო). ქობულეთურისა და ზოგადად ქვემოაჭარულისთვის ამგვარი რამ უცხოა.

მსაზღვრელი **კარგი გვაძლევს კაი/ კაჲ-ს**. ის აჭარულში მიცემით და ვითარებით ბრუნვებს თავისებურად ინარმოებს (**კას**). მართული მსაზღვრელი ზემოაჭარულში მოიკვეცს ნათესაობითი ბრუნვის **ს თანხმოვანს**.

საინტერესოა შემდეგი სინტაქსური თავისებურება – საზღვრულს ახლავს ორმაგი მსაზღვრელი, კონტექსტის მიხედვით ერთ-ერთი (მეორე, რომელიც საზღვრულთან კომპოზიტს ქმნის) ზედმეტია: **ჩემი ნენემისის სახელია; მერე ბიჭის მამამისმა თქვა; ჩემი დედის ტაამისია; ჩემი დედაჲს ტაამისი** (ბარამიძე, 2013: 25).

აჭარულში გვხვდება სპეციფიკური კონსტრუქციაც: **ჩემთვინ იგი** (მე); **შენთვინ იგი** (შენ); **მისთვინ იგი** (ის). ჩემთვინ იგი არ უხსენებია (მე არ ვუხსენებოვარ); ადექ ჩემთვინ იმავ და გუუყევი (ადექი ჩემო თავო და გაუყევი (ზ. თანდილავა).

§4. ლექსიკური თავისებურებანი

აჭარულ დიალექტში შემონახულია არქაული ლექსიკა: **კელობს** (კოჭლობს), **ბეჩი** (ბრიყვი, სულელი), **ზაკუელი** (მზაკვარი), **ლაზვი**, **ქეჩხო**, **ლემტერი**, **ხოშორი**, **ხრილი**, **ჭიმური** (კერძია ერთგვარი)...

არქაიზმების საკითხი აჭარულში შეისწავლა მ. ცინცაძემ. მან გამოყო შემდეგი ლექსიკური არქაიზმები: **გაძება** (გაგდება, გა-

ძეება); **დაგდება** (მიხურვა), **ერთგან** (ერთად), **მზისთული** (მზე), **ჭიქა- შუშა**, **მინა** (ცინცაძე, 1995).

აჭარულ დიალექტში ბევრია **ზანიზმიც**: **ჯარგვალი**, **კუჩხე**, **ქვიჯა**, **მოჭო**, **დუდი**, **ბიგა**, **კატარი**, **ქუნცხი**, **ოჭვათო**, **ბლორინი**, **მოჩხოტვა** (**ზ. თანდილავა**).

დიალექტური სიტყვებია: **ბაძანგარი** (ბინძური, უსუფთაო), **გულიქფილი** (წმინდა ფქვილი), **ფისიმწურავი** (ძუნწი), **დედაბრიქორნილაჲ** (ცუდად დანთებული ცეცცხლი), **დანაძირება** (დალექვა) **ნამეიკუტურა**.

ცალკეული სიტყვა განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენება. ესენია: **გაძრობა** (გახდა), **გაბღეზება** (გაბრაზება); **გაცვეთილი** (მკვდარი, გამხდარი); **დაყურება** (მოსმენა)...**დამწვარი** (წუნწი), **დეენვა** (შეებრალა), **ჩივა** (ამბობს); **დანდობა** (დაბარება); **ჩაჭრა** (ჩავარდნა); **მომსლეღი** (სტუმარი).

შვილი აჭარულ დიალექტში, უფრო ქობულეთურ კილოკავში, აღნიშნავს **ვაჟს**: **ერი შვილი** და **ერი გოგო** დაშჩენია. საკითხის შესწავლამ გამოავლინა, რომ „ქობულეთელ მუჰაჯირებთანაც **შვილი** ზოგჯერ აღნიშნავს **ვაჟს**, **ძეს**: ხადარაჲ **შვილი** ხავდა, სამი – გოგო (ბაჰარე); ჩემ ძმას ვორი **შვილი**, ერი გოგო ხავს (იქვე); მე ორი **შვილი** და ერი გოგო (მყავს)... (იქვე); „დიდნენე ... **ზაბით-აღის ქალი იყო, მონყობილის ქალის შვილი**“ (ტახტაბაში). მოყვანილ წინადადებაში **ქალი** ორი განსხვავებული ფუნქციითაა ნახმარი: 1. **ქალი- ცოლი**, 2. **ქალი – ქალს, ქალიშვილს**. „მონყობილის ქალის შვილი“ ნიშნავს, რომ **მისი დედა იყო მონყობილის ქალი**, მონყობილიფხე//მონყობილიხე.

ისტორიულად **შვილი** და **ძე** აღნიშნავდა მამაკაცს, **-ურ/ულ, ფხე// ხე** კი – ქალის გვაროვნულ კუთვნილებას: **შაქარაფხე** შაქარიშვილის ქალი; **ინაიფხე** – ინაიშვილის ქალი (ფალავა, 2009:3-22; შდრ. მგელაძე, ფალავა, 1998:3-18).

ქვემოაჭარულისგან განსხვავებით, ზემოაჭარულს ახასიათებს ნასახელარი ზმნები: **ასიარულდა** (სიარული დაინყო), **იბანაო** (იბანავა), **იბადია** (ითევზავა).

უხვად შევხვდებით სხვა ნასახელარ ზმნებსაც: **დამჭერვა**, **დაროკნა**, **დატკუნჩვა**, **მოხუჭვა**... სპეციფიკურია კომპოზიტები:

ხელტაცნილი, თვალცოცხალი (ქობ.).

ბერძნულიდან დაზომისწინით ინარმოება დაბერდა, რომელსაც ქობულეთურში აქვს გაკვირვების, ზოგჯერ შეშინების მნიშვნელობა: დაბერდა (გაუკვირდათ) თურქებმა; დავბერდი (შევიშინდი), ენა ჩემეკლიტა (ბარამიძე, 2013:25).

აჭარულში უხვადაა თურქიზმი და მათგან ნანარმოები სახელები: ჰერსი – გაჰერსდა; დელი – გადელდა (გაბრაზდა, გადაირია); ჰაზირი – გაჰაზირდა (გაემზადა), დააჰარათა, გააკალიბა (ქობ.)...

ჩვენ შევისწავლეთ ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებისთვის დამახასიათებელია სიტყვებიც, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თავიანთი ხატოვნებით, მეტაფორულობით: დახარჯვა (გარდაცვალება); გაყვილება, მყივარი, გადატრიალება, გაკუჭება, გაგულიანება (გაბრაზება); დაჟდომა (დასახლება); კუდიანი (ქართულის არმცოდნე); გაყვილება (იხ. ცეცხლაძე, 2013: 32-39).

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში შემონახულა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ექსპრესივა, რომელიც დღემდე გვხვდება ქობულეთურ კილოკავში, ესაა დახარჯვა (გარდაცვალების, სიკვდილის მნიშვნელობით): „ერთი წელია დეხარჯა ახმედ ბაუჟაძე“.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით შ. ნიჟარაძე წერს, რომ „იგი ქართულსა და თურქულში არაბულიდანაა ნასესხები და მსესხებელ ენობრივ კოლექტივებში დაცულია მისი ძირითადი მნიშვნელობა – ხარჯი, გასავალი, მაგრამ აჭარულში საანალიზო სიტყვა, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გადატანითი მნიშვნელობით, ახალი შინაარსობრივი ნიუანსით „ალიჭურვება,“ ევფემიზმის ელფერით ახალ, განსაკუთრებულ სემას იძენს და აჭარულ ლექსიკაში ასეთი დამატებითი შინაარსით წარმოგვიდგება: „მოკვდება, გარდაიცვლება“, „ვაითუ, ვინმე თქვენგანი თავის დღით დეხარჯვის (ანულ.); „სამშობლოსათვის დავიხარჯები, ერთი მჭედელი ვით გამარჯვების“ (მ.ვარშ.).

ვაჟას მცირე ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: დაიხარჯება – ძვ. ქართ. „განვიდა ამა სოფლით“ (ნიჟარაძე, 1975: 177-178).

დაჟდომა აქ ოდენ მდგომარეობის შეცვლას კი არ აღნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით დასახლების, დამკვიდრების ტოლ-

ფასია: „ცეხლაძენი იქანაა დაჟდეს“; სოფელში დაჟდა ბაუჟაძე, გოგიტიძე, ცეხლაძე, ლომაძე, გოხიძე, მჟევანაძე, გააკეთეს სოფელი“ (ქობ. მუჰ. კრებ. VII: 183).

ეს ლექსემა იმავე მნიშვნელობით გვხვდება ორდუში მცხოვრებ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც: „იქიდან მონავალი კაცები დაჟდენ, აგინი გავდენოთო; ჩვენებურები ჰანაა სოფელში არ იცდის, გეზდება, ქალაქში ჩევა, დაჟდება“.

ნადურ ლექს-სიმღერებში გამოიყენება სიტყვა გაყვილება-„ჩემი ბაბუა გუყვივლებდა ნადში, სიმღერა იყო გაყვილება (ქობ. მუჰ. კრებ. VI:184) (ამასთან დაკავშირებით იხ. ინაიშვილი... 1961: 8). აჭარული ნადური სიმღერები უძველეს ქართულ სიმღერათა ჯგუფს მიეკუთვნება. ეს სიმღერები საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იხვენებოდა და მუსიკალურად მდიდრდებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნადური ლექს-სიმღერები წარმოშობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უადრესია შრომის ლექს-სიმღერების სხვა ციკლებს შორის (ჩიქოვანი, 1956: 225-228; ოქროშიძე, 1956: 10).

ქობულეთში ნადური, ყანური სიმღერების მეტი წილი ოთხ ხმაზე სრულდება, რაც ჯერჯერობით საქართველოს სხვა კუთხეებში არ დადასტურებულა. ეს კი ქართველი ხალხის უძველეს მაღალ მუსიკალურ კულტურაზე მეტყველებს. როგორც ცნობილია, ნადურ, ყანურ სიმღერებში ოთხი ხმა მონანილებს: მთქმელი (იგივე მომღერალი, დამწყები ან ამყვანი), გამყივანე (წვრილის მთქმელი ან მოკრიმანჭულე), შემხმობარი და ბანი. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ „შენმობა,“ როგორც ხმა, მხოლოდ ნადურ სიმღერებში გამოიყენება, სხვაგან არსად ცნობილი არაა (ნოლაიდელი, 1971: 67).

სიმღერას იწყებდა მთქმელი, მას შეუერთდებოდა გამყივანი ანუ გადამძახებელი და მაღალი, ომახიანი ხმით უყიოდა, უძახოდა, უხმობდა სხვებს, მოუნოდებდა ამხანაგებს. სხვები ბანს ეუბნებოდნენ. ბანს შემხმობარსაც ეძახიან. შემხმობი _შემხმელებელს, ცეცხლში ხმელი სანვავის შემკეთებელს, ცეცხლის ამგზნებელს ნიშნავს (იქვე, 77).

მ. ხახუტაიშვილისა და შ. ფუტკარაძის მიერ ჩანერილი მასალე-

ბის წინასიტყვაობაში ვწერთ: „სიამაყით ყველა ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალი (საბაჰათინ გოგიტიძე, ფაცა, 89 წლის), თუ როგორ იმღერებდნენ ნადში ახმედ ბაუჰაძე და იუნუს ცეცხლაძე, ყველა და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება საუკუნის წინანდელი ქობულეთური ნადური, რომელიც ჩვენთან უკვე ისტორიის კუთვნილებაა სამწუხაროდ (ნადში აღარავინ მღერის, თორემ აუდიოჩანაწერებს კი შემორჩა). მოვუსმინოთ თავად ინფორმატორს: „ნადზე ნევდოდით, ნადური სიმღერები იყო სიმინდის მარგლაზე. ახმედა ბაუჰაძე იყო, იუნუს ცეცხლაძე იყავლენდა: უუ ლილი ლალო, უუ, ლილი ულალო. გაყვილება ძველისძველია, ჩემი ბაბაჲს გაყვილებას არ მოვსწრევიარ. სოფელში პირველი კაცი იყო, ტაკიძნები არიან, მარგლიან, თუ კონცერტს აკეთებენ, ვერ მიხტები“ (მ. ფ.).

„ვინც ნადში „გუჰყვილებდა“, მას მყვიარს ეძახდნენ. ნადური სიმღერაში მისამღერ ტექსტს – ლექსს მხოლოდ მომღერალი დამწყები, მთქმელი, ამბობს. არც გამყვიანე, არც შემხმობარი, არც ბანი სიტყვებით არ მღერიან. მომღერალიც პირველ მუხლს აგრეთვე უსიტყვოდ მღერის, მას მარტო ჩაყოლის დროს უხდება ლექსის მიმღერება. ნადურში მომღერალი და გამყვიანე ერთსა და იმავე დროს მღერიან. ხმის შეწყობა უტექსტოა“ (ნოლაიდელი, 1971: 74).

ნადისა და ნადში მღერის ამ საუცხოო პროცესს აღწერს ფაცელი ჯემალ ცეცხლაძე: „ნადში ერ თავში მყვიარი იყო დანარჩენი ხმას მისცემდენ. ფუტათ წეილებდენ ყანას. იმფრათ სიმღერები იქნებოდა, დეისვენებდი. ჩემი იუსუფ დედეი ხმას მისცემდა. არ შიეშლებოდა არვის“.

„მყვიართა სახელებს ყველა იცნობდა: „ბაუჯოლლი ახმედ ბუდიეა იყო აქ გაღმა, ნადში დეაწყებდა სიმღერას... გუჰყვილებდა. ერთი იმღერებდა, მიორე – გუჰყვილებდა. იგინიდან არიკაცი არაა ცოცხალი,“ – ვკითხულობთ 2012 წლის ექსპედიციის მასალებში.

მუჰაჯირთა აჭარულში დასტურდება ლექსემა **გადატრიალება**: **ახლა გურჯულა გუჰგდიან, თურქჩა გადატრიალებულან.**

გადატრიალება გარდაქცეულის სინონიმია, მოქცევის ანტონიმი. მოქცევა ღმრთისა“ ბიბლეიზმია, რომელიც სრული სახით იშვიათადაა წარმოდგენილი თვით ძველ ტექსტებშიც კი. იგი ხში-

რი ხმარების გამო თვით ძველ ტექსტებშივე რედუცირებულია (ცეცხლაძე, 2011: 159).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „გარდაქცევა ნიშნავს შეცვალებას, ქცევას, ყოფას, გადაბრუნებას, განმრუდებას, გარდადრეკას, გადაცდენას; შესაბამისად, **გადაქცეული** შებრუნებული, ცვალეზადი, მრუდია“ (აბულაძე, 1973).

ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ გარდაქცევა შეცვლა, უარყოფა, გადაბრუნებაა (სარჯველაძე, 2001: 151).

ჩვენებურთა მეტყველებაში გვხვდება ამავე სემანტიკის ლექსემები: **გადაქცევა** (ჩვენებ. 410); **გადარევა**, **გადაბრუნება... გადაქცევა**, **გადარევა**, **გადაბრუნება**, **გადატრიალება** სინონიმური ცნებებია და რჯულის შეცვლასა თუ ენის დავინყებაზე მიგვითითებს. „ჩვენი ბევრი გადაბრუნებულია, გურჯიჯა აღარ დარჩა“ (ცინცაძე, ფალავა, 2007: 141).

გაკუჭება (გაბრაზება), ქობულეთური კილოკავის იშვიათი სიტყვა, შემონახულია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც: ნემსი შაასობენ, **გაკუჭება** არ არის; **გაკუჭდები**, სახლ წააქცევენ; იგინი **გაკუჭტებიან**.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში **გაკუჭების** სინონიმია. გაბრაზებასვე ნიშნავს **გაგულიანებაც**.

თვალცოცხალი იშვიათი ლექსემაა და სხარტს, მარდს ნიშნავს; **ყურება** – მიჩნევას: **ნენეთ მე მიყურებენ** (ქობ. მუჰ. კრებ. VI:187), – ე. ი დედად მე მივაჩნივარ, დედასავით მაფასებენო.

„მუჰაჯირები საუბარში მიგვანიშნებენ, რომ განსხვავებაა მათს მეტყველებაშიც. საინტერესოა მთხრობელთა დაკვირება: – **ჩვენ ბანარ ვიტყვით, აჭარლები თოკვი იტყვიან** (ქობულეთელი ჩათალფინარიდან);

– **ჩვენ თხილ ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ნიგოზი ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ვაშლ ვჩივით, იგინი ვაშლს ჩივიან; იგინი ყოლიფერ კაკალი ჩივიან, სიმინდიც კაკალი ჩივიან...** (იქვე);

მე ამ საქმეს თუ ვიქ, ქართველის შვილი ვიყო!, – ამბობს აქყაიე-

ლი ქობულეთელი. „ქართველის შვილობა“ დიდი საძრახავი სიტყვაა. „ქართველი აქა გაავრი იტყვიან. ქართველი გაავრს ჩივიან. ჩვენი დიდები იტყვიან, ეჲ კიდი, ქართველო!“ (ქობულეთელი ჩათალფინარიდან) (ფალავა, 2013: 139).

ქობულეთურის ლექსიკურ თავისებურებებზე ყურადღებას ამახვილებს მ. ბარამიძეც: **ჟვერი** (ფოთოლი) დაახურენ; სულიკო **ბუძია** (ბიძა) ჩემი ბაბაჲს ბიძიშვილია; ჩვენი ძველი გვარი გოლომანიძე, **გარიგებულან** (გამოყოფილან); რას **მიგნებიან** (მეუბნებიან); იგი ამას არ **ჩივის** (ამბობს); თქვენც არ **ჩივით**. ღმერთი **კუჭობს** (**ბრაზობს**) არ იტიროთო (ბარამიძე, 2013: 25).

„ქალი კაცის ბაბას ეტყვის სიმავერიო“ (ტახტაბაში). **სიმავერი მამათილის** მნიშვნელობით მხოლოდ ქობულეთურში დასტურდება (ფალავა, 2013 (1): 20-21).

საზოგადოდ, აჭარულისაგან განსხვავებით ქობულეთურში ნაკლებად გვხვდება ნათესაობის აღმნიშვნელი თურქულენოვანი ტერმინები. ისეთები, როგორებიცაა: **ტაია**, **ემია**, **ხალა** და ა. შ. მართალია, მუჰაჯირთა მეტყველებაში ჭარბადაა დასახელებული ლექსემები და ეს ბუნებრივიცაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ქობულეთურისათვის იგი უცხოა. დასახელებულ მეტყველებაში ვხვდებით ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს: **ბუძია**, **დეიდა**, თუმცა გვაქვს **ბიბილა** მამიდას მნიშვნელობით.

ქობულეთურში საინტერესო ზმნური ფორმებია წარმოდგენილი: **მოთავება**- გამკლავება: ვერ **მოსთავეფ** მაგენს, ბურსას აღარ ნეიყვანოვო; **დათლა** - რიდი, კრძალვა, მიჩნევა: ჰემ ეშინოდეს, ჰემ დასთლიდეს ქართველებს; ბუჲ რუმ იყვირებდა, იმას კარქა არ დასთლიდენ... **დათლილი კაცი** იგივე დაფასებული კაცია: „მე ერი ნლის ვყოფილვარ, ნოლაიდელი ჯემალაჲ მომკტარა, **დათლილი კაცი** იყო დედე.“

შესვეტება - შერჩა: მე არ დამპაიჯა, რეიზა შევესვეტო; **აფერხება**- შენუხება, აღელვება; **აფერხვა**: აფერხდეს სომხები; ახალწელიწადს დაფერხვა იყო.

ბატონობა - პატრონობა, **დახანება** - დროვება: თუ დაახანებ პატარას. მთიულურში იგი ნიშნავს რაიმე საქმის სწრაფად კეთებას...

ტიკვება - შეჯახება, შეტაკება: კვერცხებს ლებვიდენ და ერ-

თმანებს **ატეკვებდენ**. **დარქუმა** - წოდება: ნენეს ფაცანას **დაარქუმიდენ**.

ქცევა გამოიყენება **კეთების** მნიშვნელობით: რას ექცევი? ფუტკარს **ვექცევი**; **სრემა**- დაზელაა.

ფუშხი საქონლის სკორეა: ერ ხელში დუჟკავია ფუშხი, მიერეში - თივა. ამ სიტყვას შ. ნიჟარაძე ადასტურებს ზემოაჭარულში და განმარტავს, როგორც პირუტყვის ნაწლავებში დარჩენილ მოუნელებელ საჭმელს, ბალახს. ზანურში გვხვდება **ფუშკი** (საქონლის განავალი).

მოშფება (ზან.)- ლოცვა. ომუფუ - ლოცულობდა: იკითხვიდა რაცხას, მოაშფებდა; **რაგვი** - (ჭან.) ჩიტის დასაჭერი. **ჩამური** - (ლაზ.) ღომის საცეხვი მოწყობილობა; **ფაცერა** (ზან.)- თევზის დასაჭერი დაღობილი ჩელტი სხვადასხვა ფორმისა. **ლიკუმფხა** - ლუკუმხა (ლაზ.)-მცენარეა, ხეჭრელი; **თენჯერი** (ზან.) თუჯის კარდალი; **მოჭო**- კრუხი (ხახუტაიშვილი, 2014: 15-21).

მუჰაჯირებთან დავადასტურეთ „**სულმა ღენკავს**“ ფრაზეოლოგიზმი, რომელიც ნიშნავს: მოხუცია, სულს ძლივს ათრევს... „ერთი ბერია, **სულმა ღენკავს**“ (ტახტაბაში).

ყურადღებას იქცევს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დაცული **სხვა ხატოვანი სიტყვა-თქმანიც**. აქაურთა შეხედულებით, ნასვამი კაცის **ჭკუა დაბუჟებულია**: „სვი, სვი, **დაბუჟებული ჭკვით** რას იზამ!“.

გაქნევილი სიტყვა იგივე ნათქვამი სიტყვაა, რომელსაც უკან ველარ დაიბრუნებ: „ჩვენებურსავენ კაჲ ხალხი მათშიც არი, მარა **გაქნევილი სიტყვას** რომ იტყვიან, რაზე მუუხდება ჩვენ არ ვიცით“.

გულის მიცემა იმედის მიცემა, დაიმედება, შეგულიანება: „მოვდენ ჩემთან, მუარჩენ მაგას, **გული მივეცი**“ (ქობ. მუჰ. კრებ. VI: 195).

გულის დანვა დანანება, გულისტკივილია: „**გული მენვის**, ჰამა რა ვქნა, ველარ დე^ასწავლის ბადიში“.

მოჭირებული ხელი ვისაც აქვს, ის ძუნნია, ქვახარშიაა, ვისაც არა-**ხელგაშვერილი**: თუ **მოჭირებული** არ აქვან **ხელი**, **ხელგაშვერილია** (ქობ. მუჰ. კრებ. VI:198). ეს სიტყვა ქობულეთურ მეტყველებაში არ გვაქვს.

სიბრძნის გარგანი ბრძენკაცია, რომელსაც მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს: ასე, ბერო, ისე, ბერო, **სიბრძნის გარგანო** ბერო (იქვე, 86).

თვალის გახელინება, თვალის გამოხელა ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში მხოლოდ ამქვეყნისკენ მოხედვას, მორჩენას, გადარჩენას ნიშნავს: ნენეე ჭუჭულს გამუახოვდა ანწლის ჟვერში, **თვალებს გამუახილებიებდა** (ქობ. მუჭ. კრებ. VI: 85).

სინონიმური ფრაზეოლოგიზმებია **ჯოხს ჭამს //ჯილს ჭამს**: იმის დაჟდომილ იერზე'ნა დაჟდოს, თუ ვერ მუასტრა, **ჯოხს ჭამს**; ქორწილის მემრე მურავს, მაჭანკალს დეეჭირვენ, **ჯილს ჭამს** შვაში (ქობ. მუჭ.კრებ. VI:213).

მეტად იშვიათი ფრაზეოლოგიზმია **ჭახე ჩვენებურები**. გვხვდება ასევე **მუუსლელი, უმნიფარი ჩვენებურებიც**: აქოური ხალხი ჩვენ მუჭაჯირს გვიძახიან, კილაე ისე გვიძახიან, **მუუსლელი, უმნიფარი ჩვენებურებიო** (ქობ. მუჭ.კრებ. VI:198); **ჭახე ჩვენებურები** პაპუნაიშვილები არიან (იქვე: 206).

როგორც კონტექსტიდან ირკვევა, **ჭახე** დაღვინებულის, მომნიფებულის, დადულებულის ანტონიმია. ადგილობრივები, როგორც ჩანს, მუჭაჯირებს ეძახდნენ იმიტომ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ მათს ტრადიციებს, ხოლო თვით მუჭაჯირები **ჭახე ჩვენებურებს ჭახათლებს** ეძახდნენ ლაპარაკის, მეტყველების თავისებურებათა გამო. შესაძლებელია, ახალმა მასალებმა სხვა სემანტიკური ნიუანსებიც გამოავლინოს.

ქობულეთელ და ზოგადად ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლების სტუმართმოყვარეობაზე, ტრადიციების ერთგულებაზე მიგვითითებს ფრაზეოლოგიზმი **წარბი არ მობლუნკულა** (მდრ.წარბი არ შეხრილა): მარა მუსაფირებიზა ერთი წარბი არ მობლუნკულა, ისე გვეხიზმეთეს (ქობ. მუჭ.კრებ. VI:189).

წარბის მობლუნკვა სინონიმია ფრაზეოლოგიზმისა- **წარბის შეკვრა (მოღუშვა, გაბრაზება, შუბლის შეკვრა)**.

გამოთქმა **ყაჭივით ჭამს**- ნიშნავს ბლომად, გაუჩრებლად ჭამას ნიშნავს.

ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში

სათქმელი ხშირად ჰიპერბოლიზებულია. ეს, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ უცხო კულტურულ გარემოში მოხვედრამ, ბედუკულმართმა ყოფამ, ნოსტალგიამ გაააქტიურა ემოციები:

დუღარე წყალი დემერო თავზე (ქობ. მუჭ.კრებ. VI:197), – იტყვის მუჭაჯირი, როცა ცუდი რამ შეემთხვევა, ან სამწუხარო ამბავს შეიტყობს (ცეცხლაძე, 2013: 32-39).

სათქმელი გაზვიადებულია ასევე **ფრაზეოლოგიზმი: ისე მშია, ძაღლის ყეფა არ მეყურება** (იქვე:196).

მეტად ექსპრესიულია ფრაზეოლოგიზმი - **სიხარულით მიწას დავასკტით**: ჯეიჭანაე დეიბადა, **სიხარულით მიწას დავასკტით**, ისე გიგვიხარდა (ქობ. მუჭ.კრებ. VI:190).

აქვე დასტურდება **ჭკვაში შენახვაც** დამახსოვრების მნიშვნელობით: ბაბაე გაგონებულს **შეინახდა ჭკვაში** (იქვე,196).

ჩვენი დაკვირვებით, ქობულეთლები (ბათუმელებიც – ავტ.) მეტაფორულად იყენებენ **რვასა და თექსმეტს**:

- რამდენი იყო? **თექსმეტი!** (დუაფერი)
- შეშა მოიტანე! (მამა ეუბნება შვილს, რომელიც თავისი საქმიანთაა გართული)
- რა? (კითხულობს ადრესანტი)
- რაე და **რუა!** (პასუხობს მამა და თავად გადის შეშის მოსატანად)..

შევნიშნავთ, რომ გამოთქმაში: „-რამდენი იყო? -**თექსმეტი!**“ **თექსმეტი** რიცხვის აღმნიშვნელი არ არის, უფრო ფრაზეოლოგიზმია, გამოიყენებენ მაშინ, როდესაც არ უნდათ პასუხის გაცემა... არც **რუა** გამოხატავს რვას! (ფალავა, 2013(1): 18).

კალკური ფრაზეოლოგიზმი აჭარულში გვხვდება, მაგრამ სხვა სამხრულ დიალექტებში უფრო ხშირად გვხვდება: **ეზიეთის განწევა, სიხინთის განწევა...შენ მოპარული ქხავსო და ძალიან ჰალი გუუნწევა** (ქობ. მუჭ.კრებ. VI: 196).

სიხინთი თურქული სიტყვაა და მოწყენილობას, სევდას, სულის წუხილს ნიშნავს; **ეზიეთი** არაბული სიტყვაა და გაჭირვების, მწუხარების მოთმენას აღნიშნავს, მოკლედ, აქ მოცემულია კალკური ფრაზეოლოგიზმები.

ენის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ფრაზეოლოგიზ-

მეტი, ისტორიულ რეალიებს რომ ასახავენ: **რაზე მირბიხარ, რუსი ხუმ არ მოგდევს? ჩაუშის ნაჯახსავენ დარჩენილია, უკან ველარ გააგზანი** (საუბარია ცოლზე, რომელსაც ადვილად ვერ გაეყრებოდა ქმარი) (ცეცხლაძე, 2013: 32-39).

ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმის გრამატიკულ მნიშვნელობას ეფუძნება ანტითეზა: ჩვენს მასალებში ბრუნვის შეცვლით შეიცვალა კონსტრუქცია და შესაბამისად, მნიშვნელობაც: **ჭადი მიაჭამა** (ჭადი პირდაპირი ობიექტია); **ჭადს მიაჭამა** (ჭადს ირიბი ობიექტია).

ჭადი მიაჭამეო, იტყვიან ვინცხს რაცხამდონი უნდა, იმდონი ჭამოს, **ჭადს მიაჭამე** - ცოტა ჭამე, სხვასაც დუურჩესო (ქობ. მუჰ. კრებ. VI: 200).

ორდუში ჩანერილ 2012 წლის ექსპედიციის მასალებში ვკითხულობთ: ჩვენ საღამოს მოვყრებოდით, დაფუძებოდით, ბაბაჲ ილაპარაკებდა, **იგი დარჩა თავში, ჰამა თავი აღარ დარჩა**.

ეს მეტად საინტერესო ფაქტია ფრაზეოლოგიზმთა გრამატიკული შესწავლის თვალსაზრისით. ქართულში იშვიათია ფრაზეოლოგიური ერთეული, გრამატიკული კატეგორიები მნიშვნელობის განმასხვავებელ ფუნქციას რომ ასრულებდეს. ამის ნიმუშებია: **ბუზს ვერ ააფრენს** (ვერ გაბედავს); **ბუზს ვერ აუფრენს** (ვერაფერს ვერ გაუბედავს). ამ ტიპის ფორმებს ი. ლობჯანიძე გრამატიკულ სინონიმიაში განიხილავს. „ქცევის გრამატიკული კატეგორიის ნიშნებზე დამოკიდებულია ლექსიკური სხვაობა“ (ლობჯანიძე, 2010: 90).

მოკლედ, შეიცვალა წინადადების წევრი, მივიღეთ საპირისპირო სემანტიკა. განსხვავებულია ასევე **თავში დარჩა და თავი აღარ დარჩა** (ცეცხლაძე, 2015).

აქვე იკვეთება ფრაზის აგების ერთი მეტად ეფექტური ხერხი, **სინონიმური პარალელიზმი**, რომელიც მნიშვნელოვანი სტილისტიკური ფიგურაა: ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველებაში გამოვლინდა ასეთი მაგალითები **მოვკტე'და, ნენი, ერთი ფეხი მიწაში მაქ; ბრაგდა-მიცა, მოკლა მეგემ**.

მზ. ხახუტაიშვილისა და შ. ფუტკარაძის მიერ ჩანერილ მასალებში სინონიმური პარალელიზმის ნიმუშები არც თუ იშვიათია:

გულზე დამალამდა, მომშვიდა; თვალზე ფერი მომივდა, კარქა ვჭამე; ერთქვანებს ეტყოდენ, სიტყვას შააგდებდენ ერთქვანებს.

კალკურ, ნახევრადკალკურ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებთან ამ მოვლენას სტილისტიკურთან ერთად მნიშვნელობის დაზუსტების ფუნქციაც ეკისრება: „აქიდან **ნასულებს ხებერი გვაქ ერთქვანებთან, მივალთ, მუალთ**“; „**კაჲ ინსნები იყვენ, სიხინთი არ გიმიწევა**“...

ამრიგად, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დღემდე შეგროვილი ემპირიული მასალების მიხედვით ვლინდება ხატოვანი სიტყვა-თქმების იშვიათი ნიმუშები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია სამხრული მეტყველების შესასწავლად, სტილისტიკის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თუ ზოგადად ენის ისტორიის თვალსაზრისითაც (ცეცხლაძე, 2013: 39).

ყურადღებას მივაქცევთ ასეთ ფრაზეოლოგიზმებსაც: **ღელის ხუხუნი** (ვითომც არაფერი, უგულისყურობა, უყურადღებობა), **ჭიმური ჭამა** (ირონიულად: კრახი განიცადა, დაზარალდა), **ვერხვი ფოთელაჲ** (მერყევი, არასანდო).

ბევრია ფრაზეოლოგიზმი **დარგობრივ ლექსიკაშიც: ანგელოზის თითის ჩამონასვამი, ხელის გარეკვა, ჭადის განვიმება** (ელ. ფუტკარაძე); **პურის დაორსულება** (თავთავში მარცვლის ჩასახვა), **ყანის განბილება** (მოუსავლიანობა), **პრასამ ქუდი მოიხადა** (აყვავდა), **რძის გაბუტვა** (წ. ნოლაიდელი).

აჭარულში გვხვდება მყარი გამოთქმა „**დამბურას**“ უკრავს (ჩაქვი, ორთ. მახინჯ.). **დამბურას უკრავსო**, – იტყვიან ადამიანზე, რომელიც თავის პოზიციაზე მყარად დგას, თავისას აკეთებს, ან თავნათქვამაა (855). მ. ცინცაძე და მ. ფალავა მიიჩნევენ, რომ **დამბურასავე** უნდა ნიშნავდეს „ვისრამიანში“ დადასტურებული **დუმბულიც** (ცინცაძე, ფალავა, 1998: 202).

ეს სიტყვა, მკვლევართა აზრით, საშუალო ქართულის ძეგლებში სამხრული დიალექტებიდან უნდა იყოს შესული. აჭარულში მიუღია **დამბურას დაკვრას** გადატანითი მნიშვნელობა და ფრაზეოლოგიურ ერთეულად ჩამოყალიბებულა: „ელაპარიკე და იყავ, იგი მაინც მის **დამბურას უკრავს**“ (ხალა); „კიდვენ მის **დამბურას**“

უკრავს, ვინმესი ნათქუამი არ ესმის, ინათიანია“ (ჩვენებ.).

გამოთქმებში შტამპურად გამოიყენება ზმნა ასნია: **ასნია და მისცა, ასნია და მოკტა...**

ეფექტურია **ანდაზები: ცეხლი საცხა დავარდება, იქაურობა დეიწვება; „რაცხას შეჭამ, იი შექრება“; „ვაი- ვატატი მია მერე, რამე რუმ მოხდება“; „ვირის ინათი არ’ნა გქონდეს, ღმერთს ჭკვა მუუცემია, ჭკვა’ნა იხმაროს კაცმა“ „მუშა კაცი ჭადს ქვიდან გამეყვანს“; წყალში ტალახი დეიძირველებს, დეილექებს (ქობ.); სხვადა სხვადა ვირს სიმღერით მოსძებნის (იქვე, 101); ზღვა კობ- ზით დეილევაო (იქვე); საბრი ყაბი ეფესობა (მოთმინების ფიალა), გადმოდინდებაო (იქვე, 259)...**

აჭარულ დიალექტში ოსმალთა ბატონობისა თუ თურქულთან უშუალო კონტაქტის შედეგად გაჩნდა აღმოსავლური ფრაზეოლოგიზმების კალკები: **ყუსურზე არ დიმიხედოთ, სულის სიმწარით, სიტყვის დაკავება// ნაქცევა, ეზიეთის მიცემა** (შ. ნიჟარაძე); **ხათრის გატეხა, წყალივით ცოდნა, ლაზურში- ჯოხის ჭამა, ამბის მიცემა პირდაპირ მოსვლა და ა.შ.** (ს.ჯიქია); **ფეშინში ჩადგომა** (ჯიბრში ჩადგომა), **ეზიეთის//ხებერის//იუზის//ფითის მიცემა.**

§5. სიტყვანარმოება

აჭარული დიალექტი ყურადღებას იქცევს სიტყვანარმოებითი თავისებურებებითაც. როგორც ცნობილია, ქართულში ადამიანთა სადაურობა გადმოიცემა **-ელ** სუფიქსით, არაადამიანთა კი **-ურ**-ით. არაადამიანთა სადაურობის, კერძოდ, გათხოვილი ქალის წარმომავლობის აღსანიშნავად ზემოაჭარულში დღემდე გამოიყენება **-ურ** სუფიქსი: **დანდალურაჲ ქალი, ზენდიდურაჲ ქალი**). ამგვარი რამ დასტურდება გარე კახურში, ფშაურში, ზემოდიმურულსა და რაჭულში (**გარეჯული კაცი, ნინონმინდური მღვდელი, ღებური ქალი**).

ურ იფართოებს ხმარების არეს და წარმომავლობასაც გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნავს: **ჭვანურაჲ ხოჯა** (შ. ნიჟარაძე).

ამ სუფიქსს იყენებენ მცენარეთა ჯიშების სახელდებისასაც:

ჭვანურაჲ მსხალი, გოგაურაჲ სიმინდი (ნ. სურმავა). ქართული ენის და დიალექტების ამ თავისებურების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაშიც (იხ. შანიძე, 1973; მანჯგალაძე, 1953; კიზირია, 1985 და სხვა). ამ სუფიქსის შესახებ აკად. ა. შანიძე საუბრობდა სპეციალურ შრომაში „ვინაობის არ სუფიქსი ქართულში,“ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1). მეცნიერი აქცევდა ყურადღებას, რომ ის ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში): „აფხუშოური შეიძლება ადამიანზეც ითქვას და არაადამიანზეც: სანათაჲ ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“ (ვაჟა, „ბახტრიონი“). ... ეს კატეგორია ასევე გაურჩეველია სიტყვა **ქუთათურშიც** (შანიძე, 1973: 129).

არნ. ჩიქობავას აზრით, **„-ელ და -ურ** სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული კლას-კატეგორიის გამოსახატავად მეორეული მოვლენაა. საწარმოებელ ფუნქციათა დიფერენციაცია შემდეგი დროის ფაქტია (ჩიქობავა, 1942:142). ეს მოვლენა საერთოქართველურია. ზანურში არ შეინიშნება განსხვავება ადამიანთა და ნივთის კატეგორიებს შორის წარმომავლობის სახელებში: ორივე შემთხვევაში მანარმოებელია **ურ/ულ, ორ, არ აბაშური, ზუგდიდური, ხოფური...** მეგრულში **ურ’** სუფიქსის ადგილს **არ’** იჭერს (ქართული **ელ-ის** შესატყვისი) (იქვე, გვ. 49).

მოკლედ, აჭარულში დღემდე შემონახულია არქაული სუფიქსი, რომელიც არ განარჩევს ადამიანთა და არაადამიანთა სადაურობას.

აქვე დაცულია ისტორიული საერთოქართველური ფორმანტი **-ფხე’ც**. ის ცოცხალი სუფიქსია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში და აღნიშნავს ქალის გვაროვნულ კუთვნილებას. მათ საუბარში ბუნებრივად ისმის: **კონწელიფხე, შაქარაფხე, ინაიფხე, გოგიტიფხე**: ინაიშვილის ქალი ვარ, **ინაიფხე**, კაციდან – **ჯაფარიძე** (ბაჯანალი); ჩემი გელინის ბაბა ანნე **ჯინჭარაფხე** იყო; ჩვენი გელინები არიან **ქათამიფხე, შაქარაფხე... ინაიფხეც** არი (ჩათალფინარი); აქ ბევრი გვარები ცხოვრობენ: **კონწელიძე//კონწელიფხე...**

მუჰაჯირის შთამომავალი განარჩევს ერთმანეთისაგან **ინაიშ-**

ვილს (მამაკაცი) და ინაიფხეს (ქალი), შესაბამისად გვაქვს ფორმები: **ჯინჭარაფხე** – ჯინჭარაძე, ქათამიძე – **ქათამიფხე**, შაქარიშვილი – **შაქარაფხე**, შავიშვილი – **შავიფხე**, კონნელიძე – **კონნელიფხე**... ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ გარემოებას: ერთმანეთს უპირისპირდება – შვილი, -ძე' და -**ფხე**' სუფიქსები. პირველი ორი (შვილი, ძე) მამაკაცის, ვაჟის აღმნიშვნელია, -**ფხე** – ქალის. ფუნქციის განაწილება ხელშესახებია (იხ. ფალავა, 2009:3-27. შდრ. მგელაძე, ფალავა, 1998:3-20).

საყურადღებოა, რომ **ფხე**- სუფიქსი ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ცოცხალი მორფემაა: „შაბანაჲს ცოლი **მჟაჲანაფხე** იყო; აი, ფატმა **ხაბაზიფხეს** ჯეიზიდანაა (თურქ. მზითევი).“ აღსანიშნავია, რომ ქალის გვარობრივი წარმომავლობის გადმოცემა ქართველურ ენათა უძველესი ვითარების ამსახველია (ჩანტლაძე, 2008: 76-78).

ფხე' ტრადიციულად მამისეულ გვარს ერთვოდა. იგი გავრცელებული იყო ქართული ენის დასავლურ კილოებში **ფხე/ხე-ს**, კოლხურში – **ხე/ხ-ს**, სვანურში- **ხე'** სახით. მაგალითად: **ინაიფხე**, **ხახუტაფხე**, **ცეცხლაიფხე**... და გადმოსცემდა გათხოვილი ქალის ნათესაობისადმი კუთვნილებას, მამის გვარეულობიდან წარმომავლობასა და ვინაობას (მგელაძე, ფალავა, 1998: 3-20).

ინაიფხე მნიშვნელობით იგივეა, რაც ინაიშვილის ასული (ქალი). ამ უძველეს სუფიქსს ქობულეთურ კილოვებაში უცვლია სემანტიკა: „დღეს ქობულეთში ფხე-თი ნაწარმოები ფორმები გამოიყენება ქალის კაპასი ხასიათის გამოსახატავადაც, რაც აღნიშნული ფორმანტისათვის მეორეული დატვირთვაა (ხახუტაიშვილი, 2014: 18).

ამრიგად, აჭარულ დიალექტში შემონახულია უძველესი დერივატები, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის და დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, კიდევ უფრო საინტერესოა მათი სემანტიკური გადაზრინება.

მაშასადამე, აჭარული კილოს ზოგადი თავისებურებებია: **ა, უ და გ ხმოვნების და** დიფთონგის **პოვნირება**. ფართოდაა გავრცელებული **თანხმოვანთა** (მოშჩა, შჯობია, ქახალდი, გახტა, მიზდე-

ვს) და **ხმოვანთა** (ეჩემა, წეილო, მუუტანა) **ასიმილაცია**; **დისიმილაცია** (ევა ანბავი, არაფელი, ბევრჯელ); **ბგერის დაკარგვა** ([რ] კინა, [რ]ქა, მა[გ]რა[მ], [მ]სხალი) თუ **გაჩენა** (კიბილი, ქიბილი...გვამთვალეერებს, აჩუქვეს, ამეზლამ, უმფროსი, ურცხო...ქობულეთურში- ვოთხი, ვორი); **სუბსტიტუცია** (სიძმარი, გეიზრო, ზროხა, გზითი, ლემსი, ენდურის... შდრ: ქობულეთურში: ჯავე, მონავალი, კონნელიძე); **მეტათეზისი** (ზრუგი, სხნის, ძვილს).

ქვემოაჭარულში გვხვდება **უკუმშველი ფორმები, ზემოაჭარულში კი - რედუცირებული**. ტიპურია **ლოყები, ქიები, თვები და მისთანა ფორმები**. საკუთარ სახელთა ბრუნება საზოგადოს უტოლდება. ნაცვალსახელი **მისი** გამოიყენება **თავისის** სანაცვლოდ...

აჭარულს ახასიათებს ზმნურ ფორმანტთა (**პირის, თემის ნიშანთა, სავრცობის**) **უნიფიკაცია**. ზემოაჭარულისთვის ნიშანდობლივია **ევ'/ემ'** თემისნიშნისანი ფორმები, ქვემოაჭარულისთვის- **ვიდმიდიანი**. პარალელური წარმოება თითქმის ყველა კატეგორიაში გვაქვს.

სპორადულად ვლინდება მრავალგზისობის კატეგორიაც. გვარის ფორმათა და მიმღეობათა წარმოებაში დაცულია არქაული ვითარება.

სინტაქსურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება, ორმაგი უარყოფის უქონლობა. აჭარულ დიალექტში ოსმალთა ბატონობისა თუ თურქულთან უშუალო კონტაქტის შედეგად გაჩნდა აღმოსავლური ფრაზეოლოგიზმების კალკებიც.

დაცულია საერთოქართველური **ფხე**; არაადამიანთა სადაურობის **ურ** სუფიქსი ადამიანთა სადაურობასაც გამოსატყვევს.

გამოიკვეთა ქობულეთურის თავისებურებები. ესენია: „**ხანმეტობა**“ (ხაივანი, დახკარგა, მიხგვარა, ხავს), **ბგერის ინტენსიური დაკარგვა** (მიალთ, ერი, ექსი); **უმლაუტი**, მრავლობითის წარმოება; **პირის და თემის ნიშანთა, ზმნიზედის, თანდებულის, ნაწილაკის წარმოების თავისებურებანი**, სპეციფიკური **ლექსიკა** (დახარჯვა, გაყვილება, გაკუჭება, გაგულიანება, დაჟდომი, ჟვერი, ჩივის, კუჭობს და ა. შ.).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გა-

მოვლინდა ახალ სოციალურულ გარემოში შექმნილი ბევრი საინტერესო ფრაზეოლოგიზმიც (ჭახე ჩვენებურები, რუსი ხუმ არ მოგდევს? ჩაუშის ნაჯახსავენ დარჩენილია).

შეიძლება ითქვას, აჭარული დიალექტი სამხრულ კილოთაგან ერთი კარგად გამოკვეთილი კილოთაგანია, რომელსაც დაუცავს ძველი ქართულის ბევრი ენობრივი მოვლენაც და განუვითარებია ახალიც.

§6. პარადიგმის ძირითადი პარადიგმები აჭარულში

„პარადიგმების“ შედგენისას გამოვიყენეთ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევრის შეკრებილი მასალები და აჭარელი მუჭაჯირების მეტყველების ნიმუშები, ჩანერილი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი ექსპედიციის მიერ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში, მუჭაჯირთა შთამომავლების სოფლებში, გათვალისწინებულია ასევე აჭარული კილოს შესახებ არსებული სამეცნიერო ნაკვლევები. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ჩამწერის ორთოგრაფიას ზოგჯერ არ ვეთანხმებით, თუმცა უცვლელად ვტოვებთ.

თანხმოვანფუძიანი ფუძეუკუმშველი სახელების ბრუნება

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	დევ-ი	დევ-ებ-ი
მოთხ.	დევ-მა	დევ-ებ-მა
მიც.	დევ (ს)	დევ-ებ- (ს)
ნათ.	დევ-ის	დევ-ებ-ის
მოქმ.	დევ-ით	დევ-ებ-ით
ვით.	დევ-ათ	დევ-ებ-ათ
წოდ.	დევ-ო	დევ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ბრუნება

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხოზო	ხოზი-ებ-ი // ხბი-ებ-ი
მოთხ.	ხოზო-მ	ხოზი-ებ-მა // ხბი-ებ-მა
მიც.	ხოზო (ს)	ხოზი-ებ (ს) // ხბი-ებ (ს)
ნათ.	ხოზო-ჲს	ხოზი-ებ-ის // ხბი-ებ-ის
მოქმ.	ხოზო-ჲთ	ხოზი-ებ-ით // ხბი-ებ-ით
ვით.	ხოზო -თ	ხოზი-ებ-ათ // ხბი-ებ-ათ
წოდ.	ხოზო-ვ	ხოზი-ებ-ო // ხბი-ებ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ლობია-ჲ	ლობი-ებ-ი
მოთხ.	ლობია-მ	ლობი-ებ-მა
მიც.	ლობია-ს	ლობი-ებ-ს
ნათ.	ლობია-ჲს	ლობი-ებ-ის
მოქმ.	ლობია-ჲთ// თი	ლობი-ებ-ით
ვით.	ლობია-თ	ლობი-ებ-ათ
წოდ.	ლობია-ვ	ლობი-ებ-ო

შშშ. ქობულეთურში დასტურდება **ლობიჲ**, რომლის ბრუნება მიჰყვება ე'ზე დამთავრებული სახელის ბრუნებას.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ღვინო	ღვინო-ები
მოთხ.	ღვინო-მ	ღვინო-ებ-მა
მიც.	ღვინო-სა	ღვინო-ებ-სა
ნათ.	ღვინო-ჲს	ღვინო-ებ-ის
მოქმ.	ღვინო-ჲთ	ღვინო-ებ-ით
ვით.	ღვინო-თ	ღვინო-ებ-ათ
წოდ.	ღვინო-ვ	ღვინო-ებ-ო

ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელების ბრუნება

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	(რ) ქა-ღ	(რ) ქი -ები
მოთხ.	(რ) ქა-მ	(რ) ქი -ებ -მა
მიც.	(რ) ქა-ს	(რ) ქი -ებ-ს
ნათ.	(რ) ქი-ის	(რ) ქი -ებ-ის
მოქმ.	(რ) ქი-ით	(რ) ქი -ებ-ით
ვით.	(რ) ქა-თ	(რ) ქი -ებ-ათ
წოდ.	(რ) ქა-ვ	(რ) ქი-ებ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მამა-ღ	მამი -ები
მოთხ.	მამა-მ	მამი -ებ-მან
მიც.	მამა-ს	მამი -ებ-სა
ნათ.	მამ-ის	მამი -ებ-ის
მოქმ.	მამ-ით	მამი -ებ-ით
ვით.	მამა-თ	მამი -ებ-ათ
წოდ.	მამა-ვ	მამი -ებ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	და -ღ	დებ-ი/ დან-ები
მოთხ.	და-მ	დებ-მა/ დან-ებ-მა
მიც.	და-ს	დებ-ს/ დან-ებ-ს
ნათ.	დ-ის	დებ-ის/ დან-ებ-ის
მოქმ.	დ-ით	დებ-ით/ დან-ებ-ით
ვით.	და-თ	დებ-ათ/ დან-ებ-ათ
წოდ.	და -ო	დებ-ო/ დან-ებ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	კილდე	კილდი-ები
მოთხ.	კილდე-მ	კილდი-ებ-მა
მიც.	კილდე-ს	კილდი-ებ-ს
ნათ.	კილდ-ის	კილდი-ებ-ის

მოქმ.	კილდ-ით	კილდი-ებ-ით
ვით.	კილდე-თ	კილდი-ებ-ათ
წოდ.	კილდე-ვ	კილდი-ებ-ო

სამხრულ კილოებში კუმშვად-კვეცადია მანქანა

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მანქანა	მანქნ-ები
მოთხ.	მანქანა-მ	მანქნ-ებ-მა
მიც.	მანქანა-ს	მანქნ-ებ-(ს)
ნათ.	მანქნ-ის	მანქნ-ებ-ი(ს)
მოქმ.	მანქნ-ით	მანქნ-ებ-ით
ვით.	მანქნ-ათ	მანქნ-ებ-ათ
წოდ.	მანქანა-ვ	მანქნ-ებ-ო

შნშ. ქვემოაჭარულში იშვიათად, მაგრამ დასტურდება უკუმ-შველი (ზოგჯერ უკვეცელი) ფორმებიც: მანქანის, მანქანით, მანქანად, მანქანები...მანქანათ...

ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება

ზემოაჭარული კილოკავი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	სუქანი კაცი	სუქანი კაც-ები
მოთხ.	სუქან კაც-მა	სუქან კაც-ებ-მა
მიც.	სუქან კაც-(ს)	სუქან კაც-ებ-სა
ნათ.	სუქან კაც-ის	სუქან კაც-ებ-ის
მოქმ.	სუქან კაც-ით	სუქან კაც-ებ-ით
ვით.	სუქან კაც-ათ	სუქან კაც-ებ-ათ
წოდ.	სუქან-ო კაც-ო	სუქან-ო კაც-ებ-ო

ქვემოაჭარული კილოკავი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	(მ)სუქან-ი კაცი	(მ)სუქან-ი კაც-ები
მოთხ.	(მ)სუქან-მა კაც-მა	(მ)სუქან-მა კაც-ებ-მა

მიც.	(მ)სუქან კაც-(ს)	(მ)სუქან კაც-ებს
ნათ.	(მ)სუქან-ი კაც-ის	(მ)სუქან-ი კაც-ების
მოქმ.	(მ)სუქან-ი კაც-ით	(მ)სუქან-ი კაც-ებით
ვით.	(მ)სუქან კაც-ათ	(მ)სუქან კაც-ებ-ათ
წოდ.	(მ)სუქან-ო კაც-ო	(მ)სუქან-ო კაც-ებ-ო

მხ.რ.

სახ.	პანაჲ წყალ-ი
მოთხ.	პანა წყალ-მა
მიც.	პანა წყალ-ს
ნათ.	პანაჲ წყალ-ის
მოქმ.	პანაჲ წყალ-ით
ვით.	პანა წყალ-ათ
წოდ.	პანა წყალ-ო

მრ. რ.

პანვანი წყლ-ები
პანვან(მა) წყლ-ებ-მა
პანვან წყლ-ებ-ს
პანვანი წყლ-ებ-ის
პანვან (ი) წყლ-ებ-ით
პანვან წყლ-ებ-ათ
პანვანო წყლ-ებ-ო

მხ.რ.

სახ.	პანაჲ ბალანა-ჲ
მოთხ.	პანა ბალანა-მ
მიც.	პანა ბალანა-ს
ნათ.	პანაჲ ბალნ-ის
მოქმ.	პანაჲ ბალნ-ით
ვით.	პანა ბალნ-ათ
წოდ.	პანა ბალანა-ჲ

მრ. რ.

პანვანი/წვიტ-ი ბალნ-ები
პანვანმა/წვიტ-(მა) ბალნ-ებ-მა
პანვან/წვიტ ბალნ-ებ-ს
პანვანი/წვიტ-ი ბალნ-ებ-ის
პანვანი/წვიტ-ი ბალნ-ებ-ით
პანვან/წვიტ ბალნ-ებ-ათ
პანვანო/წვიტ-ო ბალნ-ებ-ო

მხ.რ.

სახ.	ჩემი ძმა-ჲ
მოთხ.	ჩემ(მა) ძმა-მ
მიც.	ჩემ ძმა-ს
ნათ.	ჩემ(ი) ძმ-ის
მოქმ.	ჩემ(ი) ძმ-ით
ვით.	ჩემძ ძმა-თ
წოდ.	ემ-ო ძმა-ო

მრ. რ.

ჩემი ძმებ-ი
ჩემ ძმებ-მა
ჩემ ძმებ-ს
ჩემ (ი) ძმებ-ის
ჩემ (ი) ძმებ-ით
ჩემ ძმებ-ათ
ჩემ-ო ძმებ-ო

შევნიშნავთ, რომ ქვემოაჭარულისთვის ნიშანდობლივია ფორმები: **ჩემმა ძმამ, ჩემი ძმის, ჩემი ძმით**, მაშინ, როცა ზემოაჭარულში გვხვდება: **ჩემ ძმამ, ჩემ ძმის, ჩემ ძმით**

	მხ.რ.	მრ. რ.
სახ.	აჲ კაც-ი	სახ. აჲ კაცებ-ი
მოთხ.	ამ კაც-მა	მოთხ. ამ კაცებ-მა
მიც.	ამ კაც-(ს)	მიც. ამ კაცებ-(ს)
ნათ.	ამ კაც-ის	ნათ. ამ კაცებ-ის
მოქმ.	ამ კაც-ით	მოქმ. ამ კაცებ-ით
ვით.	ამ კაც-ათ	ვით. ამ კაცებ-ათ
წოდ.

მხ.რ.

სახ.	კაჲ კაც-ი
მოთხ.	კაჲ კაც-მა
მიც.	კაჲ/კას კაც-ს
ნათ.	კაჲ კაც-ის
მოქმ.	კაჲ კაც-ით
ვით.	კაჲ/კას კაც-ათ
წოდ.	კაჲ კაც-ო

მრ. რ.

კაჲ კაცებ-ი
კაჲ კაც-ებ-მა
კაჲ/კას კაც-ებ-ს
კაჲ კაც-ებ-ის
კაჲ კაც-ებ-ით
კაჲ/კას კაც-ებ-ათ
კაჲ კაც-ებ-ო

კას კაცს, კას კაცათ ტიპის ფორმები ქობულეთური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი.

მართული მსაზღვრელის ბრუნება

	მხ.რ.	მრ. რ.
სახ.	ნაძვი(ს) ძირ-ი	ნაძვი(ს) ძირებ-ი
მოთხ.	ნაძვი(ს) ძირ-მა	ნაძვი(ს) ძირებ-მა
მიც.	ნაძვი(ს) ძირ-(ს)	ნაძვი(ს) ძირებ-მა
ნათ.	ნაძვი(ს) ძირ-ის	ნაძვი(ს) ძირებ-ის
მოქმ.	ნაძვი(ს) ძირ-ით	ნაძვი(ს) ძირებ-ით
ვით.	ნაძვი(ს) ძირ-ათ	ნაძვი(ს) ძირებ-ათ
წოდ.	ნაძვი(ს) ძირ-ო	ნაძვი(ს) ძირებ-ო

ქვემოაჭარულში მართულ მსაზღვრელში დაცულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: (ნაძვის ძირი, მიწის ხაპი), მაშინ, როცა ზემოაჭარულში ინტენსიურად იკარგება.

§7. უღლების ძირითადი პარადიგმები აჭარულში

I სერია

1. ანმყო - რას ვშობი? (ვიჯები -ზემოაჭ.)
2. უწყვეტელი - რას ვშობოდი? (ვიჯებოდი)
3. ანმყოს კავშირებითი - რას ვშობოდე? (ვიჯებოდე)
4. მყოფადი - რას ვიქ?
5. ხოლმეობით- შედეგობითი - რას ვიქდი/ ვიზამდი?
6. მყოფადის კავშირებითი - რას ვიქდე/ ვიზამდე?

II სერია

- 7 წყვეტილი - რა ვქენ (ი)?
8. II კავშირებითი - რა ვქნა?

III სერია

9. I თურმეობითი - რა მიქნია?
10. II თურმეობითი - რა მექნა?
11. III კავშირებითი - რა მექნას?

ერთთემიანი ზმნების უღლება

I სერია - ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვწერავ	ვწერავთ
II. წერავ	წერავთ
III. წერავს	წერვენ

უწყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვწერევიდი/ ვწერვიდი	ვწერევიდით/ ვწერვიდით
II. წერევიდი/ წერვიდი	წერევიდით/წერვიდით
III. სწერევიდა/წერვიდა	წერევიდენ/ წერვიდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვწერევიდე/ ვსწერვიდე	ვწერევიდეთ/ ვსწერვიდეთ
II. წერევიდე/ სწერვიდე	წერევიდეთ/სწერვიდეთ
III. სწერევიდეს/წერვიდეს	წერევიდენ/ სწერვიდენ

ბუნებრივია, გვხვდება **ვწერავდი ტიპის** ფორმებიც, მაგრამ ჩვენ გამოვყოფთ ტიპობრივს, ზემოაჭარულისა და ქობულეთურის განმასხვავებელ ზმნურ ფორმებს

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერავ	დავსწერავთ
II. დასწერავ	დასწერავთ
III. დასწერავს	დასწერვენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავწერევიდი/დავ(ს)წერვიდი	დავწერევიდით/დავ(ს)წერვიდით
II. დაწერევიდი/და(ს)წერვიდი	დაწერევიდით/და(ს)წერვიდით
III. დაწერევიდა/და(ს)წერვიდა	დაწერევიდენ/ და(ს)წერვიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავწერევიდე/ დავ(ს)წერვიდე	დავწერევიდეთ/დავ(ს)წერვიდეთ
II. დაწერევიდე/ და(ს)წერვიდე	დაწერევიდეთ/და(ს)წერვიდეთ
III. დაწერევიდეს/და(ს)წერვიდეს	დაწერევიდენ/და(ს)წერვიდენ

II სერია-წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავ(ს)წერევი	დავ(ს) წერევით
II. და(ს)წერევი	და(ს)წერევით
III. და(ს)წერა	და (ს) წერენ

შნშ. ქობულეთურში გვექნება **დავსწერე**, ბათუმურში – **დავწერე**. თანაც, **ს** შენარჩუნებულია პირველი სუბიექტური პირის ნიშანთანაც.

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავ(ს) წერო	დავ(ს) წეროთ
II. და (ს) წერო	და (ს)წეროთ
III. და (ს) წეროს	და (ს) წერონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დომინერია	დიგვინერია
II. დიგინერია	დიგინერიან
III. დუუნერია	დუუნერიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემენერა	დეგვენერა
II. დეგენერა	დეგენერენ
III. დეენერა	დეენერენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემენეროს	დეგვენეროს
II. დეგენეროს	დეგენერონ
III. დეენეროს	დეენერონ

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნავ	ვხნავთ
II. ხნავ	ხნავთ
III. ხნავს	ხნავენ/ხნვენ

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნავდი/ვხნევდი/ვხნიდი	ვხნავდით/ვხნევდით/ვხნიდით
II. ხნავდი/ხნევდი/ხნიდი	ხნავდით/ხნევდით/ ხნიდით
III. ხნავდა/ხნევდა/ხნიდა	ხნავდენ/ ხნევდენ/ ხნიდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნავდე/ვხნევდე/ვხნიდე	ვხნავდეთ/ვხნევდეთ/ვხნიდეთ
II. ხნავდე/ხნევდე/ხნიდე	ხნავდეთ/ ხნევდეთ/ხნიდეთ
III. ხნავდეს/ხნევდეს/ხნიდეს	ხნავდენ/ხნევდენ/ხნიდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნავ/დავხნი	დავხნავთ/ დავხნით
II. დახნავ/დახნი	დახნავთ/ დახნით
III. დახნავს/ დახნის	დახნავენ/ დახნვენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნავდი/დავხნევდი/დავხნიდი	დავხნავდით/დავხნევდით/ დავხნიდით
II. დახნავდი/დახნევდი/ დახნიდი	დახნავდით/ დახნევდით/ დახნიდით
III. დახნავდა/დახნევდა/ დახნიდა	დახნავდენ/დახნევდენ/ დახნიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნავდე/დავხნევდე/ დავხნიდე	დავხნავდეთ/დავხნევდეთ/ დავხნიდეთ
II. დახნავდე/დახნევდე/ დახნიდე	დახნავდეთ/დახნევდეთ/ დახნიდეთ
III. დახნავდეს/დახნევდეს/ დახნიდეს	დახნავდენ/დახნევდენ/ დახნიდენ

II სერია	
წყვეტილი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხან	დავხანთ
II. დახან	დახანთ
III. დახნა	დახნეს
II კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნა	დავხნათ
II. დახნა	დახნათ
III. დახნას	დახნან
III სერია	
I თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმიხნია	დიგვიხნია
II. დიგიხნია	დიგიხნიან
III. დუუხნია	დუუხნიან/ დუუხნვან
II თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეხნა	დეგვეხნა
II. დეგეხნა	დეგენენ
III. დეეხნას	დეენენ
III კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეხნას	დეგვეხნა
II. დეგეხნას	დეგენან
III. დეეხნას	დეენან

I სერია	
ანმყო	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრავ/ვუკრი	ვუკრავთ/ ვუკრით
II. უკრავ/უკრი	უკრავთ/უკრით
III. უკრავს/უკრის	უკრავენ//უკრვენ / უკრენ
უნწყვეტილი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრავდი/ვუკრევიდი/ვუკრიდი	ვუკრავდით/ვუკრევდით/ ვუკრიდით
II. უკრავდი/ უკრიდი/უკრევიდი/	უკრავდით/ უკრევდით/უკრიდით
III. უკრავდა/უკრევიდა/ უკრიდა	უკრავდენ/ უკრევდენ/უკრიდენ
ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრავდე/ ვუკრევიდე/ ვუკრიდე	ვუკრავდეთ/ ვუკრევდეთ/ ვუკრიდეთ
II. უკრავდე/უკრევიდე/ უკრიდე	უკრავდეთ/ უკრევდეთ/ უკრიდეთ
III. უკრავდეს/უკრევიდეს/ უკრიდეს	უკრავდენ/ უკრევდენ/ უკრიდენ
წყვეტილი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დუუკარ(ი)	დუუკარ(ი)თ
II. დუუკარ (ი)	დუუკარ(ი)თ
III. დუუკრა	დუუკრენ/ს
II კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დუუკრა	დუუკრათ
II. დუუკრა	დუუკრათ
III. დუუკრას	დუუკრან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმიკრია	დიგვიკრია
II. დიგიკრია	დიგიკრიან
III. დუუკრია	დუუკრიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეკრა	დეგვეკრა
II. დეგეკრა	დეგეკრენ
III. დეეკრას	დეეკრან//დეეკრენ//დეეკრეს

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეკრას	დეგვეკრას
II. დეგეკრას	დეგეკრენ
III. დეეკრას	დეეკრან//დეეკრენ//დეეკრეს

I სერია

ანმცო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსვამ	ვსვამთ
II. სვამ	სვამთ
III. სვამს	სვამენ/სმენ

უნყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსვემდი/ ვსმიდი	ვსვემდით/ ვსმიდით
II. სვემდი/ სმიდი	სვემდით/ სმიდით
III. სვემდა/ სმიდა	სვემდენ/ სმიდენ

ანმცოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსვემდე/ ვსმიდე	ვსვემდეთ/ ვსმიდეთ
II. სვემდე/ სმიდე	სვემდეთ/ სმიდეთ
III. სვემდეს/ სმიდეს	სვემდენ/ სმიდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსვამ	შევსვამთ
II. შესვამ	შესვამთ
III. შესვამს	შესმენ

ხოლმეობით-შედგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსვემდი/ შევსმიდი	შევსვემდით/ შევსმიდით
II. შესვემდი/ შესმიდი	შესვემდით/ შესმიდი
III. შესვემდა/ შესმიდა	შესვემდენ/ შესმიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსვემდე/ შევსმიდე	შევსვემდეთ/ შევსმიდეთ
II. შესვემდე/ შესმიდე	შესვემდეთ/ შესმიდეთ
III. შესვემდეს/ შესმიდეს	შესვემდენ/ შესმიდენ

შნშ.: აღნიშნულ კილოში გვხვდება სალიტერატურო ფორმე-ბიც: სვამდი, სვამდა, ვსვამდე...

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსვი	შევსვით
II. შესვი	შესვით
III. შესვა	შესვენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსვა	შევსვათ
II. შესვა	შესვათ
III. შესვას	შესვან

III სერია**I თურმეობითი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. შიმისმია	შიგვისმია
II. შიგისმია	შიგისმიან
III. შუუსმია	შუუსმიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემესვა	შეგვესვა
II. შეგესვა	შეგესვას/ნ
III. შეესვას	შეესვან//შეესვენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემესვას	შეგვესვას
II. შეგესვას	შეგესვას/ნ
III. შეესვას	შეესვან//შეესვენ

ზემოაქარულში დაჩნდება არქაული ფორმებიც, სადაც მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა არ აღინიშნება. მაგ. შეგესვას (შენ//თქვენ). ეს წესი უპირატესად დაცულია მოხუცებულთა მეტყველებაში.

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვანთობ	ვანთობთ
II. ანთობ	ანთობთ
III. ანთობს	ანთობენ

უნყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვანთობდი	ვანთობდით
II. ანთობდი	ანთობდით
III. ანთობდა	ანთობდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვანთობდე	ვანთობდეთ
II. ანთობდე	ანთობდეთ
III. ანთობდეს	ანთობდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავანთობ	გავანთობთ
II. გაანთობ	გაანთობთ
III. გაანთობს	გაანთობენ

სოლმეობით-შედგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავანთობდი	გავანთობდით
II. გაანთობდი	გაანთობდით
III. გაანთობდა	გაანთობდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავანთობდე	გავანთობდეთ
II. გაანთობდე	გაანთობდეთ
III. გაანთობდეს	გაანთობდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავანთევი	გავანთევით
II. გაანთევი	გაანთევით
III. გაანთო	გაანთენ//ეს

II კავშირებითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. გავანთო გავანთოთ
- II. გაანთო გაანთოთ
- III. გაანთოს გაანთონ

III სერია**I თურმეობითი****მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. გიგინთია გიგვინთია
- II. გიგინთია გიგინთიან
- III. გუუნთია გუუნთიან

II თურმეობითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. გემენტო გეგვენთო
- II. გეგენტო გეგენტენ
- III. გვენთო გვენთენ//ეს

III კავშირებითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. გემენტოს გეგვენთოს
- II. გეგენტოს გეგვენთოს/ნ
- III. გვენთოს გვენთონ//გვენთეს

I სერია**ანმყო****მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მქვია/მთქვია (ქობ) გვქვია/ გვთქვია
- II. გქვია/გთქვია გქვიან/გთქვიან
- III. ქვია/ სთქვია ქვიან/სთქვიან

წყვეტილი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მერქვა/ მეთქვა გვერქვა/ გვეთქვა
- II. გერქვა/ გეთქვა გერქვენ/გეთქვენ
- III. ერქვა/ ეთქვა ერქვენ/ეთქვენ

II კავშირებითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მერქვას/ მეთქვას გვერქვას/გვეთქვას
- II. გერქვას/გეთქვას გერქვან/გეთქვან
- III. ერქვას/ეთქვას ერქვან/ეთქვან/

I თურმეობითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მქვებია/მთქვებია გვქვებია/გვთქვებია
- II. გქვებია/გთქვებია გქვებიან/გთქვებიან
- III. ქვებია/თქვებია ქვებიან/თქვებიან

II კავშირებითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მქვებოდა/მთქვებოდა გვქვებოდა/გვთქვებოდა
- II. გქვებოდა/გთქვებოდა გქვებოდენ/გთქვებოდა
- III. ჰქვებოდა/თქვებოდა ქვებოდენ/თქვებოდენ

III კავშირებითი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მქვებიყოს/მთქვებიყოს გვქვებიყოს/გვთქვებიყოს
- II. გქვებიყოს/გთქვებიყოს გქვებიყოს/ნ//გთქვებიყოს/ნ
- III. ქვებიყოს/თქვებიყოს ქვებიყონ//თქვებიყონ

I სერია**ანმყო****მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მინდა გვინდა
- II. გინდა გინდანან/გინდარან//გინდებიან
- III. უნდა უნდანან/უნდარან/ უნდებიან

უნწყვეტილი**მხ. რ.** **მრ. რ.**

- I. მინდოდა გვინდოდა
- II. გინდოდა გინდოდენ
- III. უნდოდა უნდოდენ

ანცოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მინდოდეს	გვინდოდეს
II. გინდოდეს	გინდოდეს/ნ
III. უნდოდეს	უნდოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდება	მოგვინდება
II. მოგინდება	მოგინდებიან
III. მუუნდება	მუუნდებიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდა	მოგვინდებოდა
II. მოგინდებოდა	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდა	მუუნდებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდეს	მოგვინდებოდეს
II. მოგინდებოდეს	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდეს	მუუნდებოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდა	მოგვინდა
II. მოგინდა	მოგინდენ
III. მუუნდა	მუუნდენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდეს	მოგვინდეს
II. მოგინდეს	მოგინდენ
III. მუუნდეს	მუუნდენ

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომლომებია	მოგვლომებია
II. მოგლომებია	მოგლომებიან
III. მონლომებია/მოსლომებია	მონლომებიან/მოსლომებიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომლომებოდა	მოგლომებოდეს
II. მოგლომებოდა	მოგლომებოდენ
III. მონლომებოდეს/მოსლომებოდეს	მონლომებოდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომლომებოდეს	მოგვლომებოდეს
II. მოგლომებოდეს	მოგლომებოდეს//ენ
III. მონლომებოდეს	მონლომებოდენ

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვიარები	ვიარებით
II. იარები	იარებით
III. იარება	იარებიან

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვიარებოდი	ვიარებოდით
II. იარებოდი	იარებოდით
III. იარებოდა	იარებოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვიარებოდე	ვიარებოდეთ
II. იარებოდე	იარებოდეთ
III. იარებოდეს	იარებოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გევიარ	გევიართ
II. გეიარ	გეÁართ
III. გეიარს	გეÁარებენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გევიარდი	გევიარდით
II. გეÁარდი	გეÁარდით
III. გეÁარდა	გეიარდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გევიარდე	გევიარდეთ
II. გეÁარდე	გეÁარდეთ
III. გეÁარდეს	გეÁარდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. გევიარე	გევიარეთ
II. გეÁარე	გეÁარეთ
III. გეÁარა	გეÁარეს/ენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გევიარო	გევიაროთ
II. გეÁარო	გეÁაროთ
III. გეÁაროს	გეÁარონ

III სერია**I თურმეობითი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. გიმივლია	გიგვივლია
II. გიგივლია	გიგივლიან
III. გუუვლია	გუუვლიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გემეველო	გეგვეველო
II. გეგვეველო	გეგვეველო/ნ
III. გევეველოს	გევეველეს

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გემეველოს	გეგვეველოს
II. გეგვეველოს	გეგვეველოს/ნ
III. გევეველოს	გევეველოს/ნ

უღლება**I სერია****ზემოაჭარული კილოკავი****ანმყო**

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნავდივარ	ნავდივართ
II. ნადიხარ	ნადიხართ
III. ნადის	ნადიან

უწყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნავდიოდი	ნავდიოდით
II. ნადიოდი	ნადიოდით
III. ნადიოდა	ნადიოდენ/ეს

ანმყოფის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნავდიოდე	ნავდიოდეთ
II. ნადიოდე	ნადიოდეთ
III. ნადიოდეს	ნადიოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნავალ/ ნევეალ	ნავალთ/ ნევეალთ
II. ნახვალ/ ნეხვალ	ნახვალთ/ ნეხვალთ
III. ნავა //ნევა	ნავლიან/ ნეველიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევედოდი	ნევედოდით
II. ნეხვიდოდი	ნეხვიდოდით
III. ნევედოდა	ნევედოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევედოდე	ნევედოდეთ
II. ნეხვიდოდე	ნეხვიდოდეთ
III. ნევედოდეს	ნევედოდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნეველ(ი)	ნეველ(ი)თ
II. ნეხველ (ი)	ნეხველ(ი)თ
III. ნეველა	ნეველ(ი)თ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევედე	ნევედეთ
II. ნეხვიდე	ნეხვიდეთ
III. ნევედეს	ნევედენ

III სერია**I თურმეობითი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულვარ	ნევესულვართ
II. ნევესულხარ	ნევესულხართ
III. ნევესულა	ნევესულან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულიყავ (ი)	ნევესულიყავ (ი) თ
II. ნევესულიყავ (ი)	ნევესულიყავ (ი)თ
III. ნევესულიყო	ნევესულიყვენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულიყო	ნევესულიყოთ
II. ნევესულიყო	ნევესულიყოთ
III. ნევესულიყოს	ნევესულიყონ

დასკვნა: აჭარული დიალექტის ახალი მასალებისა (უპირატესად აჭარულ მუჭაჯირთა შთამომავლების სოფლებში შეკრებილი ტექსტების) და მთავარი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების გათვალისწინებით წარმოვადგინეთ სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების ძირითადი პარადიგმები. ძირითადი იმიტომ, რომ დიალექტის კვლევა გრძელდება, ახალი მასალები კი წარმოაჩენს აჭარულის სხვა თავისებურებებსაც, რომლებიც გარკვეულ ცვლილებას შეიტანს ჩვენს ტაბულებში. ერთი რამ ნათელია, მომავალში შეიძლება რაიმე დაემატოს და შეივსოს წარმოდგენილი პარადიგმები, დაკლებით კი არაფერი დააკლებს.

თავი III. შავშური დიალექტი

შავშური კილო ისტორიული შავშეთის მკვიდრთა მეტყველებაა. იგი გავრცელებულია ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკის ართვინის გუბერნიის (ილი) შავშათის ილჩეში (რაიონში). შავშეთის ნაწილად მივიჩნევთ მაჭახელსაც, რომლის ნაწილი, ზემო მაჭახელი, ბორჩხის ილჩეში შედის, ნაწილიც, ქვემო მაჭახელი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის (აჭარის არ) შემადგენლობაშია. ორმოცდაათამდე სოფელი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჭაჯირად წასულ და შიგა მიგრაციით გადასახლებულ შავშებს შეუქმნიათ თურქეთის შიგა პროვინციებში.

„ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის შავშეთის საზღვრები არსიანის მთის, არტანუჯის კლდის მასივსა და მდ. ჭოროხის ხეობას შორის არის მოქცეული. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ეს მხარე ბრინჯაოს ხანაში უკვე დასახლებული იყო.

IX ს-დან, ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შავშეთის მხარეშიც დიდი აღმშენებლობა დაიწყო. X ს-ის დასაწყისში გურგენ კურაპალატის ძის აშოტ კუხის მიერ აშენებული ტბეთის ტაძარი ამავე სახელწოდების საეპისკოპოსოს ცენტრი გახდა. აქვე შეიქმნა ძველი ქართული კულტურის არაერთი ძეგლი.

შავშეთი ოსმალეთში ცალკე სანჯაყს, ანუ სადროშოს წარმოადგენდა. ცალკე სანჯაყებად იყო გამოყოფილი ასევე იმერხევი და მაჭახელი.

ოსმალეთის იმპერიაში ხშირი იყო ადმინისტრაციული რეფორმები და შავშეთის სანჯაყიც ხშირად მონაცვლეობდა სხვადასხვა საფაშოს შემადგენლობაში.

1878 წლის 13 ივლისის ბერლინის მოლაპარაკებების თანახმად, შავშეთი ართვინთან, არტანუჯთან, ბორჩხასთან და სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შემოუერთდა. ამ ზავით დადგენილი საზღვრები რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის 1918 წლის 3 მარტამდე არ შეცვლილა, სანამ ბოლშევიკურმა რუსეთმა და ოსმალეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს არ მოაწერეს ხელი. ამ ზავის შემდეგ შავშე-

თი ისევე ოსმალეთის შემადგენლობაში გადავიდა.

1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების შედეგად, სადაც დადგინდა სახელმწიფოებს შორის საზღვარი დღევანდელი სახით, შავშეთი ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა... (იხ. შაშიკაძე, კარალიძე, 2008: 120).

შავშეთის ნაწილი დღეს მეთურქულეა, ნაწილიც - მექართულე. ქართული შეინარჩუნეს უმეტესად იმერხეველებმა (20-მდე სოფელი), ასევე უსტამისელებმა, ჩიხისხეველებმა და მთელმა მაჭახელმა.

„პარადიგმების შედგენისას გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრთან არსებული მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ შეკრებილი შავშური კილოს მასალები, რომელსაც ისტორიულ შავშეთში და შავშ მუჭაჯირთა შთამომავლების სოფლებში ინერდნენ პროფესორები: მერი ცინცაძე, რამაზ ხალვაში, თინა შიოშვილი, მამია ფაღავა, ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე. გამოყენებულია ასევე ნიკო მარის, შუშანა ფუტყარაძისა და მურად შაჰინის (ძნელაძე) ჩანაწერები. შრომაში გათვალისწინებულია შავშური კილოს შესახებ არსებული სამეცნიერო ნაკვლევები.

§1. ფონეტიკური თავისებურებანი

1.1. შავშურის ბგერითი შედგენილობა. შავშურ დიალექტში გვხვდება **ა, ჯ, გ** ბგერები, **უმარცვლო უ**, ასევე დაჩნდება დიფთონგი და უმლაუტიც.

შავშურში პალატალური ნახევარხმოვანი **ა** გვხვდება როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ისე ინტერვოკალურ პოზიციაში ქართულსა და თურქულ სიტყვებში.

სიტყვის აუსლაუტში: ჩემ **ბაბოა** დეესახლა (ბაზგ.); ნიორი ილაჯია, **ბაბოა** შქამდა (შავშ.); ჩემ **პანაა** გოგო მეზნევა (ბრ.)...

ინტერვოკალურ პოზიციაში **ი** გვაძლევს ნახევარხმოვანს: დრომან **გედეაარა** (შავშ.418); **გედეაარ**, ლეკობანია (იქვე).

აღმავალ დიფთონგში **ა** **გვხვდება** უცხოურ სიტყვებში: **აუზი**,

ფერლი, ფეგანი...ხახვ ჩავსჭრით ალში (შავშ.432); ააზლული აქ გასავლელი (ჩვენებ.333)...

სიტყვის შიგნით, ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი ყოველთვის **ა-ს ვერ** გვაძლევს, ზოგჯერ **სრული ი** ისმის. აქ რაიმე ნორმის დადგენა არ ხერხდება (შავშ. 2014:220): აქ არავინ **წეიკინდლებიან** (შავშ. 366); ფიდან **გეაზდება**, დაანამყენებ (იქვე, 366); **დეანახე** მოტანილი თივა? (იქვე)...

ხშირად **ა** ვითარებითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსია: აქვრობაში **ჩვენებურა**, გურჯიჯა ვლაპარიკოფთ (შავშ. 380); **ქართულა** თქმა უნდანან (იქვე, 380); **ტიტველა** ნუ იქნები-და (იქვე,388); ხედავ, **რაგა** ლაპარიკი იცი? (იქვე, 391); **იეფა** ყიდდენ (იქვე, 443); **იმგვარა** გუუკოჭვან (იქვე, 412).

შავშურში გვხვდება **ფარინგალური ჯ თანხმოვანი**: იმ კევრში შეაბემდი **ჯარებსა** (შავშ. 408); ადექით დედაბრებო, გამოგზავნეთ **ბაჭლები** (იქვე, 496); ჩემ **ბაჭლებმა** გურჯიჯა იგნებენ (იქვე, 409); **ფერჯი**, **ჯევი**, **ჯარი**, **მჯარი**... (იქვე, 377); გევიდე'ნა ჭალებში, მუასხა'ნა **ჯბუები** (იქვე, 562)...

ნ. მარი აღნიშნავს, რომ იმერხეულში ჯ ზოგჯერ განირჩევა **ხანისგან**. მაგ. ზაქიეთში მას განუსხვავებია ერთმანეთისგან ისინი. ზაქიეთელი თურმე განასხვავებდა სიტყვებს: **ქუსს და ფეჯი, ჯარი, ჯელი, ჯმელი**... (მარი, 1918: 223).

საინტერესოა შემდეგი გარემოება: „ნ. მარის შავშეთში მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, დღესაც ჯ შემონახულია შავშეთის თითქმის ყველა მექართულე სოფლის მეტყველებაში. მნიშვნელოვანია, რომ ჯ და ხ ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან და ვერ ქმნიან ოპოზიციას: ხიდი/ჯიდი, ფეხი/ფეჯი.. შეგვატყვორა დაინტერესება, ერთმა ბაზგირელმა აგვიხსნა: **ხელი-ჯელი** სხვა არ არი...“ (ფალავა, 2005: 47; ფალავა, 2004: 17-18).

„იმერხეულის ბგერით სისტემას ძველქართულ იერს უნარჩუნებს დღემდე ცოცხალი, ძველი ქართულიდან გამომდინარე ფარინგალური ხმოვანი ჯ **ბგერა**... აქ დღემდე დაცულია იგი როგორც უხუცესთა, ისე მოზარდთა მეტყველებაში: **გაჭმობა, მჯარი, ჯბო, ფეჯაფეხ, ჩამოჭდა, მიეჯადეთ, მუჭლი, ჯსენი**... გვაქვს **ხ და ჯ ბგერათა მონაცვლეობაც: ხუალ** მიდიან და **ჯუალ** შეყვარნეთ (ფუტკარაძე, 2008: 88).

შ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ „იმერხეველთა ცნობიერებაში ჯ-ს ფონემად ქცევა ჯერ არ დაწყებულა. მათი მეტყველება ამ თვალსაზრისით XI-XII საუკუნეების დონეზეა. ჯერ კიდევ კარგად აცნობიერებენ, სად, როგორ პოზიციაში უნდა წარმოთქვან **ხ და ჯ**. ქართული ანბანის გაცნობის შემდეგ ბევრმა იმერხეველმა მასწავლებელმა იკითხა, თუ რატომ არ გვაქვს **ჯ-ს** გამომხატველი ასო-ნიშანი ქართულ ანბანშიო. იმერხეულის მონაცემები საშუალებას იძლევა, საფუძვლიანად შევისწავლოთ მისი ბუნება“ (ფუტკარაძე, 2008: 88).

თ. გამყრელიძის აზრით, „ჯ პოსტველარული რიგის ერთადერთი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო სათანადო მკვეთრი და მჟღერი ეკვივალენტების გარეშე“ (გამყრელიძე, 2000: 250-254).

შავშურში დასტურდება **უმარცვლო უ'**: ფენჯერეზე ორი **ქუა**, ჯელი დავკარ, არ **ამყუა** (შავშ.484); ჩილბური **კუერცხით** კეთდება (ჩვენებ.333); **ქვაბისთაუში** ამათ ხისიშები ყოლიან (შავშ. 368); გენჯები **რაგუარ** მიექცვიან (ჩვენებ.337); რეები იცით **თქუენ** (შავშ. 399); დეგმა არ **შამუა** (იქვე,436).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ის აქ **ვ**'ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს. „ვ სუსტდება სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ, ხმოვანსა და თანხმოვანს და თანხმოვანსა და ხმოვანს შორის“ (შავშ., 2014:221).

უ'სა და **ვ**'ს კომბინატორული ცვლილებები უცხო არაა ქართული სალიტერატურო ენისათვის. შენიშნულია შავშურ კილოში ამ ბგერის გამოყენების თავისებურებებიც: **უ** რეალიზდება იმავე პოზიციაში, ძველ ქართულში რომ იხმარებოდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: აქ **უ** არ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც ეს ძველ ქართულში გვექონდა (იხ.გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 40; ცინცაძე, ფალავა, 1978: 10-11; ფალავა, 2004: 17; 2007: 6).

შ. ფუტკარაძე მიუთითებს, რომ „ძველი ქართულისგან განსხვავებით, იმერხეულში უმარცვლო **უ** გვაქვს **ავ**' თემისნიშნიან ზმნათა მიმღებობებში: **დამთესუელი, დამწერუელი, მფარუელი**. ზოგჯერ ის **ოვ', ოვე', ოე'** კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილების შედეგია: **გამუაქსუე, კაპუეტი**. დღევანდელ იმერხეულში შემონა-

ხული უმარცვლო უწყვილბაგისმიერი და ოდნავ უკანა არტიკულაციის მქონე ბგერაა, აქაურთა მეტყველებას აძლევს ძველქართულ იერს და განასხვავებს მას მომიჯნავე დიალექტებისგან“ (ფუტკარაძე, 2008: 94).

შავშურში ზოგჯერ გვხვდება ნეიტრალური ბგერა გ. გ. გ. ახვლედიანი იმავე ბგერასთან დაკავშირებით წერდა, რომ სვანურში „თავშეყრილ თანხმოვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი გ: ხგნსგა (ნახევარი), კგლდე (კლდე), ჯგრელ (ჭრელი)“ (ახვლედიანი, 1949: 223).

შ. ფუტკარაძემ იგი დაადასტურა იმერხეულის ორ გეოგრაფიულ სახელში: **წყალსიმგრსა და ცგხზირში**. მკვლევარს იმერხეულში ის მიაჩნია მხოლოდ ი ხმოვნის დასუსტებით მიღებულ ნახევარხმოვნის მსგავს ბგერად (ფუტკარაძე, 2008: 99).

ეს ბგერა შავშურში წარმოითქმის ერთგვარი დაჭიმვით. იგი ძირითადად წარმოადგენს ანაპტიქსურ ხმოვანს: გურჯისტანი თვლათ ოსმანლისა იყო (შავშ. 405); კვლდეები დაყაფანებულა (იქვე, 406); ჩვენი გვარი დათუნაშვილი ქობლეთ ყოფილა (იქვე, 413)...

ზოგჯერ ის რომელიმე ბგერის ალომორფია: ზარმელი არი ახლა, ჰა! აირანიც არგ (შავშ. 405); ჩგხორ (ჩიხორში); აღარ წავდივარ (იქვე).

ბ. ჯორბენაძის მიხედვით, ამგვარი მოვლენა უცხო არაა ქართული ენის სხვა (ხევსურული, ინგილოური, მესხური, ჯავახური, აჭარული, იმერული, ლეჩხუმური) დიალექტებისთვის (ჯორბენაძე, 1998: 51-52). ამ ბგერის არსებობა მტკიცდება ქართული ენის ისტორიულ ძეგლებშიც (ქავთარაძე, 1964: 72-73).

2.2. ფონეტიკური მოვლენები. ფონეტიკურ მოვლენათაგან ყველაზე ხშირია ასიმილაცია:

აე> ეე: დეეთხარე აგზე, დაჯექ (შავშ.375); **დეემძრახები** თუ არა მამათილ, ის ძველათ იყო, ახლა არაა (იქვე, 459); იმდენი ქკვაში მოსულიყო ქი, **გედებურა, ჩეეფარებია** (იქვე, 368).

ზოგჯერ პროცესი უფრო შორს მიდის და თავმოყრილი ორი ე განიმსგავსებს ერთმანეთს: **აე> ეე>იე: დიეკარქა** ბევრი წამლები (შავშ.501); იმა არ შიეშინდება (იქვე, 457)...

აი> ეი (>ეა): ღარჭი წეყყანა (შავშ. 366); რავაჲ ჭამს, მეღლაფა პირი; **დეემღერე**, შვილო (იქვე, 366); თამამ, **ეფესო**, დააყრუე (იქვე, 366).

აი> ეი პროცესს მოსდევს მასიმილირებელი ხმოვნის დაკარგვა. ამ გზითაა მიღებული ფორმები: **წევედა, ევედა, გევედა, ევედე, დეველა, გევეპარე**: მაზუთი **ევედე** (ჩაქვ.); მე ისე **გევევა** (ზ.მ.), ფარა **გედევხადე** (ა.)...

ამგვარი ფორმები გვხვდება შავშურში, მაგრამ უფრო დამახასიათებელია **წევიდა, დევიჭირე** ტიპი. ამ კილოს გამოკვეთილ თავისებურებად მიიჩნევა პოვნიერება **დეგვიტება, გეგისკდეს, გემივლია, გეგიჩთება** და მისთანა ფორმებისა, რომლებშიც ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს:

აუ>: შატბერდი არ გემიგონია (შავშ. 407); ბოჲა არი, ვერ **დეგი ნახავანო?** (ჩვენებ. 205); შენი ერთი დანახვა ჯენნეთი **გემიხდება** (შავშ.528); **დეგვიცადე** მაგზე, მჯაუნაია (იქვე), წინდები ვინ **მეგიტანა?** (იქვე, 202), **დემინახავდა** ჰელბეთ (იქვე, 201).

ამგვარი ფორმები უხვადაა მაჭახლურ მეტყველებაშიც: სასადილოში **წეგიყუანო**-მეთქი, ვპაიჯავ (ჩვენებ.339); **მემეცი** ერთი-ორი ცხუარი, გავაშენოვო (იქვე,339); მე **მევენარი** (იქვე, 333); ჩუენ **მეგვეცი**თ წესვი (იქვე, 361).

„ხაზგასმული ფორმებით შავშური კილო განსხვავდება ქართული ენის სხვა დიალექტებისგან, მათ შორის აჭარულისგან, რომელშიც ასიმილაცია ერთსაფეხურიანია და სრული: „**დამინახე> დიმინახე, გამიხდა> გიმიხდა...** წინა საფეხურის, ნაწილობრივი ასიმილაციის ფორმები აჭარულში არ ჩანს. მართალია, შავშურშიც არის სრული ასიმილაციის ფორმები, მაგრამ როგორც ნაწილობრივი ასიმილაციის მომდევნო საფეხური“ (შავშ. 2014:224). ასეთი ფორმები დასტურდება ქობულეთურშიც.

მ. ცინცაძე შავშეთის ქართულ მეტყველებაში ფონეტიკური მოვლენების ანალიზისას წერს, რომ „ნაწილობრივი ასიმილაცია (**დეგისხა, დემინახეთ**) და მეორე რიგის ფორმები: **წევიდე, დევი ნახე, გევიტანე** დაუცავს მხოლოდ შვეშეთის ქართულს“ (ცინცაძე, 2009: 31).

პატრობის დროს ბევრი **დიმივიწყდა** (სვირ.); **დიმიმღერე** ქი დევიძინოო (ზაქ.); იქიდან **დიგვიწავლეს** (ზაზგ.)...

შავშურში ზოგჯერ ნაწილობრივი და სრული ასიმილაციის ფორმები პარალელურ წარმოებასაც ქმნის. კიდევ უფრო საინტერესოა მათი პოზიციონირება ერთსა და იმავე მაგალითში: „დეგვიშრეს სოფელმა, იმათი სიმიწი კად მოდის და ჩვენი არ მოდისო, დიგვიშრეს წყალი (შავშ.452).

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია შავშურში გამოვლენილი შემდეგი ფორმებიც: მოიდენ იშტა, არ მეგვიწონებენ (შავშ. 409); რუსის კულტურა ჩვენთან მევედა (იქვე,463); ნაჩარი ბენზინი არ ჩემისხათაო (იქვე,440); იმან მემიპარა ცხენზე (იქვე, 398); რამდენჯელ მეგვიკითხე (იქვე,246); ჰამა ვერ მემიგონია ახლა (იქვე,425); მეგვითხუთ და ნამოლო (იქვე, 259); ანაჲ ქი მეგვიკდება (იქვე,370); ნენეჲ ფაფას მეგვიდულებსო (იქვე, 270).

ნაწილობრივ ასიმილაციას შესაძლებელია მოჰყვეს სრული რეგრესული ასიმილაცია: თი>უი>იი: სრულის ასიმილაციის შედეგად მო ზმნისწინი ემსგავსება მი' ზმნისწინს. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: ვერ მიმიცლია, ვერ მიმიწველია ძროხა (უსტ.); მალე მიმიკტენ, მარტო ვიყავი (შავშ.422); ეს ახლა მიმიტანა ბალანამა (ბაზგ.). შდრ.: თავისთენ ვერ მიმიცლია (ორთაბ.).

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეს მოვლენა არ გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, არც აჭარულში, რომელთანაც საერთო აქვს შავშურ კილოს“ (შავშ., 2014: 225).

მოვიყვანთ ასიმილაციის სხვა მაგალითებსაც: აე>ეე: რეები იციოთ თქუენ (შავშ. 399). აქვე გვხვდება რე'ც: რე იქნა, არ ვიცი, ვერ მოიდა (შავშ.400).

აუ>ოუ: ამათ ვიზე გოუკეთა (ზაქ.); გოუგზავნიან ისენი (დავ.); რამდენი მეტრო გოუვლია (ჩაქ.).

აუ>უუ: ჩუუბარგე ლამაზათ, გავგზანე (შავშ. 389); სამ კაც ნუუსხამ კი (იქვე, 393); თურქჩა უმფო დუუსწავლია (იქვე, 369); უთქვამენ მანატბასა, კაცის მანა გუუშვი ტბაშიო (იქვე, 503); ხევიდან დუუმწკრივებია კაცები (შავშ.503); ვერ უუვლიან ტალახში (იქვე, 450);

ოა>უა: აქ ანჯახ მუანვეს (შავშ. 382); სეტყვა მუა (იქვე, 376); ფშნილას მუაყრით (იქვე, 367). ასეთი ფორმები ქობულეთურშიც ხშირად გამოიყენება.

ოუ> უუ: მუუყვანეთ ქალი (შავშ. 366);

ხშირია თანხმობანთა ასიმილაციაც: სჭ>შჭ: ნიორი ილაჯია, ბაბოჲ შჭამდა (შავშ.); შჭრიან, ახმობენ (იქვე).

გ>ქ: თხა-ცხვარი ქყყავდა (შავშ. 368); ნისქელი არ ქვჭირია (ჩაქ.).

ხდ>ხთ: ერთ დოხტურმა მიხთა (შავშ.415).

დისიმილაცია შედარებით ნაკლებად გვხვდება შავშურში. აა>აე: ღმერთმა აქევრი ღრუბელი არ დაგანახვოს (შავშ. 389); პამიდორი აქევრია, კიტრიც აქევრია (იქვე, 461).

ერთგან გვხვდება ფორმა ექვერელი'ც, რომელშიც რამდენიმე ფონეტიკური პროცესია მომხდარი: ახლა ექვერელები იქ ესახლებიან (შავშ. 379).

ეა> ია: ჭალაში შიაგდებ (ხევენ.); იმა არვისაც არ შივაჭმევ (შავშ. 387); მიერები ლამაზები იყვენენ (იქვე, 441).

ბგერათა შერწყმის ნიმუშებია: ზემოდან გადაჲ, გადმოდი, ქომოდან ფასაფორთი გქონდეს (შავშ. 376); ქომოდან მოგვაქ (იქვე, 367); დირეგი ქომოდან ნისქელია (იქვე, 418).

მოყვანილ მაგალითებში ვე გვაძლევს ო'ს.

ბგერის დაკარგვა სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებაა, რომელიც კარგადაა რეალიზებული შავშურ დიალექტშიც:

იკარგება მ: აგზე სხალია (შავშ. 366); სხალი არის (შავშ.383); ერთი სხალი მოვკმიჩე (იქვე, 389); გვალი ვაშლი არი (იქვე, 366); ზამთარი ძიმეა (იქვე, 378); შიერი არ დარჩები, საცხა მიხვალ, ჭამ პურს (იქვე, 440); დავთესე, ამამიყარეს, დათვი ფენა სუქანია (იქვე, 442).

იკარგება ს: გვარი და დეწავლო (იქვე, 383); აქ სკოლაში აღარ გვანავლიან გურჯულს (იქვე, 448); არ დეგელაპარიკება, ცხვენია (იქვე,397); წყაროს აწავლიდენ (იქვე, 403); შვიდი წლის უკან თურქჩა დევიწავლე (იქვე, 409); ალმანიაში რომ წადიან, იწავლიან ენასა (იქვე, 389)...

სამხრული მეტყველების ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა ს თანხმობის დაკარგვა სიტყვა სწავლაში. სანიანი ფორმებიც გვხვდება, ოღონდ ძალიან იშვიათად. შავშურში გვხვდება

ნორეც. იშვიათად დასტურდება **ფორმა სნორეც.** **ნორეს** ამბობს, დალამდა (შავმ.380); **ნორეთაც** არ მოსულან ქი (შავმ. 405).

ივ. ქავთარაძე **ს'ს** დაკარგვას საერთოქართველურ მოვლენად მიიჩნევს. მკვლევარი იმონებებს მაგალითებს გვიანი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან: **გავნორდებით, დავინარი, დავნრებივართ** (ქავთარაძე, 1964:140).

იკარგება ვ': თექსმეტ სვეტზე დამდგარი ყოფილა (შავმ.458); **მოიდენ** იშტა, (იქვე, 409).

იკარგება რ: ბელქი'და მოკდენამდე **ჩებიან** (შავმ. 380); **დაატია-ლოს'ნა** ბორბალი (ჩვენებ.334).

შავშურში **რ'** ინტენსიურად იკარგება: **ხო'ც** მოვხარშავთ (იქვე, 333); ისე გავაკეთავთ **ჩო'ბასაც** (იქვე, 333); გაღმით'ნა **შეტიალდე** (იქვე, 334); **კინა ატილებს** მინას (იქვე, 333). ჩემი შვილები ექსნავე გურჯიჯას **ლაპაიკობს** (იქვე, 333).

გვაქვს' ზმნაში ორი ბგერაა დაკარგული: საჭმელი გარედან, საქონლისა **გვაქ** (შავმ. 394).

შავშურისთვის უცხო არც **ბგერის ჩართვაა.**

ჩართულია **მ:** აქა ემეები **მცხოვრობდენ** (შავმ. 405); რაც **გევმთხვენით,** არ გვიმღერია (იქვე, 382); იქ **მცხოვრობენ,** ჰო (იქვე, 458).

ი'ს ჩართვის მაგალითია: **კიბილები** დამპალი აქ (შავმ. 409).

ამავე დიალექტში **ზ'**ს ჩართვის ნიმუშიც გვაქვს: **ამეზლამ** მაქა ხართ? (იქვე, 385).

მეტათეზისი გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა შავშურში: **გერმელათ** ვილაპარიკეთ, ახლა **ჭვამოთ** (შავმ.403); მევპაროთ და **ჭვამოთო** (შავმ.456); ჭად ჩავსხემდი, **ჭვამოთ,** გერმელია (იქვე, 447); ვკლავთ და **ჭვუამთ** (იქვე, 417); ესკიდან მარილი უნიკავს **ზრუგით** (იქვე, 379); **ზრუგის** თერეფის პერანგი **ზრუქში** ჩანვილი იყო (იქვე, 368); აგზე მესხუს **ჭვამ** ქი (იქვე, 456); მე **ლესკები** არ ვიცი (იქვე, 383); **ვრა** წელნადი გახდა (იქვე, 367); აქ იმდენი **იღმერებენ** ქი, ვერ დანერავ (იქვე, 462).

სუბსტიტუცია. ბგერათმონაცვლეობა შავშურის გამოკვეთილი თავისებურებაა. მონაცვლეობს სხვადასხვა თანხმოვანი:

ძ/ზ (დეზაფრიკატიზაცია): ესაც ჩემი სიმამრის **ზმაა** (შავმ.448);

ჩვენი **ზევლია** (იქვე, 379); **უზოვნია, უზოვნია** და დანოლილა (იქვე, 386); გაღმა ფერში **ნაზვია** (იქვე,487); ამეზლამ **დევიზინოთ** ხელი ჩამოდებული (იქვე, 487); ერთი გოგო დევნახე, **ზუზუტალახიანი** (იქვე, 485); კარდალაზე უმი **ზე,** კიდონ ამუელ თაზე (იქვე, 496); ასკრები **დუუგზელებიან** ქი (იქვე, 503); ესრის და **ზმას** მოკლავს (იქვე, 502); **ბაზგირელი** ცხვარ აზუებს (იქვე, 501); **ყურზენი** ფენა მოდიოდა, **ზევლათ** ბევრს რგოვდენ (იქვე, 418); ჩემ დედას **ზალი** უნდა (იქვე, 535).

გვხვდება პირიქითაც: ესკიდან მარილი ბათუმიდან უზიდავთ **ძრუგით** (ბაზგ.); ორას მეტრში **სამძღუარია** (ჩვენებ.337).

ზოგჯერ პარალელური ფორმები ერთ წინადადებაშიც კი გვხვდება: არ **დაგვაძინეს,** არც მათ **დეზინეს** (უსტ.).

ჟ/ჯ: მანონი შევაყენე, ე რა **ჯავე** გამოდგა (შავმ.562); დათვი **ანჯავეფს** და ისე ჭამს (შავმ.442). ამ უკანასკნელ მაგალითში **მ/ნ** ბგერათა სუბსტიტუციაც გვაქვს.

მ/ნ: შავშეთში **მინავალი** კოთხეგია; აა! ვერ ევდა და **იმიტონ?** (შავმ.385).

ვ/ ნ: ზოგი **მახსონს** (უ.); **კიდენ** დადიან ესენი (ჩაქ.).

ნ/ ლ: დადგა **სული,** ბეთი **სული** (შავმ.).

ვ/ მ: ზაათინ ოცი წელინადი **გამლილიყო** (ჩვენებ.345).

მ/ ბ: **ბზე** ადგება და იმიზა **ბზათა** ქვია (შავმ.460)...

ძ/ზ მონაცვლეობა ჯერ კიდევ 1904 წელს მოგზაურობისას შენიშნა აკად. ნ. მარმა (მარი, 1911:47-48). შ. ძიძიგურმა ერთი მაგალითი დაადასტურა მესხურშიც (**ძალიან/ზალიან**). იმავე მოვლენას ინგილოურ კილოში ხუნძური ენის გავლენად მიიჩნევენ. „იმერხელშიც ვამჩნევთ ამ ტენდენციას, ოლონდ ძალზე მკრთალად, სპორადულად, რამდენადაც ეს ნ. მარის მასალებიდან ჩანს“ (ძიძიგური, 1970: 142).

პროფ. შ. ფუტკარაძე წერს: „იმერხველთა დღევანდელ მეტყველებაძე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა მკრთალად კი არა, ინგილოურის მსგავსად, სისტემად ქცეულა თურქული ენის გავლენით. თურქულს **ძ ბგერა** არა აქვს, იმერხელში **ძ** ბგერის გამოყენების ერთეული შემთხვევებიც კი აღარ დაიძებნება“ (ფუტკარაძე, 2008: 100).

ანალოგიურ მოვლენას სხვა სამხრულ კილოებშიც ვხვდებით, მაგრამ ძალიან საინტერესოა აჭარული დიალექტის მონაცემები. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აქ დაცულია ძველი ქართული ენის ლექსემა **ზროხაც და ზ-ს ნაცვლად d** გამოიყენება შემდეგ სიტყვებში: **საგძალი სიძმარი, დაძრახვა...** მასგავსი ფორმები დაძებნილია ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებიდან: სახარებიდან, არჩილიანიდან, დ. გურამიშვილის შემოქმედებიდან (ცინცაძე, ფალავა, 1998: 34-35).

ერთი და იგივე სახელი შავშურში ფონეტიკური ვარიანტებით გვხვდება: ხალაჲ იქ **მაჭახელ** გათხოვილი ყავდა (შავშ. 367); **მაჭახელის** და ბორჩხელებისა გავს (იქვე, 378); ემეჲ მოგვყავს **მაჭახელიდან** (იქვე, 417); ბათუმში **მაჭახელიდან** მოდიოდენ (იქვე, 417)...

შავშურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **უმლაუტი (ვი>უ; ვა>ო; ვე>ო)**. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: **ჩონ** ღმერთი ხელში ვართ, **ჩონ** ხელში არაფერი არ არი (შავშ. 456); ჩხოკობისან ახლა **ღმერთისთუნ**, **ბატონისთუნ** შეპირობია წასლიხან (იქვე, 407); **ქართველებისთუნ** ეს ადგილი წმინდა არი (იქვე, 406); ცაცხვის **ყოვილი** (იქვე); აკვან **ხოწვენ** (ბაზგ.)

შავშურის შესახებ კომპლექსურ გამოკვლევებში ვკითხულობთ: „უმლაუტი, ჩანს, მეტ-ნაკლები ინტენსივობით დამახასიათებელი იყო ქართული ენის უველა ქვესისტემისთვის, მაგრამ ქართულმა ვერ იგუა იგი, უფრო სწორად, უმლაუტი ქართული ენისთვის დარჩა გამოუყენებელ შესაძლებლობად“ (შავშ. 2014: 222).

პროფ. შ. ფუტყარაძის აზრით, „უმლაუტიანი ბგერების საწარმოთქმო საფუძველი იმერხველთა ენობრივ ცნობიერებაში ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული, სუსტია, ამიტომ, ხშირად უმლაუტების მაგივრად ისმის ჩვეულებრივი **ო** და **უ** ხმოვნები, რაც ორენოვანი იმერხველების თურქული კილოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია (ფუტყარაძე, 2008: 98).

მახვილი. შავშურში, ისევე როგორც სხვა კილოებში, შეინიშნება **ტონური მახვილი**, ოღონდ ის მილეულია, „ფართოდ გავრცელებული მოვლენის ნაშთს წარმოადგენს (ჩიქობავა, 1936: 42).

ტონური მახვილი ფიქსირებულია, ის სიტყვას მოუდის ბოლო-

დან მეორე მარცვალზე (როგავა, 1963: 8).

მოვიყვანთ ტონური მახვილის მაგალითებს შავშური კილოდან: ეს **კაკალია** (უ); ბევრი სალამი, **სალა**ში (სვირ.); დიობანში **იყა**ვით (ნიოლ.); მინის სახელი **ა**რი (ნიოლ.).

§2. მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. არსებითი სახელის ბრუნება.

შავშურ კილოში ბრუნვის ნიშნების ხმარებისას გამოიკვეთება შემდეგი თავისებურებანი:

მსაზღვრელად გამოყენებული ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში ხშირად გაუფორმებელია, ფუძის სახით გვხვდება: **ჩემ ბაბოჲ** ავა (შავშ. 459); **ჩემ ბაბოჲ** დეესახლა (ბაზგ.); **ჩემ პანაჲ გოგო** მებნევა (ბრ.).

მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ბრუნვის ნიშნის სრული, არქაული ვარიანტიც: **ძველებმან** იცოდნენ (იქვე); **დრომან** გედეარა (შავშ. 418). უფრო გავრცელებულია შედარებით გამარტივებული, ნ'-მოკვეცილი ვარიანტი – **მა**: მისმა **დედამა**, **მამამა** არ მოდიან სოფელში (იქვე); ეს ახლა მიმიტანა **ბაღანამა** (შავშ. 422); **დედმა** მასწავლა (იქვე)...

ზოგჯერ ერთ ნინადადებაში გვხვდება **-მან** და **-მა** ვარიანტები: **ბაჭალამან** და **ბაღანამ** მეინონა (შავშ. 419).

შავშურ კილოში ხშირად გამოიყენება სავრცობი ა-ც. სხვა სამხრულ კილოებში ამგვარი რამ არ დასტურდება.

მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების სხვა შემთხვევებია: ლელის წყალი **ჭაჯერამა** მივდა და გამოთხარა (შავშ. 389); შენ **ანამა** შემიტყვა (იქვე, 488); **მზემა** მამადგა, დამცხა (იქვე, 486); არც **კითხვამა** ვერ გააკეთა (იქვე, 503); ერთ **გოგომა** გეიარა, მამინ გამემეღვიდა (იქვე, 484); ზორით მისცა **ბაბომა** (იქვე, 469).

მიცემითი ბრუნვა: **ღმერთსა** ეწყინა (შავშ.); აქ ფუში არ უძღება **კაცსა** (იქვე); იმ კევრში შეაბემდი **ჭარებსა** (იქვე, 408); დლესაც კიდევ **სტუმრებსა** საჭმელ დუუდგმენ (იქვე, 413).

ნათესაობითი ბრუნვა: ერთი **წლისა** უკან ქირვას დააყენებენ (იქვე).

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას თვალში საცემია უკუმშველობა: წყალის, ქმარად, ცხვარის, მგელის, წყალები, მგელები, სომეხები, სომეხეთი...

შეკუმშული ფორმები არც თუ იშვიათია: სტუმრები, მუსლიმნები... იმი დუშმნებ მეეკლესნა (შავშ.503); ბინიერ ყაბლები ქონდა სამი (ჩვენებ. 207); დოხტრები არიან (შავშ.392); იქ დოხტრები ქი არ იყენენ (იქვე, 432); ყაბლი გულ მიართმიდენ (შავშ. 460); ვინცხა ნათქუამ ვერ ითხოვს, უეჯლო სიკდილია (იქვე, 490); იტყოდენ ქი პატრობაში (იქვე, 414)...

შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები შესაძლებელია ერთ ნინადადებაშიც შეგვხვდეს: ვთიბავ მანგალით, ახლანდელი მანგლები მაგრებია (შავშ.421).

ხმოვანფუძიანი, ე'ზე გათავებული ზოგი სახელი ებ'იან მრავლობით რიცხვში ორ ე'ს იჩენს, თუმცა ხშირია დისიმილირებული ფორმები: ბათუმიდან ნენეები გვყავს (შავშ.428); ჩვენი დედეები აჭარაიდან მოსულან (იქვე, 418); მაშინდელი ნენიების ხელში რომ იცოდენ, ია ნენიობა (იქვე, 371); ღმერთმა კაა დღეები მოქცეს (იქვე, 474).

ებ'იან მრავლობით რიცხვში ორ ე'ს იჩენს ა'ზე გათავებული ზოგი სახელიც: თეები, გზეები, ხოჯეები, ყანეები. ამით ისინი უტოლდებიან ე-ფუძიან სახელებს: დღეები, კილდეები.

ასიმილირებულ ფორმებთან ერთად გვხვდება დისიმილირებულიც: თხიები, ქვიები, თიები, ბახჩიები, ხოჯიები.

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: თიებში არ ეხველით? (შავშ.409); მამგვარი რაცხიები არ გიმიგონია (იქვე, 406); ჯელიდან ჯელზე ქვიები ამუტუტანიან (იქვე, 503); ქვიებს ყრის გარეთ (იქვე, 418); კიკვიები, პაპიები (იქვე, 463); ძმიები ყავს (იქვე, 462); აქა იქნება თხიები, ქიები ექნება (იქვე, 440); იგზე ქი ქვიებში გოლი ყოფილა (იქვე, 501); ხოჯიები კითხვა არ მიყვარს (იქვე, 442).

ყურადღებას იქცევს თანხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები: თამარა დოდოფლის ყორულის ძვლიები არიო (შავშ.503); ახლა წყლიები მიგვიყვანეს (იქვე, 432).

ზემოდასახელებულ სახელთა მსგავსად, ზოგჯერ თანხმოვანფუძიანი უკუმშველი სახელიც ხმოვანფუძიანად გაიაზრება და

ისე იბრუნება: კანჯასა აქ ათი-თორმეტი თანე თითიები (ჩვენებ. 203).

ა'სა და ე'ზე დაბოლოებული სახელები უკვეცელია, ისევე როგორც ო და უ ფუძიანები: ხოფადან ყაჩ ქილომეტრია ბათუმი? (შავშ.381); აჭარადან გადმუჟვლიან ამ სერებზე (შავშ.448); ძიით გაკეთდება (ჩვენებ. 344); წითელ მანქანათ მოვალ (შავშ. 530); დაკეპავ ეჩოთ (იქვე, 371); ხედავ, არ ამინყდება იქავრობა (ჩვენებ.339); მალაჯინევს, მაფეთიფს (იქვე, 341).

კუმშვად-კვეცადი სახელებია: ლახანა, ბახალა, ბალანა: ეს ჩემი ბაჯლის ქმარია (შავშ. 396).

მიცემითსა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად დაკარგული, თუმცა სურათი ერთგვაროვანი არაა და რაიმე კანონზომიერებაზე საუბარი ძნელია: ფევი(ს) მოსაბრუნებლათ რომ ჯმივდა, უთხრა ქალებ(ს) (შავშ.503); ჭახე ფესტილ(ს) გავაკეთებთ ტყიმალიდან (იქვე, 470)...

გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე წესის გამოვლენის შემთხვევებიც: თხას ვკლავთ, გელს, დათვ, ღორს (შავშ.501); აქ დავთესავთ სიმიინდ, ყართოფ, ლობიოს (იქვე, 465);

შავშურ კილოში დასტურდება ისა, ეგა/მეგა' ნაცვალსახელები, მრავლობითი გვაქვს: ესანი, ისენი: ესანიც თქვენები არიან? (შავშ. 366).

მეორე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელია მეგ: მეგ ბაჯალა სა მიქყავს, მეგენიო, გაგლახო (შავშ. 496).

სიტყვა თელი' ნიშნავს ყველას: თელი მოითხოვენ, მაატანიებენ (შავშ. 548).

ებ'იან მრავლობითი ზოგჯერ სახელიდან მთლიანი მარცვალის ამოვარდება: ნანნები ორი თანე თუა, ნანნავი- ერთი თანე (შავშ.456).

ხშირად გამოიყენება ნართანიანი მრავლობითიც: წაით ახლა, სხვანი ალაპარიკეთ (შავშ.367); ორნივე დემეხოცნენ (იქვე, 370).

საინტერესო ნაცვალსახელია ყველაჲინ: ნუსხა ჩეთინია, ყველაჲინ ვერ დანერს (შავშ.380)

2.2. ზმნა

პირისა და რიცხვის ნიშნები. გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარება, დასტურდება ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები: **მოჰკლავ, ხქონდა, შევხკონავთ.**

ხანმეტი ფორმებია: ჩალასაც **შევხკონავთ** (ბაზგ.); ახლა დობხორთან **მიხყავან** (შავშ.461); **მიხყება** დიობნამდე (შავშ.461); ხანდესან შეშას **ვხყრით** თავდალმა (იქვე, 461); მალე **მოხკვეთავს** (იქვე, 372); ხბო, კოტიკი, კურდღელსა შეილები **ხყოლიაო** (იქვე, 456).

ჰაემეტი ფორმებია: ფხალსაც **მოჰხარშავ, დაჰკეპავ** (ხობ.); **აჰნონავ** ერთ ემესა (ჩაქ.); ანჯახ გავთბით, **გაჰყინა, გაჰყინა** (შავშ.462); ახლა ვაჰაზირებ ქი, ზამთარში **დაჰწვავ** (იქვე, 461); **აჰნონავ** ერთ ემესა (იქვე, 440); რამდენი მეტრო გუუვლია, რა იჯება? (იქვე, 436); ახლაც **ვჰჭამთ** (იქვე, 436); იგზე **დაჰკვლენ** იშტა (იქვე, 433); **დაგჰწყევლო** თქვენ? (იქვე, 456).

სანნარევი ფორმა ცოტაა: არ **სწყევლო** არვის (იფხ.); ხახვ **ჩავსჭრით** ხალში (შავშ.432).

საინტერესოა, რომ **ხ'** და **ჰ'** პირის ნიშნები თითქმის ყველგან გამოიყენება სუბიექტური პირველი პირის ნიშანთან: **ვჰჭამთ, შევხკონავთ, ვხყრით.**

ხშირად ზმნაში ზედმეტია პირის ნიშანი: **სწყდება, სჩანდა, მიჰსცემდი, მოჰსწველდი...**

მყავს ზმნაში არ არის **ს: მყავ** დედაბერიც მყავ აგზე (უსტ.); აქ ერთი მეზობელი **მყავ** (მან.).

დასტურდება უნიშნო ფორმებიც: **ქვია, ქონდა, გავს:** მაჭებლელის და ბორჩხელებისა **გავს** (შავშ.378); ტელეფონი რამე არ **ქონდენ** იქა (იქვე, 399); ერთი ორითმენი **ეხლენ** (იქვე, 373); იმას **ქვია** იულარი, თოკვი (ჩვენებ.343); **მოქონდენ** ჩასაცმელი (შავშ. 401).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში **ან'** სუფიქსი ცვლის **ენ'**: **მიდევან** გოგოს ნათესავები (სვირ.); გაღმა სერში გელები, მომდევან ზერები (შავშ.485).

სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში **ენ'** სუფიქსი ნორმაა: ამას რას **უზემდენ?** (შავშ.460); მეზერ **დეანახევდენ** კდრისას (იქვე, 432).

ამავე პირში **ნენ'** სუფიქსიც საკმაოდ ხშირად გვხვდება: ერთი თუთა **გაქჩნენ** (ხევნ.); **მოკდნენ**, დეხოცნენ (შავშ. 381); შოთა და არჩილი ემეში **იყვნენ** (იქვე, 381); ერთ თვეს **დადგნენ** (იქვე, 452); იმასთან **დადგნენ** (იქვე, 451); ორნივე **დემეხოცნენ** (შავშ. 373); ველარ **დადგნენ** (იქვე, 374); ძველები **დეხოცნენ**, ახლებმა არ იციან (იქვე, 432)...

ენ//ან სუფიქსებით გადმოიცემა რეალური სუბიექტის მრავლობითობა: კანსერი იყიდა **გეცოდინებთან** (შავშ.369); არაბანი **მეგეშალენ?** (იქვე, 419); ამათ **ესმიან** (მან.).

უნდა' ზმნასთან **თ'** სუფიქსის ნაცვლად ორმაგი სუფიქსი გვაქვს: თქვენ გურჯი მღერა **გინდანან?** (შავშ.423); გურჯიჯა ლაპარაკი **უნდანან-**და (იქვე, 458); ბევრი რაცხა **უნდანან** (ჩაქ.)...

ზმნისნინი. შავშურში თვალში საცემია ზმნისნინთა მონაცვლეობა: **გა// შე, გა//მო, გა//და**

გა/ შე: თავის ქერქშია, ბევრი არ'ნა **გაანუხო** (შავშ. 384).

გა' ზმნისნინი ცვლის **მო'** ან **და'** ზმნისნინებს: რამე ვერ **გააფერენ** (ჩვენებ.361); პანახან **გეისუნებენ** (იქვე, 334).

მა //მო შე//შა ზმნისნინთა მონაცვლეობას ფონეტიკური საფუძველი აქვს: ახლანდელს შენ ვერ **მაატყვილეფ** (ხევნ.); სოკო ბილა **მააქვან** (ბაზგ.); ხეს **მაახტები** (ნეთ.); **მამპარეს** ძალლი (ჩაქ.); **გამამიყვანა** წყალი (ხევნ.); ქალები **წამაასხეს** (შავშ. 393); ფშნილაჲ, მარილი **მააქვან** (იქვე, 379); რაცფერა თაფლი **მააქდენ**, სხალი (იქვე, 405); სასმელი წყალი ყამას **მაადენს?** (იქვე, 389); არავინ არ **მაადულონო** (იქვე, 501); ხეს **მაახტები**, ახვალ (იქვე, 461); საბელ **შამაავლებდენ** (შავშ.460); ხალაჲ **შააკოჭიებდა** (იქვე, 460)...

მეტად საინტერესოა **წადის'** ზმნის გამოყენება, რომელიც მრავალგზისობის გაგებას იძლევა: მეც **წავდივარ** (ზაქ.); ქალაქებში ვერ **წადიოდენ** (ჩიხ.); სიძე **წადის** და მოდის (მან.); გენჯები **წადიან**, არ ჩერდებიან (შავშ. 383).

არქაული ფორმაა **დავა** (დავალს, დადის): ძალი საქმეზე **დავა** (შავშ.367).

შავშურ დიალექტში კარგად ჩანს ზმნისნინის ფუნქციებიც. გამოვლინდა რამდენიმე ნიმუში ინხოტივის, მოქმედების დანყეობითობისა: ჭვირთი **უუმძიმდაო** ცხენს (შავშ. 376); **ეგეფხანება**, მე-

მრე გიგიარს (იქვე, 410); შოფერმა მითხრა ქი, არ **აამძიმოს** იმფოვო (იქვე, 502); თვეები **აჩივლებულან** (იქვე, 445); **ანვიმდეს' ნა** და აქ'ნა დავრჩე (იქვე, 388).

იშვიათად ინტენსივობაც გამოიხატება: იმან ქალა **დათიბა** (იქვე, 388).

ზოგჯერ **მიჩნევის ვნებითი** დაჩნდება: ცოტა გაგნებისან **გვეჩეთინება** (შავშ.408).

თემის ნიშნები. შავშურ დიალექტში ძირითადად **ევ', -ემ'** თემისნიშნის ნარმოებაა გავრცელებული: სიმინდ **ფქვევდა** (ჩაქ.); **სძინევდა** ოდაში (ბაზგ.); ისიც ასე **სწერევდა** (მაჩხ.); ურიასაკლავიდამ ბაზგირეთ ტბაში წყალ **სვემდა** (შავშ.501); სიმღერას **გამოუთქვემდენ** იმა (იქვე, 433); წყლით **ბრუნევდა** (იქვე, 432); სიმინდ **ფქვევდა** წკრიალო და ფქვილი ხდებოდა (იქვე, 432); ტყეებიდამ შიშას **ზიდვენ** (იქვე, 460); ძველათ **ვთესევდით** ქერ და ხორბალ (შავშ.465); ისიც ასე **სწერევდა** (იქვე, 452).

ვიდმიდიანი ფორმა იშვიათია: ხბოსთვინაც **შეინახვიდა** (შავშ.457).

-ავ' და **-ამ'** თემისნიშნის ზმნებს თემისნიშნისეული ხმოვანი ეკუმშებათ, რაც ძველი ქართულის გადმონაშთია: რეცა თუ ჟამსა **ნირვენ** (ლიმ. 106, 26); რომელნი **შესწირვენ** წმიდასა შესწირავსა (ბოლნ. 115, 38); განრისხებულ არიან ღმერთნი და **ძრვენ** ქუეყანასა (ისტ. ქრ. II. 63, 27).

მოვიყვანთ მსგავს მაგალითებს შავშური დიალექტიდან: საჭმელ **დუუდგმენ**, ჭამენ (შავშ. 410); **ჩაის სმენ** (იქვე, 423); მერე მოვტანთ და **მივართუმთ** ჩომას (იქვე, 449).

შავშურში **ავ'** თემის ნიშანი დაერთვის ფუძედრეკად ზმნებსაც: **ზილავს, დახრისავთ**, ამათ გვერდით იშვიათად გვაქვს სწორი ფორმებიც: მაიას ვურთობთ, **მოვზელთ** (შავშ. 367).

თემის ნიშანთა უნიფიკაცია. **-ავ'** თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან და **ი', ავ', ებ'** თემისნიშნის და ფუძედრეკად ზმნებსაც: მოვკრეფავ, დავხრესავ: **დანერავ** სხუაზე შვილსა (ჩვენებ. 200); რეჩელი **ავადუდავთ** (ჩვენებ. 314); ბელელ **გააკეთავ** (იქვე, 322).

ზოგჯერ თემის ნიშანი დაკარგულია: იმას უკან დაჟდები და **მანოვ** (შავშ.371); გზაში ჭიბონ **უკრენ** (იქვე, 401).

რეცხვა' ზმნა შემონახულია არქაული ფორმით, რედუცირებული ფუძით: სიმინდ **ვრცხი** (შავშ.393).

შავშურ დიალექტში დასტურდება **თემის ნიშანთა მონაცვლეობაც**:

ავ/ებ: იმას **შეკაზმებენ**, მეიყვანენ, დააჟდუმლებენ (შავშ.503); ყაურმას ამდენ-ამდენს **დააბრანებ** (იქვე, 384); ზოგი **თესებენ** პურსა (ჩვენებ. 322); თუ ჩუენ შემიტყვეს, **მომკლებენ** (იქვე, 329).

ი/ებ: მე **დამაბრალიდენ** ამა **დააბრალედენ**, ამა (შავშ.435).

ებ/ობ: **ნაავლებს/ ნაავლობს, აანთებს/ აანთობს, ასწრებს/ ასწრობს; დაბლავუნოფ,** გიყურეფ, ველარ მოხვალ ჭკვაში (შავშ. 393); ტარზე ხელს მოკიდეფ, **გაარნოფ** (იქვე, 377); მუა და **მოკაკანობს** (იქვე, 489); ვერ **ასწრობს** ზამთარ (იქვე, 367).

ამ/ ავ (მიართვავს, ურტყავს): ზოგ **მივართვავთ** საქონელ (შავშ. 384).

მეტად საინტერესოა **ავ/ ევ** მონაცვლეობა: ლობიო არგვენ, ჰამა მე არ ვარგევ (შავშ.468).

გვარი. შავშურში უხვადაა პრეფიქსული ვნებითი გვარის ფორმები: წყალსიმერში **გვეთხვე** (ნეთ.); გამიეთხვა აქა, კაცი მუუკდა, ხამდა **გვეთხვა** (შავშ.442); ვინცხას **მეემშევა**, ჭამოს (ჩაქ.); ჩემ ბაბოა **დეესახლა** (ბ.); **გეეჩქარე**, ცქვიტაე წადი (ნიოლ.); რაც **გვეთხვებით**, არ გვიმღერია (შავშ. 382); ზარმელი მევიდა, **მეგემშევიან** (იქვე, 397); ...გავგორდი, **დემეძინა** (იქვე, 526); მზე და მთვარე **მეგვენწყინა** (იქვე, 514)...

ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოებაც არქაულია: გახრეტილ გოფში **გეანურვის** (შავშ.379); უშვილოს შვილი **ეყოლვის** (იქვე, 418); ბიჭის მაყარიც **დეიპანტვის** (ჩვენებ.335).

ზოგი ზმნა ხოლმეობითის გაგებას იძლევა: არ **ჭამიან ჭადი**, პურ ჭამენ (შავშ.376).

შავშურში საარვისო ქცევის ფორმაში სასხვისო ქცევის ნიშნები გვაქვს: ჩვენ მამამთილთან არ **დუუმღერებდით** (შავშ. 396); კილდი თავზე დაჟდებოდით და **გუუბანებდით** (იქვე, 375).

ამგვარი ფორმები შემორჩენილია აჭარულ დიალექტშიც: **გუ-დუუხტა, გუუნვა...**

წყვეტილის მწკრივში ხშირია ზმნები, რომელთან ნართაული ი'

არ დაერთვის: ქი ყიშლაში ვიყავთ (შავშ. 367). ზოგჯერ პირიქითაცაა: ერთ კვირე უკან მოსულიყავით, კაჲ იყო (შავშ.411).

დასტურდება ევი დაბოლებიანი წყვეტილის და ბრძანებითის ფორმები: ჩემი დევნახევი (ხევწ.) დავანთევით ცეცხლიო (ნიოლ.); დიმიგევით ლოგინი (მაჩხ.); საქმე გააგდევით (ივ.).

თავისებურია I თურმეობითის ფორმათა წარმოება: თ' სუფიქსის ნაცვლად მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა აქ ან' სუფიქსით გამოიხატება: გურჯიჯა ატყვებენ, ვერ დუულაპარიკნიან (შავშ.442); ლარჭებიც არსად წიმისხმიან (იქვე, 376); სობაზე გუუთბიან, ცეცხლი დუუნთიან (იქვე, 448).

თურმეობითის მწკრივში ავ თემისნიშნიან ზმებში თემის ნიშანი ძირითადად შემონახულია: თხილი ვერ გუუყიდავან (შავშ.449); ესკი ფხებით უტენავან (იქვე, 379); მეგენი ზათი დიგინერავან (იქვე, 396).

ზოგჯერ ავ' თემის ნიშნისგან ოდენ თანხმოვანია შემონახული: მოსულან, დუუხედვან (შავშ.408).

ამ თემისნიშნიან ზმნათათვის ნიშანდობლივია დუუდგმან' ტიპის ფორმები. ზოგჯერ პარალელური წარმოებაც გვხვდება: გუუმურვან, ცეცხლი მუუცემიან და გუუმურიან (შავშ.433).

ამგვარ ფორმებს ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთსა და იმავე წინადადებაშიც ვხვდებით: გადმოსულან, დუუკლავან, გურჯებ შუუნახვან, ახორში დუუმალავან (შავშ.461).

ერთპირიან ზმნათა პირველ თურმეობითში, აღწერით ფორმებში სახელადი ნაწილი არის მიმღეობა: ძველათ გუუკეთებიან, დარჩომილა (შავშ.440); დარჩომილან იშტე სოფლებში (იქვე, 462); ჰაიდან დავმრჩალვართ აქა (იქვე, 448).

შუალობითი კონტაქტის -ინ' და -ევიწ' მანარმოებლები თითქმის არ გვხვდება: თელი მეითხოვენ, მათანიებენ (შავშ.548); გელ'და დავალექიო შენი თავი (იქვე, 512); ქალი გააბანიო და ისე'ნა მაანოვიო (იქვე, 370).

ავ' თემის ნიშანი შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც გვხვდება: მემრე ფინჯან გაატეხიავს (იქვე, 321); შიშის კოვზ გაატეხიავს (იქვე, 321); ცომ გამუარევიავს (იქვე, 321).

მეტად თავისებურია გავლა' ზმნის უღლება: გევვარე, გამევ-

ვარე, ზემოდან ჩამევვარე; ვერ ვიპუე შენთანაჲ ე დუნია მევევარე (შავშ.487); ყალედან ჩამევიარე, შენ კარზე გამევიარე (იქვე, 532); ქომო გამევიარე (იქვე, 386); ძველი არ ვიცი, ძველმა გეარა (იქვე, 383); ახლა ჩეარა ქი (იქვე, 367); ბაძვირეთიდან ჩეიარდენ ბათუმ (იქვე, 379); ამ სახში გეარეთ (იქვე, 366); აქ რომ გადმოედი, გამევცვალე (იქვე, 367).

2.3. სახელზმნა.

საწყისი. ხშირია საწყისის ფორმები, რომლებშიც ნ არის ჩართული: ხარების ჭედნა იყო მაისში (შავშ.426); ძონაზე მყავდა და დეჲკარგა ძროხა (შავშ.468).

სიკვდილის პარალელურია მოკდენა, მოკდომა: ბელქიდა მოკდენამდე ჩებიან? (უ); ლუყმან ექიმს მოკდომა ემეჲ უქნია (უ.).

ჭიდაობის ნაცვლად ჭედნა გვაქვს, დაჭერის მაგივრად - დაჭერვა, მარხვის ნაცვლად - მარხულობა: ხარების ჭედნან იყო მაისში (ივ.); უკნედან აინალს დაჭერვა უნდა (უ.); ვერ დეეჭირე მარხულობა (ხევწ.).

შავშურ კილოში ამ თავისებურებათა გარდა, დაცულია არქაიზმებიც: გამოიყენება ომ' სუფიქსიანი საწყისები: დარჩომა, მოკდომა და ა.შ.

მიმღეობა. შავშურში ბევრია მიმღეობის თავისებური და არქაული ფორმა. არქაიზმებია პრეფისული წარმოების და მ-ე, მე-ე, მო-ე აფიქსებიანი მიმღეობები: მოლოცავი' ნა იყო (შავშ.373); ჩვენი გამგნე იყო (იქვე, 379); გურჯიცნა იყოს გამჭრე (უ.); ჩვენი გენჯები არ არიან მოლოცავე, მოკითხავე (მან.); ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან, მოზდებსაც (მან.).

თავისებურია მ-არ, მ-არე აფიქსებიანი ფორმებიც: მშობიარი ქალი შემოვა (წეთ.); ცხელი წყალი ამოდის, მდუღვარე (ჩაქ.).

ბევრია პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ფორმაც: მოშიშარი ვარ (მაჩხ.); მევრი მსაქმებელი დაჰა ბევრ იღებენ ჩაქ.); წარმოების ჯენევიზების სამცხოვრო არი (იქვე, 403); რომ გაჰხდიან, სახმარო კასრს გააკეთებენ (ჩაქ.); გახედა, რომ სხვა ქალების ნათქვამურაჲ არ იყო, იამა (იქვე, 503).

უფრო თავისებურია აორისტის ფუძისგან ნაწარმოები სუფიქსური მიმღებობები. აქ მოსალოდნელი ებ თემის ნიშანი არ გვხვდება: **დავინყებულის** ნაცვლად გვაქვს **დავინყნული**, **ადულეზულის** მაგივრად – **ადულული**, **გაცინებულის** ნაცვლად კი – **გაცინული**:

ზოგი სიტყვები **დავინყნული** გვაქ (შავშ. 379); ჩაასხამ **ადულული** **წყალს** (იქვე, 369); საქმიდან მოხვალ **მოღალული** (იქვე, 371); **გაცინული** გამოიდა (შავშ. 426); ასე ხელში **დაჭირული** რა'ნა ისაქმოო (იქვე, 377).

მ-არ კონფიქსიანი მიმღებობების ნაცვლად **-ილ** სუფიქსიანი გვაქვს: პერანგი ზედ **ჩანვილიყო** (შავშ. 368).

იშვიათად დაკარგულია **ებ** თემისნიშნისეული თანხმოვანი: **გათხვეული** არ ვიყავ (იქვე, 437).

აქვე გვხვდება ზემოაჭარულისთვის დამახასიათებელი ორმაგი წარმოების უარყოფითი მიმღებობებიც: **უმუსლეღია**, კვახეა (შავშ. 449); მზის **უდუუნახველი** ვახმოფთ (მან.); **უგოვლეღი** რომ იქნება, იმა აჭმევენ (ჩაქ.).

ავადეღლი არქაული ფორმა ჩანს, რადგან **ეულ** სუფიქსიანი მიმღებობები (**სირცხვილეღი**, **ნეტრეღი**, **რისხვეღი..**) გვხვდებოდა ძველ ქართულში: მე **ავადეღლი** ვარ (იქვე, 394).

გამგნე მ-ე კონფიქსიანი ფორმაა. **დავინყნულ** ფორმა იმითაა საინტერესო, რომ მასში კარგად ჩანს შესაბამისი საწყისი – **დავინყნა**; **მოღალული**ც არქაული ფორმაა და ურედუქციო ფუძისგანაა ნაწარმოები, თანაც დღეს ის **-ილ** სუფიქსიანია; **სამცხოვრო** **საცხოვრებელს**, **საცხოვრისს** ნიშნავს; **მოლოცავი** პრეფიქსული წარმოების ფორმაა, **მოლოცვეღია**. **უგოვლეღი** დავრდომილი ავადმყოფია, რომელსაც ვავლა არ შეუძლია. ამ ფორმაში ფონეტიკური ცვლილებებია მომხდარი (**უგაუვლეღი**).

2.4. უდეტრები

თავდაპირველად განვიხილოთ **თანდებული**. საინტერესოა ვით თანდებულის ფონეტიკური სახესხვაობები. **იგი** გვხვდება **ვეთ/ვეფ/ვენ ვარიანტებით**: **შეშასავეთ** დადიან (შავშ. 383); **წურილ-წურიღია**, **ლობიოსავეთ** (იქვე, 400); ჩვენ ცოტა არ ვიცით, თქვენსა-

ვეთ (იქვე, 379); დედებმაც **ჩვენსავენ** იცოდენ (იქვე, 436); ახლებ ცოტა ვერ დუულაპარიკნიან **ჩვენსავებ** (იქვე, 423); **ცხვარსავეფ** იქ ნეველენ (იქვე, 449).

დასტურდება **-დამ** თანდებული: ეს **დაბიღამ** არი (შავშ. 397); მეყვანებენ ყვავილ **ქვეშეღამ** დოდოფალ (იქვე, 403); ესენი **თქვენიღამ** გადმოსულიყვენ (იქვე, 424); **შორეღამ** წუ მიყურეფ (იქვე, 535); **მაქეღამ** გოგო დუუქორნილებიან (იქვე, 503).

კენ თანდებული შესაძლებელია შეგვხვდეს ბოლომოკვეცილიც: **ხოხლევისკე** ასე წავალთ (შავშ. 461).

თან თანდებულის წინ იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი: მე ქი **უმიანათან** ვარ (შავშ. 388).

თვის თანდებული **თინ** ფორმითაა წარმოდგენილი: თელგან წავა **ჩიჩეგისთინ** (შავშ. 372).

აქვე გვხვდება **იზა (იზღა)** თანდებულიანი ფორმები, რომლებიც ახასიათებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებს: იმიზა ბზათა ქვია (ნეთ.); **ტელეფონებიზა** ამოვეღით (ბაზგ.).

თანდებული **უკან** გამოიყენება **წინას** და შემდგომის მნიშვნელობითაც: **იმას უკან** რუსებმა ნელნელა წამოციმციმდენ (მან.); ერთი კვირე უკან მოსულიყავი, კაჲ იყო (უ.).

მეტად საინტერესოა **წანილაკი**. შავშურ კილოში დასტურდება კითვითი **ა' წანილაკი**: ნაკითხი **იქნებია?** (შავშ. 367); შენ **დეღლაპარიკეა**, გეგვე, ერთი უცხო, აბა? (იქვე, 456).

შავშურში **ქი** გვხვდება კი'ს ფუნქციით: ჩომა **ქი** არ მყავს? (შავშ. 369); აგზე **ქი** იყო (იქვე, 368); წამლათ ისე იტყვიან **ქი** (იქვე, 372); არაბა **ქი** დგება აქა (იქვე, 395); ბევრი ლაპარაკი იცოდეს **ქი** (იქვე, 403); უთხრა ჩემ ბაბოს **ქი** (შავშ. 368); ბევრმა **ქი** გემო მისცეს (შავშ. 433).

უნდა ზმნა წანილაკის მნიშვნელობით გამოყენებისას შავშურში გვაძლევს **ნა//და** ვარიანტებს, რომლებიც ერთ წინადადებაშიც კი გვერდიგვერდ გამოიყენება: გუდუურიო'ნა, გუდუურიო'და, დაკეპავ ეჩოთ (ბაზგ.).

საკუთრივ მაჭახლურის თავისებურებად მიიჩნევა ე წანილაკის გამოყენება როგორც კითხვით, ისე სხვა სახის წინადადებებში: ვინ-ე? მას-ე? ჩვენ-ე მაჭახელი ვართ; იმას-ე? ჩვენ-ე? „ეს თავისე-

ბურება ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს მაჭახელის მეტყველებისთვის. ქედ-ქედი: თქვენ გცხელან-ე? რა-ე გო? ვინ თქვა? ყვითლები დაანყეთ ლამაზათ-ე“(ბარამიძე, 2016:13).

ზმნიზედა. შავშურში ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი სახელი კარგი სახელობითი ბრუნვის ფორმით: **კარქი/კაჲ ვარ** (კარგად ვარ).

მაჭახელში **ბევრი** ჯერობის ზმნიზედად გამოიყენება **ბევრჯერ-რ'ს** ნიშნავს: ელჩათ ბევრი არ მოსულან, ერთი-ორჯერ თავისი ბაბოჲ (შავშ.).

მიზეზის ზმნიზედად **რატომ'** კითხვის ნაცვლად ხშირად გამოიყენება **რა'** ნაცვალსახელი, რომელსაც დაერთვის **ზე** თანდებული: რაზე ვერ'ნა გააკეთოს? (ჩაქ.); რაზე წერავთ? (ბაზგ.)

საინტერესო ფორმებია **თავითალაჲ და ჩემთანალაჲ: თავეთ** იცის იმან, **თავითალაჲ** შევა შით (შავშ. 372); მე **ჩემთანალაჲ** წამუელ (იქვე, 373).

§3. სინტაქსური თავისებურებანი

ჩვენებურების ქართული ყურადღებას იქცევს როგორც უკავშირო, ისე კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით. შავშური მათ შორის ყველაზე საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის. საკითხი შეისწავლა რ. ჭიკაძემ და გამოიკვლია საკავშირებელ სიტყვათა ხვედრითი წილიც: **რომ/ რომე - 70%, ქი- 20 %, თუ- 8 %, სხვადასხვა- 2 %.**

მკვლევარი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს სპეციფიკურ სინტაქსურ კონსტრუქციაზე, სადაც **მაქვემდებარებელი კავშირი ქი** გადადის მთავარ წინადადებაში. ის იტვირთება დადასტურებით-მტკიცებითი ნაწილაკის ფუნქციითაც და წინადადებას აძლევს სპეციფიკურ რიტმულ-მელოდიკურ ელფერს: **ვუთხარი ქი**, იმათაც ვასწავლიო (ჩვენებ. 335); **შეხედა ქი**, ფერხულობენ (იქვე, 86) (ჭიკაძე, 2015:84-86).

შავშურის გამოკვეთილი თავისებურებაა **იცის** შემასმენელთან ქვემდებარის სახელობითში ჩასმა: **ხოჯა იცის** გურჯული (ა.);

თელი **სოფელი** თურქჩა არ **იცის** (მაჩხ.); აქ **სხუანები** არ იციან (ჩვენებ.345).

ზოგჯერ გვხვდება სწორი კონსტრუქციაც: **ვინცხამაც** იციან, იღებენ (შავშ. 370); ემე დაწერენ, **ხოჯებმა იციან** (შავშ. 379); **ხოჯებმა იციან** (იქვე, 378).

შავშურისათვის, როგორც სხვა სამხრული კილოებისთვის, დამახასიათებელია გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში დგომა: ახლანდელბმა რომ მოდიან აქა, ისვენ **წადიან** (შავშ. ხვენ.); **მამამა** არ მოდიან სოფელში (იქვე, 384); მოიდა **ერთ ქალმა** (იქვე, 459); გუშინა **ბიჭებმა ლევდენ** (იქვე, 376); ერთ **დოხტურმა მიხთა** (იქვე, 414); წევდა **მაგან** (იქვე, 368); ჩემ **ბაჭლებმა** გურჯიჯა **იგნებენ** და ვერ **ილაპარაკებენ** (იქვე, 410); სარფის კარი რომ გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა (ჩვენებ.342).

პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება ხშირად სახელობითშია: **ჩაი ვადულებთ** (უ.); **ზოგი** მოხარმაჲ (ზ.); **ბახშიში მიცემენ** (შავშ.418); არ ყოფნილობენ **ბალახი** (იქვე, 422).

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას იკვეთება შემდეგი თავისებურებანი: თითქმის არ გვხვდება **სრული** და **გარდამავალი სახეობები**, უპირატესობა ენიჭება **შეკვეცილ სახეობას**, როდესაც სახელობითის, მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია (ნორმები, 1970: 132).

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ფუძის სახითაა საზღვრულთან შეწყობილი მოთხრობით, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში. შემთხვევა, როცა მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშანს, იშვიათია: **ჩემი დედე** აღარ მყავს (შავშ.383).

მოთხრობით ბრუნვაში მსაზღვრელი ხშირად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ვინ მოქსვა? **ჩემ ხელმა** (შავშ. 375); **ჩვენ ჩობნებმა** დემიძახეს (ჩაქ.); **ერთ გოგომა** გეარა, მაშინ გამომეღვიძა (იქვე, 484); **ძველ ინსნებმა** იცოდენ ბათუმი (იქვე, 401); ემჯამი **ერთ დოხტურმა** მიხთა (იქვე, 414); **ჩემ ლარჭმა** თქვა (იქვე, 470); **ჩემ ძალმა** მისცა ბაჭალას ჩამაშურ მაშინა (იქვე, 470); **ჩემ სიძემ** მოძებნა (მაჩხ.).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება მსაზღვრელთა-ნაც და საზღვრულთანაც: ემეა ყავს **ჩემ დიდ ბიჭ** (შავშ. 370); **ჩემ შილსა** ბაჭლები ყავან (იქვე, 452).

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში მსაზღვრელი ხშირად ფუძის სახით გვხვდება: ამისი ანაჲ **ჩემ შილის** ბაჭალაა, თორუნი (შავშ.452); **ორ ბაჭლიდან** სამი თორუნი მყავს (იქვე, 410).

§4. ლექსიკური თავისებურებანი

4.1. შავშური დიალექტის თავისებურებას ქმნის შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **თავდიდი** (უფროსი); **გამთელეზა** (ძვ. გამოჯანმრთლება); **ქორი** (ძვ. სახლის ზედა სართული); **პაშტაჲ** (ძვ. ცოტა).

თუალნაჭირავი მყავს თეთრაკეთ (ჩვენებ.227); იმან **თვალნაჭირი** დეანახა (შავშ.503); **კროჭში** აღარ დარჩენილა (ჩვენებ. 232); **პაშტაჲ** მეჲვა მოიდა წრეულ (იქვე, 204); ქართველი ან ბლაცყია, ან **მოჭირებული**, ხიზანია (შავშ. 410); არ აქ, არა სიმინდ **კოტორი** (იქვე, 409); **კინი** ამოვარდა (იქვე, 390); ექვს თვეს აქ **ვცოცხლობ** (იქვე, 436); დგნალი- ხე **ფურცლიანი** (იქვე, 470); ერთი წევეჲ, ძროხა **ავაძრო**, ახორშია (იქვე, 386).

კოტორი ტაროს ნიშნავს, **კროჭი** რძის პროდუქტების შესანახი კასრია, **კინი** - კისერი, ფურცელი აქ ფოთოლს ნიშნავს (ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში); **აძრობა** კი - გაშვებას (ამ უკანასკნელ ლექსემებთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998).

მ. ბარამიძემ შეისწავლა შავშური კილოს ლექსიკური თავისებურებანი და გამოყო სამცხურ-ჯავახური სიტყვები, ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასტურდება ძველი და საშუალო ქართულის წერილობითს ძეგლებში: **წვე** (ძალიან); **გადალაბიჯება**; **ნაჩარი** (ცუდი); **ჭოჭე** (ჭაობი); **რჩოლა** (რქენა); **იმფოსერთი** (განსაკუთრებით); **ხორომი** (თივის ბულული); **დახსენება** (ცუდად მოხსენიება; ძვირის თქმა); **ანევა** (დაკრძალვა); **გაკეთება** (გალამაზება (გასუქება); **ცოცხლება** (ცხოვრება); **ღორი** (დადებითი კო-

ნოტაციით გამოიყენება და ნიშნავს მოხერხებულს, ძლიერს, კარგ მოლაპარაკეს); **ღარჭი** (ვაჟიშვილი); **ბაჭალა** (გოგო) (დანვრილებით იხ. შავშ. 20-14: 283-288).

მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გამოვლენილია შემდეგი თავისებური ლექსემები: **დიდვანები** (უფროსები), **დაშენება** (დამკვიდრება), მოკითვა (შელოცვა), **ყველიდედა** (კვეთი), **შინი** (საკუთარი კერა, ოჯახი) (იხ. ბარამიძე, 2016).

შავშური დიალექტის, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა ქართული დიალექტების ერთ-ერთი თავისებურებაა თურქიზმების პოვნიერება. სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღებას აქცევენ თურქული ლექსიკის პრაქტიკული გამოყენების რამდენიმე შემთხვევას: 1) სიტყვის ძირი თურქულია, ხოლო მრავლობითის მანარმოებელი ან თანდებული – ქართული, მაგალითად: **ინსნები, არაბაში, დულუნში, მექთეფში, დოხტურები** და ა.შ.

2) გვაქვს შემთხვევები, როცა თურქული ლექსიკა მოცემულია თურქული ძირით და თურქული მანარმოებლებით: ხალხი აქ მევეყრებით, ქორნილებსა, ნადებსა აქ გავაკეთავთ, **გენელლუქლა**, აინი თურქჩეს გუუტოლო **გენელლუქლა** აქ მევეყრებით, ზაფხულში აქ ვისამებთ, აქ ვიქნებით, **ბოსტნებს გავაკეთავთ**; ჩემი სიმაღლე **ბირ სექსან ბოინდე, ერთი მეტრო, სექსან სანტუმ**(180 სანტიმეტრიანი ტანის).

3) შავშელები ქართული მეტყველებისას ხშირად იყენებენ თურქულ ლექსიკას: **გურჯიჯა, თურქჩა: თურქჩაც** იციან და **გურჯიჯაც**“, „**გურჯუჯაზე** არ ვილაპარაკებდით, სულ **თურქჩაზე** ვიმღერებდით“; ოქულეფში **გურჯიჯა** დერსი იყოს, კაჲ იქნება, „**გურჯიჯა** არ იჯებნებაო“.

ცალკე თემაა ქართულის გავლენით თურქული სიტყვის ბგერწერის შეცვლა: **არხათაში** (თ. Arkadaş) -არხატაში, **ოღრეთმენი** (öğretmen); **ყოლაჲ** (Kolay) (ადვილი), **ყაჩ** (kaç) (რამდენი), **ყალე** (kale) (ციხე) (ჩოხარაძე, 2009: 65-69).

4.2. **ხატოვანი სიტყვა-თქმანი**. შავშურ დიალექტში უხვადაა ფრაზეოლოგიზმიც. სიკვდილის სემანტიკის გამოხატველ ფრაზეოლოგიზმებში მარკირებულია სიკვდილის მიზეზი, რელიგიუ-

რი წარმოდგენები, გვხვდება დისფემიზმებიც: ალარც ანაჲ მყავს, ალარც ბაბოჲ, ჩემი დერდი წელო (შავშ. 374); თავის ქერქები, ხაპერის ქერქები, ყრია პანაჲ, მოკდნენ, დეხოცნენ (შავშ.381); ზათი ანაჲ მოკდა, ანაჲ მინაში თავი ჩაყო (იქვე, 368); წყალში მოყლარ-ჭულაო - იტყვიან; ლოგინში რომ მოკდება- მოკდაო (იქვე, 373); ყაზა ქნილა - მოკდა; გაცდა - ფინთია ასე ნათქვამი.

მომაკვდავზე შავშელები იტყვიან, ჯან აძლევს, ვიტყვით, სულის ეზიეთშიაო (შავშ.373).

გვხვდება დისფემისტური ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც დომინირებს კონცეპტები: მოსკოველი, რუსი, კათოლიკე. მათ შავშელები უარყოფითი კონოტაციით იყენებენ: შე გამოვსილო, შე მოსკოველო, შე რუსო! (შავშ.479); შენ კათოლიკის შვილო (იქვე, 458).

საინტერესო ფრაზეოლოგიზმია შეითნის გზაში ყოფნა: ქალები თუ თავზე არ იხურვენ შეითნის გზაშიაო, -იტყვიან (შავშ.501).

შეინიშნება ანალიზური ფორმების სიჭარბე. ისინი ძირითადად კალკებია: ახლა კრავი'ნა- ქნას, იმანნა დაკლას (შავშ.390); მემრე აღდს იქმენ (იქვე, 383); ჩემი ბალანა იქა დოხტრობას იჯება (იქვე, 392); სიტალინსა იხტიბარი ქი უქნია (შავშ.407); მუხტრობა ქნა ამან (იქვე, 442); ხუჭი არ მიქნია (იქვე, 367); თარჯუმეს აქნევიებ-და (ჩვენებ.369); ადრე ზროხის თუჯრობა ვიჯებოდი (იქვე, 330); შავ თხამა თიკანი ქნა (შავშ. 496); ყაზა ქნილა- მოკდა (იქვე, 370); მუჟდე უყავით სახლშიო (ჩვენებ. 196).

კალკური ფრაზეოლოგიზმია ასევე ხათრი ვუყავ: ხათრი ვუყავ, არ გევეთხვე იშტა (შავშ. 374); ფული ვანვინე, ემექლი გავხდი (იქვე, 376).

კალკური ჩანს ფრაზები: ავდექ, ჩაველ ახორში, დავჯექ ძროხი წველაზე, შენ რომ მე არ მითხუე, დავჯდები შენ წყევლაზე (შავშ. 538); შენ რომ მე არ მომყვები, დავჯდები მე წყევლაზე (იქვე, 489).

4.3. მეტად საინტერესოა შავშური ანდაზებიც (ამასთან დაკავშირებით იხ. ცეცხლაძე, 2014).

ჭიდის გავლამდე დათვის ტაჲანა დუუზახოო (ჩვენებ. 242);
დათვის მუუკლევი ყაიშ ნუ დაგრიხავო (იქვე, 242);

სიტყუა ისეთინა თქუა, რომ ხუალ და ზეგ შენი სიტყუა შენ არ შამოქკრან (იქვე, 199);

გაქცევნას ნაქცევნა აქო, იტყვიან (იქვე, 208);

საბრი ყაბი ვეგსობა, გადმოდინდება (შავშ.388)...

სხვის მოტანილით საჭმელი არ იქნება (შდრ.: მოტანილი წყლით ნისქვილი არ დატრიალდება (მაჭ.). მაჭახელში იტყვიან: ზორით მოყვანული ძაღლი არ დაყეფს. შდრ.: შიერი ძაღლი კალოს არ დაცავს (მაჭ.).ან კიდევ: შიერი დათვი არ ისამებს.

ჭინჭარიდან ჭინჭარი ამოვაო, - იტყვიან მაჭახლელები. აქვე გავრცელებულია შემდეგი ანდაზა: წყალწაღებული ფხალს ეკიდება. შდრ.: წყალწაღებული ხავსს ეკიდება.

თავმომწონეობა, ქედმაღლობა ასეა გაკიცხული: კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ წონულობს (იმერხ.). ამის ვარიანტია: ნაბლი ბურჯგალიდან გამოსულა და ბურჯგალი არ უკადრიაო.

ნაჩქარევ საქმეში შეთანხმებული (ემმაკი) გიერევაო (მაჭ.); დუნია (ქვეყანა) იქცევა, ეშმაკი ფერხულობს (იქვე)...ერთი გერი შვიდ გელზე ბეთია (იქვე); ბრუდეთ'ნა დაჟდე, სწორეთ'ნა დეილაპარიკო (მაჭ.); დიდ სიცილს დიდი ტირილი ექნება (იქვე); ძაღლმა ძაღლის კიბილი არ ატკენს (იქვე); დელს ჭკვა არ ექნება, ბუცუცხას - ხარი (იქვე); გაგორვებული ქვა ღონსულ (ხავსს) ვერ დეკავეფს (იქვე); ძველი ფრენვას არ დალევს, ბერი კნესვას არ დალევს (იქვე); ამომავალ ბზეს დილაზე შეიტყობა (იქვე)...

ანდაზა აქაურთა მეტყველებაში გამოიყენება არგუმენტადაც, დარწმუნების საშუალებადაც და ექსპრესიული მიზნითაც. იგი შემოკლებული მეტად იშვიათადაა. მაგ.: ანას შეხედე, ბაჯალა ისე ითხვე. შდრ.: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე. ამ უკანასკნელ ანდაზაში დაკარგულია ობიექტი (მამა). შესაძლოა, აქ დედის დომინანტ ფუნქციაზე საგანგებოდაა მითითება. შავშურში ეს ანდაზა ამგვარადაა გავრცელებული: ანაჲ ნახე, დაჲ ნახე, შვილი ნახე, მადლიაო. ან კიდევ: ანას შეხედე, ბახალა ითხუე, ქენერზე შეხედე, ეაღე (შავშ. 208).

მაჭახელში ჩანერილია ანდაზა, რომელიც სტრუქტურულად პარემიას არ ჰგავს: ტურას, მე რომ მოვკდები, საქათმეს კუთხეს

თავი დიმიდევითო, - უთქმია; ან: სანამეტო საქონელი თვალ არ გამოგთხრის. შდრ.: ზედმეტი საქონელი არ განყენს.

არის სხვა თვისებურებანი, რომლებითაც შავშური განსხვავდება სხვა სამხრული კილოებისაგან.

§5. სიტყვანარმოება

5.1. ნარმოქმნილი სახელები.

შავშურ კილოში გვხვდება ნარმოქმნილ სიტყვათა უამრავი ჯგუფი: აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, სადაურობის და ა. შ.

აბსტრაქტული სახელი ძირითადად **ობა'** სუფიქსიანია: ჩემი ბალანა იქა **დობტრობას** იჯება (შავშ.392); მაშინ **ესკრობა** მოვდა (ჩაქ.); სამ წელიწად დედამთაილმა რძალს'და უყოს **რძალობა** (იფხ.).

ობა' გამოხატავს 1) სიმრავლეს: მეზობლობაში **ფინთობა** არ არი (ბაზგ.); ბევრი **მოყრილობა** იქნება (დ.); 2) დროის განსაზღვრულ მონაკვეთს რაიმე საქმიანობის შესრულების დროს: **ჭალობის** დრო არ არი (ბაზგ.); 3) ადგილს: **აქოურობაში** ჩვენებურად, გურჯიჯა ვლაპარიკობთ (შავშ. 380).

სიცოცხლის' ნაცვლად **ცოცხლობა** გვხვდება: ღმერთმა **ცოცხლობა** მოქცეს...

შავშურში, ზემოაჭარულის მსგავსად, ხშირად ადამიანთა სადაურობის სახელთა მანარმოებელია **-ურ** (არაადამიანთა სადაურობის გამომხატველი სუფიქსი). ეს სუფიქსი გათხოვილი ქალის ნარმომავლობასაც გამოხატავს: **დანდალურად** ქალი.

„შავშურ კილოში **ურ/ულ** არ განასხვავებს **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებს, ნორმად ითვლება ამ სუფიქსით ადამიანთა სადაურობის აღნიშვნა“ (შავშ. 2014:273). მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

გელინი ერთი **ბაიბურთულია**, ერთი - **ართვინული** (შავშ. 409); გელინი **ზიოსურია** (იქვე, 369); **ბაზგირული** დოდოფალი მოყავან? (იქვე, 409); გელინი არ წავა, **ბათუმური** არ არი, **ქუთაისური** არი (იქვე, 463).

ზემომოყვანილ მაგალითებში გათხოვილი ქალის სადაურობაზეა მინიშნება, რასაც ვერ ვიტყვით ქვემოთ დამონმებულზე: **ბათუმურია** ისა, ჯაფერად (შავშ. 389); მე, ჩვენ აქ, ამ **სოფლური** ვართ (იქვე, 457).

-ურ სუფიქსი მაშინაც გამოიყენება, როცა კუთვნილება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: **სვირევნული დაილა, უბური თა, ჩაქველთური ყალე, უსტამისური სოფლები**.

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, „**ურ (ულ)** და **ელ** სუფიქსების ასეთი დაპირისპირება პირვანდელი არ უნდა იყოს. ამ სუფიქსების პირვანდელი ფუნქცია უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო“ (ჩიქობავა, 1942:119).

შავშურ დიალექტში სწორედ ეს, თავდაპირველი ვითარებაა შემონახული, მათი დიფერენციაცია მერმინდელი პროცესია.

ა სუფიქსით ნანარმოები ქონების სახელი ბევრი არ არის:... **ყვა-ვილას** ვეტყვით, ალთუნად სიმინდი, გაღმა მთას სარტყელად ქვია... ა დაერთვის მიმლეობებსაც: **შემორბენილად, ნათქვამურად**:

შავშურში **-იერ'** სუფიქსიც მიუთითებს **სადაურობაზე**: **სოფლი-ერმა** კაცმა კითხა: რაგვარ გასწორდი კუზიდანო (შავშ.501).

-იერ სუფიქსი მქონებლობის ერთ-ერთი პროდუქტიული მანარმოებელია ძველი ქართულისა. „მისი დანიშნულებაა გამოხატოს რაიმე კონკრეტული საგნის მქონებლობა ან ვისიმე ყოლა; ამა თუ იმ საგნის ან არსების რაობა, შემცველობა: **სულიერი, ნივთიერი; ოფლიერი, ცოლიერი**. ასევე გამოიხატება რაიმე სულიერი მდგომარეობის, თვისების მქონებლობა: **ბედნიერი, ღმობიერი; -იერ** გამოხატავს ნარმომავლობასაც: **დასაბამიერი**“ (ჭუმბურიძე, 1990: 55).

ხნიერის ნაცვლად ამ დიალექტში **ხნიანი** გვაქვს: მე დაჰა **ხნიანი** ვარ თქვენზე (შავშ. 397).

-იან სუფიქსიანი ქონების სახელი არც თუ ისე იშვიათია: მუსლიმანები არ ყოფილან, **ხრისტიანები** არიან (იქვე, 405); აგზე ქი იყო, **თეთრქუდიანი** (იქვე, 368); ზოგი ასე **მაღალჭლიკიანი** არიან (იქვე, 370); არ გამომნიო, **ბაყლიანი** ვარ (იქვე, 392).

თავისებური ფორმაა **კულანდელი**: **კულანდელი** ადეთით ვართ (შავშ.401).

წინარე ვითარების სახელები შავშურში ნაწარმოებია **ნა-არ**, **ნა-ეე** აფიქსებით: ესა **ნაფურნეია** (შავშ.416); **ნაქილისარი** არი (იქვე, 379); **ნაქილისვარი**, **ნაფეტვარა** (იქვე, 399).

შ. ფუტკარაძემ შეისწავლა ნასახელარი ზმნები იმერხეულში და ორნაირად დააჯგუფა: ნასახელარ ზმნათა ერთი ნაწილი ქართული სიტყვა-ძირების გამოყენებითაა ნაწარმოები: **გეათხილამურა** (სანადელს მიაღწია); **გეათხუმეტა** (მთვარე გაივსო, გაიბადრა); **მეისურულა** (მოისურვა).

შავშურს უცხო ენის მასალა ქართული ენის ყალიბში ჩაუსვამს და ახალი ზმნური ფუძეები უწარმოებია: **დაზაფდება** - დასუსტდება; **გაშუფელდება** - გაეჭვიანდება, **დეედუშმენება** - გადაემტერება; **ნაიყაფალთებს** - წაისაუზმებს, **ჯუმბუშობს** - მხიარულობს.

საინტერესოა კომპოზიტთაგან წარმოქმნილი ზმნებიც: ის **უყურეგდებულებს** (შავშ. 369).

აქვე უხვადაა მიმდებარისგან ნაწარმოები ზმნაც: არ მწყენულობენ, არა (ბაზგ.); ცორტაც არ არი, მე **ვყოფნილოფ**, **ვყოფნილოფ** (ჩაქ.); აღარ **ვგდობილობ** ყურ (უ.); ისა **პოვნილობს** (იქვე); გურჯიჯა **გნებულობს** (ბაზგ.); კაკალის ხეჭოს აღარ ნონულობს (შავშ. 473).

5.2. კომპოზიტები. შავშური კილოს თავისებურებაა **ასონანსური ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები**: **ბორედ-მორედ** ვაკეთებ და ვყიდი (შავშ. 410); **ბიბერი- მიბერი** რეჰანი ვურთავ (შავშ. 413); **ნანე-მანე** არ გვიყვარს (შავშ.366); **ემია- მემია** მყავდა იქ (შავშ.449); გამეარს **ლობიო-მობიო** (შავშ.384); მარტივი ყანაში **ფაჭვა-მაჭვა, იგზე-მიგზე** (შავშ.368)...

სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია შავშურის ამგვარ კომპოზიტთა თავისებურებანი:

1. შეცვლილია პირველი კომპონენტის პირველი მარცვლის პირველი თანხმოვანი: **ბათუმი-მათუმი, ქურთები-მურთები, ფაფა-მაფა,**

ასეა თურქულ სიტყვებშიც: **ნანე-მანე, ყალე-მალე, ბიბერი-მიბერი...**

2. ხმოვნით დაწყებულ მარცვალს ემატება თანხმოვანი: **იგზე-**

მიგზე (შავშ. 2014: 282).

საინტერესოა ფორმებია **შიშიმკლელა, ახალმოზდე/ ახალგაზდელი**:

ჩვენ ვერ გვეტყვიან **შიშიმკლელა** გურჯები (შავშ.410); **მე ახალგაზდელი ვიყავ** (შავშ. 463); **ახალმოზდები** გადმოსული იყვენ (ა.).

ამრიგად, შავშური კილოს თავისებურებებია: □ და ჯ ბგერების პოვნიერება; უმლაუტი და ტონური მახვილი, ნაწილობრივი და სრული რეგრესული **ასიმილაცია (დეგვიტეხა ტიპი) მიმიცლია ტიპი**), ხშირი **მეტათეზისი (ჭვამოთ, ვრა)** და **სუბსტიტუცია (ზმა, ზველი, ჯავე)**.

მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ბრუნვის ნიშნის არქაული **მან** ნიშანი, თანხმოვანფუძიან სახელთა უმეტესობა **უკუმშველია** და ხმოვანფუძიანი სახელები **იკვეცება**. დასტურდება **მთიები** ტიპის ფორმები.

სუბიექტური მესამე პირის ნიშნად დაჩნდება **ნენ** სუფიქსი, ხშირია **ზმნისწინთა მონაცვლეობა**, გამოკვეთილია **ინხოატივი, ინტენსივობა**. -**ეე** თემის ნიშნიანი ზმნების ჭარბობს **ვიდ- მიდიანს**; -**ამ** თემის ნიშნიანი ზოგი ზმნა ავლენს **ავ'ს** (მიართავს, ურტყავს) **ან ევ'ს** (არგვეს). პირველ თურმეობითში **ავ** თემის ნიშანი შემონახულია (**უტენავან**).

ადამიანთა სადაურობას ხშირად აწარმოებს **ურ**. ბევრია **ასონანსური ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი**. **გავლა** ზმნის თავისებურად იუღლება: **გევეარე//გევიარე//გევაარე...**

გვხვდება **ვეთ/ ვეფ/ ვებ/ვენ** და **დამ** თანდებულები, კითვითი **ა' ნაწილაკი**. შავშურ კილოში **იცის** ზმნასთან ქვემდებარე ხშირად სახელობით ბრუნვაშია (**ხოჯა იცის**), ამავე ბრუნვაშია პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატებაც. **გავრცელებულია** მსაზღვრელ-საზღვრულის **შეკვეცილი სახეობა**.

ლექსიკაში ბევრია **არქაიზმი** და **სამცხურ-ჯავახური სიტყვა**. შეინიშნება ანალიზური ფორმების სიჭარბე.

§7. ბრუნების ძირითადი პარადიგმები შავშურში

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელების ბრუნება

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	(მ) გელ-ი	(მ)გელ-ები
მოთხ.	(მ) გელ-მან/მა	(მ)გელ-ებ-მან/მა
მიც.	(მ) გელ-სა	(მ) გელ-ებ-სა
ნათ.	(მ) გელ-ის// (მ) გლ-ის	(მ)გელ-ების
მოქმ.	(მ) გელ-ით// (მ) გლ-ით	(მ)გელ-ებით
ვით.	(მ) გელ-ათ// (მ) გლ-ათ	(მ)გელ-ებ-ათ
წოდ.	(მ) გელ-ო	(მ)გელ-ებ-ო

მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	სოფელ-ი	სოფლ-ები
მოთხ.	სოფელ-მან//მა	სოფლ-ებ-მან//მა
მიც.	სოფელ-სა	სოფლ-ებ-სა
ნათ.	სოფელ-ის// სოფლის	სოფლ-ების
მოქმ.	სოფელ-ით// სოფლით	სოფლ-ებით
ვით.	სოფელ-ათ//სოფლ-ათ	სოფლ-ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფლ-ებ-ო

ფუძეკუმშვადი

მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ლექს-ი
მოთხ.	ლექს-მან //მა
მიც.	ლექს-სა
ნათ.	ლექს-ის(ს)
მოქმ.	ლექს-ით
ვით.	ლექს-ათ
წოდ.	ლექს-ო

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ყურზენ-ი	ყურზენ-ები
მოთხ.	ყურზენ-მან/მა	ყურზენ-ებ-მან/მა
მიც.	ყურზენ-სა	ყურზენ-ებ-სა
ნათ.	ყურზენ-ის	ყურზენ-ების
მოქმ.	ყურზენ-ით	ყურზენ-ებით
ვით.	ყურზენ-ათ	ყურზენ-ებ-ათ
წოდ.	ყურზენ-ო	ყურზენ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	თა	თე-ები/თი-ები
მოთხ.	თა-მა/ მა/მ	თე-ებ-მან/ თი-ებ-მან/მა
მიც.	თა-სა	თე-ებ-სა/ თი-ებ-სა
ნათ.	თ-ის (ა)	თე-ებისა/ თი-ებისა
მოქმ.	თ-ითა	თე-ებითა/ თი-ებითა
ვით.	თა-თ	თე-ებ-ათა/თი-ებ-ათა
წოდ.	თა-ვ (ო)	თე-ებ-ო/თი-ებ-ო

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	დღე-ე	დღე-ები/ დღიები
მოთხ.	დღე-მამ/ მა	დღე-ებ-მან/ დღიებ-მან/მა
მიც.	დღე-სა	დღე-ებ-სა/ დღი-ებ-სა
ნათ.	დღე-ის	დღე-ების/დღი-ების
მოქმ.	დღე-ით	დღე-ებით/ დღი-ებით
ვით.	დღე-დ	დღე-ებ-ათ/დღი-ებ-ათ
წოდ.	დღე-ო	დღე-ებ-ო/ დღი-ებ-ო

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	მამა-ე	მამი-ები
მოთხ.	მამა-მან/მა	მამი-ებ-მან/მა
მიც.	მამა-სა	მამი-ებ-სა
ნათ.	მამ-ის	მამი-ების
მოქმ.	მამ-ით	მამი-ებით

ვით.	მამა-თ	მამი-ებ-ათ
წოდ.	მამა-ვ	მამი-ებ-ო

მს.რ		მრ. რ
სახ.	ნალია-ე	ნალი-ებ-ი
მოთხ.	ნალია-მან/ მა	ნალი-ებ-მან/ მა
მიც.	ნალია-სა	ნალი-ებ-სა
ნათ.	ნალია-ჲს	ნალი-ებ-ისა
მოქმ.	ნალია-ათ	ნალი-ებ-ითა
ვით.	ნალია-თ	ნალი-ებ-ათა
წოდ.	ნალია-ვ	ნალი-ებ-ო

მს. რ.		მრ. რ.
სახ.	ეროჲ	ერო-ებ-ი
მოთხ.	ერო-მან/ მა	ერო-ებ-მან/ მა
მიც.	ერო-სა	ერო-ებ-სა
ნათ.	ერო-ჲს	ერო-ებ-ის
მოქმ.	ერო-ათ	ერო-ებ-ათ
ვით.	ერო-თ	ერო-ებ-ათ
წოდ.	ერო-ვ	ერო-ებ-ო

მს. რ.	მრ. რ.	
სახ.	ღვინო	ღვინო-ებ-ი
მოთხ.	ღვინო-მან/ მა	ღვინო-ებ-მან/ მა
მიც.	ღვინო-სა	ღვინო-ებ-სა
ნათ.	ღვინო-ჲს	ღვინო-ებ-ის
მოქმ.	ღვინო-ათ	ღვინო-ებ-ით
ვით.	ღვინო-თ	ღვინო-ებ-ით
წოდ.	ღვინო-ვ	ღვინო-ებ-ო

მს. რ.		მრ. რ.
სახ.	ბუ-ე	ბუ-ებ-ი
მოთხ.	ბუ-მან/ მა	ბუ-ებ-მან/ მა
მიც.	ბუ-სა	ბუ-ებ (ს)
ნათ.	ბუ-ჲს	ბუ-ებ-ის

მოქმ.	ბუ-ათ	ბუ-ებ-ით
ვით.	ბუ-თ	ბუ-ებ-ათ
წოდ.	ბუ-ვ	ბუ-ებ-ო

მს. რ.		მრ. რ.
სახ.	ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი
მოთხ.	ქვეყანა-მან/ მა	ქვეყნ-ებ-მან/ მა
მიც.	ქვეყანა-სა	ქვეყნ-ებ-სა
ნათ.	ქვეყანა-ჲს	ქვეყნ-ებ-ის
მოქმ.	ქვეყანა-ათ	ქვეყნ-ებ-ით
ვით.	ქვეყან-ათ	ქვეყნ-ებ-ათ
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო

მს. რ.		მრ. რ.
სახ.	ლაჯანა	ლაჯნ-ებ-ი
მოთხ.	ლაჯანა -მან/ მა	ლაჯნ-ებ-მან/ მა
მიც.	ლაჯანა-სა	ლაჯნ-ებ-სა
ნათ.	ლაჯნ-ის	ლაჯნ-ებ-ის
მოქმ.	ლაჯნ-ით	ლაჯნ-ებ-ით
ვით.	ლაჯნ-ათ	ლაჯნ-ებ-ათ
წოდ.	ლაჯანა-ვ	ლაჯნ-ებ-ო

**საკუთარი სახელების ბრუნება
თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელების ბრუნება**

სახ.	სომეხეთ-ი	კახაბერ-ი
მოთხ.	სომეხეთ-მან/ მა	კახაბერ-მან/ მა
მიც.	სომეხეთ-სა	კახაბერ-სა
ნათ.	სომეხეთ-ის	კახაბერ-ის
მოქმ.	სომეხეთ-ით	კახაბერ-ით
ვით.	სომეხეთ-ათ	კახაბერ-ათ
წოდ.	სომეხეთ-ო	კახაბერ-ო

ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელის ბრუნება

სახ. ბორჩხა
 მოთხ. ბორჩხა-მან/მა
 მიც. ბორჩხა-სა
 ნათ. ბორჩხა-ეს
 მოქმ. ბორჩხა-ეთ
 ვით. ბორჩხა-თ
 წოდ. ბორჩხა-ვ

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მხ.რ

სახ. ზიოსურ-ი გელინ-ი
 მოთხ. ზიოსურ \emptyset გელინ-მან/მა
 მიც. ზიოსურ \emptyset გელინ-სა
 ნათ. ზიოსურ \emptyset გელინ-ის
 მოქმ. ზიოსურ \emptyset გელინ-ით
 ვით. ზიოსურ \emptyset გელინ-ათ
 წოდ. ზიოსურ-ო გელინ-ო

მხ.რ.

სახ. კაჲ ქალ-ი
 მოთხ. კაჲ ქალ-მან/მა
 მიც. კაჲ ქალ-ს (ა)
 ნათ. კაჲ ქალ-ის
 მოქმ. კაჲ ქალ-ით
 ვით. კაჲ ქალ-ად
 წოდ. კაჲ ქალ-ო

მხ.რ.

სახ. ჩემ \emptyset შვილ-ი
 მოთხ. ჩემ \emptyset შვილ-მან/მა
 მიც. ჩემ \emptyset შვილ-სა
 ნათ. ჩემ \emptyset შვილ-ის
 მოქმ. ჩემ \emptyset შვილ-ით

მრ.რ

ზიოსურ-ი გელინ-ებ-ი
 ზიოსურ \emptyset გელინ-ებ-მან/მა
 ზიოსურ \emptyset გელინ-ებ-სა
 ზიოსურ \emptyset გელინ-ებ-ის
 ზიოსურ \emptyset გელინ-ებ-ით
 ზიოსურ \emptyset გელინ-ებ-ათ
 ზიოსურ-ო გელინ-ებ-ო

მრ.რ

კაჲ ქალ-ებ-ი
 კაჲ ქალ-ებ-მან/მა
 კაჲ ქალ-ებს (ა)
 კაჲ ქალ-ებ-ის
 კაჲ ქალ-ებ-ით
 კაჲ ქალ-ებ-ად
 კაჲ ქალ-ებ-ო

მრ.რ.

ჩემ \emptyset შვილ-ებ-ი
 ჩემ \emptyset შვილ-ებ-მან/მა
 ჩემ \emptyset შვილ-ებ-სა
 ჩემ \emptyset შვილ-ებ-ის
 ჩემ \emptyset შვილ-ებ-ით

ვით. ჩემ \emptyset შვილ-ათ
 წოდ. ჩემ-ო შვილ-ო

მხ.რ.

სახ. ჩემ \emptyset ძმა-ჲ
 მოთხ. ჩემ \emptyset ძმა-მან/მა
 მიც. ჩემ \emptyset ძმა-სა
 ნათ. ჩემ \emptyset ძმ-ის
 მოქმ. ჩემ \emptyset ძმ-ით
 ვით. ჩემ \emptyset ძმა-თ
 წოდ. ჩემ-ო ძმა-ო

მხ.რ.

სახ. ჩემ \emptyset სახლ-ი
 მოთხ. ჩემ \emptyset სახლ-მან/მა
 მიც. ჩემ \emptyset სახლ-სა
 ნათ. ჩემ \emptyset სახლ-ის
 მოქმ. ჩემ \emptyset სახლ-ით
 ვით. ჩემ \emptyset სახლ-ათ
 წოდ. ჩემ-ო სახლ-ო

მხ.რ.

სახ. ერთი დაჲ
 მოთხ. ერთ \emptyset და-მან/მა
 მიც. ერთ \emptyset და-სა
 ნათ. ერთ \emptyset და-ს(ი)
 მოქმ. ერთ \emptyset და-თ(ი)
 ვით. ერთ \emptyset და-თ
 წოდ. ერთ-ო და-ო

ჩემ \emptyset შვილ-ებ-ათ
 ჩემ-ო შვილ-ებ-ო

მრ.რ.

ჩემ \emptyset ძმ-ებ-ი
 ჩემ \emptyset ძმ-ებ-მან/მა
 ჩემ \emptyset ძმ-ებ-სა
 ჩემ \emptyset ძმ-ებ-ის
 ჩემ \emptyset ძმ-ებ-ით
 ჩემ \emptyset ძმ-ებ-ათ
 ჩემ-ო ძმ-ებ-ო

მრ.რ.

ჩემ \emptyset სახლ-ებ-ი
 ჩემ \emptyset სახლ-ებ-მან/მა
 ჩემ \emptyset სახლ-ებ-სა
 ჩემ \emptyset სახლ-ებ-ის
 ჩემ \emptyset სახლ-ებ-ით
 ჩემ \emptyset სახლ-ებ-ათ
 ჩემ-ო სახლ-ებ-ო

მართული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახ.	მგელი(ს) ლეკვი	მგელი(ს) ლეკვები
მოთხ.	მგელი(ს) ლეკვ-მან/მა	მგელი(ს) ლეკვ-ებ-მან/მა
მიც.	მგელი(ს) ლეკვ-სა	მგელი (ს) ლეკვ-ებ- (სა)
ნათ.	მგელი(ს) ლეკვ-ის	მგელი (ს) ლეკვ-ებ-ი(სა)
მოქმ.	მგელი(ს) ლეკვ-ით	მგელი (ს) ლეკვ-ებ-ით
ვით.	მგელი(ს) ლეკვ-ათ	მგელი (ს) ლეკვ-ებ-ათ
წოდ.	მგელი(ს) ლეკვ-ო	მგელი (ს) ლეკვ-ებ-ო

სახ.	ხეს სახლ-ი	ხეს სახლ-ები
მოთხ.	ხეს სახლ- მან/ მა	ხეს სახლ-ებ-მან/ მა
მიც.	ხეს სახლ-სა	ხეს სახლ-ებ-სა
ნათ.	ხეს სახლ-ის	ხეს სახლ-ებ-ის
მოქმ.	ხეს სახლ-ით	ხეს სახლ-ებ-ით
ვით.	ხეს სახლ-ათ	ხეს სახლ-ებ-ათ
წოდ.	ხეს სახლ-ო	ხეს სახლ-ებ-ო

§8. უღლების ძირითადი პარადიგმატი შავშურში

I სერია

1. ანმყო – რას ვიჯები?
2. უწყვეტელი – რას ვიჯებოდი?
3. ანმყოს კავშირებითი – რას ვიჯებოდე?
4. მყოფადი – რას ვიზამ?
5. ხოლმეობით-შედეგობითი – რას ვიზამდი?
6. მყოფადის კავშირებითი – რას ვიზამდე?

II სერია

- 7 წყვეტილი – რა ვქენე?
8. II კავშირებითი – რა ვქენა?

III სერია

9. I თურმეობითი – რა მიქნია?
10. II თურმეობითი – რა მექნა?
11. III კავშირებითი – რა მექნას?

ერთთემიანი ზმნების უღლება

I სერია

ანმყო	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსწერავ	ვსწერავთ
II. სწერავ	სწერავთ
III. სწერავს	სწერვენ

უწყვეტელი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსწერევი	ვსწერევით
II. სწერევი	სწერევით
III. სწერევა	სწერევენ

ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსწერევე	ვსწერევეთ
II. სწერევე	სწერევეთ
III. სწერევეს	სწერევენ

მყოფადი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერავ	დავსწერავთ
II. დასწერავ	დასწერავთ
III. დასწერავს	დასწერვენ

ხოლმეობით-შედეგობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერევი	დავსწერევით
II. დასწერევი	დასწერევით
III. დასწერევა	დასწერევენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერევედე	დავსწერევედეთ
II. დასწერევედე	დასწერევედეთ
III. დასწერევედეს	დასწერევედენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერევი	დავსწერევიტ
II. დასწერევი	დასწერევიტ
III. დასწერა	დასწერენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავსწერო	დავსწეროტ
II. დასწერო	დასწეროტ
III. დასწეროს	დასწერონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმიწერია	დიგვიწერია
II. დიგიწერია	დიგიწერავან/დიგიწერვან
III. დუწერია	დუწერავან/დუწერვან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეწერა	დეგვეწერეს
II. დეგეწერა	დეგეწერეს
III. დეეწერა	დეეწერენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეწეროს	დეგვეწეროს
II. დეგეწეროს	დეგეწერონ
III. დეეწეროს	დეეწერონ

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსჭამავ	ვსჭამავტ
II. სჭამავ	სჭამავტ
III. სჭამავს	ჭამვენ

უნწყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსჭამავდი	ვსჭამავდით
II. სჭამავდი	სჭამავდით
III. სჭამავდა	სჭამავდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსჭამავდე	ვსჭამავდეთ
II. სჭამავდე	სჭამავდეთ
III. სჭამავდეს	სჭამავდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსჭამავ	შევსჭამავტ
II. შესჭამავ	შესჭამავტ
III. შესჭამავს	შესჭამვენ

ბოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსჭამავდი	შევსჭამავდით
II. შესჭამავდი	შესჭამავდით
III. შესჭამავდა	შესჭამავდენ//ნენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსჭამავდე	შევსჭამავდეთ
II. შესჭამავდე	შესჭამავდეთ
III. შესჭამავდა	შესჭამავდენ/ნენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსჭამევი	შევსჭამევით
II. შესჭამევი	შესჭამევით
III. შესჭამა	შესჭამენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსჭამო	შევსჭამოთ
II. შესჭამო	შესჭამოთ
III. შესჭამოს	შესჭამონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შიმიჭმია	შიგვიჭმია
II. შიგიჭმია	შიგიჭმიან
III. შუუჭმია	შუუჭმიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემეჭამა	შემეჭამა//შეგვეჭამა
II. შეგეჭამა	შეგეჭამენ
III. შეიჭამა	შეიჭამენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემეჭამოს	შემეჭამოს//შეგვეჭამოს

II. შეგეჭამოს	შეგეჭამონ
III. შეიჭამოს	შეიჭამონ

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვჭყიდავ	ვჭყიდავთ
II. ჰყიდავ	ჰყიდავს
III. ჰყიდავს	ჰყიდვენ

უნწყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვჭყიდავდი	ვჭყიდავდით
II. ჰყიდევი	ჰყიდევით
III. ჰყიდევა	ჰყიდევენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვჭყიდევე	ვჭყიდევეთ
II. ჰყიდევე	ჰყიდევეთ
III. ჰყიდევეს	ჰყიდევენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავჭყიდავ/გავჭყიდე	გავჭყიდავთ/ გავჭყიდე
II. გაჭყიდავ/გაჭყიდე	გაჭყიდავთ/გაჭყიდე
III. გაჭყიდავს/გაჭყიდე	გაჭყიდავენ/გაჭყიდე

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავჭყიდევი	გავჭყიდევით
II. გაჭყიდევი	გაჭყიდევით
III. გაჭყიდევა	გაჭყიდევენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	რ. რ.
I. გავაყიდევდე	გავაყიდევდეთ
II. გააყიდევდე	გააყიდევდეთ
III. გააყიდევდეს	გააყიდევდენ//ნენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავაყიდევი	გავაყიდევით
II. გააყიდევი	გააყიდევით
III. გააყიდა	გააყიდენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გავაყიდო	გავაყიდოთ
II. გააყიდო	გააყიდოთ
III. გააყიდოს	გააყიდონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გიმიყიდა	გიგვიყიდა
II. გიგიყიდა	გიგიყიდიან
III. გუუყიდა	გუუყიდვან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გემეყიდა	გეგვეყიდა
II. გეგეყიდა	გეგეყიდენ
III. გეეყიდა	გეეყიდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. გემეყიდოს	გეგვეყიდოს

II. გეგეყიდოს	გეგეყიდონ
III. გეეყიდოს	გეეყიდონ

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნავ	ვხნავთ
II. ხნავ	ხნავთ
III. ხნავს	ხნვენ

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნევდი	ვხნევდით
II. ხნევდი	ხნევდით
III. ხნევდა	ხნევდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხნევდე	ვხნევდეთ
II. ხნევდე	ხნევდეთ
III. ხნევდეს	ხნევდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნავ	დავხნავთ
II. დახნავ	დახნავთ
III. დახნავს	დახნვენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნევდი	დავხნევდით
II. დახნევდი	დახნევდით
III. დახნევდის	დახნევდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნევდე	დავხნევდეთ
II. დახნევდე	დახნევდეთ
III. დახნევდეს	დახნევდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხან	დავხანთ
II. დახან	დახანთ
III. დახნა	დახნეს

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დავხნა	დავხნათ
II. დახნა	დახნათ
III. დახნას	დახნან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმიხნია	დიგვიხნავან/ დიგვიხნვან
II. დიგიხნია	დიგიხნავან/ დიგიხნვან
III. დუუხნია	დუუხნავან/ დუუხნვან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეხნა	დეგვეხნა
II. დეგეხნა	დეგეხნენ
III. დეეხნას	დეეხნენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეხნას	დეგვეხნა

II. დეგეხნას	დეგეხნან
III. დეეხნას	დეეხნან

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხკონავ	ვხკონავთ
II. ხკონავ	ხკონავთ
III. ხკონავს	ხკონავენ/ხკონვენ

უწყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხკონევდი	ვხკონევდით
II. ხკონევდი	ხკონევდით
III. ხკონევდა	ხკონევდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვხკონევდე	ვხკონევდეთ
II. ხკონევდე	ხკონევდეთ
III. ხკონევდეს	ხკონევდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევხკონავ	შევხკონავთ
II. შეხკონავ	შეხკონავთ
III. შეხკონავს	შეხკონავენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევხკონევდი	შევხკონევდით
II. შეხკონევდი	შეხკონევდით
III. შეხკონევდა	შეხკონევდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსკონევდე	შევსკონევდეთ
II. შეხკონევდე	შეხკონევდეთ
III. შეხკონევდა	შეხკონევდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსკონევი	შევსკონევით
II. შეხკონევი	შეხკონევით
III. შეხკონა	შეხკონენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსკონო	შევსკონოთ
II. შეხკონო	შეხკონოთ
III. შეხკონოს	შეხკონონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შიმიკონია	შიგვიკონია
II. შიგიკონია	შიგიკონვან
III. შუუკონია	შუუკონვან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემეკონა	შეგვეკონა
II. შეგვეკონა	შეგვეკონენ
III. შიეკონა	შიეკონენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. შემეკონოს	შეგვეკონოს

II. შეგვეკონოს	შეგვეკონონ
III. შიეკონოს	შიეკონონ

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრავ	ვუკრავთ/ვუკრით
II. უკრავ	უკრავთ/უკრით
III. უკრავს	უკრავენ/უკრენ

უწყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრევდი/ ვუკრიდი	ვუკრევდით/ ვუკრიდით
II. უკრევდი/ უკრიდი	უკრევდით/უკრიდით
III. უკრევდა/ უკრიდა	უკრევდენ/უკრიდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვუკრევდე/ვუკრიდე	ვუკრევდეთ/ ვუკრიდეთ
II. უკრევდე/ უკრიდე	უკრევდეთ/ უკრიდეთ
III. უკრევდეს/ უკრიდეს	უკრევდენ/უკრიდენ

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დუუკარ	დუუკართ
II. დუუკარ	დუუკართ
III. დუუკრა	დუუკრენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. დუუკრა	დუუკრათ
II. დუუკრა	დუუკრათ
III. დუუკრას	დუუკრან

	III სერია
I თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმიკრია	დიგვიკრია
II. დიგიკრია	დიგიკრავან/ დიგიკრვან
III. დუჟკრია	დუჟკრავან/დუჟკრვან

II თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეკრა	დეგვეკრა
II. დეგეკრა	დეგეკრენ
III. დეეკრას	დეეკრან/ენ

III კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დემეკრას	დეგვეკრას
II. დეგეკრას	დეგეკრენ
III. დეეკრას	დეეკრან/ენ

	I სერია
ანმყო მხ. რ.	მრ. რ.
I. ვასხამ//ავ	ვასხამ//ავ-თ
II. ასხამ//ავ	ასხამ//ავ-თ
III. ასხამს//ავ	ასხავენ//ასხმენ

უნყვეტელი მხ. რ.	მრ. რ.
I. ვასხემდი	ვასხემდით
II. ასხემდი	ასხემდით
III. ასხემდა	ასხემდენ

ანმყოს კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. ვასხემდე	ვასხემდეთ

II. ასხემდე	ასხემდეთ
III. ასხემდეს	ასხემდენ

მყოფადი მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხამ	დავასხამთ
II. დაასხამ	დაასხამთ
III. დაასხამს	დაასხმენ

ხოლმეობით- შედეგობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხემდი	დავასხემდით
II. დაასხემდი	დაასხემდით
III. დაასხემდა	დაასხემდენ

მყოფადის კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხემდე	დავასხემდეთ
II. დაასხემდე	დაასხემდეთ
III. დაასხემდეს	დაასხემდენ

	II სერია
წყვეტილი მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხი	დავასხით
II. დაასხი	დაასხით
III. დაასხა	დაასხეს

II კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხა	დავასხათ
II. დაასხა	დაასხათ
III. დაასხას	დაასხან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.

- I. დიმისხმია
- II. დიგისხმია
- III. დუუსხმია

მრ. რ.

- დიგვისხმია
- დიგისხმიან/დიგისხმან
- დუუსხმიან/დუუსხმან

II თურმეობითი

მხ. რ.

- I. დემესხა
- II. დეგესხა
- III. დეესხას

მრ. რ.

- დეგვესხა
- დეგესხან
- დეესხან

III კავშირებითი

მხ. რ.

- I. დემესხას
- II. დეგესხას
- III. დეესხას

მრ. რ.

- დეგვესხას
- დეგესხან
- დეესხან

ანმყო

მხ. რ.

- I. ვსვამ//ვსუემ
- II. სვამ//სუემ
- III. სვამს//სუემს

მრ. რ.

- ვსვამთ//ვსუემთ
- სვამთ//სუემთ
- სვამენ//სმენ

უნწყვეტილი

მხ. რ.

- I. ვსვემდი
- II. სვემდი
- III. სვემდა

მრ. რ.

- ვსვემდით
- სვემდით
- სვემდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.

- I. ვსვემდე

მრ. რ.

- ვსვემდეთ

- II. სვემდე
- III. სვემდეს

- სვემდეთ
- სვემდენ

მყოფადი

მხ. რ.

- I. შევსვამ
- II. შესვამ
- III. შესვამს

მრ. რ.

- შევსვამთ
- შესვამთ
- შესმენ

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.

- I. შევსვემდი
- II. შესვემდი
- III. შესვემდა

მრ. რ.

- შევსვემდით
- შესვემდით
- შესვემდენ/ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.

- I. შევსვემდე
- II. შესვემდე
- III. შესვემდეს

მრ. რ.

- შევსვემდეთ
- შესვემდეთ
- შესვემდენ/ენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.

- I. შევსვი
- II. შესვი
- III. შესვა

მრ. რ.

- შევსვით
- შესვით
- შესვენ

II კავშირებითი

მხ. რ.

- I. შევსვა
- II. შესვა
- III. შესვას

მრ. რ.

- შევსვათ
- შესვათ
- შესვან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.

- I. შიმისმია
- II. შიგისხმია
- III. შუუსმია

მრ. რ.

- შიგვისმიან/შიგვისმან
- შიგისმიან/შიგისმან
- შუუსმიან/შუუსმან

II თურმეობითი

მხ. რ.

- I. შემესვა
- II. შეგესვა
- III. შეესვას

მრ. რ.

- შეგვესვა
- შეგესვან
- შეესვან

III კავშირებითი

მხ. რ.

- I. შემესვას
- II. შეგესვას
- III. შეესვას

მრ. რ.

- შეგვესვას
- შეგესვან
- შეესვან

ანმყო

მხ. რ.

- I. ვანთობ
- II. ანთობ
- III. ანთობს

მრ. რ.

- ვანთობთ
- ანთობთ
- ანთობენ

უნწყვეტილი

მხ. რ.

- I. ვანთობდი
- II. ანთობდი
- III. ანთობდა

მრ. რ.

- ვანთობდით
- ანთობდით
- ანთობდნენ/ენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ. მრ. რ.

- I. ვანთობდე

- ვანთობდეთ

- II. ანთობდე
- III. ანთობდეს

- ანთობდეთ
- ანთობდნენ/ენ

მყოფადი

მხ. რ.

- I. გავანთობ
- II. გაანთობ
- III. გაანთობს

მრ. რ.

- გავანთობთ
- გაანთობთ
- გაანთობენ/ენ

ხოლმეობით-შედგობითი

მხ. რ.

- I. გავანთობდი
- II. გაანთობდი
- III. გაანთობდა

მრ. რ.

- გავანთობდით
- გაანთობდით
- გაანთობდნენ/ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.

- I. გავანთობდე
- II. გაანთობდე
- III. გაანთობდეს

მრ. რ.

- გავანთობდეთ
- გაანთობდეთ
- გაანთობდნენ/ენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.

- I. გავანთევი
- II. გაანთევი
- III. გაანთო

მრ. რ.

- გავანთევით
- გაანთევით
- გაანთენ

II კავშირებითი

მხ. რ.

- I. გავანთო
- II. გაანთო
- III. გაანთოს

მრ. რ.

- გავანთოთ
- გაანთოთ
- გაანთონ

	III სერია
I თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. გიმინთია	გიგვინთია
II. გიგინთია	გიგინთიან
III. გუუნთია	გუუნთიან

II თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. გემენტო	გეგვენტო
II. გეგენტო	გეგენტენ
III. გვენტო	გვენტენ

III კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. გემენტოს	გეგვენტოს
II. გეგენტოს	გეგენტონ
III. გვენტოს	გვენტონ

I სერია სტატიკური ზმნა

ანმყო მხ. რ.	მრ. რ.
I. მაცვია	გვაცვია
II. გაცვია	გაცვიან
III. აცვია	აცვიან

უნყვეტელი მხ. რ.	მრ. რ.
I. მაცვიოდა	გვაცვიოდა
II. გაცვიოდა	გაცვიოდენ
III. აცვიოდა	აცვიოდნენ/ენ

ანმყოს კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მაცვიოდეს	გვაცვიოდეს

II. გაცვიოდეს	გაცვიოდეს/ენ
III. აცვიოდეს	აცვიოდეს/ენ

	II სერია
წყვეტილი მხ. რ.	მრ. რ.
I. მეცვა	გვეცვა
II. გეცვა	გეცვენ
III. ეცვა	ეცვენ

II კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მეცვას	გვეცვას
II. გეცვას	გეცვან
III. ეცვას	ეცვან

I თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მცმია	გვცმია
II. გცმია	გცმიან
III. სცმია	სცმიან

II თურმეობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მცმოდა	გვცმოდა
II. გცმოდა	გცმოდენ
III. სცმოდა	სცმოდნენ/ენ

III კავშირებითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მცმოდეს	გვცმოდეს
II. გცმოდეს	გცმოდენ
III. სცმოდეს	სცმოდნენ/ენ

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვდგები	ვდგებით
II. დგები	დგებით
III. დგება	დგებიან

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვდგებოდი	ვდგებოდით
II. დგებოდი	დგებოდით
III. დგებოდა	დგებოდნენ /ენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ვდგებოდე	ვდგებოდეთ
II. დგებოდე	დგებოდეთ
III. დგებოდეს	დგებოდნენ/ენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავდგები	ავდგებით
II. ადგები	ადგებით
III. ადგება	ადგებიან

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავდგებოდი	ავდგებოდით
II. ადგებოდი	ადგებოდით
III. ადგებოდა	ადგებოდნენ/ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავდგებოდე	ავდგებოდეთ
II. ადგებოდე	ადგებოდეთ
III. ადგებოდეს	ადგებოდნენ/ენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავდექ	ავდექით
II. ადექ	ადექით
III. ადგა	ადგნენ/ენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავდგე	ავდგეთ
II. ადგე	ადგეთ
III. ადგეს	ადგნენ/ენ

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავმდგარვარ	ავმდგარვართ
II. ამდგარხარ	ამდგარხართ
III. ამდგარა	ამდგარან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავმდგარვიყავ	ავმდგარვიყავთ
II. ამდგარიყავ	ამდგარიყავთ
III. ამდგარიყო	ამდგარიყვნენ/ენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ავმდგარვიყო	ავმდგარვიყოთ
II. ამდგარიყო	ამდგარიყოთ
III. ამდგარიყოს	ამდგარიყონ

I სერია	
ანმყო	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვია	ქვქვიან
II. გქვია	გქვიან
III. ქვია	ქვიან

უნყვეთელი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვიოდა	ქვქვიოდა
II. გქვიოდა	ქვქვიოდენ
III. ქვიოდა	ქვიოდნენ/ენ

ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვიოდეს	ქვქვიოდეს
II. ქქვიოდეს	ქქვიოდეს
III. ქვიოდეს	ქვიოდეს/ენ

II სერია	
წყვეტილი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მერქვა	გვერქვა
II. გერქვა	გერქვან
III. ერქვა	ერქვან

II კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მერქვას	გვერქვას
II. გერქვას	გერქვან
III. ერქვას	ერქვან

I თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვიებია	ქვქვიებია

II. ქქვიებია	ქქვიებთან
III. ჰქვიებია	ქვიებთან

II თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვიებოდა	ქვქვიებოდა
II. ქქვიებოდა	ქქვიებოდენ
III. ჰქვიებოდა	ქვიებოდნენ/ენ

III კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მქვიებიყოს	ქვქვიებიყოს
II. გქვიებიყოს	ქქვიებიყონ
III. ქვიებიყოს	ქვიებიყონ

I სერია	
ანმყო	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მინდა	გვინდა
II. გინდა	გინდანან
III. უნდა	უნდანან

უნყვეთელი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მინდოდა	გვინდოდა
II. გინდოდა	გინდოდენ
III. უნდოდა	უნდოდნენ/ენ

ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. მინდოდეს	გვინდოდეს
II. გინდოდეს	გინდოდენ
III. უნდოდეს	უნდოდნენ/ენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდება	მოგვინდება
II. მოგინდება	მოგინდებიან
III. მუუნდება	მუუნდებიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდა	მოგვინდებოდა
II. მოგინდებოდა	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდა	მუუნდებოდნენ/ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდეს	მოგვინდებოდეს
II. მოგინდებოდეს	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდეს	მუუნდებოდნენ/ენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდა	მოგვინდა
II. მოგინდა	მოგინდენ
III. მუუნდა	მუუნდნენ/ენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდეს	მოგვინდეს
II. მოგინდეს	მოგინდენ
III. მუუნდეს	მუუნდნენ/ენ

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებია	მოგვდომებია
II. მოგდომებია	მოგდომებიან

III. მონდომებია

მონდომებიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებოდა	მოგვდომებოდა
II. მოგდომებოდა	მოგდომებოდენ
III. მონდომებოდეს	მონდომებოდნენ/ენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებოდეს	მოგვდომებოდეს
II. მოგდომებოდეს	მოგდომებოდეს/ენ
III. მონდომებოდეს	მონდომებოდნენ/ენ

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. მაქ	გვაქ
II. გაქ	გაქვან
III. აქ	აქვან

უნწყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მქონდა (მქონდენ)	ქვქონდა
II. გქონდა	ქქონდენ
III. ხქონდა	ხქონდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მქონდეს	ქვქონდეს
II. ქქონდეს	ქქონდენ
III. ხქონდეს	ხქონდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მექნება	გვექნება

II. გექნება გექნებიან
 III. ექნება ექნებიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მექნებოდა გვექნებოდა
 II. გექნებოდა გექნებოდენ
 III. ექნებოდა ექნებოდნენ /ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მექნებოდეს გვექნებოდეს
 II. გექნებოდეს გექნებოდენ
 III. ექნებოდეს ექნებოდნენ/ენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მქონდა ქვექონდა
 II. ქქონდა ქქონდენ
 III. სქონდა სქონდნენ/ენ

II კავშირებითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მქონდეს ქვექონდეს
 II. სქონდეს ქქონდეს
 III. სქონდეს სქონდნენ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მქონია ქვექონია
 II. ქქონია ქქონიან
 III. სქონია სქონიან

II თურმეობითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მქონებოდა ქვექონებოდა
 II. ქქონებოდა ქქონებოდენ
 III. სქონებოდა სქონებოდნენ/ენ

III კავშირებითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. მქონებოდეს მქონებოდენ
 II. ქქონებოდეს ქქონებოდენ
 III. სქონებოდეს სქონებოდნენ/ენ

I სერია

ანმყო

მხ. რ. მრ. რ.
 I. ვარები/ვიარები ვარებით/ ვიარებით
 II. იარები იარებით
 III. იარება იარებიან

უნწყვეტელი

მხ. რ. მრ. რ.
 I. ვარებოდი/ ვიარებოდი ვარებოდით/ვიარებოდით
 II. იარებოდი იარებოდით
 III. იარებოდა იარებოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ. მრ. რ.
 I. ვარებოდე/ ვიარებოდე ვარებოდეთ/ვიარებოდეთ
 II. იარებოდე იარებოდეთ
 III. იარებოდეს იარებოდენ

მყოფადი

მხ. რ. მრ. რ.
 I. გევვარ/ გევვიარ გევვარავთ/გევვიართ

II. ნებვალ	ნებვალთ
III. ნევა	ნეველენ

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნეველოდი	ნეველოდით
II. ნებვილოდი	ნებვილოდით
III. ნეველოდა	ნეველოდნენ/ენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნეველოდე	ნეველოდეთ
II. ნებვილოდე	ნებვილოდეთ
III. ნეველოდეს	ნეველოდნენ/ენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნეველ	ნეველთ/ნეველით
II. ნებველ	ნებველთ/ნებველთ
III. ნეველა	ნეველენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევედე	ნევედეთ
II. ნებვიდე	ნებვიდეთ
III. ნევედეს	ნევედენ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულვარ	ნევესულვართ
II. ნევესულხარ	ნევესულხართ
III. ნევესულა	ნევესულან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულიყავ	ნევესულიყავთ
II. ნევესულიყავ	ნევესულიყავთ
III. ნევესულიყო	ნევესულიყვენ/ენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. ნევესულიყო	ნევესულიყოთ
II. ნევესულიყო	ნევესულიყოთ
III. ნევესულიყოს	ნევესულიყონ

დასკვნა: შავშური კილოს მთავარი ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლების გათვალისწინებით შევადგინეთ სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლილების ძირითადი პარადიგმები. შევეცადეთ, წარმოგვედგინა ყველა სახელური და ზმნური ფორმა, რომლებიც შევნიშნეთ. ვფიქრობთ, ტაბულებში კარგად წარმოჩნდა შავშურის თავისებურებები...

თავი IV. ტაოური დიალექტი

ტაოური კილო გავრცელებულია ისტორიულ ტაოში.

ტაო ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც ორად იყოფოდა: იმიერტაოდ და ამიერ-ტაოდ. ტაოს ქვეყნის დიდი ნაწილი დღეს მეთურქულა, ქართული ისმის მხოლოდ რამდენიმე სოფელში: **ჭილათში, ელიასხევში, ბალხში, ცუცეკარში, ქვაბაი კარში, ხევეკში...** (იხ. ფალავა...2005). ისტორიულ ტაოს უნდა მიეკუთვნოს კიდევ ერთი მექართულ სოფელი, **ბინათი**, რომელიც კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მდებარეობს (იხ. ფალავა, 2015: 69-75).

ქართულის კვალი ჩანს მეთურქულ ტაოშიც ქართული ტოპონიმისა და ტაოელთა თურქულ მეტყველებაში დალექილი ქართული ლექსიკის სახით. მომავალში ტაოურის დახასიათებისას მისი გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია.

ტაოური კილოს შესახებ მასალები ცოტაა (იხ. ფუტყარაძე, 1993; ტაოური...2005).

§ 1. მთავარი ფონეტიკური თავისებურებანი

1.1. ტაოურის ბგერითი შედგენილობიდან. გვხვდება ასოები, რომლებიც დღეს ხმარებიდან გასულია: **ჟ, ჳ, უმარცვლო უ.**

ჟ გვხვდება თურქულსა და ქართულ სიტყვებში, სხვადასხვა პოზიციაში. განვიხილოთ პირველი შემთხვევა: აქვერი **ჟერებია**: დედლე, დიდი ჳევი, პატარა ინტკორი (იქვე, 170); მაქინა მოვა, **ჟერი** მივცეთ (იქვე, 171); **ჟანი** კეცში, **ჟადა** სობაში გამააცხოებენ (ჩვენებ.181).

დასტურდება ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელთა სახელობით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, ქმნის დამავალ დიფთონგს: აქეთ არი **ქუაბაჟ, ჳევაჟ**, ბალხი ნევდეთ (იქვე, 170).

გვხვდება **ზმნურ ფუძეებშიც**: ჩონი ხონნები **გეგონეო** (ტაო,150); შეშებზეც **დეჟნოლება** (იქვე, 172); **ეკრიფვიან**, ნევლენ (იქვე, 147)...

ტაოურ კილოში დასტურდება როგორც მარცვლიანი, ისე უმა-

რცვლო **უ**. მოვიყვანოთ ამ უკანასკნელის გამოყენების მაგალითები: ნუ მიძახი, შენი **თუალებისა!** (ტაო,172); **ჭკუები** რომ ერთი იქნება, თივებზეც, შეშებზეც **დეჟნოლება** (იქვე, 172); ესენი **ჩუენია** (იქვე,166); ამის ბაბომა **ბეური** ლექსი იცის (იქვე, 157); ქუაბაგი ოთხმოცი **კუამლია** (იქვე, 170); **ექსუსი, შუიდი, რუა**, ცხრა (ჩვენებ.181); ექსი, **შუიდი** თანე კეცია (იქვე, 180); ქილიავი არი **ყუთელი** (იქვე, 180); ქუაბაქი 80 **კუამლია** (იქვე, 170).

უმარცვლო უ გვხვდება ზმნებშიც (თემისნიშნისეული ვ თანხმოვნის ნაცვლად): ქალი ძროხებ **აძუფს** (იქვე, 165); საქონელ **აძუფს**, ნველავს, ის არის (იქვე, 147); **მიხუალთ, მოხუალთ** (ჩვენებ.170); **წყალ შესუამს** (იქვე,173); თუთჯარი **მუა**, იყიდის (ჩვენებ.181); შვიდობით, **ძალუან შეგუაყვარე** თავი (იქვე, 181).

შემონახულია **ვ-ც: ჳევმუდი ჳევია, ჳევმუდი** ლეღე, **ჳევმუდი** წყალი (ჩვენებ. 170); იუსუფის **ჳელივით, ჳელიგორე** ყოფილა (ჩვენებ.170); **ჳევას** ადგილებია: დევსეკარა, ჳელენკარა, ცერეკარა (ჩვენებ. 170); აქა **ჳარებ** აჭედებენ (იქვე, 170).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ჳარი** ვერც ამ კილოში ქმნის ოპოზიციას **ხანთან**.

როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ტაოურშიც გვხვდება **უმლაუტი**:

ვე გვაძლევს ო'ს: ღმერთ **ენონებიან**, კი აქო ნანოლი გულისთუნ **ჩონი ხონნები** გეგონეო (ტაო,150); აქ **ქომოდამ** არიან (იქვე, 156); ღმერთ **ენონებიან**, ეკრიფვიან, ნევლენ (იქვე, 147)...

ვი >უ: უთქვიან იმ **ფაფაზისთუნ** ასე (ტაო, 146); **ასკერებითუნ**, პური **გამოცხობითუნ** ქერი და თივა-ჭუავი არ დავტიე (ჩვენებ. 170) (იხ. ფალავა, 2002:66-74).

მახვილი. ტაოურში გვაქვს ტონური მახვილი, რომელიც სიტყვას ყოველთვის მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე: **მოვი'და, ხე'დაგ...** ბე'რიც ადაფბა'ზარ გავგზა'ნე; ღენჭე'ბი არ მყავს, ცხრა თვეა ვარ გათხოვი'ლი; ძროხებისა? ბალხუ'რი, მიჭვრი'ტი; აგზე რომ იყვნენ'ა, ამისი არი'ან; ფურებ მოძუე'ბენ; გევზრა'კე, მზემ გამხრა'კა...

ნაშთის სახით ტონური მახვილი სხვა სამხრულ კილოებშიც დასტურდება (იხ. ფალავა, 1997).

1.2. ფონეტიკური მოვლენები.

როგორც სხვა სამხრულ კილოებს და ზოგადად, ცოცხალ მეტყველებას, ტაოურ დიალექტს ახასიათებს **ბგერის დაკარგვა**. აქ იკარგება ბგერა ან მარცვალნი: იქმენ **მაკა[რ]ინას** (ჩვენებ.180); **წორი**, მართალი არ ვიცო (ტაო, 147); **თის** წვერზე ცოტა გათოვებულია (ტაო, 146); ჩუენი ჩაი **წარეა** (იქვე, 180); ქოში **გაზდილებმა** იციან გურჯიჯა; **დეფ[რენებზე]** გაშლიან, გაწმესო (იქვე, 180).

ტაოურს ახასიათებს სიტყვაში **ბგერის ჩართვა**. თავდაპირველად განვიხილოთ ხმოვნის ჩართვის ნიმუშები: **ქილიავი** არის ყუთელი (ტაო, 180); დიკი ფქვილიდამ **სიქელ** ცომ გაასუქებენ (იქვე,180); გომოა **ტკიბილი** (ჩვენებ.180).

თანხმოვნის ჩართვის მაგალითებია: **მემრენ** გურჯები მოსულან (ტაო, 152); **ყოლამფრით** ვიჭირავთ (იქვე, 152). ამ უკანასკნელ მაგალითში **მეტათეზისიც** გვაქვს და **ბგერის ჩართვაც**.

კიდევ უფრო საინტერესოა ბგერის გაჩენა ისეთ სიტყვებში, რომლებშიც სამხრულ კილოებში ბგერა არ ჩაერთვის: **სეპტკვას** არ ჰყრიდეს (ტაო, 150); ეს **ძენკნია, ძენკნი** (იქვე, 153).

ასიმილაცია. ხშირია ხმოვანთა **ასიმილაცია**: ოთხი **მოზობელი** აქა ერთათ ვართ (ტაო, 180); ერთი **დედეკაცი** ჩიოდა, როდი კაცი მყავდაო (ჩვენებ.178)...

ხშირია ხმოვანთა **ნაწილობრივი ასიმილაცია**: ჩა ზმნისწინი გვაძლევს **ჩო', წა>წო', და>დო', გა>გო//გე** ვარიანტებს:

გოუდენიან ერმენები აქედამა (ჩვენებ. 171); ოქრო ქონებიან, ვერ **წოულიან, ჩოუფლიან** მიწაში, **დოუმალავან** (იქვე, 171); მემრე **შოუტოლეფ** მიორე ჭაღებსაც (იქვე, 180); ცერცვ და ქერ **გოურევენ**, გომოფქვენ წისქვილში (იქვე, 180); აღარ **გეგიშვებენ**, სტუმარი იქნებით (იქვე, 173).

გვაქვს სრული ასიმილაციის მაგალითებიც: ქართული კარნალი **გეელო** (ჩვენებ.170); **დუულამდა** ნითლეკარ (ჩვენებ. 172); გუდაში **ჩუყურია** მარილი (იქვე).

ხმოვანთა **სრული ასიმილაცია** გვაქვს ზმნისწინებშიც: ე იგერ **გომოჩნდა** მახათეთი სოფელი (ჩვენებ.171); აქედამ **ჩომოვდენ** სოფელი კუბრეთი (იქვე,171); წყალი **ჩომოდიოდა** აქედამ (იქვე, 172); ჩუნა ამ სოფლიდამ **გომოსულნი** ვართ (იქვე, 171); ეს ქარაფი არ

ჩომოწვეს ჩვენზედ (იქვე,172); არაბაჲს ყაჲშა **გომოჭირება** უნდა, **გომოჭირება** (იქვე,172); რით **გომოთხარეს**, არავინ იცის (იქვე, 176); იქედამ წყალი **წომოა**, ჭოროხაქეთ **ჩომოა** (იქვე, 173); გზევენარი ასე მოშლილი მგონებოდა, არ **წომოვდოდი** (ჩვენებ. 172); მე იქ ვერ **წომოვალ** (იქვე, 171); გააკეთებს გზასა (იქვე,170); მე იქ ვერ **წომოვალ** (იქვე,170); გახსნავ ლავაშებ, საჯზე **გომოაცხო** (იქვე,180); წეილეფ, **გომოფქვეფ** წისქვილში (იქვე,180); ბექმეზი თუთილდამ **გომოა** (იქვე,180); **გომოცხვება**, აადულ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ დაასხამ (იქვე, 180); დაჰდვამ ცეცხლზე, აადულეფ, **გომოა** ტკბილი(იქვე, 180)...

ზოგჯერ ამას მოსდევს დისიმილაციაც: მანქანა **დიეყუდება** აგზე (იქვე, 170).

დასტურდება თანხმოვანთა **ასიმილაციის** ნიმუშები: ცოლი არ **ქყავსა?** (ჩვენებ.174); წვრილი ბაღეები **ქყავს?** (ჩვენებ); ანჯახ **ქყყოფნილოფს** (იქვე);ქალი ძროხებ **აძუეფს** (ტაო, 165); ვერ **მივხთი** (ტაო, 160); რა **ქტკივა?** არ **შამოქკრან**; თხა **ქვჭირვიაო** (იქვე).

დისიმილაცია: იქავრი **ხალღი** არავის მიართუამს (ჩვენებ.172); იქევრი **ხალღი** პარხლის **ხალღია** (ჩვენებ.172); **ხალყი** დამსხნარან ძველათ (იქვე, 158); **ლებიო**, მარქვალი, ბიბერი (იქვე, 181).

გავრცელებული მოვლენაა **სუბსტიტუციაც**. ყველაზე ხშირად მონაცვლეობს **ზ//ძ**: ბათუმის ხალხი **ზალიან მიყუარან** (ჩვენებ.178); შენაც იქ **ძიხარ?** (იქვე, 176); მარტო დედეკაცები **ძიან** (იქვე, 176); შენ რომ რომელცხა ხაფსა **ეზეფ**, ამ სიტყვებშია, იშტაჰ (იქვე, 175); **ზმეზი** მყავან პატინა (იქვე, 172); მადლობა, **ზმაო** (ჩვენებ.170); გუენატრებით, **ზმაო** (იქვე, 170); ქისბორეთის **ზირია, ზმაო** (იქვე, 170); **ყურზნის** სოფადებია: კარულა, ცხენი ძუძუ, ადესაჲ (იქვე, 171); ქალები ზროხებ **მოსწველენ** ვინახავთ (იქვე, 160); ჩუენ რა მითხრეს, იცი? კიდენა **გიიზვირონ** საქონელი (ჩვენებ.172); **ზმეზი** მყავან ჩემზე პატინა (იქვე, 172); ჩუენ **ზუელანდელებმა** ასე მითხრეს (იქვე, 173).

ჟ/ჯ: **ჯავე** პურის ცომ ურთებენ (იქვე, 180).

ვ/ნ: სიმღერა არ **მახსონს** (ტაო, 152); ძველი ბებრები არ **გვახსონ** (იქვე, 164).

იშვიათად გვხვდება **მეტათეზისიც**: თქუნში მექთეფი რამდენ-

ზე **ისხნება** ამ თვის? (ტაო, 152); ფერჯულობენ ამ **სიღმერასავეთ** ნათქუამ სიტყვებზე (ჩვენებ.175).

შ/ჩ: პარხალჩი მეც გასულ ვარ (ტაო, 152); **გენჯობაჩი** ვიარე-ბოდით, ახლა გავაგდევი (იქვე, 164); ნახვარ **საათჩი** ფეხით მიხვალ (ტაო, 154).

§2. მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. სახელთა ბრუნება

ტაოურ კილოში შემონახულია წრფელობითი ბრუნვა. ამ ბრუნვაში ხშირად დგას შედგენილი სახელის სახელადი ნაწილი: ის რა **გემრიელ ხალხ იყვნეს?** (ჩვენებ.172); ისე ფოტოში **დანახულ ვარ** (ტაო, 152); **პარხალჩი** მეც **გასულ ვარ** (იქვე, 152); ეს მეზობლებ არიან (იქვე, 164); **მეტ ხალხ** არ ყოფილა (იქვე, 151); კარგათ **დაბერებულ ბერებ არიან** (იქვე, 167); **დაბერებულ იყო** და მოკდა და (იქვე, 167); **დაბმულ არიან** (იქვე, 156); ქვეით მეტი **ხალხ არ ყოფილა** (იქვე); **ქართველ ვიყო...** (იქვე, 152).

წრფელობითი დგას ქვემდებარეც და დამატება-ობიექტიც: **დენჭებ** არ მყავ (იქვე, 165); ძველათ **ქუაბაქ ერქვა** (ტაო, 161); **ბინათ, უშხუმ**, არჯევანი ესქი გურჯი სოფლებია (იქვე, 170); **ხელებ** უტკივნებიან (იქვე, 146); ჭალიდან **მოსულ** აქ სუყველა სახლობდა (იქვე, 151); იმ კაცებ ის **თავებ უხუჭიან** კი (იქვე, 150).

სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელი სახელი ხშირად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ჩემ ბაბო** გადმოვლილა თქვენსას (ჩვენებ, 177); შირანში ასკერობა იჯება **ჩემ ბიჭი** ირანთან (ტაო, 165); **წვრილ ბოვშები** ნევლოდეს (იქვე, 147).

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას ჭარბობს **შეკუმ-შული ფორმები**: **პარხალში მანქნით** ავალთ (ტაო, 172); **პარხლის** წყალი აქეთკე მოვა (იქვე, 170); აქა ინურვის წყალი, **პარხლის წყალი** (იქვე, 171).

აქა-იქ უკუმშველი ფორმებიც დასტურდება: ჩუენ თამარ **დოდოფალის** გურჯიჯა მაქვან (ჩვენებ. 172); თამარ **დოდოფალის** ვსწერით? (იქვე, 173); იქიდან ჩომოვლენ **გელები** (იქვე, 171).

ნათესაობითა და მიცემითი ბრუნვისნიშნისეული **ს** თანხმოვანი ხშირად დაკარგულია: **მთებ** ვხედავ, **ყათან** მოქსვენ (ჩვენებ.181); **ქადა** გამუაცხო (ჩვენებ.180); ისტარსა გუურევ **მარქვალ** (იქვე, 181).

იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანისეული თანხმოვანი: **ძმი გული, დელი წყალი... დედაბრი წყევლამ** უნია (ჩვენებ.176); **თი თავეში** ტბა არი (ტაო, 176).

ბევრია დისიმილირებული ფორმა: **თხიები, ქვიები, დედიები, ბახჩიები, ხოჯიები**: სირთიდამ რომ გადახედავ, **ქვიებია** (ტაო, 173); ძველათ აქ მამის **დედიები** როგორ ჩამოიდენ (იქვე, 147); **ბახჩიებია** ამ თერეფში (იქვე, 147)...

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია: **ქობადამ** უნდა ნეხვიდე ხევექ (ტაო, 162); ჩვენი დედეები ყოფილან იმტე **აჭარადამ** მოსული (იქვე, 147); ჩვენი დედეები **აჭარადამ** მოსულ არიან (იქვე, 151); თევზსა **კანჯაათ** ვიკავეფთ (ჩვენებ.172).

აქვე გვხვდება როგორ **ა**, ისე **ი** ხმოვნით გავრცობილი ფორმებიც: მოდიან და პოვნილობენ **ოქროსა** (ჩვენებ, 171); გააკეთებს **გზასა** (იქვე, 170); **ჩუნა** თამარ დოდოფალის გურჯიჯა მაქუან (იქვე, 172); **ჩუნა** ამ სოფლიდან გომოსულნი ვართ (იქვე, 172); გააკეთებს **გზასა** (იქვე); **თურქეთისი** ასკერები მუკდუნებია (ტაო, 150). ბელქიდა თამარ **დოდოფლისი** დაწყობილია (იქვე, 173).

ტაოურ კილოში უხვადაა ნართანიანი მრავლობითის ფორმა: **ბერ-ბებერნი** გომონეს; **ნამუშავთ** მიართვი (იქვე); **ზოგთ** იციან გურჯიჯა, **ზოგთ** - არა; **ქუაბელთ და ბალხელთა, ჯვეელთა** იციან, 40 წლის ზემოთკე **კაცებთ** თელთ იციან (იქვე, 173); **ქართველებთა** უთქვიან მისთვინ (ტაო, 149); ... თერძები და ჩვენ **ხოჯიანნი** განაყარები ვართ (ტაო, 167).

უკანასკნელ მაგალითებში **ნარიანი** მრავლობითიც გვაქვს და **ებიანიც**.

2.2. ზმნა

პირის ნიშნები. სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ტაოურში იკარგება: ვერ **მიუხტი** (ტაო, 167); ბიჭები ჩამოვლენ და ისინი თლიან, იმათ **უმზირვარ** (ტაო, 162).

ტაოურში გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარება, დასტურდება **ჰაე-მეტი** და **სანნარევი** ფორმები:

შენარჩუნებულია **სუბიექტური მეორე** პირის ნიშანი: **შეჰკმაზავ, შეჰდეფ** ფურუნში (ჩვენებ. 180); **დაჰკრიბავ**, მეიტან, ჰინძაში **ჩაჰყრი**, ფეხებით **შესდგები** (იქვე, 181); კიდევ **დაჰწერე** (იქვე, 171).

ჰ/ს ნიშნები გვხვდება გარდამავალ ზმნებშიც, პირდაპირობიექტური პირის ნიშნად: **დაჰკრეფენ, გაჰყიდიან** ეზრუმ (ჩვენებ.181); იმ ცხოვრებ **დაჰკლვენ** (იქვე, 147); ტაბანი **მოვჰკვეთო**, ვიტყვი (იქვე, 181); თურქები მოდიან, ჩვენდა **დაგვჰკლან** (ტაო, 147); ქალები ზროხებ **მოსწველენ** (იქვე, 160); ყაიმალში ყველ **ჩაჰყრი** (ჩვენებ.180); მე ერთი **მოვჰკალი** (ტაო, 163); იმათ ...**ვერ შესჰამს** (ჩვენებ. 175)...

ეს პრეფიქსები მაშინაცაა შენარჩუნებული, როცა სუბიექტური პირი პირველია: ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, **დავჰკლავთ, დავჰჭრით**, ადულებენ, იმა **შევჰჭამთ** (ტაო, 147); გვედეთ და **დავჰკლათ** ყურბნები (იქვე, 151); ჩუენ **დავჰცინით** იმათა (ჩვენებ. 173); მერე **მოვჰკრეფავთ** კაცებ ბიჭის თერეფიდამ (იქვე,164).

მეტად იშვიათად გვხვდება უნიშნო ფორმებიც. ეს ის ზმნებია, რომლებშიც ცოცხალ მეტყველებაში საზოგადოდ იკარგება **ჰ/ ს** ნიშნები: **ყავდა, ყოლია**: თხები **ყოლია** თაში (ჩვენებ.176); ბეური ფულები **ქონებიან** (ტაო, 147); ათასი ჭარბი მოწუელე, თხები **ყოლია** თაში (ჩვენებ.176)...

წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში ძირითადად **ეს** -ია, რაც ძველი ქართულისებურია, არქაიზმია:

ერმენებიც **ისხდეს, ხევენგში იჯდეს** (ჩვენებ. 178); ყაზიალი **ვიღებდეს, გედეიტანდეს** ჯორით (იქვე, 174); ქალებიც **იყვნესა, კაცებიც იყვნეს** (იქვე, 175); ჩვენები წინწინ **ჰევენგში წევდეს** (იქვე,178); ეს გურჯისტანის დიდი კაციაო, **ამბობდეს** (იქვე, 178); **თუთა გააჰმობდეს** (იქვე, 174); იქედამ მარილი, ყაზიალი **ვიღებდეს** (იქვე, 174).

წყვეტილის ნიშნად გვხვდება **ე'-ც**: რა საქმე **ვექნე**, რატომ მოკალე? (ჩვენებ.175).

ამავე მნკრივში მხოლობითი რიცხვის მესამე პირში დადასტურდა **ა-ს ნაცვლად ო**: ჩუენ სოფელში ერთი ღარჭი **მოკდო** (ჩვენებ. 170).

II კავშირებითშიც **ო'** ხშირია: თქუენ შომოქხედე, არ **შეშინდონ-მეთქი** (ჩვენებ. 171); ღმერთმა მშვიდობა **მოქცოს** ყველასა (ჩვენებ.172)...

დასახელებულ ფორმებში **ო** ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. **ო** ხშირად გვაქვს ა-ს ნაცვლად: **ჩავაფლოთო** მომკდარი- ვიტყვით (ჩვენებ.177).

ტაოურ კილოში, ისევე, როგორც კლარჯულში, დასტურდება **ინკლუზივ-ექსკლუზივის** კატეგორია: მათი ლაპარაკი რომ არ **მეამებიან**, დავჰცინით იმათა (ჩვენებ.173); ჩუენი თავი **მოქვნონან** (იქვე, 173); ისინიც ჩუენ **მეტყვიან** (იქვე, 174); ბათუმის ხალხი ძალუან **მიყვარან** (იქვე, 178); ჯარი **მაქვან** (იქვე,180); **მეზარებიან** დათესვა ჩვენა (იქვე,177); დედაც გურჯი **მყავდენ** და მამაც (იქვე,178); ამხანაგები **მყვანდეს, მეტყოდეს** ... (იქვე, 177); **ჩუენ მეხლეს** ისა (იქვე); **მეზარებიან** დათესვა **ჩვენა** (იქვე,176); დედაც გურჯი **მყავდენ** და მამაც (იქვე, 178); **ჯარი მაქვან** და იმაზე (იქვე, 181).

თემის ნიშნები. ავ'თემისნიშნიანი ზმნები თემისნიშნისეულ ხმოვანს მეტწილად იკვეცენ: სანურავში **განურვენ, შესჰამენ** (ჩვენებ. 180); ქართულებ როგორ **უკითხვენ?** (იქვე, 65).

თემის ნიშანთა უნიფიკაცია, როგორც საზოგადოდ გავრცელებული მოვლენა სამხრულ კილოებში, გვხვდება ტაოურშიც:

ტაოურში **ავ'** თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან და **ი'** თემისნიშნიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: თევზებ არიან, ყოლამფრით **ვიჭირავთ** (ტაო, 153); იქ ბევრ **ვყიდავ**, მოაკეთონ კარგა (იქვე, 155); იმ კილდე თუ **გამოჭრავ**, მოქცემთ (იქვე, 147); არა **ვჰყიდავთა**, ეიდა დათვები ჭამენ (იქვე,164); ჩაირსა **ვკრიბავთ**, ძროხებ ვინახავთ (იქვე, 160); **გახსნავ** ლავაშებ (ჩვენებ.180); ხევას აკეთებენ, გაახმობენ, **გაჰყიდიან** (იქვე, 180); ჰამა არ **ვყიდავ**, მოაკეთონ კარგა (ტაო, 154)...

-ავ'თემისნიშნიან ზმნებთან **ვკლევდი** ტიპის ფორმები იშვიათია, **ვიდმიდიანი** კი - ბევრი:

ჯელით იკეცევა საკისურსა (ჩვენებ.177); ვერძ დავკლიდით (ტაო, 154); ჯორზე რომ დამსმიდენ, ქომოთკე წევდოდით (ჩვენებ.173); აქ ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს (ტაო, 154); ცხენიდამ ჩამომსმიდა (იქვე,173);

ზმნათა უმრავლესობაში ხშირია ამ' თემა: ერბო შევდლობამ, ხავინ იქამ (ჩვენებ.177); სადღვებელიდამ მოდღვებამ (იქვე, 180);.

ებ/ ავ/ამ: ყამალ აადულამ (ჩვენებ.180); დასდგამ ოჯალზე, ადულამ (იქვე,180); ბეჩია არ მევენონავთ (ჩვენებ.175).

-ავ' თემის ნიშანი ცვლის ებ' თემის ნიშანსაც: ქპაიჯავთ, ჩამოთ მიორე წელინადში (ჩვენებ. 181). გვხვდება სალიტერატურო ფორმებიც: ყამალში მოზელენ... (იქვე,180).

ობ/ებ: მანვნი დედას ორი კოვზით იმაში ურთებ (ჩვენებ. 179); მარულ ურთებენ (იქვე, 180)...

ავ/ი/ავ'თემისნიშნისანი ზოგი ზმნა ი თემის ნიშანს დაირთავს: მოხნის, მოკლის, უკრის...ვერძ დავკლიდით (ტაო, 154).

საინტერესოა მრავალგზისობის ფორმების პოვნისერება: დავკაფიდით, დევმალოვდით: ძველათ ნეკერ დავკაფიდით, ფურცელი დავკაფე, დაჯოხე (ტაო,152); დღისი ტყოვნარში დევმალოვდით, ღამი ჩამოვდოდით (იქვე, 147).

ტაოურში წყვეტილში სუბიექტის მრავლობითობა გადმოიცემა -ენ სუფიქსით, რაც არქაიზმია: ზოვლი დევერჩეინით ამასა (ჩვენებ. 170); დეილალენით? (ტაო, 158); აქ დევბადენით, აქ გევზარდენით და კად გუეჩვენება ჩვენი ადგილები (იქვე,150).

მეორე სერიაში დასტურდება ევ'იანი ზმნები: უთხრეს ფადიშაჰსა, ეს ბერი დევჭირევეით (ჩვენებ. 175); ეგ გუდა თქვენ ეიკიდევით (იქვე, 175); დეინახვეით, ფენა კად დასანახველია (იქვე,172); ახლა გავაგდევით (ტაო, 164); ადით სოფელში და ქამევეით (ჩვენებ. 181).

ზმნისნიშნის ფონეტიკური თავისებურებები ზემოთ განვიხილეთ. დავამატებთ, რომ ტაოურში დასტურდება აღმოსავლურ დიალექტათვის დამახასიათებელი ზმნისნიშნებიც, რომლებშიც მომხდარია შემდეგი ფონეტიკური პროცესი: მო>მა: შექერ თუზ მააყრი (ჩვენებ.180); თუზ მააყრი, ერბო მაასხამ (იქვე,181); კაკალა მააყრიან, ერბოს მაასხამენ, იქნება ქადა (იქვე,180); კაი იქნება,

გურჯის იაზ შაასწავლებლით ბაღვებსა (იქვე,179); მანონ შააყენებ, ნანველ აადულამ, მუურევე ერბოში (იქვე,179); ბევრი ქი შააყენებ, შედლობავ (იქვე, 180); შიგან ჩადებენ, ერბოს მაასხამენ, იქნება ქადა (იქვე, 180); აადულ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ მაასხამ (იქვე, 180); ჩუენ ძალიან შამაყუარეს (იქვე,173).

ზმნისნიშნის ტაოურში ხშირად გადმოსცემს ინტენსივობასაც: დამთრალდენ, დააკდუნა და ა.შ. დამთრალდებოდენ დილამდე (ტაო,148); ფურცელი დავკაფე, დაჯოხე (იქვე, 152).

ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება არქაულია: დაო, ახლაც ხომ არ გეშინის? (ჩვენებ.170); აქა ინურვის ღვინო (იქვე,171); აღარ მეილაღვიო (იქვე,173); აქა ინურვის წყალი (იქვე,170); აყირო მეიხარშვის ... (ტაო 166).

ამგვარ ზმნათა I თურმეობითი მიმღეობისგანაა ნანარმოები: საფლავიც იქიდამ მოდის, იქიდამ დამჩალა (ჩვენებ. 177); ერთი კვირა დამჩალა (ტაო, 146); ისინი მინაში ჩუუღვიან, გამქცარან (ტაო, 147); აქ ერმენები უსხდომიან (იქვე, 152).

გარდამავალ ზმნათა თურმეობითში ასეთი ფორმები გვაქვს: ისინი მუუქლავენ (ტაო,147); აქოვრობაში უნახვან ხალხი (იქვე); თურქი ქალები ჯოხებზე უცვიან, ყოლაფერი უქნიან (იქვე, 147); ქართველებთა უთქვიან მისთვინ (ტაო, 149).

თურმეობითში ხშირია ნ' ჩართული ფორმებიც: გურჯიჯა დავინყნია (ჩვენებ.); გეებდენა ქი, კად იქნებოდა (იქვე).

არქაიზმებია II თურმეობითის მოკლე ფორმებიც: ემედულა, ეგედურა, ეედულა.

ტაოურში შემონახულია ნარ'იანი ვნებითის ფორმები: დავდგნეთ, დასხნეთ: დასხნებით, ერთი ღენჭი მყავს (ტაო, 155); ხალცი დამსხნარან ძველათ (იქვე, 158); აქო დავდგნეთ, დავსხნეთ, დავჯნეთ (იქვე, 154); სხენან და ბრუნვენ (იქვე,159).

ზმნურ ფორმებში ჩანს სამხრულ კილოთათვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებანიც და საკუთრივ ტაოურისაც: მეჭილათ ვუდავარ (ჩვენებ. 171); ეიხუჭავს ბაღვსა ეს ქალი, დედეკაცი (იქვე,176).

გავლა' ზმნა ტაოურშიც ავლენს თავისებურებებს, გვხვდება პარალელური ფორმებიც: გაჩენილ დღე ამ გზვენარზე ვიარები

(იქვე, 172); წასლუხან ქედ **გედეიარ** (იქვე, 173); გაანი გვინდა, **გევ-ვაროთ** (ტაო, 161); აქ **გევვაროთ** (ტაო, 154); გენჯობაჩი **ვიარებო-დით** (იქვე, 164)...

ტაოელები თავად აღნიშნავენ: **გომოინეს** ჩვენ ვიტყვით, მურღულელები იტყვიან, **გამოიდნენო** (ჩვენებ. 173). თოვლი **მოიდეს**, მოვლენ (ტაო, 160).

II კავშირებითი გვაქვს **იყვეს**: ყალაა არ **იყვეს**, ბუქი არა **იყვეს** (ტაო, 147).

შუალობითი კონტაქტის ნიშნისეული **ნ** თანხმოვანი ხშირად დაკარგულია, ისევე, როგორც სხვა სამხრულ კილოებში: თურქული სასწავლებელი იჯება ამასა, **ავინყებიებს** გურჯიჯასა (იქვე, 171); კიდევ **დაგვანახიოს** ერთმანები (ჩვენებ. 172).

შუალობითი კონტაქტის ევინ ნიშანში **ი** ზოგჯერ გადასმულია: ომაზე ფეჟს **მომასმეენიება**; ლელვზე ტანეფ **მომაჭრეენიება**.

კაუზატივი ასე ინარმოება: **უკდუნებიან** ქალები (ტაო, 147); ერმენები **დუუკდუნებიან** (ტაო, 148); არ აღარ გვარგებენ, **გვაკ-დუნებენ** (იქვე, 148).

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები: ზროხები **მოასხა** (ტაო, 156); ყველა ქართველი ერთათ **დამსხდარი** არ იყო (ტაო, 157).

აქვე უნდა განვიხილოთ მიმღეობათაგან ნაწარმოები ზმნებიც: არც ლაპარიკს **ვწონოფ** ჩემ ნათქუამსა (ჩვენებ. 177); ბებერი **ცნობულობდა** (იქვე, 175).

2.3. სახელ ზმნა

საწყისი: ტაოურში საწყისს ხშირად დაერთვის **-ობა** სუფიქსი: ქართული **ლაპარიკობა** აადა გაბევრდება, აადა დააბლდეს (ტაო, 155); ჩვენ **თხოულობა** თურქებთან ღოქ (ტაო, 165). **ლაპარიკობა** ფორმის გვერდით გვაქვს **ლაპარაკიც**: ქართული **ლაპარიკი** აბლი დარჩა (იქვე, 151).

მიმღეობა: ტაოურში ხშირად გვხვდება **პრეფიქსული მიმღეობები**: თქვენი **ნალაპარიკი** ვერ მივხთით (ტაო, 160); ქართული **ნამცოდნი** პარხალ არ იქნებიან (იქვე, 158).

აქვე გვხვდება **სა-ელ** კონფიქსიანი მიმღეობანი: ეს სათივლეა, **დასაჯონებელი**, **დასაჯონხავი** „საბზე“ (ტაო, 156); **ამოსავლეელი**

ხარ, ამეარე (იქვე, 156); ერთი ბიჭი რამ ყოფილა **დასაქორწინებელი** ბიჭი (ტაო, 149).

ზოგჯერ ტაოურში პრეფიქს-სუფიქსიანია ისეთი მიმღეობაც, რომელიც პრეფიქსით ან სუფიქსით უნდა ინარმოებოდეს: **საშიშო** არის ღამეში სიარული (ჩვენებ.); **დამრჩალი** რაც არი, ის არი (ჩვენებ.).

სუფიქსურ ნამოებაში ბევრია არქაიზმი: თქუენ **დახრაკულ იტყვით**, **თუ დაწვილი?** (ტაო, 155); ამ სოიში ვიყავი **გამოთხოილი** (იქვე, 165); შენი შვილები **დასახლულია?** (იქვე, 157).

2.4. უდეტრები. ტაოურში **კენ** თანდებული გვხვდება **კე** ფორმით: ხახული **ერზრუმისკე** გზაზედამ არი (ჩვენებ. 170); სალამოპირაა იუსუფელიდან ნამუალთ **სახლისკე** (იქვე, 170); **პარხლისკე** ნევდეთ (იქვე, 170); **მარჯუნასკე** ნავალთ (იქვე, 170)...

ტაოურში გვხვდება **კითხვითი ა ნაწილაკიც**: ჩემი თავი ეამნეს, მე არ **ვსვია?** (ჩვენებ. 174); ცოლი არ **ქყავსა?** (იქვე, 174)...

ზმნიზედებში ხშირად გამოიყენება **ა**: **სალამოპირაა** იუსუფელიდან ნამუალთ სახლისკე (იქვე, 170).

მიზნის ზმნიზედა იშვიათად თუ შეგვხვდება ვითარებითი ბრუნვის ფორმით: კაცები **საომებლად** წასულან (ტაო, 147); **სავლელა** მოსულა ბეური, **საწერელაა** ქალი არ ყოფილა (ტაო, 154).

ვითარების ზმნიზედად გამოიყენება **ამსოა** (ქართული და თურქული სიტყვების შეერთებით მიღებული კომპოზიტი): მადლობა, ზმაო, ჩვენი კლდეგნარი დუნია რომ **ამსოა** გიყვარან (ჩვენებ. 170).

§ 3. სინტაქსური თავისებურებანი

განვიხილოთ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი: ტაოურ დიალექტში თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ძირითადად **შეკვეცილი** სახეობა გვაქვს: **ჩემ მამაას დედაა** იმსოა იქა ყოფილა (იქვე, 146); **ჩემ ერთ არაბას** აქ'ნა მეეცადნა (ტაო, 172); **მალალ ხმითი** ილაპარიკებენ, იხვარათებენ (იქვე, 175); **დიდვან კასრებით** ნამოვლებთ ვოტკას (იქვე, 146)...

გვხვდება ვულგარული სახეობაც: ოთხი **მარცხულ** გამეღლებენ (ტაო,181).

როგორც სხვა სამხრულ კილოებში, აქაც გვხვდება ერგატიული კონსტრუქცია: თავრობამ დეეხმარა; გაკუჭტა ერთ **დედეკაც-მა**; **ბებერმა მობრუნდა** აქეთისკე (ჩვენებ.176).

ტაოურ კილოში **პირდაპირი დამატება** პირველ სერიაში სახელობით ბრუნვაშია: გააჰმობენ **ჩირი** (ჩვენებ.180); **გოგო** არ **მიცემთ** (იქვე, 174); თუთა **გაახმობდეს**, ფეხი **გაახმობდეს** (იქვე, 174)...

გვხვდება ენის უცოდინრობის დამადასტურებელი კონსტრუქციებიც, სადაც გარდამავალ ზმნსათან მეორე სერიაში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას: **დიდვანები** ბინები ააშენეს (ტაო,155). სახელობითი ცვლის მიცემითსაც: აქ ერმენები **უსხდომიან** (ტაო, 152).

ამ და სხვა თავისებურებებებით ტაოური კილო მკვეთრად განსხვავდება სამხრულის სხვა კილოებისგან.

§4. ლექსიკური თავისებურებანი

ტაოური ყურადღებას იქცევს ლექსიკური თავისებურებებითაც. საინტერესოა სიტყვები: **აბლი** (ცოტა), **ხვართი** // **ხვართობა** (საუბარი, ლაპარაკი, ბაასი), **ფართობს** (ლაპარაკობს), **კაკლიმყვარი** (ციყვი); **ჟდომა** (სახლობის, ცხოვრების მნიშვნელობით); **კაკლიმყვარი** (ციყვი); **ფაფაზი** (მღვდელი); **ტაღლუჯობა** (ყვინთვა).

მოვიყვანთ მაგალითებს: ართვინის იქეთაც სხუა სოფ **ვიხვართებთ** (ჩვენებ.173); იუსუფელში ერმენი **აბლია** (ჩვენებ.170); ქართული ლაპარაკი **აბლი** დარჩა (ტაო, 151); **გააბლდება** გურჯული (იქვე); ხედავს, ფერის გოგო დგას და **ტაღლუჯობსო** (ტაო, 149).

უხვადაა თურქული სიტყვები: ბინათ, უშხუმ, არჯევანი **ესქი** გურჯი სოფლებია (ჩვენებ., 170); დავინყნიან **გურჯიჯა** (იქვე,171); თურქული სასწავლებელი იჯება ამასა, ავინყებიებს **გურჯიჯა**-სა (იქვე,171); ახლა აკვანშიც **თურქჩას** ასწავლიან (იქვე, 171); ამ წყალ შიგან **ალაბალული** იცის, ვიჭირავთ (იქვე,171); **ოქულში** არ

შუუჭირდენო თურქჩაო (იქვე); არ გეყურება **არაბას** რახუნში? (იქვე,170); **ქოაში** (სოფელში) გაზდილებმა იციან **ჰერალდა** გურჯიჯა (იქვე, 171); **ფაქა** გურჯი არ არი (ჩვენებ.171); დღეს **ჯანაზა** არი, იქ მოვალ (იქვე); ყურძნის **სოაღებია...**(იქვე); ლამაზი სახლი **...ჰუქუმეთმა** გააკეთა (იქვე); **ოღულ**, მეილალეო? მეც ვეტყოდი-ჰოვ, მევლალეო **ანი** (იქვე, 173).

მეტად საინტერესოა ფრაზეოლოგიზმები: **კუჭი გამუუდა**, **გაკუჭდა** (ჩვენებ.178); ეს **ყაზაღში** **გარეცხილი** **კაცი**აო, იტყვიან გონჯ კაცზე (იქვე, 176); **ლესტებზე** **მისლა** (სიკვდილი) (იქვე, 178); **ენაში** **მიგორავს** და **ვერ მითქმია** (იქვე, 170).

აქვე გვხვდება აღწერიითი კონსტრუქციები, სადაც პირველი კომპონენტი აღმოსავლური სიტყვაა: თვალებმა **საფა ქნა** (ჩვენებ.177); აქავრ **ჯარებ** რუსისას **ესირათ უქნიან** (იქვე, 178); ეს **ყუმანდრობა უჯება** (იქვე, 175); ქალები **ჯეჯიმ იქმენ**, **სუითრ იქმენ** (იქვე, 180)...

§5. სიტყვაწარმოება

5.1. წარმოქმნილი სახელები. სადაურობის სახელის სანარმოებლად **-ურ** გამოიყენება მაშინაც, როცა ადამიანზეა საუბარი. **ქომორთულები** -**ჯევავრი**, ჯეჩი - გაშეშებული, **ბალხური** - ბერიო (ჩვენებ.174); ქალი **ქართული** მყავს (იქვე, 171); არჯევანი ზოგი **ქართული** არ არი (იქვე, 170); ამგვარი მოვლენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვხვდება ზემოაჭარულსა და შავშურშიც.

ზოგჯერ სადაურობა ვითარებითი ზედსართავი სახელითაც გადმოიცემა: ბინათ, უშხუმ, არჯევანი ესქი **გურჯი** სოფლებია (იქვე, 170).

საინტერესოა ფორმა **გარეთული**: **გარეთული** კაცი ჩვენ ჭად არ მოგვიხმარდება, ჩვენებურად არ იქნება (ტაო, 164).

ადგილს, **სადაურობას** აღნიშნავს ფორმები, რომლებსაც აბსტრაქტულ სახელთა **ობა** **სუფიქსი** დაერთვის: **აქნობაში** ყუელა გურჯი ყოფილან, დავინყნიან გურჯიჯა (იქვე, 171); **აქობაში** მოდიან, **აქობაში** (ტაო, 166); **აქოვრობაში** სუყველა ერმენები ყოფი-

ლან (ტაო, 146)...

ზემოდასახელებული ფორმები პარალელურია აქნობაში (>აქნობაში); აქოვრობაში.

იშვიათი ფორმებია ტყოვნარი, გზევენარი, კლდევენარი, რომლებიც სხვა სამხრულ კილოებში არ დაგვიდასტურებია. ისინი თავისებურია იმ მხრივ, რომ მათში კრებითობის ნარ სუფიქსი გამოყენებულია ქონების იან სუფიქსის ან მრავლობითობის ებ ფორმანტის ნაცვლად: მადლობა, ზმაო, ჩვენი კლდევენარი დუნია რომ ამსოვ გიყვარან (ჩვენებ.170); გზევენარი ასე მოშლილი მგონებოდა, არ წომოვდოდი (ჩვენებ. 172); დღისი ტყოვნარში დევმალღვდითო, ლამი ჩამოვდოდი (ტაო, 147)..

5.2. კომპოზიციები. ტაოურში ხშირად გვხვდება ორცნებიანი კომპოზიტი. მათ შორის გამოიყოფა სინონიმები ან ასონანსური ფორმები: შეხედა ქი, გზაზე მოდიან ჯინ-ფერები (იქვე, 174); იქ რაცხა დავლი-ზურნას ვმა გეიგონა (იქვე); თქვენსებრ ჯირეკი-მირეკი არ ვიცით (ტაო, 166); გელი-მელი ვერ მეენევა (იქვე); ცხოვრება-მოვრება რამ არ არი (ტაო, 164).

მეტად თავისებურია რიცხვითი სახელი ტაოურში. როგორც ვიცით, ქართული თვლის სისტემა ათობით-ოცობითია. „ტაოს მეტყველებაში თვლის სისტემას არქაული იერი დაჰკრავს. თანამედროვე ქართულში და ოცეულებს ახლავს, ძველ ქართულში ის იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ. ტაოელები და'ს წარმოადგენენ არა მარტო ოცეულებთან (როგორც დღევანდელ ქართულშია), არამარტო ასის შემდეგ (როგორც ძველ ქართულშია), არამედ თერთმეტიდან ოცამდეც“ (ფუტკარაძე, 2016: 283-284). მოვიყვანოთ შესაბამის მაგალითებს:

ათერთმეტი თანე იქნება მაიც (იქვე,171); ათერთმეტი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი, ათდახუთი, ათდაექსი, ათდაშუიდი, ათდარუა, ათაცხრა, ასდაერთი, ასდაორი, ასდახუთი (იქვე, 171).

ამრიგად, ტაოური კილოს გამოყოფის ლინგვისტურ საფუძველს ქმნის: უმლაუტი (სხვა სამხრულ კილოებში ნაშთის სახითაა), ასიმილაცია სახელებსა (მოზობელი) და ზმნისნიებში (გომოა, გომოჩათ); ბგერის ინტენსიურად ჩართვა (სიქელი,

ქილიავი); ტონური მახვილი; წრფელობითი ბრუნვის ფორმები; უკუმშველობა-უკვეცლობა, ნართანიანი მრავლობითი, რიცხვით სახელთა თავისებური წარმოება, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, ვიდმიდიანი ფორმების სიჭარბე შავშურისა და კლარჯულისგან განსხვავებით; დავკაფიდი, დავმალღვდით ტიპის ზმნები, ამ თემის ნიშანი ავ'ის ნაცვლად; მოკდო, მოკდოს ტიპის ფორმების პოვნიერება; მრავლობით რიცხვში სუბიექტური პირის მესამე პირში ეს დაბოლოება.

ზემომოყვანილი თავისებურებების გათვალისწინებით წარმოვადგენთ ტაოური დიალექტის ბრუნებისა და უღლების ძირითად პარადიგმებს. ფვიქრობთ, მასში კარგად იკვეთება ტაოურის, როგორც ქართული ენის ცალკე ქვესისტემის, თავისებურებანი და მისი განსხვავება სხვა სამხრული კილოებისაგან.

§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები ტაოურში

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელების ბრუნება

მხ. რ.

- სახ. დოდოფალ-ი
- მოთხ. დოდოფალ-მა
- მიც. დოდოფალ (ს)
- ნათ. დოდოფალ-ის/დოდოფალ-ის
- მოქმ. დოდოფალ-ით/დოდოფალ-ით
- ვით. დოდოფალ-ათ/დოდოფალ-ათ
- წოდ. დოდოფალ-ო

მრ. რ

- სახ. დოდოფალ-ებ-ი/ დოდოფალ-ებ-ი
- მოთხ. დოდოფალ-ებ-მა / დოდოფალ-ებ-მა
- მიც. დოდოფალ-ებ (ს)/დოდოფალ-ებ (ს)
- ნათ. დოდოფალ-ებ -ის/დოდოფალ-ებ -ის
- მოქმ. დოდოფალ-ებ-ით/დოდოფალ-ებ-ით
- ვით. დოდოფალ-ებ-ათ/დოდოფალ-ებ-ათ
- წოდ. დოდოფალ-ებ-ო/დოდოფალ-ებ-ო

მხ. რ.		მრ. რ
სახ.	სოფელ-ი	სოფლ- ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მა	სოფლ- ებ-მა
მიც.	სოფელ (ს)	სოფლ-ებ (ს)
ნათ.	სოფლ-ის	სოფლ- ებ-ის
მოქმ.	სოფლ-ით	სოფლ- ებ-ით
ვით.	სოფლ-ათ	სოფლ- ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფლ- ებ-ო

თანხმოვანფუძიანი ფუძეუკუმშველი სახელების ბრუნება

მხ. რ.		მრ. რ
სახ.	წიგნ-ი	წიგნ-ებ-ი
მოთხ.	წიგნ-მა	წიგნ-ებ-მა
მიც.	წიგნ-(ს)	წიგნ-ებ-(ს)
ნათ.	წიგნ -ი(ს)	წიგნ-ებ-ი(ს)
მოქმ.	წიგნ-ით	წიგნ-ებ-ით
ვით.	წიგნ-ათ	წიგნ-ებ-ათ
წოდ.	წიგნ-ო	წიგნ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელების ბრუნება

მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ქვა-ე	ქვი-ებ-ი
მოთხ.	ქვა -მ	ქვი-ებ-მა
მიც.	ქვა -ს	ქვი-ებ (ს)
ნათ.	ქვაჲს/ ქვი-ი(ს)	ქვი-ებ-ი(ს)
მოქმ.	ქვაჲთ/ ქვი-ით	ქვი-ებ-ით
ვით.	ქვა-თ	ქვი-ებ-ათ
წოდ.	ქვა-ვ (ო)	ქვი-ებ-ო

მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ღელე -ე	ღელი-ებ-ი/ ღელე-ებ-ი
მოთხ.	ღელე-მ	ღელი-ებ-მა/ღელე-ებ-მა
მიც.	ღელე- (ს)	ღელი-ებ(ს)/ ღელე-ებ (ს)

ნათ.	ღელე-ჲს/ ღელ-ი(ს)	ღელი-ებ-ი(ს)/ღელე-ებ-ი(ს)
მოქმ.	ღელე-ჲთ/ღელ-ით	ღელი-ებ-ით/ ღელე-ებ-ით
ვით.	ღელე -თ	ღელი-ებ-ათ/ღელე-ებ-ათ
წოდ.	ღელე -ვ	ღელი-ებ-ო/ღელე-ებ-ო

კვეცადი (-ა'ფუძიანი)

მხ.რ		მრ. რ.
სახ.	ძმა-ე	ძმ-ებ-ი
მოთხ.	ძმა -მ	ძმ-ებ-მა
მიც.	ძმა-(ს)	ძმ-ებ-(ს)
ნათ.	ძმა-ე(ს)/ ძმის	ძმ-ებ-ი(ს)
მოქმ.	ძმა-ჲთ/ ძმით	ძმ-ებ-ით
ვით.	ძმა-თ	ძმ-ებ-ათ
წოდ.	ძმა-ვ	ძმ-ებ-ო

მხ.რ	მრ. რ	
სახ.	ძია-Á	ძია-ებ-ი
მოთხ.	ძია-მ	ძია-ებ-მა
მიც.	ძია-(ს)	ძია-ებ-(ს)
ნათ.	ძია-ჲს/ძია-სი	ძია-ებ-ისა
მოქმ.	ძია-ითი	ძია-ებ-ით
ვით.	ძია-თ	ძია-ებ-ათ
წოდ.	ძია-ვ	ძია-ებ-ო

მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	დრო-Á	დრო-ებ-ი
მოთხ.	დრო -მ	დრო-ებ-მა
მიც.	დრო -(ს)	დრო-ებ-ს
ნათ.	დრო -ჲს	დრო-ებ-ის
მოქმ.	დრო -ჲთ	დრო-ებ-ით
ვით.	დრო -თ	დრო-ებ-ად
წოდ.	დრო -ვ	დრო-ებ-ო

მხ.რ.

- სახ. ღვინო-დ
- მოთხ. ღვინო-მ
- მიც. ღვინო-(ს)
- ნათ. ღვინო-დს
- მოქმ. ღვინო-დთ
- ვით. ღვინო-თ
- წოდ. ღვინო-ვ

მხ. რ.

- სახ. კუ-ი
- მოთხ. კუ-მ
- მიც. კუ-(ს)
- ნათ. კუ-დს/კუსი
- მოქმ. კუ-დთ/კუთი
- ვით. კუ-თ
- წოდ. კუ-ვ

მრ. რ.

- კუ-ებ-ი
- კუ-ებ-მა
- კუ-ებ (ს)
- კუ-ებ-ის
- კუ-ებ-ით
- კუ-ებ-ათ
- კუ-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნება

მხ. რ.

- სახ. მანქანა- დ
- მოთხ. მანქანა-მ
- მიც. მანქანა-(ს)
- ნათ. მანქნ-ი(ს)
- მოქმ. მანქნ-ით
- ვით. მანქნ-ათ
- წოდ. მანქანა-ვ

მრ. რ.

- მანქნ-ებ-ი
- მანქნ-ებ-მა
- მანქნ-ებ-სა
- მანქნ-ებ-ის
- მანქნ-ებ-ით
- მანქნ-ებ-ათ
- მანქნ-ებ-ო

საკუთარი სახელები

თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელის ბრუნება

- სახ. კახაბერ-ი
- მოთხ. კახაბერ-მა
- მიც. კახაბერ-(ს)

- ნათ. კახაბრ-ის/კახაბერ-ის
- მოქმ. კახაბრ-ით/კახაბერ-ით
- ვით. კახაბრ-ათ/კახაბერ-ათ
- წოდ. კახაბერ-ო

ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელის ბრუნება

- სახ. აჭარა-დ
- მოთხ. აჭარა-მ
- მიც. აჭარა-ს
- ნათ. აჭარა-დს
- მოქმ. აჭარა-დთ
- ვით. აჭარა-თ
- წოდ. აჭარა-ვ

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

- სახ. ოთხი მარცხუალ-ი
- მოთხ. ოთხი მარცხუალ-მა
- მიც. ოთხი მარცხუალ (ს)
- ნათ. ოთხი მარცხუალ-ის
- მოქმ. ოთხი მარცხუალ-ით
- ვით. ოთხი მარცხუალ-ათ
- წოდ. ოთხო მარცხუალ-ო

მხ. რ.

- სახ. ერთ-ი ძმა-დ
- მოთხ. ერთი ძმა-მ
- მიც. ერთი ძმა-(ს)
- ნათ. ერთი ძმა(ს)/ძმი(ს)
- მოქმ. ერთი ძმა(თ)/ ძმ-ით(ი)
- ვით. ერთ ი ძმა-თ
- წოდ. ერთ-ო ძმა-ვ

სახ. ბეური ფულ-ი
 მოთხ. ბეურ ფულ-მა
 მიც. ბეურ ფულ (ს)
 ნათ. ბეურ ფულ-ის
 მოქმ. ბეურ ფულ-ით
 ვით. ბეურ ფულ-ათ
 ნოდ. ბეურო ფულ-ო

მხ.რ

სახ. ვინრო გზაჲ
 მოთხ. ვინრო გზა-მ
 მიც. ვინრო გზა(ს)
 ნათ. ვინრო გზ-ი(ს)
 მოქმ. ვინრო გზ-ითი
 ვით. ვინრო გზა-თ
 ნოდ. ვინრო გზა-ვ

მრ. რ

ვინრო გზე-ებ-ი / გზი-ებ-ი
 ვინრო გზე-ებ-მა/ გზი-ებ-მა
 ვინრო გზე-ებ (ს)/ გზი-ებ (ს)
 ვინრო გზე-ებ-ი(ს)/ გზი-ებ-ი(ს)
 ვინრო გზე-ებ-ით/ გზი-ებ-ით
 ვინრო გზე-ებ-ათ/ გზი-ებ-ათ
 ვინრო გზე-ებ-ო/ გზი-ებ-ო

მართული მსაზღვრელი

მხ.რ.

სახ. თი(ს) წყალ-ი
 მოთხ. თი(ს) წყალ-მა
 მიც. თი(ს) წყალ (ს)
 ნათ. თი(ს) წყალ-ის/ წყლ-ის
 მოქმ. თი(ს) წყალ-ით/ წყლ-ით
 ვით. თი(ს) წყალ-ათ/ წყლ-ათ
 ნოდ. თი(ს) წყალ-ო

მრ.რ.

თი(ს) წყლ-ები
 თი(ს) წყლ-ებ-მა
 თი(ს) წყალ (ს)
 თი(ს) წყლ-ებ-ი(ს)
 თი(ს) წყლ-ებ-ით
 თი(ს) წყლ-ებ-ათ
 თი(ს) წყლ-ებ-ო

§7. უღლების ძირითადი პარადიგმები ტაოურში

I სერია

1. ანმყო - რას ვიჯები?
2. უწყვეტელი - რას ვიჯებოდი?
3. ანმყოს კავშირებითი - რას ვიჯებოდე?
4. მყოფადი - რას ვიზამ?
5. ხოლმეობით- შედეგობითი - რას ვიზამდი?
6. მყოფადის კავშირებითი - რას ვიზამდე?

II სერია

7. ნყვეტილი - რა ვქენე?
8. II კავშირებითი - რა ვქნა?

III სერია

9. I თურმეობითი - რა მიქნია?
10. II თურმეობითი - რა მექნა?
11. III კავშირებითი - რა მექნას?

ერთთემიანი ზმნების უღლება

I სერია

ანმყო

მხ.რ

I. ვსწერავ
 II. სწერავ
 III. სწერავს

მრ. რ.

ვსწერავთ
 სწერავთ
 სწერავენ/სწერვენ

უწყვეტელი

მხ.რ.

I. ვსწერვიდი
 II. სწერვიდი
 III. სწერვიდა

მრ. რ.

ვსწერვიდით
 სწერვიდით
 სწერვიდენ

ანმცოსკავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვსწერვიდე	ვსწერვიდეთ
II. სწერვიდე	სწერვიდეთ
III. სწერვიდეს	სწერვიდენ

მყოფადი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დავსწერავ	დავსწერავთ
II. დასწერავ	დასწერავთ
III. დასწერავს	დასწერავენ/დასწერვენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დავსწერვიდი	დავსწერვიდით
II. დასწერვიდი	დასწერვიდით
III. დასწერვიდა	დასწერვიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დავსწერვიდე	დავსწერვიდეთ
II. დასწერვიდე	დასწერვიდეთ
III. დასწერვიდეს	დასწერვიდენ

II სერია-წყვეტილი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დავსწერევი	დავსწერევიტ
II. დასწერევი	დასწერევიტ
III. დასწერა	დასწერეს

II კავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დავსწერო	დავსწეროტ
II. დასწერო	დასწეროტ
III. დასწეროს	დასწერონ

III სერია**I თურმეობითი**

მხ.რ.	მრ. რ.
I. დიმიწერია	დიმიწერიან/ დიგვიწერია
II. დივიწერია	დივიწერავენ
III. დუწერია	დუწერავენ

II თურმეობითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დემეწერა	დემეწერა/ დეგვეწერა
II. დევეწერა	დევეწერენ
III. დეეწერა	დეეწერენ

III კავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. დემეწეროს	დემეწერონ/ დეგვეწეროს
II. დევეწეროს	დევეწერონ
III. დეეწეროს	დეეწერონ

I სერია**ანმცო**

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვსჭამ	ვსჭამტ
II. სჭამ	სჭამტ
III. სჭამს	სჭამენ

უწყვეტელი

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვსჭამდი	ვსჭამდით
II. სჭამდი	სჭამდით
III. სჭამდა	სჭამდენ

ანმცოს კავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვსჭამდე	ვსჭამდეთ

II. სჭამდე სჭამდეთ
 III. სჭამდეს სჭამდენ

მყოფადი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შევსჭამ შევსჭამთ
 II. შესჭამ შესჭამთ
 III. შესჭამს შესჭამენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შევსჭამდი შევსჭამდით
 II. შესჭამდი შესჭამდით
 III. შესჭამდა შესჭამდენ

მყოფადისკავშირებითი

მხ.რ **მრ. რ.**
 I. შევსჭამდე შევსჭამდეთ
 II. შესჭამდე შესჭამდეთ
 III. შესჭამდა შესჭამდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შევსჭამევი შევსჭამევით
 II. შესჭამევი შესჭამევით
 III. შესჭამა შესჭამეს

II კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შევსჭამო შევსჭამოთ
 II. შესჭამო შესჭამოთ
 III. შესჭამოს შესჭამონ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შიმიჭამია შიმიჭამიან/ შიგვიჭამია
 II. შიგიჭამია შიგიჭამია/ნ
 III. შუუჭამია შუუჭამიან

II თურმეობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შემეჭამა შემეჭამა/ შეგუეჭამა
 II. შეგეჭამა შეგეჭამეს/ნ
 III. შეეჭამა შეეჭამეს/ნ

III კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. შემეჭამოს შემეჭამონ/ შეგუეჭამოს
 II. შეგეჭამოს შეგეჭამოს/ნ
 III. შეეჭამოს შეეჭამოს/ნ

I სერია -ი'თემისნიშნისანი (ყიდავს)

ანმყო

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. ვჰყიდავ ვჰყიდავთ
 II. ჰყიდავ ჰყიდავთ
 III. ჰყიდავს ჰყიდვენ//ყიდავენ

უნწყვეტელი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. ვჰყიდავდი ვჰყიდავდით
 II. ჰყიდავდი ჰყიდავდით
 III. ჰყიდავდა ჰყიდავდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. ვჰყიდავდე ვჰყიდავდეთ

II. ჰყიდავდე ჰყიდავდეთ
 III. ჰყიდავდეს ჰყიდავდენ

მყოფადი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გავჰყიდავ გავჰყიდავთ
 II. გაჰყიდავ გაჰყიდავთ
 III. გაჰყიდავს გაჰყიდავენ/ გაჰყიდიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გავჰყიდავდი გავჰყიდავდით
 II. გაჰყიდავდი გაჰყიდავდით
 III. გაჰყიდავდა გაჰყიდავდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გავჰყიდავდე გავჰყიდავდეთ
 II. გაჰყიდავდე გაჰყიდავდეთ
 III. გაჰყიდავდეს გაჰყიდავდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გავჰყიდევი გავჰყიდევით
 II. გაყიდევი გაყიდევით
 III. გაყიდა გაყიდეს

II კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გავყიდო გავყიდოთ
 II. გაყიდო გაყიდოთ
 III. გაყიდოს გაყიდონ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გიმიყიდა გიმიყიდიან/გიგვიყიდა
 II. გიგვიყიდა გიგვიყიდიან
 III. გუჰყიდა გუჰყიდიან

I თურმეობითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გემეყიდა გემეყიდენ/გეგვეყიდა
 II. გეგვეყიდა გეგვეყიდენ
 III. გეეყიდა გეეყიდენ

III კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. გემეყიდოს გემეყიდოს/გეგვეყიდოს
 II. გეგვეყიდოს გეგვეყიდოს/ნ
 III. გეეყიდოს გეეყიდონ

ანმყო

მხ.რ. **მრ.რ.**
 I. ვადულამ ვადულამთ
 II. ადულამ ადულამთ
 III. ადულამს ადულამენ

უნწყვეტილი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. ვადულამდი ვადულამდით
 II. ადულამდი ადულამდით
 III. ადულამდა ადულამდეს

ანმყოს კავშირებითი

მხ.რ. **მრ. რ.**
 I. ვადულამდე ვადულამდეთ
 II. ადულამდე ადულამდეთ

III. ადულამდეს ადულამდეს

მყოფადი

მხ.რ. **მრ. რ.**

- I. ავადულამ ავადულამთ
- II. აადულამ აადულამთ
- III. აადულამს აადულამენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ.რ. **მრ.რ.**

- I. ავადულამდი ავადულამდით
- II. აადულამდი აადულამდით
- III. აადულამდა აადულამდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ. **მრ.რ.**

- I. ავადულამდე ავადულამდეთ
- II. აადულამდე აადულამდეთ
- III. აადულამდეს აადულამდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ. **მრ.რ.**

- I. ავადულევი ავადულევით
- II. აადულევი აადულევით
- III. აადულა აადულეს

II კავშირებითი

მხ.რ. **მრ.რ.**

- I. ავადულო ავადულოთ
- II. აადულო აადულოთ
- III. აადულოს აადულონ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ.

- I. იმიდულეზია
- II. იგიდულეზია
- III. უუდულეზია

მრ.რ.

- იმიდულეზიან/იგიდულეზიან
- იგიდულეზიან
- უუდულეზიან

II თურმეობითი

მხ.რ.

- I. ემედულა
- II. ეგედულა
- III. ეედულა

მრ.რ.

- ემედულა/ ეგგედულა
- ეგედულა/ეს /ნ
- ეედულეს/ენ

III კავშირებითი

მხ.რ.

- I. ემედულოს
- II. ეგედულოს
- III. ეედულოს

მრ.რ.

- ემედულოს/ ეგგედულოს
- ეგედულოს/ნ
- ეედულოს/ნ

მხ.რ.

- I. ვკაფავ
- II. კაფავ
- III. კაფავს

მრ.რ.

- ვკაფავთ
- კაფავთ
- კაფავენ/კაფვენ

უნწყვეტილი

მხ.რ.

- I. ვკაფავდი/ვკაფიდი
- II. კაფავდი/კაფიდი
- III. კაფვიდა/კაფიდა

მრ. რ.

- ვკაფავდით/ ვკაფიდით
- კაფავდით/კაფიდით
- კაფვიდენ/ კაფიდენ

ანწყოს კავშირებითი

მხ.რ.

- I. ვკაფდე
- II. კაფდე
- III. კაფდეს

მრ.რ.

- ვკაფდეთ
- კაფდეთ
- კაფდენ

მყოფადი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დავჰკაფავ	დავჰკაფავთ
II. დაჰკაფავ	დაჰკაფავთ
III. დაჰკაფავს	დაჰკაფავენ/დაჰკაფენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დავჰკაფიდი	დავჰკაფიდით
II. დაჰკაფიდი	დაჰკაფიდით
III. დაჰკაფიდა	დაჰკაფიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დავჰკაფიდე	დავჰკაფიდეთ
II. დაჰკაფიდე	დაჰკაფიდეთ
III. დაჰკაფიდა	დაჰკაფიდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დავჰკაფე	დავჰკაფენით
II. დაჰკაფე	დაჰკაფენით
III. დაჰკაფა	დაჰკაფეს

II კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დავჰკაფო	დავჰკაფოთ
II. დაჰკაფო	დაჰკაფოთ
III. დაჰკაფოს	დაჰკაფონ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დიმიკაფია	დიმიკაფიან/დიგვიკაფიან

II. დიგიკაფია	დიგიკაფიან
III. დუჰკაფია	დუჰკაფიან

II თურმეობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დემეკაფა	დემეკაფეს/ დეგვეკაფა
II. დეგეკაფა	დეგეკაფეს/ნ
III. დეეკაფა	დეეკაფეს/ნ

III კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. დემეკაფოს	დემეკაფოს/ დეგვეკაფოს
II. დეგეკაფოს	დეგეკაფოს/ნ
III. დეეკაფოს	დეეკაფოს/ნ

I სერია

ანმყო

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვჰკონავ	ვჰკონავთ
II. ჰკონავ	ჰკონავთ
III. ჰკონავს	ჰკონავენ/ჰკონვენ

უნწყვეტილი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვჰკონვიდი	ვჰკონვიდით
II. ჰკონვიდი	ჰკონვიდით
III. ჰკონვიდა	ჰკონვიდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვჰკონვიდე	ვჰკონვიდეთ
II. ჰკონვიდე	ჰკონვიდეთ
III. ჰკონვიდეს	ჰკონვიდენ

მყოფადი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევჭკონავ	შევჭკონავთ
II. შეჭკონავ	შეჭკონავთ
III. შეჭკონავს	შეჭკონავენ/შეჭკონვენ

ხოლმეობით-შედევობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევჭკონვიდი	შევჭკონვიდით
II. შეჭკონვიდი	შეჭკონვიდით
III. შეჭკონვიდა	შეჭკონვიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევჭკონვიდე	შევჭკონვიდეთ
II. შეჭკონვიდე	შეჭკონვიდეთ
III. შეჭკონვიდა	შეჭკონვიდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევჭკონევი	შევჭკონევთ
II. შეჭკონევი	შეჭკონევით
III. შეჭკონა	შეჭკონეს

II კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევჭკონო	შევჭკონოთ
II. შეჭკონო	შეჭკონოთ
III. შეჭკონოს	შეჭკონონ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ.	მრ. რ
I. შიმიკონია	შიმიკონიან/ შიგვიკონია

II. შიგიკონია	შიგიკონავენ
III. შუუკონია	შუუკონავენ

II თურმეობითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. შემეკონა	შემეკონეს/შეგვეკონა
II. შეგეკონა	შეგეკონეს/ნ
III. შეეკონა	შეეკონეს/ნ

III კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შემეკონოს	შემეკონოს/ შეგვეკონოს
II. შეგეკონოს	შეგეკონოს//ნ
III. შეეკონოს	შეეკონოს/ნ

ანმყო

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვუკრი	ვუკრით
II. უკრი	უკრით
II. უკრის	უკრენ

უნწყვეტელი

მხ.რ.	მრ. რ.
I. ვუკრიდი	ვუკრიდით
II. უკრიდი	უკრიდით
III. უკრიდა	უკრიდეს

ანმყოს კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვუკრიდე	ვუკრიდეთ
II. უკრიდე	უკრიდეთ
III. უკრიდეს	უკრიდენ

წყვეტილი მხ.რ.

- I. დოუკარ
- II. დოუკარ
- III. დოუკრა

მრ.რ.

- დოუკართ
- დოუკართ
- დოუკრეს

II კავშირებითი მხ.რ.

- I. დოუკრა
- II. დოუკრა
- III. დოუკრას

მრ.რ.

- დოუკრათ
- დოუკრათ
- დოუკრან

III სერია

I თურმეობითი მხ.რ.

- I. დიმიკრია
- II. დიგიკრია
- III. დუუკრია

მრ.რ.

- დიმიკრიან/დიგვიკრია
- დიგიკრავენ
- დუუკრავენ

II თურმეობითი მხ.რ.

- I. დემეკრა
- II. დეგეკრა
- III. დეეკრას

მრ.რ.

- დემეკრენ/დეგვეკრა
- დეგეკრეს/ნ
- დეეკრეს/ნ

III კავშირებითი მხ.რ.

- I. დემეკრას
- II. დეგეკრას
- III. დეეკრას

მრ.რ.

- დემეკრან/დეგვეკრას
- დეგეკრას/ნ
- დეეკრან

I სერია

ანმყო

მხ.რ.

- I. ვასხამ

მრ.რ

- ვასხამთ

II. ასხამ

III. ასხამს

ასხამთ

ასხამენ/ასხმენ

უნწყვეტელი მხ.რ.

- I. ვასხმიდი
- II. ასხმიდი
- III. ასხმიდა

მრ.რ.

- ვასხმიდით
- ასხმიდით
- ასხმიდეს

ანმყოს კავშირებითი მხ. რ.

- I. ვასხმიდე
- II. ასხმიდე
- III. ასხმიდეს

მრ. რ.

- ვასხმიდეთ
- ასხმიდეთ
- ასხმიდენ

მყოფადი მხ. რ.

- I. დავასხამ
- II. დაასხამ
- III. დაასხამს

მრ. რ.

- დავასხამთ
- დაასხამთ
- დაასხამენ/დაასხმენ

ხოლმეობით- შედეგობითი მხ. რ.

- I. დავასხმიდი
- II. დაასხმიდი
- III. დაასხმიდა

მრ. რ.

- დავასხმიდით
- დაასხმიდით
- დაასხმიდენ

მყოფადის კავშირებითი მხ. რ.

- I. დავასხმიდე
- II. დაასხმიდე
- III. დაასხმიდეს

მრ. რ.

- დავასხმიდეთ
- დაასხმიდეთ
- დაასხმიდენ

	II სერია
ნევეტილი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხი	დავასხით
II. დაასხი	დაასხით
III. დაასხა	დაასხეს
II კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დავასხა	დავასხათ
II. დაასხა	დაასხათ
III. დაასხას	დაასხან
	III სერია
I თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დიმისხმია	დიმისხმან/ დიგვისხმან
II. დიგისხმია	დიგისხმან
III. დუუსხმია	დუუსხმან
II თურმეობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დემესხა	დემესხენ/ დეგვესხა
II. დეგესხა	დეგესხეს/ნ
III. დეესხას	დეესხეს/ნ
III კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. დემესხას	დემესხან/დეგვესხას
II. დეგესხას	დეგესხას/ნ
III. დეესხას	დეესხას/ნ

	I სერია
ანმყო	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსუამ	ვსუამთ
II. სუამ	სუამთ
III. სუამს	სუამენ
უნევეტელი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსუამდი/ვსმიდი	ვსუამდით/ვსმიდით
II. სუამდი/სმიდი	სუამდით/სმიდით
III. სუამდა/ სმიდა	სუამდეს/სმიდეს
ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. ვსუამდე/ ვსმიდე	ვსუამდეთ/ვსმიდეთ
II. სუამდე/სმიდე	სუამდეთ/სმიდეთ
III. სუამდეს/სმიდეს	სუამდენ/სმიდენ
მყოფადი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსუამ	შევსუამთ
II. შესუამ	შესუამთ
III. შესუამს	შესმენ
ხოლმეობით- შედეგობითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსუამდი/შევსმიდი	შევსუამდით/შევსმიდით
II. შესუამდი/ შესმიდი	შესუამდით/შესმიდით
III. შესუამდა/შესმიდა	შესუამდენ/შესმიდენ
მყოფადის კავშირებითი	
მხ. რ.	მრ. რ.
I. შევსუამდე/შევსმიდე	შევსუამდეთ/შევსმიდეთ

II. შესუამდე/შესმიდე შესუამდეთ/შესმიდეთ
 III. შესუამდეს/შესმიდეს შესუამდენ/შესმიდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევსვი	შევსვით
II. შესვი	შესვით
III. შესვა	შესვეს

II კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შევსუა	შევსუათ
II. შესუა	შესუათ
III. შესუას	შესუან

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შიმისმია	შიმისმიან/შიგვისმიან
II. შიგისმია	შიგისმიან
III. შუუსმია	შუუსმიან

II თურმეობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შემესუა	შემესუენ/ შეგვესუა
II. შეგესუა	შეგესუა/ნ
III. შეესუას	შეესუა/ნ

III კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. შემესუას	შემესუან/შეგვესუას
II. შეგესუას	შეგესუას/ნ
III. შეესუას	შეესუას/ნ

ანწყო

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვდგები	ვდგებით
II. დგები	დგებით
III. დგება	დგებიან

უნწყვეტელი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვდგებოდი	ვდგებოდით
II. დგებოდი	დგებოდით
III. დგებოდა	დგებოდეს

ანწყოს კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვდგებოდე	ვდგებოდეთ
II. დგებოდე	დგებოდეთ
III. დგებოდეს	დგებოდენ

მყოფადი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ავდგები	ავდგებით
II. ადგები	ადგებით
III. ადგება	ადგებიან

ხოლმეობით-შედგობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ავდგებოდი	ავდგებოდით
II. ადგებოდი	ადგებოდით
III. ადგებოდა	ადგებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ავდგებოდე	ავდგებოდეთ
II. ადგებოდე	ადგებოდეთ
III. ადგებოდეს	ადგებოდენ

	II სერია
წყვეტილი მხ.რ.	მრ.რ.
I. ავდექ	ავდექით
II. ადექ	ადექით
III. ადგა	ადგეს
II კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ავდგე	ავდგეთ
II. ადგე	ადგეთ
III. ადგეს	ადგენ
I თურმეობითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ავმდგარვარ	ავმდგარვართ
II. ამდგარხარ	ამდგარხართ
III. ამდგარა	ამდგარან
II თურმეობითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ავმდგარვიყავ	ავმდგარვიყავთ
II. ამდგარიყავ	ამდგარიყავთ
III. ამდგარიყო	ამდგარიყვენ
III კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ავმდგარვიყო	ავმდგარვიყოთ
II. ამდგარიყო	ამდგარიყოთ
III. ამდგარიყოს	ამდგარიყონ
ანმყო მხ.რ.	მრ.რ.
I. მინდა	მინდანან/გვინდანან

II. გინდა	გინდანან
III. უნდა	უნდანან
უწყვეტელი მხ.რ.	მრ.რ.
I. მინდოდა	მინდოდენ/გვინდოდა
II. გინდოდა	გინდოდენ
III. უნდოდა	უნდოდეს
ანმყოს კავშირებითი მხ.რ.	მრ. რ.
I. მინდოდეს	მინდოდეს/ გვინდოდეს
II. გინდოდეს	გინდოდენ
III. უნდოდეს	უნდოდენ
მყოფადი მხ.რ.	მრ. რ.
I. მამინდება	მამინდებიან/მაგვინდება
II. მაგინდება	მაგინდებიან
III. მაუნდება	მაუნდებიან
ხოლმეობით- შედეგობითი მხ. რ.	მრ. რ.
I. მამინდებოდა	მამინდებოდენ/ მაგვინდებოდენ
II. მაგინდებოდა	მაგინდებოდენ
III. მაუნდებოდა	მაუნდებოდენ
მყოფადის კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. მამინდებოდეს	მამინდებოდეს/ მაგვინდებოდეს
II. მაგინდებოდეს	მაგინდებოდენ
III. მაუნდებოდეს	მაუნდებოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ.

- I. მამინდა
- II. მაგინდა
- III. მაუნდა

მრ.რ.

- მამინდა/ მაგვინდა
- მაგინდენ
- მაუნდეს

II კავშირებითი

მხ.რ.

- I. მამინდეს
- II. მაგინდეს
- III. მაუნდეს

მრ.რ.

- მამინდეს/მაგვინდეს
- მაგინდენ
- მაუნდენ

I თურმეობითი

მხ.რ.

- I. მამდომეზია
- II. მაგდომეზია
- III. მანდომეზია

მრ.რ.

- მამდომეზია/ მაგვდომეზია
- მაგდომეზიან
- მანდომეზიან

II თურმეობითი

მხ.რ.

- I. მამდომეზოდა
- II. მაგდომეზოდა
- III. მანდომეზოდა

მრ.რ.

- მამდომეზოდა/მაგვდომეზოდა
- მაგდომეზოდა/ენ
- მანდომეზოდა/ენ

III კავშირებითი

მხ.რ.

- I. მამდომეზოდეს
- II. მაგდომეზოდეს
- III. მანდომეზოდეს

მრ.რ.

- მამდომეზოდეს/ მაგვდომეზოდეს
- მაგდომეზოდეს
- მანდომეზოდენ

ანწყო

მხ.რ.

- I. მაქ

მრ. რ.

- მაქვან/გვაქვან

II. გაქ

III. აქ

გაქვან

აქვან

უწყვეტელი

მხ.რ.

- I. მქონდა
- II. გქონდა
- III. (ჰ)ქონდა

მრ.რ.

- მქონდენ/ გვქონდა
- გქონდენ
- (ჰ)ქონდენ

ანწყოს კავშირებითი

მხ.რ.

- I. მქონდეს
- II. გქონდეს
- III. ჰქონდეს

მრ.რ.

- მქონდეს/ გვქონდეს
- გქონდენ
- (ჰ)ქონდენ

მყოფადი

მხ.რ.

- I. მექნება
- II. გექნება
- III. ექნება

მრ.რ.

- მექნება/ გვექნება
- გექნებიან
- ექნებიან

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ.რ.

- I. მექნებოდა
- II. გექნებოდა
- III. ექნებოდა

მრ.რ.

- მექნებოდა/ გვექნებოდა
- გექნებოდენ
- ექნებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.

- I. მექნებოდეს
- II. გექნებოდეს
- III. ექნებოდეს

მრ.რ.

- მექნებოდეს/ გვექნებოდეს
- გექნებოდენ
- ქნებოდენ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მქონებია	მქონებია/გვქონებია
II. ქქონებია	ქქონებიან
III. (ჰ)ქონებია	(ჰ)ქონებიან

II თურმეობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. მქონებოდა	მქონებოდა/ გვქონებოდა
II. ქქონებოდა	ქქონებოდენ
III. (ჰ)ქონებოდა	(ჰ)ქონებოდენ

III კავშირებითი

მხ.რ.	მრ. რ.
I. მქონებოდეს	მქონებოდენ/ გვქონებოდენ
II. ქქონებოდეს	ქქონებოდენ
III. (ჰ)ქონებოდეს	(ჰ)ქონებოდენ

I სერია

აწმყო

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვიარები	ვიარებით
II. იარები	იარებით
III. იარება	იარებიან

უწყვეტელი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვარებოდი/ვიარებოდი	ვარებოდი/ ვიარებოდით
II. არებოდი/იარებოდი	არებოდით /იარებოდით
III. არებოდა/იარებოდა	არებოდეს/იარებოდეს

აწმყო კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. ვარებოდე/ვიარებოდე	ვარებოდე/ ვიარებოდეთ

II. არებოდე/იარებოდე	არებოდეთ /იარებოდეთ
III. არებოდეს/იარებოდეს	არებოდენ/იარებოდენ

მყოფადი

მხ.რ.	მრ. რ.
I. გევევარ//გევიარ	გევევართ// გევიართ
II. გევარ//გეიარ	გევართ//გეიართ
III. გეარს//გეიარს	გეარებენ//გეიარებენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. გევეარდი// გევიარდი	გევეარდით//გევიარდით
II. გევარდი//გეიარდი	გევარდით// გეიარდით
III. გეარდა// გეიარდა	გეარდენ//გეიარდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ.რ.	მრ.რ.
I. გევეარდე//გევიარდე	გევეარდეთ// გევიარდეთ
II. გეარდე//გეიარდე	გეარდეთ//გეიარდეთ
III. გეარდეს//გეიარდეს	გეარდენ//გეიარდენ

II სერია

წყვეტილი

მხ.რ.	მრ.რ.
I. გევევარე//გევიარე	გევევარეთ//გევიარე
II. გეარე//გეიარე	გეარეთ//გეიარეთ
III. გეარა//გეიარა	გეარეს//გეიარეს

II კავშირებითი

მხ.რ	მრ.რ.
I. გევევარო// გევიარო	გევევაროთ//გევიაროთ
II. გეარო//გეიარო	გეაროთ//გეიაროთ
III. გეაროს// გეიაროს	გეარონ//გეიარონ

	III სერია
I თურმეობითი მხ.რ.	მრ.რ.
I. გიმივლია	გიმივლიან/ გიგვივლია
II. გიგივლია	გიგივლიან
III. გუუვლია	გუუვლიან

II თურმეობითი მხ.რ.	მრ. რ.
I. გემევლო	გემევლეს/ გეგვევლო
II. გეგევლო	გეგველეს/ნ
III. გეევლო	გეევლეს/ნ

III კავშირებითი მხ.რ	მრ. რ.
I. გემევლოს	გემევლოს/ გეგვევლოს
II. გეგევლოს	გეგველონ
III. გეევლოს	გეევლონ

	I სერია
ანწყო მხ.რ.	მრ.რ.
I. მივალ	მივალთ
II. მიხვალ	მიხვალთ
III. მიდის	მიდიან

უნწყვეთელი მხ.რ.	მრ.რ.
I. მივლოდი	მივლოდით
II. მიხვილოდი	მიხვილოდით
III. მივლოდა	მივლოდეს

ანწყოს კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. მივლოდე	მივლოდეთ

II. მიხვილოდე	მიხვილოდეთ
III. მივლოდეს	მივლოდენ

მყოფადი მხ.რ.	მრ.რ.
I. ნომოვალ	ნომოვალ
II. ნომოხვალ	ნომოხვალთ
III. ნომოვა	ნომოვლიან

ხოლმეობით- შედეგობითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ნომოვლოდი	ნომოვლოდით
II. ნომოხვილოდი	ნომოხვილოდით
III. ნომოვლოდა	ნომოვლოდენ

მყოფადის კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ნომოვლოდე	ნომოვლოდეთ
II. ნომოხვილოდე	ნომოხვილოდეთ
III. ნომოვლოდეს	ნომოვლოდენ

	II სერია
წყვეტილი მხ.რ.	მრ.რ.
I. ნომოველ	ნომოველთ
II. ნომოხველ	ნომოხველთ
III. ნომოიდა	ნომოინეს

II კავშირებითი მხ.რ.	მრ.რ.
I. ნომოვდე	ნომოვდეთ
II. ნომოხვიდე	ნომოხვიდეთ
III. ნომოიდე	ნომოიდენ

III სერია

I თურმეობითი

მხ.რ.

- I. ნომოვსულევარ
- II. ნომოსულხარ
- III. ნომოსულა

მრ.რ.

- ნომოვსულევართ
- ნომოსულხართ
- ნომოსულან

II თურმეობითი

მხ.რ.

- I. ნომოვსულიყავ
- II. ნომოსულიყავ
- III. ნომოსულიყო

მრ.რ.

- ნომოვსულიყავთ
- ნომოსულიყავთ
- ნომოსულიყვენ

III კავშირებითი

მხ.რ.

- I ნომოვსულიყო
- II. ნომოსულიყო
- III. ნომოსულიყოს

მრ.რ.

- ნომოვსულიყოთ
- ნომოსულიყოთ
- ნომოსულიყონ

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ტაოური დიალექტი სხვა სამხრულ კილოთაგან შედარებით ნაკლებადაა მოღწეული, მაინც ხერხდება მისი ერთიანი ლინგვისტური პორტრეტის შექმნა.

თავი V. კლარჯული დიალექტი

კლარჯული კილო ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა. მისი გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის ხეობის ქვემო წელია.

ძველი კლარჯეთის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, ართვინის, მურღულისა და არტანუჯის ილჩებშია (რაიონებში) მოქცეული, სამი სოფელი მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი საქართველოს საზღვრებშია (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). მათი მკვიდრი მოსახლეობა ძველი კლარჯების ჩამომავალია, მეტყველება კი - კლარჯული.

კლარჯული სოფლები (60-ზე მეტი) გვხვდება თურქეთის სხვადასხვა გუბერნიაში, მათი მცხოვრებნი უმეტესად რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად წასულ კლარჯთა შთამომავლები არიან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ქართული მთელი ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე არ ისმის, მისი ნაწილი მექართულა, ნაწილიც - მეთურქულა.

კლარჯული კილოს შესახებ პირველი ნაშრომი ეკუთვნის ემერიტუს-პროფესორ მერი ცინცაძეს „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“ (იხ. ცინცაძე, 1954/1954), კლარჯულის მასალები კი პირველად ჩანერილია იმავე ავტორის მიერ 1950-1951 წლებში, გამოქვეყნდა თითქმის 50 წლის შემდეგ, 1998 წელს (იხ. ცინცაძე, 1998). ქართული დიალექტოლოგიის ტრადიციით კირნათ-მარადიდის მეტყველება აჭარული კილოს ქვემოაჭარული კილოკავის ნაწილადაა მიჩნეული, თუმცა ორ სოფელში შეკრებილი მასალებიც გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს სტრუქტურულად აჭარულისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან (ფალავა, ცინცაძე, 2009: 231).

1993 წელს გამოქვეყნდა შ. ფუტკარაძის შრომა „ჩვენებურების ქართული“, სადაც ცალკე გამოყოფილია „ლივანური მეტყველება“, - ბორჩხისა და მურღულის რაიონების სოფლების: ჭილაური, ზემო ქურა, ჩხალეთი, ჯუანი|ჯვანი, არხვა, ქვემო ქურა, ბუჯური,

ბაშქოი, ტრაპენი, ბორჩხა, ქლასკური, მარადიდი, გურბინი, ზედუ-
ბანი, ხეზა, ქართლა, თხილაზორი, ვალაშენი მეტყველება.

ჩვენი ვარაუდით, დასახელებული სოფლების მეტყველება
ცალკე დიალექტად უნდა გამოიყოს და ეწოდოს მას **კლარჯული
კილო**.

მნიშვნელოვანია, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-
ნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „კლარჯეთი“
შეჯამდა კომპლექსური ორნაწილიანი მონოგრაფიით „კლარჯე-
თით“ (ავტორები: პროფესორი მამია ფალავა, პროფ. ემერიტუსი
მერი ცინცაძე, პროფ. თინა შიოშვილი, ასოც. პროფ. მათა ბარამიძე,
ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე, პროფ. მალხაზ ჩოხარაძე, პროფ. ნუგ-
ზარ მგელაძე, პროფ. შოთა მამულაძე, ასოც. პროფ. ჯემალ კარა-
ლიძე).

აღვნიშნავთ, რომ გრანტის ფარგლებში მოენყო რამდენიმე
კომპლექსური ექსპედიცია ისტორიული კლარჯეთის სოფლებში,
შეგროვდა საყურადღებო ფოლკლორული დიალექტოლოგიური
მასალები, რითაც მნიშვნელოვნად შეივსო ჩვენი ცოდნა ისტორი-
ული კლარჯეთის შესახებ.

კლარჯეთის ყოფის, ფოლკლორისა და კლარჯული დიალექტის
პრობლემებს მიეძღვნა 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 30-მდე
მოსხენება რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

მონოგრაფია „კლარჯეთი“ ორნაწილიანია: პირველი ნაწილი
ეძღვნება კლარჯეთის ისტორიას, კლარჯეთის მატერიალური
კულტურის ძეგლებს, აღწერილია კლარჯეთის სოფლები; გადმო-
ცემულია კლარჯეთის ეთნოგრაფია, კლარჯული ფოლკლორი,
კლარჯული კილო, ტოპონიმია. მეორე ნაწილში დაბეჭდილია
კლარჯული ფოლკლორისა და კლარჯული კილოს მასალები ლექ-
სიკონითურთ (იხ. კლარჯეთი, 2016).

§ 1. ფონეტიკური თავისებურებანი

კლარჯულში შემონახულია დიფთონგი: **ბაბოჲ, დედეჲ, დეხარ-
ჯა...**

ჩემ დედეჲ ჰემ წერევედა, ჰემ კითხულობდა (კლარჯ. კრებ. VI.
268); ჩემი მამამთილის **დაჲ** იქიდანაჲ (კლარჯ. 949); მისი **დაჲ** აქ
იყო და იმან მასხრობდა (იქვე, 938); ყორე იყო, **ხეჲ** უუნეგია და
ყორე თლათ ჩაშვებულა (იქვე, 938); ე რაბელაჲ, გო? თავიდან ბო-
ლომდე გაშვებულა **ხოზიკაჲ** (იქვე, 938)...

კლარჯულშიც **ღ** აღმავალ დიფთონგშიც დასტურდება თურქუ-
ლიდან შემოსულ სიტყვებში.

უმლაუტი თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა მეტ-ნაკლები ინტე-
ნსივობით დასტურდება თითქმის ყველა სამხრულ დიალექტში და
კლარჯულშიც. იგი კლარჯულის, როგორც ზოგადად სამხრული
მეტყველებისთვის, არაა ორგანული, მეორეული მოვლენა ჩანს:

ვეო: **სადლობელი** (სადღვებელი) ვთქვით და რა მომაგონდა;
ის ჩემი მინიანი **სადლობელია** (მურღული).

უმლაუტიანი ხმოვნები (ო, უ) მიღებულია შემდეგი ფონეტიკუ-
რი გარდაქმნებით: **ვე> ო; ვა> ო; ე> ო; ვი>უ; ო> უ; ვა> უ; ი> უ.**

აღვნიშნავთ, სამხრულ კილოთაგან კლარჯულში ყველაზე ნა-
კლებად გვხვდება უმლაუტის შემთხვევები (კლარჯეთი, 532).

კლარჯულში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლე-
ნაა ასიმილაცია. გვხვდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა
დამსგავსების ნიმუშები.

აე>ეე: ისე ამჯელაჲ რა **დეემართა** ზავალსა (ჩვენებ. 296); მუ-
ლთან **დეეპატიჯნეს** (ჩვენებ. 285); **რეებს** აკეთებენ (მურღ.); იმა
მეხი **დეეცეს** თავზე (ჩვენებ. 284); აჰანდა **დეგვენივენ** (ჩვენებ.
284).

ოუ>უუ: არნა **მუურიო** იმა (ნიგ. 147); შუამთობაზეც **ამუაქვენ**
(ნიგ. 142); ბევრი'ნა **მუუტანო** ძალს (ნიგ. 167); ბიჭებმა გოგვებს
გუუთქმევდენ (<გოუთქმევდენ) (ჯ.); ისი ძილ-ძილ არ **მუუთლი-**
დენ (<მოუთლიდენ) (ჯ.); ამის სიზეს იყო, გოგო **მუუკდა** (<მო-
უკდა) (ჯ.); ერთი ქალი **მუუკდა** (ერ.)...

აუ>უუ: ყურბანს **დუუკლიდენ** (ჯ.); იმას **დუუძახიან** თქვენი

თავი (ჯ.); იქ მეზერში **წუყყანიანი** (ერ.); **დუყყრი** კარებ და ნავალ (ბუჯ.); თეთრი ვაშლი მალ დალპება, ბევრი არ **გუუნვეს** (ბუჯ.)...

ეუ>უუ: მაშინ მეაც არ **შუყყვარდები** (იბრ.); იგზე სული **შუყ-წუხდება** (იბრ.); მარილი რომ **შუყა (<შეყვა)**, მემრე ცხაზე დადებენ (ჩვენებ. 320)...

ოა>აა სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგია: ნაჯახი სატეხი **მააკოჭე** მეთქი (ჩვენებ. 287); იაზმაზენა **მააკოჭოს** (იქვე, 297); მოკრეფა არ **მაასტრა** (იქვე, 285); ბაბოა **მაადულებდა** თუთი ბექმეზ (იქვე, 285)...

ხშირად ასიმილაციის საფუძველზე რთული ზმნისნინის ორივე ხმოვანი იცვლება: **გედეაქცენ** ზავალი ღარჭები (მურღ.); იმის მემრე თეთრინა **გედეაბურო** თავზე (ად.); **გედევბინე** დილაზე, ქომოთკენ ჩევბინე (ჩვენებ. 306)...

ეია კომპლექსში **ი>ჟ**, ხანაც ი იკარგება: **ეარევიტ**, შოთები გაყავან (ბაშქ.); **ეარ** დენახავ (ბაშქ.); **ეარ**, **ჩამეარ** გეგნავ (ბაშქ.) და სხვა შდრ. აჭარული: ახლა **ეარა...**)

აი კომპლექსში ასიმილაცია მაშინაც ხდება, როცა ზმნის ფორმაში ასიმილატორ და ასიმილირებულ ბგერებს შორის სუბიექტისა და ობიექტის **ვ, მ, გვ** პრეფიქსებია: ვინმემ არ **დეგინახოს** (ჩვენებ. 297); მე იმას ვუთხარი ქი, კაცნა მეეკლა **გევიგენი** (ჩვენებ. 325)...

სრული ასიმილაციის მაგალითებია: **დიგინახავთ, გიმივიდა, ჩიმისხემდა, წიმივიდა:** ნევსვამ ჰამა ახლა არ **წიმისმია** (ბაშქ.); მეაც მამიდან მოცემული მიწა ვერ **გიმიგდია** (ჩვენებ. 331); **დიგიზახს** შენა და ჩაჰყე (ჩვენებ. 309); **დემერეკა** უნა, მე ახლა მივალ (გურბ.); **დიგიზახავ** ამოი (ჩვენებ. 301)...

მ. ბარამიძემ **ასიმილაციის** შემთხვევები დაადასტურა კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც: ბევრი ალთუნი **მემიტანეს** (<მომიტანეს) (ნურუოსმანიე); არ **დემენიკო** (<დამენიკო) (ნურუოსმანიე); არ **დეაპნას**, გო (იქვე).

აი>ეი-ით შეცვლის შემდეგ სუბიექტური პირის პრეფიქსის, – ვ-ს ან ფუძისეული ვ ბგერის მომდევნოდ **ი** მაასიმილირებული ხმოვანი ხშირად იკარგება, მაგალითად: **დეენახავთ** ამასა (გურბ.); მევალვი ერთ საათ **დევიძინავ** (ჩვენებ. 298); რავარცხა

მევტანე, ისე **წევლებ** (იბრ.); ყველგან წეველით, **დევლაპარიკე-ვით** (გურბ.)...

ანალოგიური ფორმები დასტურდება კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც: ზმნის ფორმაში იკარგება მაასიმილირებული **ი: დვენახე** (<დევინახე<დავინახე), **მევალე, დევბურე** (იხ. ბარამიძე, 2014).

ოე>ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ერთი **ბიჭი მეენონა**, გეთხვა, გოგო წევდა (ტრაბ.); მემრე ბორჩხაში ჩამუა, ბაგენი ღელე **მეეტოლება** ჭოროს (ჩვენებ. 324)...

ნანილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებული **ოი>ეი//ეა:** მემრე ქორწილი ქნეს არაბაით მოიდენ, ცხენიც **მეიყვანეს** (გურბ.); ყველი შრატ **ამეილებ**, შრატ გადააქცევ (ბუჯ.); დობტურ **მეაყვანენ** (გურბ.); ცოტა **მეახარშვის**, მარილ ვურთობთ (ბაშქ.); რომელი არ **ამეაცოხნება**, იმა შევჭამთ (ბუჯ.); დედოფალ უნინ ცხენით **მეაყვანდეთ** (გურბ.); მაქვა, ჰამა არ **ამეალო** ყვავილი (დევს.); იქიდანაც **ამეასლება** ჩვენთან (დევსქ.)...

ნანილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგია **აუ>ოუ:** თუთი წვენს **გოუკრავთ** ფქვილსა (ჩვენებ. 284); კალვობა **დოუნყია** (ჩვენებ. 285); ხვალ ჯუმა არი, შეშას არ **დოუგამთ** (ჩვენებ. 285)...

განსაკუთრებით ხშირია თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები:

სღ>ზღ: **ამეზღამ** (<ამასღამ) ჩვენთან ვილაპარიკოთ (ჩვენებ. 324)...

გყ>ქყ: ტყუპების თექიდან გელინი **ქყავს** (ჩვენებ. 284); ერთი ბერნი ქათამი **ქყავს**, ერთიც მამალი **ქყავს** (ბაშქ.); ილლა წამოხვიდენა **წამოქყვენაო** (ჭილ.)...

გც>ქც: რატო არ **ქცხვენიაო** (ჩვენებ. 325); უთქმიან, გოგო **მოქცემთაო** (ბაშქ.); ჩამეილე თოფი, **გაქცვითაო** (ჩვენებ. 325)...

ბშ>ფშ: ამა ღელი **პირეფში** შავი ფუტიც არი (ჩვენებ. 311).

დე>ტყ: იმის ცოტა იქითაა **საავატყოფო** (იბრ.); იმის მემრე **ავატყოფობამ** არ მომეშვა (გურბ.).

ცდ>ძდ: **ოთხმოძდა** ათისა ვარ (ჩვენებ. 299); ჯამე **ოთხასორმოძდაათი** წლისაა (ბაშქ.)...

ხღ>ხტ: ქლიკი ტკივილსა **უხტება** (ჩვენებ. 298); მარილი, ბიბე-

რი ზოლ მუხტება (ჩვენებ. 297); იეშილი იაზმა უხტება ქალსა (ქართ.)...

ბპ>ბბ: ტყუბების თექიდამ გელინი ქვყავს (ჩვენებ. 285); ცხვარ ტყუბები ეყოლა, გიმიხარდა (იბრ.)....

ბგერის დაკარგვა. კლარჯულში იკარგება როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი ბგერები.

მ. ბარამიძის დაკვირვებით, „სხვა მოვლენებთან შედარებით მეტი ჩანს ბგერათა დაკარგვის შემთხვევები. თითქმის ყველა სამხრულ კილოში ნაჩხუბების მნიშვნელობით იხმარება ნაკინდლება - ლ არ არის დაკარგული, მუჰაჯირებთან ამ სიტყვაში ლ იკარგება: ერმენები და თურქები ეკიდნებოდენ; იკინდებიან, ზოგი ნეაკიდნებიან, ვერ რიგდებიან (ნუსრეთიე).

ლ' არ იკარგება ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაშიც, შდრ.: ...ახორ დუუნვენ, ნეაკინდლვენ (ავანა); ყავლა გააკეთებენ, ნეაკინდლებიან (ისკები).

ჩვეულებრივია ს თანხმოვნის დაკარგვა სწავლა სიტყვისაგან ნანარმოებ ფორმებში: გურჯი არ ვიცოდი, ჰამა კაციდან, დედამთილიდან დევნავლე (ირშადიე); შენ დიგინავლია თურჩე (მურკვეთი).

პარალელური ფორმებია ნელინადი და ნელნადი: სამ ნელინად უკან მოკტა (აივაზფინარი); ხუთი ნელნადი ერხელა ვიყავ დედამთილთან (ნუროსმანიე); სამი ნელნადი იქნა, ისიც მომიკდა (აივაზფინარი) (ბარამიძე, 2014: 9-10)...

[მ]კლავიდან საათი მეძრო (აივაზფინარი); [მ]თელმა მოკტა, მე დავ[რ]ჩი (ბორჩხა); დიდი დედე მოვდა (ბორჩხა).

კლარჯულში ბგერის გაჩენის უამრავი ნიმუში გვხვდება: ვ' თანხმოვნის ჩართვის შემთხვევებია: ტაბიკი თოკვით შეიკრება (ჩვენებ.334); გახარვებული ხარო (ჩვენებ.334); ჩხუბვა იციან (ქირქქარმანი); სამვა იციით-თუ, სამვა? სამვიხან ერთი-ერთმანეთს სიმღერა ეტყოდენ (ნიმეთიე); ლაპარიკვა არ აქვან (ნიმეთიე); თაბუთში ჩადვებენ (მურკვეთი).

ი არის ჩართული გარდა თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნიზედაში გარიეთ: ვენახში ჰიჩ რამე არ არი კაკლის გარიეთ (ნუსრეთიე) (ბარამიძე, 2014: 10).

ბგერათა შერწყმის ნიმუშია ქომო: ეს აქა ქომო (<ქვემო) ზის (მურკვეთი).

თს კომპლექსის შერწყმით გვაქვს ასევე ცნობილი ერცხვა(<ერთსხვა): ერცხვა მოდით (მურკვეთი).

გვხვდება ამოსავალი ფორმაც: აქ დამჩალან ერთსხვა (აივაზფინარი); ნენეა აქ გათხოვილა ერთსხვა (აივაზფინარი).

ბგერათა შენაცვლების მაგალითებია: ს/ზ: სიზე (<სიძე), ზლე-ბი (<რძლები); სიზე ლაზია (ბორჩხა); ახლანდელი ზლები კი არ დაჯდებიან დედამთილის ერთათ (ნუსრეთიე)...

მ/ ვ: დამამინყდა(<დამავინყდა); დავბერდი და დამამინყდა (აივაზფინარი)...

იშვიათი ჩანს ქ/ხ მონაცვლეობა: ათ და ხუთი სოფელი ხართველია, თეელი ხართველია; ჩემი ქალი ხართველია, ახლა და გაცნობო; ეს ხართველი არაა (ბორჩხა); მე ხართველი რააა, არ ვიცოდი (ბორჩხა) (ბარამიძე, 2014:10).

მეტათეზისი. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დადასტურდა მეტათეზისის შემთხვევა ნავხავთ: ხალხი ვერ ნავხავთ ქი სოფელში (თხილაზო); შდრ.: კლარჯული: ის ვერ ნავხე, ჩემი შვილი გამოვდა (ქართლა); ის ვერ ნავხე, ჩემი შვილი გამოვდა...

ვ გადასმულია რიცხვით სახელში ვრა(<რვა): ერთი, ორი, სამი... ვრა (აივაზფინარი).

აღვნიშნავთ, რომ ტონური მახვილი კლარჯულში უკვე მიღებულია, მაგრამ მაინც შეინიშნება ასაკოვანი კლარჯებისა და განსაკუთრებით კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში (კლარჯეთი, 544):

თავი გედეიწყო დანზე (მურლული); ჩვენ ქორნილეფში ფადიკოს ცეკვავენ (მურლული); შელა'ლე არი იქა (ნუროსმანიე); იქა'ვრი ხალხი არ მოვდოდენ, ილოცე'ვდენ (მურლული); იმის გაღმა სინკო'თი, სოფელია (ისკები).

ტონური მახვილი გამოიხატება სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვნის დაგრძელებით.

§ 2. მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. სახელთა ბრუნება

კლარჯულში ნაშთის სახით მოღწეულია წრფელობითი ბრუნვა: **შილ** კაცის ძმას ქალია (ირშადიე).

ხმოვანფუძიან სახელებს მოთხრობითში აქვთ **-მა** ნიშანი: კაცის **ბაბომა** მითხრა (ესკიფერადიე); **დიდნენემა** რაცხა ეტყოდა (მურკვეთი); **ხოჯამა** დააბანიავს (მურკვეთი); ჩემ **ნენემა** დეინახა ლამაზი ბიჭი (მურკვეთი).

ამ არსებით სახელთა ანალოგიურია ნაცვალსახელი **ვინმე'** მოთხრობითში: **ვინმემა** არ მიცეს (აივაზფინარი).

-მა ნიშანი ჩვეულებრივია ქოროხისა და მაჭახლის ხეობების მეტყველებაში როგორც საზოგადო, ისე საკუთარ ხმოვანფუძიან სახელებში (ცინცაძე, ფალავა, 1998: 42).

თითო-ოროლა შემთხვევაში **-მან** სუფიქსიც გვხვდება: თქვენ ორთვესა ღმერთმან გიყუროსო (აივაზფინარი); **ხოჯამან** თელღინი შუუძახავს (მურკვეთი); ბერი ხარისა **რქამან** მოხნისო (ბორჩხა) (ბარამიძე, 2014: 11).

კლარჯულში (შავშურის მსგავსად) თვალში საცემია **უკუმშველობა**: **წყალის, წყალები, ცხვარის, მგელები, მანგალის, სოფელიდან, ფხალის, (შდრ>: საჭამელები): ყურძენის, სომეხები, ბებერები: ყურძენის** წვენით ღვინოს აკეთებენ (კლარჯ.); ეს **სოფელის** პროფესორია (იქვე); **მაყარის** სახში მისლამდე მახარობელი მივა (იქვე); ხახვ ამეგტანთ **ბოსტანიდან** (ნიგ. 142).

შეკუმშული ფორმა იშვიათია. შეუკუმშავია ფუძე მრავლობით რიცხვშიც: მე უთხარ ბიძას ე **ამბავები** (კლარჯ. 942); **ბებერების** თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა (იქვე, 951); იმას კაი **სხალები** უსხია (იქვე, 942); ახლა აღარ მაქვან **სხალები** (იქვე); **აკვანები** დავარწვეთ (იქვე, 949); ვისია ეს **გოდორები?** (939); **ცხვარები** დარჩენ შიერები (იქვე, 945)...

ზოგჯერ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდაა ერთ ნინადადებაში: **ნიორით და კაკლით** შეანელებენ (ისკები); აქ **თათრები** ყოფილან, **თათარები** გუუდევნიან (კლარჯ.).

სალიტერატურო ქართულში კვეცადი სახელები კლარჯულში ძირითადად უკვეცელია: **სიმღერას** დარდი არ მაქ; ყანა **ღელეს** ძირშია; **ხეს** სახლია; **ძედან** გავაკეთავთ მანონი (კლარჯ. კრებ. VI. 249); **ლაფერათ** ემე იჯებთან; **საქათმესთან** რაფერი ხიები მოგიტანია; ყანა **ღელეს** ძირშია.

უკვეცელია არსებითი სახელი **ღვინო**. **კლარჯულში** ა' ფუძიანი ზოგი სახელი ებ'იან მრავლობითში ორ ე'ს იჩენს: **თა (*>თაე-ბი)>თეები, გზა (*>გზაეები)>გზეები**:

დადეები სუფრიდან რაცხას ჩეიდებენ, მეიპარვენ (კლარჯ. კრებ. VI.) **თეებიც** არის, მადენის თა, ბუდეფის **თეები** (ჩვენებ. 296); **ზოლ ძუელი გზეებია** (ჩვენებ. 298; 271).

გვხვდება დისიმილირებული ფორმებიც: **თხიები (თხეები<თხა-ები), ქვიები (ქვეები<ქვაები), ბახჩიები (ბახჩეები<ბახჩაები), ხოჯიები (ხოჯეები<ხოჯაები)**: ავართვით ხელიდან **მინაები**, მოვა **ხმაები**, მეტი უყვარს **მანქანაები, ბაქლაგაები** გავაკეთავთ, დედეს ბევრი **ბაღანაები**, ხობიები მოდენა...

აღსანიშნავია, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია კლარჯული მეტყველებისთვის: უნინ იტყოდენ ჯაზობა არიო, **ღარჭებ** უყლარჭებდენ (ქლასკური); **სახლ** აკეთებდა (ქლასკური); **ძაღლ** გაფარჩავს, გააგდებს მგელი (დევსქელი); ჩვენ აქ **ხაბაზოღლებ** გვეტყვიან (დევსქელი); **ზაფხულ** ქოროხი პანაჲ იქნება (ხება); **საქონელ** ძროხა ვეტყვით (მარადიდი); **ბაქლაგას** მუუტანდენ, **ქათამ** მუუტანდენ (ბაგინი); **ტრაპზონ** ვიკითხე, **სტამბულ** ვიკითხე (ბაშქოი); ეს გზა ენნინ **რუსებ** გუუკეთებთან (ახალდაბა); **ჩემ შვილ** ჩასაცმელ უქსოვ, უკლავო (მარმანმინდა) (ფალავა, 2014: 165).

ზოგჯერ დაცულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი: **ნავს** სამოცი კაცი აწევდა (ხება); **ნავს** ქურელი ენიკება - ცარიელა საქმეებზე ვიტყვით (მარადიდი)...

კლარჯულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს** თანხმოვანიც ხშირად დაკარგულია:

ბიჭები მოსლამდინ ერთი სალათი გააკეთე (კლარჯ. კრებ. VI. 271); შავი **ლაჭნი შორვა** ზოლ მიყუარან (ლივან, 302).

მ. ბარამიძის დაკვირვებით, მრავლობითობის **-თ, -ნ** სუფიქსე-

ბით ნანარმოებ რიცხვით სახელებში არ არის ემფატიკური ხმოვანი: თქვენ **ორთვენი** (<ორთავენი) ღმერთზე გაგაგდევით, თქვენ **ორთვესა** (<ორთავესა) ღმერთმან გიყუროსო (აივაზფინარი); **სამთვენი** ერხელ ეყოლა, **სამთვენი** ტყუპია (მურკვეთი); ბაბას და -ხალა, ბიბი - **ორთვენია** (ავანა); ამას სამი შვილი ყავს, **სამთვენის** - ბიჭი (იჯადიე) (იხ. ბარამიძე, 2014: 11).

იშვიათია ნაცვალსახელი **ისი**: ორინჯეა ისი (აივაზფინარი). გვხვდება აგრეთვე პარალელური ფორმა - **ისე**: **ისეც** ფეგენია (ნურუოსმანიე); **ისნები** ბათუმ მივლიან (ჰამიდიე); **ისნები** რომ ლაპაიკობდეს, ხართველია (იქვე); არ გეტყვი შენეო (კირნათი); თქვენე არ გასვათო (მარადიდი)...

ზ. სარჯველაძე მიუთითებს **ისი** ნაცვალსახელის გამოყენების რამდენიმე შემთხვევაზე X-XII ს.ს. წერილობით ძეგლებში. იგი მკვლევარს დიალექტიზმად მიაჩნია (სარჯველაძე, 1980: 23-24).

ის, ეს ეგ ნაცვალსახელთა მოთხრობითის ფორმას **ებ დაერთვის: იმნები, ამნები, მაგნები**.

დასტურდება ურთიერთობითი ნაცვალსახელი **ერთიერთმანეთი**: სამვიხან **ერთიერთმანეთს** სიმღერა ეტყოდენ (ნიმეთიე).

ხშირია ასევე კუთვნილებით ნაცვალსახელთა ზედმეტად (ორმაგად) გამოყენების შემთხვევები: ისნები რომ ლაპააკობდა, ვერ ხედვიდა იგზე **მის დედემისს** (კლარჯ. 944); ვერ გააგონეფ **მის მამის** და სხვა რამ არ უნდა (კლარჯ. 943); დაგანდო **შენმა ნენეშენმა**, ედიო? (კლარჯ. 943); **ქაზიმას დედამისმა** მიძახს (იქვე, 945)...

თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნაცვლად ყველგან გვხვდება - **მისი**: კაცმა **მისი** არ აკეთებს და კოლექტივისა გააკეთეფს? (კლარჯ. 941); ყველამ რომ **მისი** ყანა მან ანეფს, მალე იქნება (იქვე, 938).

შავშურის და აჭარულის მსგავსად, კლარჯულშიც გვაქვს შემთხვევები, როცა უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** პირის ნაცვალსახელის ბადალია და უკავშირდება ზმნას. მას მსაზღვრელად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემი, შენი, მისი, თქვენი:

დუუქორნილებიან **ჩემი თავი, ჩემი თავი** ამ სოფლიერს ბოვრი უყვარს; იმა **ჩუენი თავი** არ უყვარს, ის იძახს **მისი თავი**...

ხმოვანფუძიან ნაცვალსახელებს, არსებითის მსგავსად სახე-

ლობითში აქვთ **ა'**, მოთხრობითში მოუდის -**მა'** ბრუნვის ნიშანი და არა -**შ'**: მიერე დღეს **ყველა** მახინყდება (928); **სხვამა** სხვა იჯებოდა (943); **ყველამა** ერთმანებს ეხმარებოდენ (945)...

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში ნაწილაკშებრილი წარმოებაა დამახასიათებელი: ვინ-ცა-ლა, რა-ცა-ლა, რომელიც ასიმილაციის შედეგად გვაძლევს **ვინცხა', რაცხა'** ფორმებს: შენი მული ახლოპირ იყო აქ, **ვინცხა** ეახლა (935); **ვინცხა** რომენ საჭმელ ჭამდა (931); აგ ზე გეაარა, **ვინცხა** მალალი ქალი იყო (937); **რაცხა** გამონრობა იყო (936).

იკარგება ის/ ეს ნაცვალსახელისეული **ს: ი** კაცი შემეცოდვილა, **ი** ჩემი გოგოა, **ე** გოდრები შენია გო? (კირნ.).

გვხვდება რთული რიცხვითი სახელის არქაული წარმოება: **ათ და ხუთი** (თხუთმეტი) სოფელი ქართველია (ბორჩხა).

რიცხვით სახელებს უმეტესად თურქული შესატყვისებით იყენებენ. თურქულ რთულ რიცხვით სახელებს ქართულად გადმოცემისას მათი გრაფიკული გამოსახულების - ციფრების მიხედვით „თარგმნიან.“ კირქალთი (46) - **ოთხი და ექვსი** წლის (ბორჩხა); იმას ცოტა ქეფი არ აქ, **ვრა და ოთხი** (84) წლის (მურლული); კირქბირ (41) წლის - **ოთხი და ერთი** (მურკვეთი).

კლარჯები უმეტესად იყენებენ თურქულ რიცხვით სახელებს, ქართულად უჭირთ დათვლა: ჩემი სახელი ჰარუნ, **ონ დოქუზ** წლის; გურჯულად არ ვიცი, **ელლი დოქუზ** წლის...

2.2. ზმნა.

პირის ნიშნები. ინკლუზივ-ექსკლუზივი. კლარჯულში ობიექტური წყობის ზმნებში საკმაოდ კარგადაა შემონახული **ინკლუზივ-ექსკლუზივის** კატეგორია: **გამახარებდენ, მყავან, მომყავდენ, მეჭამეს**.

ერთმანეთი **მიყუარდენ** (ლივ.325); გოგვებისა მეტი **გამახარებდენ**, ფულსაც ცოტა **ამართმებდენ** (ნივ. 149); ერთი დაე **მყავან** სამ ძმასა, გასათუთებულია იშტა (ლივ. 308); თუთუნი **მომყავდენ** (ლივ. 329); ესეც გეიზდა, დეისნავლავს, იმღერავს (კლარჯ. კრებ. VI. 261); ჩუენაც **მომწონან** ისინი (ლივ. 297); ზარმელი **მეჭამეს** და ისე ნავსულიყავით, კად მოდოდა (ლივ.296); ჩუენ ქითაბი **მაქვანან**

(იქვე, 306); ბევრი არაფერი **მახსოვან** (იქვე, 297); **ჩუენ მყავდენ** ლაზები (იქვე, 329); ხუთ-ექს ნელნად არ **შემირიგდენ ჩვენ** (იქვე, 329); სამ დღე ჯეზა **მომცეს ჩუენ** (იქვე, 326); ერთმანეთი **მიყუარდენ** (იქვე, 329); ჩუენ **მინდანან** ბათუმ ჩამოსლა (იქვე, 314); ჩუენ ბევრი საქონელი **მყავან** (იქვე, 315).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირის ნიშანთა ხმარება ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგარ ზმნებში. ძველ ქართულში სახელობითი დასმული სახელის მრავლობითი ზმნაში აღინიშნებოდა, მიცემით ბრუნვაში დასმულისა კი აღუნიშნავი იყო, ახალ ქართულში კი მისი ასახვა ინვერსიულ ფორმებში დაინყო. როგორც ცნობილია, ენაში შეუძლებელია სუბიექტისა და ობიექტის სიმრავლის ზმნის ერთ ფორმაში გამოხატვა. სინტაქსურად უფრო ძლიერი პირის, ობიექტის რიცხვი გამოიხატება სუბიექტური პირის პლურალობის სუფიქსებით: **თ, ან, ენ, ეს**.

ქართული ენის დიალექტებში ასეთ ზმნებში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა გამოიხატება: **1. ყე** ნაწილაკის გამოყენებით (რაჭ. ლეჩხ. იმერ. ფერეიდნ. ინგილ. მთიულ. მოხ.); **2. თ'** სუფიქსით (სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმრავლესობაში); **3. III სუბიექტური პირის სუფიქსის დართვით** (ქვემოიმერულში, გურულში, აჭარულში, მესხურსა და ზანურ-სვანურში. **ზან.:** მილუნან, გილუნან, ულუნან. **სვან.:** ჯულვა-ხ, ხულვა-ხ: გაქვთ, აქვთ) (იხ. თოფურია, 1979: 453).

გურული და იმერული კილოებისთვის დამახასიათებელია **-ენ**-ის უნიფიკაცია. მესხურშიც გაბატონებულია **-ენ** სუფიქსი (თოფურია, 1979: 452).

„აქ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ქვემდებარის მრავლობითობა **თ** ბოლოსართით კი არ არის გამოხატული, როგორც ეს სალიტერატურო ქართულსა და აღმოსავლეთ კილოებშია, არამედ სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის **ენ, ან** სუფიქსებით. აჭარულისებური შეთანხმება ქვემდებარე-შემასმენლისა გვაქვს ქვემოიმერულსა და გურულში და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, მეგრულსა და სვანურში“ (ნოლაიდელი, 1960:42).

კლარჯულში უპირატესად გამოიყენება- **ან'** ფორმანტი, შედარებით იშვიათია **-ენ** სუფიქსის უნიფიკაცია:

აბანჯები **ნახენ** (კლარჯ.კრებ.VI.247); არ დეინავლენ გურჯიჯა (იქვე, 235); თუ ჩვენ **გამომიშვენ**, კაა (იქვე,243); ქილისა იყო და **დაანგრიენ** (იქვე, 260)...

-ან გვაქვს: ა. ანმყოში სტატიკურ და ობიექტური ნყოშის ზმნებთან: ახლა ნყლები **გაქვან?** (კლარჯ. 236); რამიდან დერდი **გაქვან?** (იქვე); სახლი არ **აქვან** გაკეთებული (იქვე, 266); სამივეს მანქანა **ყავან** (იქვე, 255); მანქანა **ყავან** (კლარჯ. კრებ.VI. 268); თის ქვეშიდან კაი ნყალი **მოყავან** (იქვე, 243); ეს რაში **დაქჭირიან?** (იქვე,244); იმათ კამერა გამონეველი **აქვან** (ნიგ. 148); ჩემ ბიჭებ კი **უყვარან** (იქვე, 263) [მდრ: ეს რაში **გჭირიან?** თქვენ თაზე მაღლა კი ხართ, მაგრამ **ჭკვა არ გაქვანო** (შავშ. ჩანან. 34); შვიდი სული **ყავან** (იმერხ.260); ლელის ნყალი **გყავან** (იქვე,260).

ნ. სურმაჯამ **მართებან, აქვან, ჰქონიან, ქონდენ, გარდახდენ, დაუფლავენ, მოუკლიან** ფორმები გამოავლინა ქართლ-კახეთის XVII-XVIII საუკუნის ისტორიული დოკუმენტების ენაშიც (სურმაჯა, 1989: 139).

კლარჯულში მოვიპოვეთ უამრავი მაგალითი, რომლებშიც **ან/ენ** სუფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმაზეა დართული:

იჯარაზე მიცემული **მაქვან** მინა (ლივ.331); გურჯი **მიძახიან ჩვენ** (კლარჯ. 237); აქ არ მოვა, ის **მეყოფიან ჩვენ** (238); **მინა ბევრი მაქვანან** (იქვე, 238); ჩვენ მარადიდელი **რძალი მყავან** (იქვე, 238); შავი **თუთა არ მაქვან** ჩვენ (იქვე); ჩვენ ახლა **სამარგელი მაქვანან** (იქვე, 262); **სადილი** ჩუენაც არ **მინდანან** (ჩვენ. 296); ძუელი არ **მახსოვან** ჩუენი **სოაადი** (იქვე, 297); ჩუენ **მქონდენ** წრეველა ბევრი ხილი (იქვე, 307); მისი ბაბო **ჩუენა არ მახსოვან** (იქვე, 307); **ჩუენ** არაბა **მყავან** (იქვე, 306); შვილი ჩვენ **მყავან** (იქვე, 306); ჩვენაც **მომწონან ისინი** (იქვე, 297); სადილი **ჩუენაც არ მინდარან?** (იქვე,302); კაა ქალი გვინდანან ძლათა (იქვე, 302); რატომ **მეკარქვიან** ჩუენ **დანა** აგზე? (კირნ. მარ.334); ბათუმ წასლა **მინდანან**, ხვალ წავალთ აჯაფ? (იქვე, 331); სახლი მაქვან ბორჩხას (კრებ. VI. 266).

საყურადღებოა ასევე შემდეგი მოვლენა: **აქვს'** ზმნა კლარჯულში დასტურდება **აქვა** ფორმით:

პანსიონი **გაქვა?** (კლარჯ. 263); შიშა **მაქვა**, საჭმელი **მაქვა**

(იქვე, 271); ლაპარაკის **ჩინები არ მაქვა** (იქვე, 250); **გარგნები მაქვა** (იქვე, 249); **გაგონილი მაქვა**, იქ არი (იქვე, 265); რამსოე **გული აქვა** (იქვე, 250); **კვერცხები მაქვა** (ნიგ. 145); შვიდი დღე **ემე მაქვა** (იქვე, 144); **თვალი მაქვა** კიდენ მიწვევაზე (იქვე, 161); ხარის არაბა **გუაქვა** (ჩვენებ. 304); უღელსა ტაბიკები **აქვა** (იქვე, 301); თავბრუ სხმა **მაქვა** და რა არიო (316); სამი ილდიზი **მაქვა** და ისი მეყოფაო (317); დავლი თან **მაქვა** (319); დოლაბს თავანი არ **აქვა** (319).

შ. ფუტკარადის მიერ ჩანერილ მასალებში დასტურდება **მყავა** ფორმაც: დუქანში ვინმე არ **მყავა** (ჩვენებ. 300).

შდრ. იხილა სძალი თვისი, რომელსა **ჰყვა** ყრმა იგი ნიალთა თვსთა (ანტიოქ. 85, 25). **მყავა** ანმყოს ფორმაა, **ჰყვა** კი - წყვეტილისა. კლარჯულში სწორედ ეს მეტად იშვიათი ფორმაა შენახული.

ძველ ქართულში დასტურდება **გუაქუნს**: არღარა **გუაქუნს** სარწმუნოებად (მთ. 16,7); არა **ჰქუანან** ქალაქნი და ნაშენებნი (ეც. II. 51, 10); **ჰქონან** მოსე და წინაწარმეტყუელნი (ლ. 16, 29).

კლარჯულში დადასტურებული ფორმები **აქუანს** > **აქუან** > **აქუა** ეტაპის მაჩვენებელია, სხვაგვარად – უძველესია.

კლარჯულშივე დასტურდება **ორმაგი ან**: კაფე **მაქვანან**, იქ ვსაქმობ (კლარჯ. 239); ლამაზი სოფელი **მაქვანან** (იქვე, 242); მიწა ბევრი **მაქვანან** (იქვე, 238); ჩვენ ახლა სამარგელი **მაქვანან** (იქვე, 262); მე იქაც **მაქვანან** სახლში (იქვე, 245); ჩვენ ფული არ **მაქვანან** (იქვე, 242); **მინდანან** ნანველი, ფარა **მინდანან**, ფარა (იქვე, 260); ბევრი ფარა **გინდანან** (იქვე, 242); თუ ფული **გინდანან**, სახლი **გინდანან** (ნიგ., 162); აგერ **აქუანან** სახლი, ია (ჩვენებ. 362); ბაქლაგისთვის სხვა ხე **მაქვანან** (იქვე, 305); ჩუენ ქითაბი **მაქუანან** (იქვე, 306); **მინდანან** ბათუმ ჩამოსლა (იქვე, 309); ყანა **გაქუანან**? (იქვე, 314); ასე უთქუამს, ჩუენ **მინდანან** ძლათაო (იქვე, 297)...

ძველ ქართულში იყო: **უნდან**, **უნახვან** მას იგინი. **უნდა**, **ვარგა**, მრავლობითში **უნდანან**, **ვარგანან** სახითაა წარმოდგენილი მესხურში (ჯორბენაძე, 1989:392). ანალოგიური მაგალითები გვაქვს ქართლ-კახეთის ისტორიულ დოკუმენტებშიც: „ჩემს დროში არავის ყმათ **მინახვანან** (დოკ. I. 1776.146); აზნაურიშვილები **გახლავნან** და გლეხნი (სურმავა, 1989: 139).

უნდანან (//**უნდარან**) ფორმა დასტურდება ზემოაქარულშიც:

ნაე, გეგვევი, რა **უნდანან** მაგენს (შუახ.); ალი, ყველი გინდანან? (ხულო)...

მრავლობით რიცხვში ორი **ან** სუფიქსია თავმოყრილი, რომელთაგან ერთი თემატური ნიშანია, ხოლო მეორე - რიცხვის ნიშანი. ლ. კიკნაძემ დაასაბუთა, რომ პირველი **ან** საშუალი გვარის ზმნათა ფუძის საწარმოებელი ფორმანტია I სერიაში (დგანან, ჩანან, წვანან) (კიკნაძე, 1946: 163-176).

ან' სუფიქსით გამოიხატება სახელობითი დასმული სახელის მრავლობითობაც. რელატიურ გარდაუვალ ზმნებთან სახელობითის (MS-ის) მრავლობითობა აღინიშნება ძველ ქართულშიც: ფრიად ურიცხვნი **ჟამნი ჰქონან** საყდარსა მას ანჩისასა (გრ. ხანძთ.); მას უფროეს **უყუარან სამწყსონი თვისნი** (საბა).

აკლიან, **სწერიან**, **ჰმატან**, **ჰრწმანან**, **სძაგან** (მას იგინი) ნორმაა ძველი ქართულისთვის.

ეს გრამატიკული არქაიზმი განსაკუთრებით კარგად ჩანს **მიყვარს'** და **მყავს'** ზმნებთან, ამასთან, ზმნაში ნიშანს აჩენს **ეზიანი** მრავლობითიც, რაც საინტერესო ფაქტია ენის ისტორიის თვალსაზრისით:

კაე ინსნები **უყვარან** (კლარჯ. 271); ემიაშვილები **მყავან** (იქვე, 239); მოზვრები არ **მყავან** (იქვე, 252). **ხოზიები** ჰად არიან, ჰემ **დემეკარქენ** (კირნ. მარ. 331); ჩავლაე **გუგუმები მიმქონდენ** (იქვე, 337); სიცოცხლეში **დემენატრენ ბალნები** (იქვე, 336).

ან'ის გვერდით გავრცელებულია ასევე **ენ'იც**, თუმცა გაცილებით ნაკლები ინტენსივობით: სტუმრები **მყავდენ** (კლარჯ. 242).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ გარდაუვალ რელატიურ ზმნათა შეთანხმება გრამატიკულ სუბიექტთან ახასიათებს ლებურ-ჭიორულსა და საერთოდ, რაჭულს. **ქათმები მყამდენ**, ხელმწიფეს **ყავდენ სამი შვილი**, **ამხანაგები მყავდენ** (თოფური, 1961: 242).

კახურში დადასტურებული ანალოგიური ფორმების (მას ისინი უყვარან, უნდანან, ჰყვანან, ენანებთან, უნახვანან) შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს: „პრინციპი ძველქართულისებურია, ოლონდ დიალექტური მოდიფიკაციით წარმოდგენილი“ (ჯორბენაძე, 1989:335).

ამრიგად, აღნიშნული თავისებურება არქაიზმია, რომელიც შე-
მოგვინახა კლარჯულშიც.

კლარჯულის გამოკვეთილ თავისებურებად მიგვაჩნია ერთი მე-
ტად თავისებური მოვლენა: **ენ//ან** სუფიქსები ზმნაში მაშინაც გვაქ-
ვს, როცა არც სუბიექტია მრავლობითში და არც ობიექტი: **ა.** ერთი
კაცი **მყავდენ** (ნიგ.146), **ბაბო** ხეირსუზი **მყავდენ** (კლარჯ.234);
მაჭახლეელი ხოჯა **მყავან** (იქვე,234); ერთი გოგო **მყავან** (იქვე, 271);
ტრაქტორი **მყავან** (იქვე, 267); მე სიძე **მყავან** (239) [შდრ.: //კა სიძე
მყავს (იქვე)]; ერთი კაცი **მყავდენ** იქა (ნიგ.); არ **მყავან** ქათამი (იქვე,
252); **მაინწყდებიან ქართული** (იქვე, 263); არ **მაქვან ფასფორთი**
(იქვე, 243); მუსაფირი **გიმიხარდებიან, მიაშებიან** (იქვე,234); ახლა
მე ხოჯა **მყავან, მაჭახლეელი არიან** (იქვე, 236); **ანალული მომიკდენ**
(239); ნუხელი **ქორწილი მქონდენ; ნენე მომიკტენ, ბაბო დიმი-**
ქორწილდენ (იქვე, 239); ნენე მეც **მომიკტენ** (იქვე,238); **ანალული**
მომიკდენ (239), კა ქალია, **მივარებიან, ჰელვა მიჯებიან** (იქვე, 263);
თურქმა პარვა იციან, ჭამა იციან (კლარჯ. 24).

კირნათ-მარადიდში მ. ცინცაძის მიერ ჩანერილ ტექსტებში
გვხვდება ანალოგიური მაგალითები: ამსო **საქმე გიმიკეთენ** (გა-
მიკეთა) **შეითანმა** (319); **ი ფარა დემეხარჯენ** (დამეხარჯა) (319);
ეკიდიო, რა **დამმართენ** (დამმართა) **ქათამმა**, თაროდან ყველამ-
ფერი გადმუუზავებია (319).

ქათამში ქათმები შეიძლება ვივარაუდოთ, ან კიდევ: **ბევრი არა-**
ფერი მახსოვან აშკარად მიუთითებს სიმრავლეზე, რასაც ვერ ვი-
ტყვით სხვა მაგალითებზე. მაგ.: არ **მაქვან ფასფორთი**; ხოჯა **მყა-**
ვან და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აქ არც მხოლობითის და მრავლობითის
ფორმებია გარჩეული, უფრო სწორად, უნიფიცირებულია: ქათა-
ში, გოგო, სიძე **მყავან**...პარალელურად გვაქვს - **სიძე მყავს**. ამ მო-
ვლენის ახსნაში გვეხმარება ზემომოყვანილი მაგალითი: **ახლა მე**
ხოჯა მყავან, მაჭახლეელი არიან (იქვე, 236), სადაც სუბიექტური
წყობის ზმნაც (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი) მრავ-
ლობით რიცხვში დგას. მაგალითში - კა ქალია, **მივარებიან**, ჰე-
ლვა **მიჯებიან**. სუბიექტური პირი მხოლობითშია, ზმნა მრავლო-
ბითში (უნდა: **მივლის ის მე**).

მრავლობით რიცხვში შეიწყობს ზმნა-შემასმენელს **ნაცვა-**
ლსახელიც: ვინცხას უყვარან, აგზე **დეიდებენ** და რამე არ ჩანს
(კლარჯ.249); **ვინ მათამაშებდენ**; ვინცხას კაცი **ყავან, გაყიდიან**
(იქვე, 242).

ეს მაგალითები შეიძლება აზრობრივი შეთანხმების ნიმუშებად
მივიჩნიოთ (იგულისხმება მრავლობითი რიცხვი), მაგრამ **ერთი**
კაცი მყავდენ, ხოჯა მყავან, ნენე მომიკტენ მოვლენას სხვაგვარი
ახსნა დასჭირდება, რადგან კონტექსტით ობიექტური პირის მრავ-
ლობითობა და ინკლუზივ-ექსკლუზივი გამოირიცხება.

მხოლობითის და მრავლობითის ერთნაირად წარმოდგენა მხო-
ლოდ გოლოლურის თავისებურებაა წერდა ვ. თოფურია (იხ. თოფუ-
რია, 1961: 241). კლარჯულის მასალები თამამად შეიძლება დავა-
ყენოთ გოლოლურის გვერდით.

საგანგებო ახსნას ითხოვს შემდეგი მაგალითები: ნენე **და-**
ვხარჯენ, შვიდი წლის ვიყავ (კლარჯ. 236) [შდრ.: მე მაშინ შენ **დი-**
გინერენ ქითაბი ნიგ.145].

დავხარჯენ ზმნა იმითაც იქცევეს ჩვენს ყურადღებას, რომ ის აქ
სუბიექტური წყობით გვხვდება.

მ. ცინცაძე და მ. ფალავა საგანგებოდ განიხილავენ კირნათ-მა-
რადიდში დადასტურებულ შემდეგ მაგალითებს: „**ფხებზე შემცი-**
ვდენ, სველში არ გემეველებიან...და დასძენენ, რომ აღნიშნულ მა-
გალითებში -**ენ, -ან** სუფიქსები **მე** ნაცვალსახელის აღმნიშვნელი
ვერ იქნება, მათი ფუნქცია შემდგომ კვლევას მოითხოვს“ (ცინცა-
ძე, ფალავა, 1998: 57).

ფხებზე შემცივდენ აზრობრივი შეთანხმების ნიმუშია, მას
გრამატიკული კანონებით ვერ ავხსნით, **გემეველებიან** (მე) მრავ-
ლობითის ანალოგიით გაჩენილი ფორმა უნდა იყოს, რადგანაც
კლარჯულში იკვეთება მხოლობითისა და მრავლობითის ფორმა-
თა უნიფიკაციის ტენდენცია. ვინაიდან **მიყვარან** ტიპის ფორმე-
ბი საზიაროა, **მიყვარან** (მე ისინი//ჩვენ ის), **მაქვან** (ჩვენ იგი//მე
იგინი), **მყავან** (ის მე)//(ის ჩვენ); **მიძახიან** (გვეძახიან ისინი ჩვენ
მას)//(მეძახიან ისინი მე მას); **მომიკტენ** (ის მე)//(ისინი მე/ჩვენ),
მათი ობიექტის მრავლობითობაც აისახება და სუბიექტისაც,
ამიტომაც მეტყველის ცნობიერებაში აღარ ენევა ანგარიში სა-

ხელის რიცხვს: ამსოჲ **საქმე გიმიკეთენ** (გამიკეთა) **შეითანმა, მე ხოჯა მყავან, მაჭახლეელი არიან...**ეს ტენდენცია სხვა ზმნებთანაც იჩენს თავს (იხ. ცეცხლაძე, 2014:30).

„ყველაფერი **მქონდენ**“, „დღეს რამე არ **მიჭმიან**“ (გვიჭამია) ფორმების კლარჯულში პოვნიერებას ნ. სურმავა ლაზისტანის უშუალო მეზობლობას უკავშირებს, მათ ჭანურის სუბსტრატად მიიჩნევს (სურმავა, 1990: 77).

შდრ. ბ. ჯორბენაძის აზრით, აჭარული დიალექტის ზოგ თქმაში (კირნათ-მარადიდის) მეტყველებაში **ზანურის მსგავსია** ობიექტური I პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა **მ-ან//მ-ენ** კონფიქსით: მიყვარს მე, მიყვარან ჩვენ“ (ჯორბენაძე, 1995: 164-165).

ამრიგად, კლარჯულში ინვერსიული ზმნები ავლენს შემდეგ თავისებურებებს:

1. მრავლობითობის ფორმანტის სემანტიკური გადააზრება საერთოქართველური მოვლენაა, რომელიც აქ მეტადაა თვალში საცემი;

2. არქაიზმებია: ა) **აქუს** ზმნის ვარიანტები, რომელთაგან **მაქვანან** ტიპის ფორმები უძველესი ჩანს, **მაქვან** და **მაქვა** მერმინდელია; ბ) ზმნები, რომლებშიც **ან/ენ** სუფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმაზეა დართული: გურჯი **მიძახიან**; ჩვენ მარადიდელი **რძალი მყავან**; რატომ **მეკარქვიან დანა?** გ) ზმნები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა აჩენს ნიშანს: ემიაშვილები **მყავან**;

3. კლარჯულის თავისებურებაა ვერ იხსნება ძველ ქართულთან მიმართებით: **მიყვარან** ტიპის ფორმათა ანალოგიით კლარჯულში აღარ ენევა ანგარიში სახელის რიცხვს: ამსოჲ **საქმე გიმიკეთენ** (გამიკეთა) **შეითანმა, მე ხოჯა მყავან, მაჭახლეელი არიან...**ეს ტენდენცია სხვა ზმნებთანაც იჩენს თავს. **გემეველებიან** (მე) ფორმაც მრავლობითის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

ზოგი მაგალითი **ვინ მათამაშებდენ; ფეხებზე შემცივდენდა ა.შ.** აზრობრივი შეთანხმების ნიმუშია.

ეს ტენდენცია შესაძლებელია ავხსნათ ენის შინაგანი განვითარების ტენდენციით. ერთმანეთისგან ტერიტორიულად დაშორებულ კილოებში ერთისა და იმავე ენობრივი მოვლენის გამოვლენა

ამის დასტურად მიგვაჩნია (იხ. ცეცხლაძე, 2014: 30-31).

მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები მეორე სერიაში ავლენს რედუცირებულ ფორმებს: **მეყრა, გეშლა, გეზდა**: ახლა სოფელია, ცოტა **გეზდა** (კლარჯ. კრებ. VI. 268); **შეშლა** კაცი (იქვე, 194); ესეც **გეზდა** (კლარჯ. კრებ. VI: 261); იმით **გეზდი** (ლივ. 299).

მეორე სერიაში, **წყვეტილში** დასტურდება **დენახვეი** ტიპის ფორმები: დანაყე, დანაყევი, ორთვენი ერთად (კლარჯ. კრებ. VI. 236); ჩუენა ერი სახლიდან **დევბანტევი** (ლივ. 306); ფერხული, სიმღერა ზორ **ვეენევი** (იქვე, 241)...

ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდაა პარალელური ფორმები: **დანაყე, დანაყევი** ორთვენი ერთად (კლარჯ. კრებ. VI. 236).

კლარჯულის თავისებურებაა II კავშირებითი მრ. რიცხვის მესამე პირში ე ნიშნის ნაცვლად **ო-ს** გამოყენება: **ამოვდონ, ნევდონ**: სული მიწუხდება, როჲსნა **ამოვდონ** (ნიგ. 150).

მოვლენის საფუძველი ფონეტიკურია. როგორც სხვა სამხრულ კილოებში, კლარჯულში ვლინდება თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია.

ავ თემის ნიშანი დაერთვის:

ა. **ერთთემიან ზმნებს: წერავ?** ჩემი ნათქვამი არ ქნა ქითაბში (ნიგ.162); რაისთინ **წერავს**, რაისთინ? (კლარჯ. კრებ. VI: 265); **დეიზანავ** იქზე (ნიგ. 159); **დაბანავ**, იმის მერე ვიკითხავთ დასინს (შდრ. დაბანებ); მოკდება, მემრე **დავბანავთ** (მუჰ.); ჩვენში ხოჯა ნუსხას **დაწერავს**, დაკიდავს (კლარჯ. კრებ. VI. 265); ცოტა წყალს გუდუურევთ და **ვჭამავთ** (ნიგ. 159). რაისთინ **წერავს**, რაისთინ? (კლარჯ. VI. 265); ეზოს მურღულმა ბელქი **იხმარავს**; ზათი **ვიქავთ**, ჰაივანია (შდრ. ვიქეთ); ახლა კიდევე **ჭამვენ** (შდრ. ჭამავენ); კინის ლარში ჰაცხაიდან **მოღინავდა...** (მ.ც. 319); მოზვერმა რა **იქნავს?** გლახა მოზვერმა რამ არ **იქნავს** (მუჰ.); მეზობლები მოვლენ, **ცემვენ** (შდრ. ცემავენ); ასე **წერავთ?** რაისთინ **წერავთ?** უქუმეთმა დემინერავს; ასე მუუნერავს წამკითხველი კაცი; იქ **წერვენ**; ჩემ დედემ ჰემ წერევდა, ჰემ კითხულობდა.

აღნიშნული ზმნის **-ავ'** თემისნიშნის ფორმა ნორმაა კლარჯულში. უთემისნიშნო ფორმა – იშვიათი.

ბ. **ი თემისნიშნის ზმნებს: ვუყარავ** და ვაკეთავ (ნიგ. 152); კი-

ტრი **გავთალავთ** (იქვე, 303); მობილი იმა **ყიდავს** (კლარჯ. კრებ. VI: 270); **აჭრავ**, მინჯი იჯებნება (ნიგ. 168); ყველს არ **გავყიდავთ** (იქვე, 157); მობილი იმა **ყიდავს** (კლარჯ. კრებ. VI: 270); შიშას **ყიდავდენ** (მუჰ.); მე აქილამ მაუზერი **ვაყრავ** (მუჰ.); [მკვდარს] **დავანვინავთ**, დევწყებთ (მუჰ.); ჩვენ ვერ **ვიქავთ**; მე მივივას **გავყიდავ** (მ.ც. 317); რომ **გაყიდავ**, ზენგინი არ მიცეო (მ.ც. 318. შდრ. გაყიდებ//გაყიდი).

გ. ფუძედრეკად ზმნებს: ჩვენში თლათ ისეა, ორი სახელი **ზილავს** (ნიგ. 157); გამოცხობილი ჭად **დავხრისავთ**, იალში ხახვი მოვშუშავთ (ლივ.305); **კბენვენ** ბუზები, გამონყევდილები (შდრ. კბენავენ//კბენვენ).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ხმოვანმონაცვლე ზმნათა ანმყოს ფუძეები -ი გახმოვანებით: **ვდრიკავ, ვგრიხავ** და მისთ. არ არის გავრცელებული ნამყო ძირითადის ფორმებიდან (ვდრიკე, ვგრიხე...)... ისინი მიღებული უნდა იყოს -ავ ფორმანტის დართვით პირველი სერიის ფუძეზე, ენიანზე (და არა მეორე სერიისაზე, ენიანზე)“ (ნოზაძე, 1958:225).

ლ. ნოზაძის ვარაუდით, ეს მონაცვლეობა ფონეტიკურია.

დ. დაერთვის მწკრივში ფუძემონაცვლე ზმნებსაც: **გითხრავ, ვიქნევდით:** ვიცოდე, **გითხრავ** (კლარჯ.კრებ. VI. 263); **მოვზილავთ, გავათხელავთ**, შოთი **გავაცხელავთ** (ნიგ. 158).

ზოგჯერ ერთთემიანი ზმნები **ავ/ებ** თემისნიშნაინია. ამგვარ ფორმებს იმონმებს მ. ბარამიძე:

დავბანავთ – დავბანებდით: მემრე **დავბანავთ; დაბანავ**, იმას მემრე ვიკითხავ დასინს; დეაბანავს; ბანევდენ, გო; გავაცხელებდით წყალ, **დავბანებდით.**

წევყვანავ – წევყვანებენ: წევყვანავ კაცი; იმის მერე **მოვყვანავთ** ჯამეში; იმას ჰემე საკითხავზე **წეყვანებენ;** გათენდებოდა, მაშინ კარზე **მიმიყვანებდენ.**

გავტეხავ – გავტეხებდით: **გავტეხავ**, გავრცხავ; -ავ>ევ: კალოს **გავტეხევდით;** ყანებ მოვტეხევდით; ხარებით პურ **გავტეხებდით;** ამას ატეხებენ.

ზოგ ზმნაში შენარჩუნებულია არქაული ვითარება, დასტურდება უთემისნიშნო ფუძეები: **თიბდა, ნაყს, ნაყდა, გალახდა, დუ-**

უძახ, შეინახ...ტელეფონი ვიცოდე, **დუუძახ** (კრებ. კრებ. VI. 269); ბაბას **უძახს** (უნოდებს); ამოთხარე ესეო, **მიძახ** (მეუბნება); მეც **ვეუძახ** (ვეუბნები) (სდრ. ფალავა, 2014).

ყურადღებას იქცევს პარალელურ ფორმათა არსებობა: თათლი **გავაკეთავ**, რა ვიცი მე, **მოკრიფავ, დალენავ**, პატინას მანონ უზამ, ბუზდოლაბში **შეინახ** (კლარჯ. კრებ. VI: 267).

კლარჯულში -ავ თემის ნიშნის უნიფიკაციის მძლავრი ტენდენციია წარმოდგენილი: ზმნური ფორმანარმოების ყველა პრინციპი დაყვანილია ერთ – აგლუტინაციის პრინციპზე. ანალოგიური ტენდენციები ქართული ენის სხვა დიალექტებშიც დასტურდება, თუმცა არა იმ სიხშირით, როგორც კლარჯულშია იგი წარმოდგენილი. ეს კი, ერთი მხრივ, ენის იმანენტური პოტენციალითაა შეპირობებული, ხოლო, მეორე მხრივ, ან უკვე უცხო გარემოში მყოფი ეთნოსის მენტალობით, ფორმათა ერთგვაროვნებით გააიოლოს ზეპირმეტყველება. უცხოენოვან გარემოში წარმატებული კომუნიკაციისათვის, რომელიც ერთ-ერთი ფუნქციაა ენისა, საჭიროა გამარტივებული კომუნიკაცია, ზოგჯერ ხელოვნურად გამარტივებული კომუნიკანტებით.

თემის ნიშანთა მონაცვლეობა. კლარჯული მეტყველება საყურადღებოა თემის ნიშანთა მრავალფეროვანი მონაცვლეობით. საკითხს არაერთი ავტორი შეეხო: მ. ფალავა, მ. ხახუთაიშვილი, ნ. ცეცხლაძე, მ. ბარამიძე). „თემის ნიშანთა გამოყენებისა და გავრცელებულობის მხრივ კლარჯულში ჭირს რაიმე კანონზომიერების დადგენა. სურათი მეტად ჭრელია. შეიძლება ვთქვათ, რომ პარალელური ფორმების უმრავლესობა სწორედ თემის ნიშნებთან არის დაკავშირებული. ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა თემის ნიშანს დაირთავს“ (ბარამიძე, 2015).

ზოგადად ცნობილია, რომ „თემის ნიშანთა სისტემა ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა. თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება“ (გოგოლაშვილი, 2012:667; შდრ. ფალავა, 2014). მონაცვლეობენ:

ავ/ებ: გააცხელავს, დაამზადავს, დუუძახავს, დეიყვირავს, უძახავთ, უყარავს, მეიკიდავს, ისეირავს, იგონავს, ატოლავს, უყუ-

რავს, აჩუქავს, იფერხულავს, მოტაცავს, იმღერავს, მუუხიზმეთავს, დეიყვირავს, ისაქმავს, უყურავს, ისამავს, გააკეთავს, აგნავს, ატყვილავს, იგონავს, იჩხუბავს, აცინავს, აჭრავს, ყიდავს, გავთავს; ააშენავს, აათავავს, იგნავს, ატყვილავს, იგონავს, უყურავს, იჩხუბავს, იტირავს, ანუხავს, ატყაპუნავს, ისაქმავს, იმღერავს, დეიძახავს, ილაპარაკავს, მუაგონავს, გაარიგავს.

ამის ნენემ ვერ იტირავს (კლარჯ. VI.253); ამას გაათხელავ სუფრაზე გარგნით (ლივ.297); ბათუმში ფაბრიკას ავაშენავთ (კლარჯ. VI.255); ყველაფერი ავათავავ (ლივ. 327); დოდოფალი რომ ატირავთ, ის სიმღერა რატომ არ იძახით? (ლივ. 309); ვინცხას უნდა, ისამავს (ნიგ. 152); ვადუღავთ ახლა (ნიგ. 157); შოთი გავაცხელავთ (ნიგ. 158); ხარჩო ვაკეთავ (ლივ.305); სალათა გავაკეთავთ (კლარჯ. კრებ. VI 253); ამის ნენემ ვერ იტირავს (იქვე, 253); ტათლი გავაკეთავთ (იქვე, 267); ახორ დავასუფთავთ (ნიგ. 142), გენჯების საქმე ჩვენ არ გავარიგავთ (კლარჯ. კრებ. VI: 272); ვარიგავ, ჰამა თელი ვერ ვარიგავ (კლარჯ. VI. 262); ხარჩო ვაკეთავ (ლივ.); დოდოფალი რომ ატირავთ, ის სიმღერა რატომ არ იძახით? (ლივ. 309); ვინცხას უნდა, ისამავს (ნიგ. 152); ვადუღავთ ახლა (ნიგ. 157); პანას მუუმატავ შექერს (ნიგ. 151); ხარჩო ვაკეთავ (ლივ. 305); გამოცხობილი ჭადი დავხრისავ, იაღში ხახვი მოვშუშავთ (იქვე, 305); კიტრი გავთალავთ (იქვე, 303); სალათა გავაკეთავთ (კლარჯ. 253); ამის ნენემ ვერ იტირავს (კლარჯ. კრებ. VI. 253); ტათლი გავაკეთავთ (კრებ. VI. 267); ახორ დავასუფთავთ (ნიგ. 142), გენჯების საქმე ჩვენ არ გავარიგავთ (კლარჯ. კრებ. VI. 272); ამას გაათხელავ სუფრაზე გარგნით, ფუნუნში გააყირმიზავ (ლივ. 297); ბათუმში ფაბრიკას ავაშენავთ (კლარჯ. კრებ. VI. 255); ყველაფერი ავათავავ (ლივ. 327); გურჯიჯეში ყვერლაფერს აგნავს (ლივ.301); ნუ მიყურავ (კლარჯ. კრებ. VI.237); რაზე მანუხავ, არ მანუხავ (იქვე, 260); ლახანას გავაკეთავთ, დავმჭრით, გავრცხავთ (იქვე, 272); გაალამაზავ, საპონით გარცხავ (იქვე); ფარა აჩუქავს (ნიგ. 167); ერთი-ორი დღე დავაყენავთ; ორ თანეს ვერ მოფიქრავ; ვერ ვაბრუნავთ; ამას ადუღავს; ატრიალავ; მოატრიალავ; ფაბრიკას ავაშენავ; არ დეიყვირავ; ქათამი მოკაკანავს; გავცინავს ინსანს; ძივი დაკიდავს; მე გურჯიდან ვევიგნავ (ბაშქოი); ანალას გავაკეთავთ; მე ვვაზირობ, რატომ

ატყვილავ? ევდოდით, ვიფერხულავდით; ერთიც იმა ვისამავდით; ახლა იძახიან, მე ვერ ვიგონავ; შენ რომ მე მიყურავ; ოჯალი გააკეთავს, ცეცხლი გაანთავს, ხორცი გაანთლავს; მახსოვან ისე, მარა ვერ ვიგონავ; ჩვენთან რომ ქალი მოტაცავდა და გააგდებდა...; კად ფულს ვაკეთავთ; ამა ჩვენ ხალხმა ვუყურავდით, ახლა თავრობამა უყურავს; მოდი, კოფე დავაღვავთ; ღოქ, არ ვიჩხუბავთ; აქავრი ხალხი არ იჩხუბავდა; ნენე დაჟდებოდა, იტირავდა; ბედიავა ნიჩაბ ატყაპუნავ...; კურთუთი აკეთავენ; მე და გულმა ვისეირავთ (მ.ც.325); ბათუმის გოგომ სიმინდი მიეკიდავდა (მ.ც.333); მე ხმა არ მაქვა, ვერ გავაგონავ (მ.ც.336)...

მონაცვლეობა დასტურდება კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც: მე მაბინყდება, შენ მაგონავ (მუჰ. ბორჩხა); ასე ვატოლავ (იქვე); ნენეგო, ყოველ დღე ფხალ აკეთავ (იქვე); ერთმა მითხრა, ამ გოგოს ვუყურავო (იქვე); ასე ვატოლავ (იქვე); ვერ ვარიგავ იშტე რაცხა (იქვე); ზორით ვაგნავ, ზორით (იქვე); [ქათამი] გამოლმა მოკაკანავს, ... გულმა იმიკაკანავს (მუჰ. ცოცხობა); პურის ფქვილიდან გააკეთავენ (იქვე); აქ ქომურ აკეთავდენ (იქვე); ... გოგომა უყურავდა (იქვე); მუუხიზმეთავთ ბერსა თუ... (იქვე); ზათი რამეს არ ისაქმავს (მუჰ.); სახლი გააკეთავს, ყველა ეშველება (მუჰ.); ყველანი მის შოთ გააკეთავს (მუჰ.); ის გაჭყრის, ის არ აცემიავს (მუჰ.); ეს ჩემი ღარჭმა ასაქმავს (მუჰ.); ა, ჩემი მომაგონავთ (მუჰ.); ეკლები აფაქავს, თოვლი აფაქავს (მუჰ.); სიმინდის ტეხვაზე იმღერავდენ (მუჰ.); დუგუნზე ვიმღერავდით, სიმინდი მარგლიხან ვიმღერავდით (მუჰ.); არ დეიყვირავ იმის ძირშიო (მუჰ.); დევძახავ იშტე (მუჰ.); არ ვილაპარაკავთ... (მუჰ.); [თელყინს] ...ხოჯა დუუძახავდა (მუჰ.); გავცინავს ინსანს (მუჰ.); ერთი-ორი დღე დავაყენავთ (მუჰ.); სულეიმანამ მღერა იცის, იმღერავს (მუჰ.); ეს ლაპარაკი ვერ გავარიგავ (მუჰ.); სახში გურჯიჯა ვილაპარაკავთ (მუჰ.)...

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური ცვლილება სპორადულად, მაგრამ მაინც დასტურდება აჭარულშიც, სხვა სამხრულ კილოებშიც; კლარჯულში კი მას სისტემური ხასიათი აქვს, რითაც განსხვავდება იგი სხვა მომიჯნავე კილოებისაგან. ჩანს,

არც ახალი მოვლენაა **ებ/ავ** მონაცვლეობა კლარჯულში, რამდენადაც იგი დასტურდება კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც (ფალავა, 2014:8).

-ებ/ავ: ლელვიდან **ვაკეთავთ** ლეჩერი; სამ დღეს მერმენ **გავაკეთავთ** საქმელ; რაც უნდა, აკეთავ; ესეც **აკეთავს** მაგას; ძელის სახლებ **გავაკეთებდით**; ერთ ღერზე **გააკეთებენ** ქორწილ; მიწიდან აკეთებდენ კეცებ...

ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე თემისნიშანიან ფორმებია: ხაჭოს **ვაკეთავთ**, ყველ **გავაკეთავთ**, წრეველ არ **ვაკეთებ**, წინ **ვაკეთებდი**.

ჩანს, ვაკეთებ ზმნის **-ავ** თემისნიშანიან ფორმებს ენიჭებათ უპირატესობა, ამ ფუძის ზმნის **-ებ** ნიშნიან ფორმა იშვიათია.

ვუყურებ - ვუყურავ: სახლი-კარ ვერ **ვუყურეფ**; რას **უყურებთ** მას? ვერ **უყურებ**, შარშანდელი იქნება-თუ? ერთმანეთს ვერ დინახვიდენ, შორიდან **უყურებდენ**; **ვუყურავთ**; თქვენ ორვეს ღმერთმან **გიყურავს**, მე არ **გიყურავთ**; მე კაცსა ვებუცები, ვუყურავ; უქუმეთსა ჩვენ **ვუყურავთ**, იგი არ **გვიყურავს**; გოგომა ბაბოს **უყურავდა**; ნუ **მიყურავ**; იმა რა **უყურავ**.

ვარიგებ - ვარიგავ (გაგების, მიხვედრის მნიშვნელობით): ვერ **გაარიგებენ...** ვერ გომირიგებია; არიგებენ, არიგებენ, ჰამა ლაშიდან ვერ უთქმიან; **არიგებენ** და ვერ ულაპარაკნიან. თქვენ ლაპარიკ ვერ **ვარიგავ**; ქიმი **ვარიგავთ**, ქიმი ვერ **ვარიგავთ**; ყური ვუგდებ, **ვარიგავ**; ეს ლაპარიკი ვერ **გავარიგავ**; ჰიჩ ვერ **არიგავდა** თურქჩა, ახლა **არიგავს**; გენჯების საქმე ჩვენ ვერ **გავარიგავთ**; ის ცოტა ავატყოფი არიგავს იმას.

იმღერებდენ - იმღერავდენ: გოგვებმა იმღერებდენ; პური ქრაში იმღერებდენ; გარნევისხან **მუუმღერებენ**; ღარჭს აკვანში **მუუმღერებენ**; სიმინდის ტეხვაზე **იმღერავდენ**; მღერა იცის, **იმღერავს**; დუგუნზე **ვიმღერავდით...**

ავ/ებ: **ისაქმავს//ისაქმებენ:** ერთ სახში იქნებოდენ, ისაქმებდენ; რამეს არ **ისაქმავს**.

ვიგონავ//ვიგონებ: ვერ ვიგონებ, ქეროლლანის ჰექია იქნებოდა; მე ხმა არ მაქვა ვერ **გავიგონავ**; ა, ჩემი **მომავონავთ**; მე მაბინყდება, შენ მაგონავ.

დეიჯერავ//დეიჯერებთ: თქვენ არ **დეიჯერებთ**, ხომ; ნუ **დეიჯერავ**.

დარგებენ//დაარგებენ/დავარგავთ: ლობიო **დარგებენ**; თხილ **დარგებენ**; ყველა წელნად ახალ **დავარგავ**; რაზე არგავდი? ლობიო **დავარგავთ**, დარგავ, გეიზდება.

მანუხებ//მანუხავ: ღორი ასე **მანუხებენ**; რაზე **მანუხავ**, არ **მანუხავ**.

იტირებს//იტირავს: იტირებენ. რა **გატირეფსო?** ვერ **იტირავს**; ოთხი ძმა ქოთანში **ჩატირავს** (იხ. ბარამიძე, 2015; ფალავა, 2014).

ავ//ამ: **ავ'** თემის ნიშანი გვაქვს **ამ'** თემის ნიშნის ნაცვლად (შესვავს, დგავს, აართვავს, ურტყავს, ასხავს, აბავს, იზავს, მიართვავ, დაასხავს); ჩემი ბიჭი ღვინოს არ **სვავს** (კლარჯ. კრებ. VI. 254); შინავრები ალთუნ **დააბავს** (ნიგ. 167); გოგოს საქმელ **მიართვავენ** (კრებ. VI. 267); ამის მემრე ბეტონ **დავასხავთ** (ნიგ. 149); საინებ **დაასხავ** და იალ **მაასხავ** (ნიგ. 150); **მივართვავთ**, წყალი **ვასხავთ**, ვიმუშავებთ (კლარჯ. კრებ. VI. 235).

ვისვამ//ვისვავ: დილა-სალამ ვისვამ; ინას **ვისვავ**; **წევსვავ**. **დავაბამ//დავაბავთ:** ძაღლები ერთი ნალიქვემ **დავაბავ**; ამ ძაფ **ავაბავ** (ბარამიძე, 2015).

ავ//ამ მონაცვლეობის სხვა მაგალითები: მარადიდელმა ყავეს **შესვავს** ოქროს ფინჯანით; ამდონი ფარა **ავართვავ**-მეთქინ (მ.ც. 319); თუ გინდა ჟავე ფხალ **მოგართვავთ** (მ.ც.319); მუდამ ამას გეტყოდი, დილა-სალამ ნუ **ურტყავო** (მ.ც.323); ჩვენ საშრობ ძალი ... **მივართვავთ** (მ.ც.323); რამითი **აბავ**, გო... (მ.ც.324); ამ ძაფ **აბავ**, სხვა ვერ დაჟდები (მ.ც.324); მე ვერ **ვასხავ** (მ.ც.324); ე ძაღლები ნალიქვემ **დავაბავ** (მ.ც. 325); რაფერ სიცხიეფს **დაარტყავს** იცი? (მ.ც.330); ... რომ მომცე არ **ავართვავ** (მ.ც. 337); ვერ **ურტყავ** თეარა (მ.ც. 327); ქი **მოგარტყავ** ქუს-მეთქიო (მუჰ.); დიდიდამ რაცხა დეინახავს, პანამა იმას **იზავს** (მუჰ.)...(ფალავა, 2014:4).

ამ/ავ თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობა გვაქვს ზმნებში: **შესვავ < შესვამ; ავართვავ < ავართვამ; მოგართვავ < მოგართვამ; ურტყავ < ურტყამ; აბავ < აბამ; ვასხავ < ვასხამ; დაარტყავს < დაარტყამს; იზავს < იზამს...**

ლიტერატურულიდან ცნობილია, რომ „დიალექტებში, აღმოსავ-

ლურსა თუ სამხრულში (სამხრულში აქ იგულისხმება მესხურ-ჯავახური - ავტ.), -ავ-ს ჩაენაცვლება -ამ-ი: ბარ-ამ, ხატ-ამ... არის პირუკუ პროცესი: -ამ-ს ენაცვლება -ავ: სვ-ავ-ს, დგ-ავ-ს...“ (გოგოლაშვილი, 2012:667).

კლარჯულში, უმეტესად ქვემოკლარჯულში (კირნათი, მარადიდი, ნანილობრივ ბორჩხა) მხოლოდ **-ამ>-ავ** დასტურდება, შებრუნებული პროცესი არ შეგვიჩვენებს (ფალავა, 2014:4).

კლარჯულში დასტურდება **-ობ//**-ებ **მონაცვლებაც**: აგნავს და ვერ **ლაპარიკობს**; გურჯულს ჰიჩ არ **ვლაპარაკობთ**; უნიდელეები ძალიან კარგათ **ლაპარიკობდენ**; აგნავს და ვერ ლაპარიკებს; **ევსება - ევსობა**: პანახან უკან ყველაფერი ევსება; ერთი ჯვალი **ევსობა**.

ი/ ავ : იშვიათად **ავ** თემისნიშნის ზმნას **ი** თემის ნიშანი აქვს: გარმონი **უკრიდა** (ნიგ. 143); ბერი ხარის რქამან **მოხნისო** (კრებ. IX. 176); ზედა ჩხუტუნეთ ხალილაჲ ყანას **ხნის** (ჩვენებ. 369); ზაათი არ **მოკლიდენ** ირემსა (ჩვენებ. 329).

ამგვარი ფორმები გამოვლინდა მუჭაჯირთა მეტყველებაშიც: გამუუნვედენ თოფ, **მოკლიდენ**; ასი თხა ერთ საათზე **მოწველიდი**; ჩვენ, კაცებმა **მოწველიდით** თხას; ... ჩემ ქალთან არ **მომკლის**; ხარ **დაკლიდენ**; ქედ-ქედელმა კაცი **მოკლიდა**; მეც **მომკლის** ისი (მ.ც.319); დღეს ქორმა გამამწარა თვარა **მოვკლიდი** იმა (მდრ. მოვკლავდი) (ფალავა, 2014:7).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ იდიოლექტად. ამგვარი რამ დასტურდება ქობულეთურ მეტყველებაშიც: **კლის** (კლავს), **აკრიდა** (აკრავდა). **ებ ისვენის** (ისვენებს). დასტურდება **სმიან** ფორმაც (მდრ. სვამენ)“ (ხახუთაიშვილი, ცეცხლაძე, 2016).

ზოგჯერ **ობ'** თემის ნიშნის მონაცვლედ **ებ' ევ'** ან **ეფ'** გვაქვს: **გამუაცხევდით**; ზაათი ვერ **გიცნეფს** კაცი? (ლივ. 313).

ანმყოსა და მყოფადში აქა-იქ დაჩნდება **ევ** თემის ნიშანიც: სობაში შევდებ, გავათბობ, გაძრება, **დავხრისევ** (კლარჯ. კრებ. VI.260).

მ. ცინცაძემ და მ. ფალავამ სამხრულ მეტყველებაში დაადასტურეს **ევ** თემისნიშნის ფორმები ანმყოს სამივე პირში: **ვზიდევ** და

ვერ გავათავებ...; **ხედევ**, რას წერავს? დიდ **აკოჭევ**, ე რა არი ჭოვ? ბალანას **დინევს** (კირნათ-მარადიდი) (ცინცაძე, ფალავა, 1998:71).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „კლარჯულში არ ჩანს ანმყოსა და მყოფადში **ევ'**, რომელიც დამახასიათებელია ქედქედისა და აჭარისალმართის მკვიდრთა მეტყველებისთვის. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, ამ მოვლენის მაგალითად ჯერჯერობით შეიძლება დაგვესახელებინა **გავწურევ'**: ხაჭო ვაკეთეფ, მანქანაში **გავწურევ'**“ (ცინცაძე, ბარამიძე, 2011:54).

აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ფორმები კლარჯულში სისტემურად არ გვხვდება, თუმცა მათი სპორადულად გამოვლენაც კი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ენის ისტორიის თვასაზრისით.

მ. ბარამიძემ დაადასტურა **უთემისნიშნო და თემისნიშნის ფორმების მონაცვლებაც**:

თიბავს-თიბს: ჩემ კაცსა ფეხი მოატყდა, ვერ თიბავს; **მოთიბდა**; თივასა **თიბდა**; **შევნახავდით - შევნახდით**: ალ დერგებში **შევნახავდით**; ზამთარში **შევნახდით**; ბუზდოლაბში **შეინახ, დეინახავს - დეინახს**: იმას მარტო ის ავადევლი **დეინახავს**, სხვა ვინმე ვერ დეინახავს; დეგინახავთ; რას გააკეთავ, **დიგინახ**; აქიდან **დეინახ**; მან **დეინახს**, შენ ვერ **დეინახ**. ჭარბობს უთემისნიშნო ფორმები (ბარამიძე, 2015).

ებ/ ი: დეინავლიან-დეინავლებენ: ახალმა მომსლელებმა იკითხვიან **დეინავლიან**; სამას ვანავლიდი; ლარჭებს **ასნავლებენ**; ბალნებმაც **დეინავლებენ**; **გამოგ ზანავს//გუუგ ზავნებენ**: [ბაბოჲ] თუ მოკტა, გამგ ზავნავთო; გამოგ ზანავს; თუ **გამგ ზავნებენ**; ელჩ **გუუგ ზავნებენ**.

ავ/ი: **მოვჭრი - დაჭრავს**: **მოვჭრით**; ხოჯა იმას **დაჭრავს**, სისხლებ დაადინავს.

ობ/ ი: **მღერიდენ - მღერობდენ**: ყველაჲ რომ **მღერიდენ**; რას **მღერობენ**, გეიგნა'და; რაცხას **მღერობენ**.

დაძახება ზმნის პირიან ფორმებში **ავ** თემისნიშნის ფორმებიც გვაქვს და უთემისნიშნოც. **დევძახავთ - დუუძახ** (მნიშვნელობით):

-ავ: იმას ხოჯა **დუძახავდა**; იმის მემრე სოფელში დევძახავთ;

ხოჯამან თელღინ **შუუძახავს**; **ძახ** ფუძეს თქმის, ნოდების მნიშვნელობაც აქვს. თქმის მნიშვნელობით ამ ფუძის ზმნის ფორმები ხშირია დღევანდელ ქართულ სასაუბრო მეტყველებაში (ვიძახი=ვამბობ). ამ მნიშვნელობით მონაცვლეობენ **ნულიანი** და **-ი** თემისნიშნის ფორმები: გურჯი **მიძახიან**; იმას არქოს **უძახიან** (ბარამიძე, 2015).

მ. ბარამიძემ გამოავლინა სხვადასხვა თემის ნიშნის მონაცვლეობა, „როცა ერთი და იგივე ზმნა სამი სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი.

-ებ:-ავ: აგნებს - აგნავს იგებს, ხვდება მნიშვნელობით):

-ებ: ზოგ **ვაგნავთ** ჩვენ, ზოგ - ვერა; ზორით **ვაგნავ...**

ძველი ქართულის **იქმს** სამი ფორმით დასტურდება: **უთემის-ნიშნოდ, -ავ** და **-ამ** თემის ნიშნებით - **Ø// -ავ// -ამ**.

უთემისნიშნო ფორმა იშვიათია. ერთსა და იმავე მთქმელთან ორივე ფორმა დასტურდება: ბალანამ ვერ **იქს**, მეც ვერ **ვიქავ**; ნუ **იქავ** მაგა; ქორნილი სოფელში ვიქავდით; ყველამფერი **იქამს**; **ვიქამთ**. დასტურდება **იქნავს** ფორმაც.

იქავ ფორმას ზოგჯერ **იზავს** ენაცვლება: პანამა იმას **იზავს**.

გვხვდება **ვქნავდი** (ვიზამდი): **დუგუნებ ვქნავდით**.

-ავ>-ევ: ცხენით კალოს **ვქნევდით**.

Ø// -ავ// -ებ: **დავთესდით - დათესავდა - დათესებდენ**: ჯილდით დავთესდით; ბილანდულა აღარ **ვთესავთ**; **ვთესავთ** კიტრი; პურ **დათესებდენ**, სიმინდ **დათესებდენ**.

-ავ// -ებ// -ი: **დაკლავს - დავკლებდით - დავკლი:** ჯინებ **დაკლავს** ხოჯა; ბულას **დავკლებდით**; ღორები ბევრი მყავან, **კლებენ**; ქათამი **დავკლი** (დავკლავ); დათვი მომიკალით, მეც **მკლით**-მეთქი.

საინტერესოა, რომ ამ ზმნის **-ებ** ნიშნის ფორმები სხვადასხვა სოფელში არის ჩანერილი. ამდენად, შეიძლება ინდივიდუალურად არ ჩავთვალოთ.

-ამ// -ავ// -ებ: **ასხამს - ასხავს - ჩიმისხებდა**. წყალ **მოვასხამთ** სახში; დოს **ჩაასხემდენ**; აქ რაზე **ასხავ**; დედემა ყავე გააკეთებდა, მე **ჩიმისხებდა**.

უკანასკნელი ფორმა ინდივიდუალური ჩანს.

-ავ// -ობ// -ებ: **ვიკითხავ - იკითხებენ - კითხულობს**. ამ ფუძის

ზმნის ფორმებს კონტექსტის მიხედვით აქვთ **კითხვის, სწავლის, სწავლების, შელოცვის, ლოცვის** მნიშვნელობა.

ჩანს, რომ ერთისა და იმავე ზმნის ორი ან სამი პარალელური ფორმიდან ზოგი ემთხვევა სალიტერატურო ქართულის ნორმას (გავაკეთებდით, ვარიგებ, ვუკრავ, ვიგონებ, მანუხებ, იტირებენ...), ზოგი - კლარჯულის თავისებურება ჩანს (ვაკეთავ, ვარიგავ, აგნავს, გუუგზანავ...). გვხვდება უჩვეულო ფორმებიც (დარგებენ, დავბანებდით, დაჭრავს, დატესებდენ, დავკლებდით, კლებენ, ჩიმისხებდა...).

თუ აღმოსავლეთი საქართველოს მთის და დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელია არქაიზაციის ტენდენცია, კლარჯულში არქაიზაციას ინოვაცია სჭარბობს. სხვა თავისებურებებთან ერთად ეს ამ კილოს გამოყოფის ერთ-ერთი საფუძველია და დივერგენციულ პროცესებზე საუბრის საშუალებას იძლევა. მეტყველის ფსიქოლოგიაში ავ თემის ნიშანი იჭერს თითქმის ყველა სხვა ნიშნის ადგილს, იშვიათად კი, სადაც ეს უკანასკნელი გვექონდა, სხვა თემის ნიშანი დაჩნდა.

ჩვენი დაკვირვებით, „უმეტეს შემთხვევაში მონაცვლეობის კანონზომიერების დადგენა ვერ ხერხდება. რაც მთავარია მონაცვლეობას სისტემური ხასიათი აქვს. ჩნდება კითხვა: რა არის საფუძველი თემის ნიშანთა მონაცვლეობისა? შესაძლებელია მოვლენის მიზეზი ვეძიოთ თემის ნიშანთა საერთო ფუნქციაში, ანარმონ ზმნის თემა, თუმცა ცვლილება შესაძლებელია ფონეტიკური გარდაქმნის შედეგიც იყოს“ (ფალავა, 2014: 7).

კლარჯულში გვხვდება **ვიდმიდიანი** ზმნებიც: **მირტყმიდა, დავმალვიდი**: გოგო და ბიჭი ერთმანებს ვერ **დეინახვიდენ** (კრებ. VI.265); რომელცხაჲ მენდილს **გამუართმიდა**, ი დეინვებოდა (იქვე, 193); ნევზეთ ემოჲ სმიდა (კლარჯ. VI.259); დედემა გააკეთებდა, **გაყიდვიდა** (შდრ. გაყიდავდა); ღრინოს **სმიდა** (შდრ. სმევდა/ სვამდა)...

მ. ცინცაძისა და მ. ბარამიძის დაკვირვებით, **ევ** თემისნიშნის **ჭარბობს**, ვიდმიდიანი ფორმები იშვიათია (ცინცაძე, ბარამიძე, 2011: 50).

შუალობითი კონტაქტი. ებ// ავ მონაცვლეობა დასტურდება

კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: **გააცინავს, დააყენავს, აცემიავს, დააღვინავს, მარუნიავს, გაგატენიავს, ატირავს, დაგანერიავს, დაგანყებიავს, ანერიავს.**

თელი **დაგანერიავ** (კლარჯ. კრებ. VI. 264); შიშის კოვზ **გაატენიავს** (ლივ. 321); **გადანყებიავ**, ბახანუმ (ნიგ. 146); **მარუნიავს** იქ (ნიგ. 144); მაქინას **გამოახოკიავთ** (იქვე, 149); მე რალას **ვაქნავ** ახლა (ლივ. 317); ახლა ის **ანერიავს**; თელი **დაგანერიავ**; ხოჯა **დაანერიავს**.

გვხვდება განსხვავებული წარმოებაც: – **გავაკეთვიე** საქმელი... (კრებ. IX: 157); – ე ორსულ ქალებს **დაასმევიებს** (იქვე); ქათამ დააკლიებს (კლარჯ. კრებ. VI: 267); ძლები მიწაში **დავაფლობიე** (კრებ. VIII: 166).

ვნებითი გვარი. მ. ბარამიძის დაკვირვებით, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, მოსალოდნელი **დონიანის** ნაცვლად გვაქვს ე- პრეფიქსიანი ვნებითი: მე იქიდან **გევეთხოვე** (იჯადიე); ახლა **მოგემშიოდენ** (აივაზფინარი)...

გვაქვს პირიქითაც, **ენიანი** ვნებითის ნაცვლად იხმარება **დონიანი**: დევნახე, **მომწონდა** (მომენონა), გევეთხოვე (ნუროსმანიე).

დონიანი ვნებითის ფუძე შენარჩუნებულია **ენიან ვნებითში**: რადიატორი **გახეთქდება** (ცინცაძე, ბარამიძე, 2011: 50).

სტატიკური ვნებითი ნაკლულ ფორმას ივსებს **ოდ'** სავრცობიანი წარმოებით: ...რაცხა **მაცვიოდა**, ისა (მურკვეთი).

წყვეტილში პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითის ფორმა არქაულად არის ნაწარმოები: მაშინ **გევეყარენით** (ნუსრეთიე).

აქვე გვხვდება რედუცირებულფუძიანი ფორმებიც: **გეყარა** კაცსა (კრებ. IX: 197); ცოტა **გეჟდა** (კლარჯ. კრებ. VI: 268); ამას ბოლათ ღორის ხორცი **უჭმია** (კრებ. VIII: 171);

ჩვენ განვიხილეთ **დევნახევი'** ტიპის ფორმები სხვა სამხრული კილოებში. ამგვარი წარმოება კლარჯულშიცაა (ცინცაძე, ბარამიძე, 2011: 50). მათ გვერდით გვხვდება **დევნახე** ტიპიც: **დანაყე, დანაყევი**, ორთვენი ერთად (კლარჯ. კრებ. VI: 236).

იშვიათად მყოფადი გადმოიცემა მეორე კავშირებითის მწკრივით: **ხელი წაგავლო** (ხელს წაგავლებ), არ წაცურდე (ბორჩხა); ჩვენ იქ ჩამოვდეთ, შიერი **გაგვაგდოთ'და** (გაგვაგდებთ, დაგვტოვებთ)? (ნუსრეთიე).

ამავე დიალექტში გვხვდება **II კავშირებითის** ნიშნად **ო ე-ს** ნაცვლად: **მოვდონ (<მოვდენ)** და **წევდონ** (კირნათი, მ.ც. 1988:328); ემრიეს დუუძახე, ერთი **გამოვდოს** აგზე (იქვე, 332).

ზამ' ფუძეს პირველ სერიაში ენაცვლება **ქმ**: ბებრები ანჯახ **იქმენ**, დაკლიან; წინ **ვიქმოდით, ვიქმოდით** (ნად.) (ცინცაძე, ბარამიძე, 2011: 49).

გვაქვს ამ ზმნის პარალელური ფორმები: მეც ვერ **ვიქავ** (მარადიდი); ნუ **იქავ** მაგა (კირნ.); ფილავი ვიქავთ (კლარჯ. კრებ. VI: 237); ქორნილ სოფელში **ვიქავდით** (ქლასკ.); ჩვენი საქმე **ვიქამთ** (მარადიდი).

ვექნ ზმნას წყვეტილში დაერთვის **-ევი**: ზორ **ვექნევით** (კლარჯ. კრებ. VI: 241); ის არ **ვექნევით** (იქვე, 249).

არქაულია **იქმს** ზმნის უწყვეტელი: ზენგინებმა ბევრი **იქმოდენ** (მურკვეთი).

I თურმეობითში უთემისნიშნოა **არქმევს** ზმნა – **დუურქმიან**. ასევეა: **დაბადულა** (ნუსრეთიე); **განვიმულა** (ნურუოსმანიე)...

მონაცვლეობს **-ვედ** და **-ველ** ფუძის ზმნები: რომ **მოსხვედით**, ზორ გიმხარდა (ნიმეთიე); მე ორი პირი (ორჯერ) **მოველი** ბათუმში (ბორჩხა); მე უნივერსიტეტში **მოველი** (თხილაზორი) (ბარამიძე, 2015).

საინტერესოა **გავლა'** ზმნის უღლება, ის იძლევა სხვადასხვა ვარიანტს: ფეხით არ **გეარებდა** (მუჭ.); **გეარე** (კლარჯ. კრებ. VI: 275); აქიდან **გევარავთ** (იქვე). გულში რა **გიგვივარა?** (კრებ. IX: 182).

2.3. სახელზმნა

კლარჯული კილო ყურადღებას იქცევს სახელზმნის თავისებური წარმოებით. **საწყისი** სშირად **-ობ** დაბოლოებიანია: გააგდეს **სამობა**, გაზენგინდენ (კლარჯ. კრებ. VI: 268); მე არ მიყუარდა **მღერობა** (კლარჯ. კრებ. VI: 267); ოსმალნი და რუსის ხარბი **ჩხუბობა** იყო (ნიგ. 153); ჩვენთან **ლალატობა** არ იციან (კლარჯ. კრებ. VI: 246).

მ. ბარამიძემ დაადასტურა **ლაპარიკავს'** ზმნის შესატყვისი საწყისი **ლაპარიკვა**: თქვენსავით **ლაპარიკვა** არ ვიცი; აგნებენ, ჰამა **ლაპარიკვა** არ იციან; ჩვენებური **ლაპარიკვა** ვერ ვაგნეფ;

თქვენი **ლაპარაკი** ლამაზია; აქაური ლაპარაკი დეიშურია. ერთსა და იმავე წინადადებაში: **ლაპარაკვა-ლაპარაკში** გვიხსნა.

ავ თემის ნიშნის **ვ** გადაწყვეტა საწყისშიც **წერს, ლაპარაკობს** ზმნებს: გურჯულად **წერვა** არ იყო, მარტო **ლაპარაკვა** იყო (კრებ. IX: 160); იცით თუ **სამვა?** (იქვე 204).

დასტურდება **წ'** ჩართული საწყისებიც: ჰამა, **გათხოვნა** მა-დღია; **გათხოვნა** სხვაზე აკძალულია (კლარჯ. კრებ. VI. 246).

მიმღეობა. მეტად თავისებურია მიმღეობურ ფორმათა წარმოება კლარჯულ კილოში. ფორმოზრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრი ფორმა არქაული წარმოებისაა, ზოგი კიდევ დიალექტიზმია და უშუალოდ უკავშირდება ამ კუთხისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ზმნის თემის ნიშნის ხმარებისას (იხ. ცეცხლაძე, 2014).

კლარჯულთა მეტყველებაში მიმღეობის საწარმებლად უპირატესობა ენიჭება პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებას ნაცვლად სუფიქსიანისა: **დამჭირველი, მცოდნელი...**ეს უკანასკნელი ფორმა დასტურდება საშუალო ქართულის ძეგლებში: „ვისრამიანსა“ და „ყარამიანსი“. ამავე რიგისაა საობიექტო მიმღეობანი: **შესაკერელი და დასაკლელი: შესაკერელი** დამჩა მისი ფისტანი (კლარჯ. კრებ. VI. 274); **დასაჯდომელი** არი, ხედავ, თუ? (იქვე, 269).

პრეფიქსული წარმოების გაარსებითებული მიმღეობა **ნათესავი** აქ წარმოდგენილია **მონათეს** ფორმით, რომელიც დიალექტიზმად მიგვაჩნია, რადგან ეს სიტყვა არ დასტურდება არც ძველ ქართულში და არც ახალში.

ზოგჯერ გვხვდება სუბლექტური წარმოებაც: თებზე ბევრი **ნავლილი ვარ** (კლარჯ. კრებ. VI:262); იქ **ნაკითხული** კაცებიც იყვენ (კრებ. IX:150); **ნაკითხულ'სა და ნავლილ'ში** პრეფიქსიცა გვაქვს და სუფიქსიც და ორივე ნამყო დროზე მიუთითებს.

იშიათი ფორმაა **ღეჭებული'**, მის ზმნურ ფუძეში თემის **ებ** ნიშანი სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება, კლარჯულში ზმნაშიცაა და მიმღეობაშიც: კევი **ღეჭებდა, ღეჭებული** გადაყლურნებდა... (ნიგ. 144).

კლარჯულში მიმღეობურ ფორმათა თავისებურებანი ძირითადად სუფიქსურ წარმოებას უკავშირდება. არქაიზმებია **მოღალუ-**

ლი და დაჭირული: ხაპერი **მოღალული** მაქ (ჩვენებ. 297).

არქაიზმებია სუფიქსურ მიმღეობურ ფორმათა ერთი ნაწილი, რომლებიც საწყისის ფუძისგანაა ნაწარმოები: **გადნობილი, დაფდომილი, გამოცხობილი... გადნობილ ერბოსა** პურის უკან ჭამ (ჩვენებ. 297); **გამოცხობილი** ჭადი დავხრისავთ (იქვე, 305); ჩუენი **დადგომილი** ღერი არი შალიკოლლები - შალიკოშვილები (ჩვენებ. 317).

არქაიზმებია ასევე **ავ'** თემისნიშნის ზმნათაგან -**ილ** სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობებში **ვ-ს** პოვნიერება: **შენუხვილი, შენვილი, დანვილი (შდრ.: ძვ.ჭურვილი, შეუღლვილი):** ამაზე ფენა **შენუხვილი** ვართ (ჩვენებ. 317); ილაჯიც კეთდება **დანვილისთვინ** (იქვე, 324); აქა სახლი ყოფილა, ზამანუნდა **დანვილა** (ლივ. 318); **შენვილი** კვერცხი იქნება, ერბოკუერცხი (ჩვენებ. 319);

ოდენსუფიქსურ წარმოებას ზოგჯერ პრეფიქს-სუფიქსიანი ცვლის ან პირიქით: -**ილ'** სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **მ-არ(ალ)** კონფიქსი: **დამჩალი...** აქა **დამჩალი** ვართ (კლარჯ. კრებ. VI:262); ხოჯა **გახდილა** (ჩვენებ. 314); დიდი სოფელი **გახდილა** (იქვე, 330); მე აქ ბევრხან არ **დავმჩალვარ** (კლარჯ. კრებ. VI: 240); აქა **დავმჩალი ვართ** (იქვე, 262).

კლარჯულის გამოკვეთილი თავისებურებაა -**ილ/-ულ** სუფიქსთა განაწილება საობიექტო მიმღეობებში. ამ სუფიქსთა მონაცვლეობა ისტორიული ფაქტია, მაგრამ ამ კილოკავში **ილ** იჭერს **ულ**-ის ადგილს: **მოკლილი, მოხრაკილი, დადებილი, ჩაფლილი, დარგილი, ჩაჭიხტილი, დასახლილი...**

წვიტი პარკები აქვა, **ჩაჭიხტილი** (ჩვენებ. 298); ჭადი **დაკრილია** თეფშზე (იქვე, 342); გევხედე, **დაძრილი** იყო კარები (იქვე, 345); **დანაყილი** კაკალიცნა მაყარო (იქვე, 298); ერთი ბიჭი **შეყვარილი ყოფილა** (კრებ. IX: 150); ჩიჩელები **დარგილი** მაქვა (იქვე, 161); ბევრი კაცი **მოკლილი** ყავდა (ნიგ. 157); ყველი **მოხრაკილი** კაა (იქვე); მე ახლა ჭკვა **დაპანტილი მაქ** (კრებ. VIII: 189); სახში **დამალილი** მყავდა (იქვე, 176); არი **დარგილი**, ჰამა არ გამუუხსხია (კლარჯ. კრებ. VI: 256); ჩალიშიდან **გაძალლილი** არიან (კრებ. VIII:167); აქ ქი დერგებია **ჩაფლილი** (კლარჯ. კრებ. VI:242); თორმეტი თუის **დაჭირულიდან** ბანაკში ერთპირ მოვა (ჩვენებ. 331).

ზოგჯერ ამგვარ ფორმათა ახსნა შესაძლებელია ანმეოს ფუძის თავისებურებებით: **კლის, ისვენის, ფლის...**

დასახლული და **დაბადული** მეორე სერიის ფუძის (ებ' თემის ნიშნის უქონლობა) გამოყენებითაა საყურადღებო.

ანალოგიური ფორმები შემონახულია ხევსურულშიც. **ილ-ულ'** სუფიქსთა მონაცვლეობა არც თუ იშვიათია: **დანაყული// დანაყილი...**

ზოგჯერ პარალელური ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდაა: **მოკიდული** ქონდა სიმინდი, დეეზარალა...**მოკიდილი** იყო... (კრებ. IX:166); ბიჭი **დასახლილი** ქყავს?...**დასახლული** ვიყავ (კლარჯ. კრებ 6: 240).

ამგვარი მიმღეობა ხშირად გამოიყენება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად: ხოჯა **გახდილა** (ლივ. 314); დიდი კაცი **გახდილა** (ნიგ. 161); სალამო **გახდილა** (ნიგ.143); **დაპანტილან** გურჯები... ჩვენი დედები იქ **გამობარგილან** (კრებ. IX: 166); ჩემი ბაბოა აქ **დაბადულა** (იქვე).

უარყოფით მიმღეობათაგან საინტერესოა ორმაგად ნაწარმოები ფორმები: **უდუუნახველი, უგუუკეთებელი...**

უდანოლილი და მისთანა ფორმები წართქმითი მიმღეობის ფორმაზე უ პრეფიქსის დართვითაა მიღებული: წინწინ **უდუუნახველი** ნაყვებოდენ (ჩვენებ. 321);

კლარჯულში ბევრია თავისებური წარმოების მიმღეობაც: **საჭამურში** შეველი, ძროხები დასანველი (ჩვენებ.345); **მოშიშარე** არიან ესენი...სავარცხალა ქედი ქვადედოფალას **მიმდევნეა** (კრებ. VIII:167); მოკტენ, **მცოდნელები** მოკტენ (კლარჯ. კრებ. VI:236); შენ დაფიქრისავენ, **ნაცოდნსავენ** არა, წორე სახში ნადი შენ (ჩვენებ. 325); **საყიდავი** მოვა (იქვე, 248); ჩემი მული ხახულშია **გათხუებული** (ჩვენებ. 296).

ტანულობს, გებულობს, ცნობილობს, პაიჯულობს, ტკენულობს, წყენულობს და ა. შ. ფორმები ზოგადად სამხრული კილოების და მათ შორის კლარჯული მეტყველების არსებითი თავისებურებაა. რაცხას მისცემენ, **ყოფნილობენ** (კლარჯ. კრებ. VI:236); სხალი კააა, **მწყენულოფს**, შექერი მაქ (იქვე, 244); ქინძის სულსავერ **ვტანულობ, ვგვებულობ** (ჩვენებ.303); ბაბოა ცნობილობ-

და (იქვე, 313); მე **ქპაიჯულოფ** (იქვე, 315); ხომ არ **გტკენულობს** რამეს? (იქვე, 319); ღარჭი მეტი **შემეცოდვილა** (კლარჯ. კრებ. VI: 257); რაცხას მოქცემს, **ვყოფნილოფთ** (იქვე, 238).

2.4. უდეტრები

ყურადღებას იქცევს „უკან“ სიტყვის მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია კლარჯულში.

მ. ცინცაძემ გამოყო ამ ზმნიზედის ძირითადი მნიშვნელობანი:

1. ადგილის გარემოება: კაცები **უკან** მოგყვებოდნენ (ჰაჯიოსმანი); უკან სამი-ოთხი კაცი არიან (ჰაჯიოსმანი); სტამბული **უკან** დაგვჩა (ჰაჯიოსმანი); ხან წინ მივა, ხან – **უკანა** (აივაზფინარი); კარიპირში თუთა იქნება, **უკან** – სხალი (სირეთი).

2. უკან სიტყვა ქართულში **დაბრუნების** სემანტიკას უკავშირდება: ჩანჩ წეღებ, **უკან** მეღტან (ნუსრეთი); იმას გამუუგზანია **უკან** (დევსქელის ხეობა); მუჰაჯირათ რომ წევდენ, რომ დაწყნარდა, **უკან** წამოვდენ (ხება); მაშინეზე უკან მოსულან (ჩვენებ.176).

3. დროის გარემოება: **შვადლი უკან** არ ისაქმავს (ქლასკური); ათი-თორმეტი წლის **უკან** გურჯი არ დარჩეს (ჯიგანი); იმის **უკან** ყველამფერი იქნება (შირინსული); იმის უკან ხუთი-ექსი თვე გეარს (ხება); იმის **უკან** ბიჭის სახში მივლენ (ხება); იმის **უკან** ცეცხლი'და დააყარო (ხება); ვუკითხავდით, იმის **უკან** განვიმდებოდა (სირეთი); იმის **უკან** ბერები მეიყრებოდენ; ხარბი რომ გამოსულა, იმის **უკან** ჩამოვდა; მას **უკან** წეით (მამანეთი); რომ წევდოდენ დედამთილის სახში, მას **უკან** ვიტირებდი (ქლასკური)..

მესამე პირის ნაცვალსახელის მიცემითის ფორმასთან „უკან“ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ქმნის კომპოზიტს **მასკან** (შემდეგ), რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ სამხრულ მეტყველებაში: **მასკან** ნიშანლი (დანიშნულები) ვიყავით (მურკვეთი); შეხედე და **მასკან** თქვი, დაბერდაო (კირნათი).

„უკან,“ გარდა **მომავლისა**, კლარჯულში იშვიათად გამოხატავს წარსულ დროსაც: **თორმეტი დღის უკან** ბაარამზე იყო (კირნათი); **ორი კვირის უკან** წევდენ (ჰამიდი); სამ წელწად უკან მოკტა (აივაზფინარი).

მეცნიერის დაკვირვებით, „უკან“ და „წინ“ ზმნიზედისა და თა-

ნდებულის ფუნქციით ანტონიმებია კლარჯულშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ **წინ** დამოუკიდებელი ხმარებისას – ზმნიზედის მნიშვნელობით აღნიშნავს დროს (წარსულს). ამ შემთხვევაში „**წინ**“ იგივეა, რაც „**წინა**“: **წინ** მალე დაასახლებდენ; ახლა არ არი, **წინ** იყო (ტრაპენი); **წინ** ირმიბემ წელიწად ისაქმებდენ (ავანა); წრევა არ ვაკეთებ, **წინ** ვაკეთებდი (ისკები); აქ ზორ თოვლი იქნებოდა **წინ**, ახლა არ არი (ისკები).

მკვლევარი იმონმებს **უკან** სიტყვასათან დაკავშირებით ერთ-ერთი შავშის შენიშვნას: „ორი წლის **წინა**, ჩვენ **წინ** ვამბობთ, **უკან** ჰალადა მოიდეს, იგია **უკან** (მაჩხატეთი).

საინტერესოა შ. აფრიდონიძის მოსაზრება: „**უკან** ტრადიციულად მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა: მოგვიანებით დროული ფუნქციის შესუსტებამ ამ სიტყვას დიალექტური ჟღერადობა შესძინა და მას **შემდეგ** შეენაცვლა, რომელსაც სინონიმებს შორის (**უკან**, **მერე**, **აქეთ**) ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ სალიტერატურო ენაში“ (აფრიდონიძე, 1984:256).

4. თანაობის აღნიშვნა: კლარჯულში „**უკან**“ იხმარება –**თან** თანდებულის მნიშვნელობით, აღნიშნავს იგი, ერთად შესრულებულ მოქმედებას. **უკან** სიტყვის ეს თავისებურება ქართული ენის სხვა არცერთ კილოში არ არის შენიშნული. ამ მნიშვნელობით **უკან** ძირითადად დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

ჩვენ **კაცის უკან** თლათ ვლაპარიკობთ [ქართულს], თურქჩეს ჰიჩ არ ვლაპარიკობთ (ნუსრეთიე); ერთი კაცი მოვა **ხარების უკან**, ხარები'ნა ამუშაოს (ნუსრეთიე); **კაცის უკან** ვარ, მარტო (ბაშქოი); **კაცის უკან** არი, ჰამა ის იყოს, არ იყოს, ერთია (სულერთია), ავადეველია (თხილაზორი); **სომეხებს უკან** ერთნაირათ ლაპარიკობენ ჰემშილები (ჩვენებ.316); არ გვეთხვებოდა, ნენე-ბაბოაც თუ ცოცხალი ყავდა, იმის უკან იქნებოდენ (ქართ.); **იმის უკან** არ ვლაპარიკოფთ (ავაზფინარი); შენ **იმის უკან** წაა (ერენქოი); გააგდე, ნევედეს ამის უკან (ქართლა); ვის უკან მოხუელ? (იქვე, 579); **ვის უკან** საქმობენ? (იქვე, 579); **ვის უკან** დგები, სად ხარ ახლა, სად იძინავ (იქვე, 306).

ზოგჯერ თანაობის, ერთადობის გამოსახატავად ერთდროუ-

ლად გამოიყენება **უკან**, **ერთად** ან **ერთხელა**: თუ **ჩვენს უკან**, **ჩვენ ერთხელა** ხარ (ისკები); შენ ლარჭების უკან, ერთად დაგაბეროს ღმერთმა (თხილაზორი).

თანაობის, ერთადობის მნიშვნელობა –**თან**, –**ერთად** თანდებულებითაც არის გადმოცემული:

უკან სიტყვის გამოყენება –**თან**, –**ერთად** თანდებულების მნიშვნელობით კლარჯულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მიგვაჩნია (ცინცაძე, 2015).

კლარჯულში (სხვა სამხრულ კილოებშიც – ავტ.) ნაწილაკადეცეულ **უნდა** ზმნაში **უ** ხმოვანთან ერთად იკარგება **ნ** ან **დ**: **მე'ნა** (<მე უნდა) დეგზნილო (ნუროსმანიე); ჩემ ლარჭებისა **შენ'ნა** შეხედო (ავაზფინარი); **სახში'და** ვილოცო (ავაზფინარი); გაგულიანდები, მაშინ **ჩაარტყა'და** კაცებს (ბორჩხა); **გელინი'და** მევევანო იზმითიდან (ბორჩხა).

კლარჯულში შემონახულია კითხვითი **ა ნაწილაკიც**: ტანზე **რასა ვაცუამთა?** (ჩვენებ. 299); მეფვას ბევრ არ **ვსჭამა** (იქვე, 298); მარა ბევრ არა **ვსჭამა?** (იქვე, 299).

ფ3. სინტაქსური თავისებურებანი

თვალში საცემია სახელისა და ზმნის ურთიერთობის თავისებურებანი კლარჯულში, შეიძლება ითქვას, ასეთი მრავალფეროვნება სხვა ქართულ კილოებში არ გვხვდება.

სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელი ზოგჯერ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ...**ჩემ დედე** ჰემ წერევედა, ჰემ კითხულობდა (კლარჯ.კრებ.VI: 268).

მსგავსი ვითარებაა მოთხრობით, მიცემითა და ნათესაობით ბრუნვებშიც: მაჭახლელმა, **ჩემ ნენემა** იცოდა (კლარჯ. 948); **ჩვენ წისქვილმა** არ ფქვავს და არ ჩამევეტა (944); **მის კაცმა** თუ რამე არ ამბოფს (იქვე, 943); **ჩემ გოგოს** კაცი მოკდა, მიერე გოგოს კაცი არი (იქვე, 951); გურჯიჯა სიმღერების ქასეტი აქვა **ჩემ ბიჭსა** და იმა ეძებდა ახლა (იქვე, 971); იმას მიდევს, ბათუმ, **ჩემ ძმას** (იქვე, 936)...

მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას გვხვდება ვულგარული სახეობაც: აქ **ჩემი ქალაქში** სახლი არ მაქ (ნიგ., 145); ჩემ ცოლმა თქუა, **ჩემი ბაბასთან** ქი მიმიყვანოთ... (ლივ. 328); **ჩემი დამა** მასენა მითხრას? (მარადიდი); **ჩემი ნენემა** დათესევდა (ჰამიდიე); ჩემი ცოლის **დედმა** იტყვის (ადაგული); ბოსტანში **ჩემი დინენემა** დათესავდა: ფხალი, ლობიო (კრებ. IX: 150); ე^ადა **ჩემი დედეს** უთქმია (იქვე).

ერგატიული კონსტრუქცია კლარჯული კილოს ყველაზე გამოკვეთილი თავისებურებაა. კლარჯულ მეტყველებაში გვაქვს შემთხვევები, როცა მოთხრობითის ფუნქცია გამოხატულია ნორმის მიხედვით: **ვიცხებმა** კლავი მათქრეს (ბაშქოი); ახლანდელ **მოზარდებმა** არ იციან გურჯული (ბაგინი); **ღმერთმა** არ გაგაფაქოს შენ (ბაგინი); **ბიძაშვილმა** რაცხა მონყვიდა ყანაში (ხება); **ღმერთმა** შენც გამყოფნოს (ქლასქური); **ქალმა, ბალანამ** ამოჩხრიკეს, ჩაჩხრიკეს... (ქლასქური); **ბიძაშვილებმა** იჩხუბენ (ხება); დიდი ქუმუგები ამოილო **ჩემმა დედმა** (ბალაბანსირთი); **ღმერთმა კერა მიგიძრას** (ახალდაბა)...

შეიძლება ვისაუბროთ შემთხვევებზე, როცა **გარდაუვალი ზმნა** წყვეტილში, უწყვეტელსა და ანწყოსა თუ მყოფადში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში, რაც ძალიან ხშირად გვხვდება კლარჯულ მეტყველებაში (ცინცაძე, ფალავა, 1998).

მამაჩემმა ხშირათ ამბობდა, რომ ბათუმში გადავიდნენ (ქლასქური); სოფელში ქართველი სიტყვა **მამაჩემმა** ამბობდა (იქვე); ერთ სუფრაზე **ბალნებმა** ვჭამდით, ერთ სუფრაზე **დიდვანებმა** ჭამდენ (იქვე); როდის რომ ცოტა მეგჩორჩოტე, გზაზე დავდექ, ერთი **ბიძამ** დიმიახლოვდა (იქვე); ჩვენი **დიდვანებმა** ართვინიდან ყურძენი მოჭვირთავდენ (ხება); **მეზობელმა** სახლ აკეთებდა (იქვე); **ხალხმა** ვუყურავდით (მარადიდი); ამა ჩვენ **ხალხმა** ვუყურავდით (მარადიდი); ქედქედელმა კაცი მოკლიდა ძველათ (იქვე); **ღარჭებმა აკეთებენ** საქმე (ლივ. 308); ყველამ მის ჭკვას ასწევს (კლარჯ. კრებ. VI. 244); **ხოჯებმა** ასე იძახიან (ნიგ. 160); გურჯებმა თელი **შემეზარენ** (ნიგ. 156); დედომა და ბაბომა არ ილაპარაკებდენ (იქვე, 153); თელი საქმე თემიზობს, ქალებმა იქმენ (იქვე, 158); **ძველებმა** არ **იცურებენ** და **ახლებმა იცურებენ** (იქვე, 158);

ნენემ რაცხაეფ ილაპარაკებდა (იქვე, 142); ფხალი **მარადიდლებმა** იტყვიან (იქვე, 305); ჩემ ბადიშმა იჯება (იქვე, 164); **მულმა მულმულობს, რძალმა კუნკულობს** (კლარჯ. 238); **ღარჭებმა** აკეთებენ საქმე (ჩვენებ. 308); პირ კოცნა თუ გინდა, **ცხვირმა არ დიგიშლის** (ნიგ. 145)...

კლარჯულისთვის ტიპურია ერგატიული კონსტრუქცია ნომინატიურის ნაცვლად: ჩვენი ჩაი მარადიდ **ზროხებმა ძოვენენ** (შდრ. ძროხები ძოვდნენ); **ქალმა უჭვრიტავს** მეგერ (შდრ. ქალი უჭვრიტავს); **ყველამ** მის ჭკვას **ასწევს**; ჩემი **ბადიშებმა** იკითხებენ (შდრ. ბადიშები იკითხებენ)... **თელმა** იჭირვენ ...

„მოთხრობითი ზემოხსენებული ფუნქციით ყველაზე მეტად დამახასიათებელია მარადიდისა და მიმდებარე ხეობებისთვის. თუმცა ამ ფორმას, მართალია გაცილებით უფრო მკრთალად, მაგრამ მაინც, ვხვდებით მურღულშიც და უფრო ზემოთ, ართვინის მიმდებარე ქართულენოვან სოფლებშიც. შესაბამისად, ვფიქრობთ, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი სწორედ კლარჯულისთვის სპეციფიკური ფორმა იყო საუკუნეთა განმავლობაში“ (ჩოხარაძე, 2015: 54).

ამ მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ფარტენაძეც: მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში საკმაოდ ხშირია მოთხრობითბრუნვიანი ფორმები, მართალია, გარდაუვალ ზმნასთან მათი გამოყენება არ არის უცხო შავშური და ტაოური კილოებისთვის და ზოგადად სამხრული დიალექტებისთვის:

კაცმა წეიქცევა, ისეირებენ-ჰო? (939); **ქორმა** დეეცა მეგერ (933); ჰა, ამის **ფასმა** ყველას აწყოფს (937); მოხთა ყორეზე **დერგმა** და გატყდაო (933); ერთმა დედაბერმა **ქალმა** მოვდა (932); ნევდენ **დივებმა** ჰაცხან საქმეზე (929); გამოვდა მეგერ **თევზმა** (928); ნევდა მეგერ ეს კაცი და შეეყარა **დათვმა** (928); სახში ერთმა **ქალმა** დაგვხთა (930); იარა და შეხთა **ღელემ** (928); გამოვდა **ქალმა** და იძახის (930); შემოვდა დიდმა **დათვმა** (931); **ცხენმა** არ გამოვდა (930); **თუთუნებმა** გახმა და **სიმინდებმა**ც ჩეილენა (941)...

საანალიზო მასალაში ხშირად მოთხრობითი ბრუნვის ფორმები (და არა მარტო) წინადადებაში არასწორი კონსტრუქციას ქმნის, რაც უფრო ენის უცოდინრობის მაჩვენებელი უნდა იყოს და არა მეტყველების თავისებურება:

ბადიშებმა იკითხებენ ქითაბ (949); რამდონი **შოფერმა** ამუშა-
ვებდა ის მანქანა (940); ნაჩალნიკის მაშინას **ჩვენმა მანქანამ** ჯობ-
ნის (940); **მიმინომ** ნეიყვანს ჭუჭული (939); ამ **ბალახმა** რამხე-
ლა ხელი გვიშლის (938); **ბალნებმა** რას ამბობენ? (937); **ხალხმა**
უკროხო ზდიან და თქვენ ისე ვერ ზდით (936); **გულმა** მეზნეოდა
ვარი (933); **ქორმა** თუ წეღებს, თელი ხომ წეღებს (933); **დათვ-**
მა სამობს დავლი ხმაზე (931); მისი **ბალანამ** ხან ყუმარ თამაშოფს,
ხან მანქანაზეა (943) (ფარტენაძე, 2017: 237-238; შდრ. ბარამიძე,
2014: 15).

სინტაქსურ კონსტრუქციებში მიცემითი ბრუნვის ნაცვლად
გვაქვს სახელობითი: აკვანები დავარწვედი (შდრ. აკვანებს და-
ვარწვედი); **ბალანამ** ლამეში ახილებს **თვალი**; **თხილი** წინ-წინ ვყი-
დევდით (კლარჯ. VI: 256); **ყველამფერი ავართვავ** (ლივ. 327); **ლო-**
ბიო გავაკეთავთ, სარმა გავაკეთავთ (ნიგ. 169); **კიტრი გავთალა-**
ვთ, მანონში გუურიავთ, კაკალი დავყარავთ.... გააგრილავს შიგანს
(ლივ. 303); **საჭმელი** ვაკეთებდი (ნიგ. 146); **თელი საქმე გავაკეთავ**
(ნიგ. იქვე).

კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველებისათვის ნორმაა პირდაპირი
დამატების **სახელობითი** ბრუნვა პირველი სერიის ზმნის ფორმე-
ბით გადმოცემულ შემასმენელთან: ჩემი **სახელი** არ გეტყვი (ავა-
ნა); საქმე ვიჯები სახში (ნუროსმანიე); რამ არ ვსაქმობ, **თხილი**
ვკრეფდი (ნუროსმანიე); დოღრი იტყვი, არ'ნა დეკარგოს (ნუროს-
მანიე); ჰიჩ **ვინმე** არ ვიცნობ იქ (ესკიფერადიე); **ხალხი** ვერ ნახავთ
ქი სოფელში (თხილაზო) (ბარამიძე, 2014: 14).

შდრ. წყალი ვსვავ, **ფილაფი** ვიქავთ, **კომბოსტო** გავაკეთავთ
(948); გეეჩვია და ლამეშიც ახილებს **თვალი** (940); რაფერ დავნიშ-
ნო, **ჩხირი** დავასოფ (930); ბათუმის გოგომ **სიმინდი** მეეკიდავდა
და მეღტანდა (942); ჰემ რეკავს **აირანი**, ჰემ **საქმე** აკეთეფს (933);
რა ვიჯები და **მუცელი** ვწვავ (929) (ფარტენაძე, 2017:238).

ვითარების გარემოება გადმოცემულია სახელობითი ბრუნვის
ფორმით წარმოდგენილი ზედსართავით მოსალოდნელი ვითარე-
ბითის ნაცვლად: ამათ მისი ენა არ აქვან, **თურქული ილაპარიკე-**
ბენ (თხილაზო); ამსო **გემრიელი ლაპარიკობ** (ავანა) (ბარამიძე,
2014: 14).

§ 4. ლექსიკური თაპისეპურებანი

საკმაოდ განსხვავებულია კლარჯული ლექსიკაც: **აფერთხი-**
ლი, აფერთხული – მოსულელი: ეს აფერთხილია... აფერთხილი,
ჭკვაგაქცეული, „ჭკუადანგრეული“ (მოსაუბრის განმარტება):
შეხედებენ, ლამაზია თუ ჭკვიანი, **აფერთხული**; -ეს აფერთხილია,
ჰამა იყოს, აფერთხილი – ჭკვა გაქცეული, ცოტა აქ (კრებ. IX:175).

ანევა – მიცვალეზულის გაყვანა დასაკრძალავად.

ბრენველი – ბრონეული: **ბრენველი არი, იცი თუ ბრენველი?**
(ნუსრეთიე).

ბუცება – ყურება: საღამოს ნენეს **ებუცე**, მე კაცს **ვებუცები**,
ვუყურავ (სირეთიე); ახლა კაცი დგას და ბოსტნისკე **ებუცება**
(ქართ.) (ამასთან დაკავშირებით იხილეთ ცინცაძე, ფალავა, 1998).

გადატრიალება – შეცვლა: გადავატრიალე ქოროლაჯალი ქა-
რთულიდან თურქულზე (გეგრი).

გადარეცხვა – ნაშლა: გედერეცხა ჩვენი გურჯიჯე (ქირიმითი).

დანვენა – გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, ფულის შენახვა
ბანკში: დავანვინე ფარა (კირქხარმანი).

დაძახება – გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, შეტყობინება, გა-
მოცხადება, მოკვდომა.

დაჯდომა – გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, დაბინავება, და-
სახლება, დამკვიდრება: აქ, ტყეში დამჯდარან (მელაანაზი); ჩუ-
რუკა სოფელში დავჯექით (სირეთიე).

კითხვა – სწავლა, განათლების მიღება (ერთ ერთი მნიშვნელო-
ბა): არ იკითხა (ჰამიდიე); გოგო ლიცეში კითხულობს (ნუსრეთიე);
ბაბომაც ვერ იკითხა, მეც ვერ ვიკითხე, ჯალი დავჩით ორივე, არ
გვაკითხეს ჩვენ თურქჩა (ქოშკი).

ლაშხი(?) – გაუთხოვარი(?) ლაშხია შინ დარჩომილი (ნუსრე-
თიე).

შაქა – ხუმრობა: კად კაცია და იმისთინ ისე შაქა ვიჯებით (იქვე).

შეყვარილი – შეყვარებული: ჩემი დედეს და ერთ ბიჭი შეყვარი-
ლი ყოფილა (ჰამიდიე).

ნასვლა – გად. გარდაცვალება: სამი ბიჭი მყავს, ორი ნევდენ
(ქირიმითი)...

გაძვირება – გად. გაბრაზება: გაძვირდა (გაბრაზდა) ხოჯა!

მომცრევა- მოგროვება: ქლიავი მოვმცრიოთ, სხალი, რა გერქვა-რებია? (კლარჯ. კრებ. VI: 243).

გაგნება - გაგება, ცოდნა: - ქართული? ჰიჩ ვერ ვიგნავთ (იქვე, 237).

მ. ცინცაძემ და მ. ბარამიძეს კლარჯული ლექსიკიდან გამოყვეს ასევე **სიცოცხლე/ცოცხლობა** – ცხოვრების, **დადგომა** – დასახლების, **ცარიელი** – თავისუფალის, **თვარე** – თვის, **შემა** – ხის, **მუცელი** – თაობის მნიშვნელობით (ცინცაძე, ბარამიძე, 2011: 87-88).

ნასახელარი ზმნები კლარჯული დიალექტის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ჩემი გელინის ბაბოჟს ნენე **გაგულიანდებოდა** (გაბრაზდებოდა) (ჯივანი); რა ქნა იცი? **გასანთლო’ნა** (კირნათი); ემრიევ, ღმერთმა გაგაშიშა (კირნათი); სამი დღეა, ვერ მოასუფთა (კირნათი); **იფერხულებენ**, დუზხორომი, დელი ხორომი (ისკები); გადარეველი იფერხულებენ, იმღერებენ (ბუჯური); მატყლით შევხვიე და ასხალდი **გავდელდი** (გურბინი); ერთად გავზენგინდეთ (ბუჯური); ახლა გააგდეს საქმობა, **გაზენგინდენ** (ისკები); პური **გავაყირმიზეთ** (ერენქოი). ამავე ფუძისაა მიმღეობა: მიერე პური მოგიტანე, გაყირმიზებული (ერენქოი); **დეაშილდენ**, ერთი გოგო გავათხუევით, მივეციოთ ბიჭსა, დეაშილდენ (ერენქოი); **გავჰერსდენ’ნა**, რომ დავწყევლო (ჯივანი); გამაჰერსეთ და რა ვიცი (კირნათი); **დევეგელინო** ვინმეო, ვიტყვიო შენი გოგო **დეიგელინოს’ნა** (335), ერთხან თხა **დააარაღდა** (336).

ნასახელარ ზმნათა წარმოების თავისებურებანი ნიგალის ქართულში შეისწავლა პროფ. შ. ფუტკარაძემ. მეცნიერმა დაადასტურა შემდეგი ფორმები: **ჩათესლიმება** (გადაცემა, ჩაბარება); **გარეზილება** (შერცხვენა), **დადუშმნება** (მტრობა), **დაბათლება** (გაუქმება); **გაგენიშება** (გაფართოება); **გასირავება** (გამწკრივება), **დაბარიშება** (შერიგება); **გახუანება** (ხასიათის შეცვლა, განაწყენება); **დაყაფანება** (დახშობა); **დამოსაფირება** (სტუმრობა) და ა. შ.

ფრაზეოლოგია. საინტერესოა კლარჯული დიალექტის **ფრაზეოლოგია**. მოვიყვანო სათანადო მაგალითებს: თავრობამ თუ ცოტა ჭრელი კიბილები არ გამუაჩინა, ქირდათ ეიღებს ჯაჰილი

ხალხი და მის თოკზე დეინყებს სამასა (ჩვენებ. 339).

ჭრელი კიბილების გამოჩენა ნრეჟიმის გამკაცრება, სანქციები; მის თოკზე სამა -საკუთარ ნებაზე სიარული.

ყუსურზე არ დიმიხედოო (იქვე, 368)- ე. ი. ნუ დამძრახავათ, მამატიეთ,

უჯანგო ფაფრიკა არი სტუდენტობა (იქვე, 361)- შემოსავლის უხვი წყარო;

ცხვირ-ბუკ ვატეხავთ ქართულსა (იქვე, 361)- ქართულის შესწავლისას ძალიან ვწვალობთ;

მინვრილდება სული (იქვე, 353)- ვწვალობ, ვიტანჯები;

ზოლი უყუარდა ჩემი თავი, ჩემზე სულ მაყრიდენ (იქვე, 298)- ძალიან ვუყვარდი;

ლოცვა-კითხვა რას გიშველის, თუ **შეჭამე სხვისი ჰახი** (იქვე, 357) - სხვისი ამაგის, შრომის დაუფასებლობა;

თურქიეში ფილავი რიგდება (იქვე) - ყველა თურქეთს ესწრაფვის.

კლარჯულ კილოში უხვადაა აღწერილი ფორმა: მარადიდელი რძალი მყავან, მეტი კაჲ **რძლობა იჯება** (კლარჯ. 949); თუ არ განვიმდა, **დუას იქმენ**, თან განვიმდება (კლარჯ. 950); **იდარე’ნა ქნა** (კლარჯ. 959); ზამთარში **ხაზირობას იჯებიან** (იქვე, 963); ბევრი მეიყრებიან, **ფერხულობას იქმენ**, ისამებენ (იქვე, 972); მკალი მოსულა, შუბლზე დააჟდა კაცსა, **ნიშეთი უქნია**, აგერ მაზისო (იქვე, 994); ჰოლანდაიდან მოველ... **ქორწილი ვქენ** (იქვე, 1000); აუგუსტოში **დუგუნი’და ვქნა** (იქვე, 1002); ირმი ბემ **ხარბი უქნია** ასკერიო, ათათურქ (იქვე, 1004); ჩემი შვილი **შოფერობას იჯება** (იქვე, 1005); ძროხის ხორცი **ყაურმა ვიქდით**, მოვხრაკებდით (იქვე, 1005); ფაბრიკაში, **თესვე იჯებიან**, მაქინას (იქვე, 1013); **ზერზელე იქნა** დოქსან დოქუზში (იქვე, 1015); საქმეში ვერ შევდა, **კაზა ქნა** (იქვე, 1017); დედებმა **ქომურ იჯებოდენ** (იქვე, 1021).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კალკირების დროს ნასესხებია წარმოქმნის პრინციპი, ელემენტთა კომბინაცია. რაც შეეხება კალკში შემავალ ელემენტებს, ზოგჯერ ფრაზაში შემავალი პრედიკატული წევრი ქართულია (ზმნითაა გადმოცემული), ხოლო სახელადი ნაწილი თურქულიდან შემოსული სიტყვაა.

დუა ქნა- ილოცა; **იშარეთი ქნა** (işaret- ნიშანი, მინიშნება); **დუ-**

გუნი ქნა -ქორწილი გადაიხადა; **ხარბი ქნა**- იომა; **იდარე ქნა** (არ. **Idare**- მმართველობა, ხელმძღვანელობა, საარსებო საშუალება, მეოჯახეობა, ცხოვრების წარმართვა); **ყეზა ქნა**- **Kaza** - ავარია გააკეთა, მარცხი განიცადა, გარდაიცვალა; **ფერხულობა ქნა**- იცეკვა.

ამრიგად, აჭარულ დიალექტსა და ქართული ენის სხვა კილოებში (კლარჯული, ტაოური, შავშური) მრავლად გვხვდება აღწერილი ფორმები: **იანღლიში ქნა, საფა ქნა, ხევსი ქნა...** ასეთი გამოთქმები გამოვლენილია ფერეიდნულში, ინგილოურსა და ქართული ენის მესხურ-ჯავახურ დიალექტშიც. ნახევრადკალკებში გვხვდება არაბული, სპარსული და თურქული ლექსემები: **işaret, Mujde, Merhemet, Hediye, Idare, Badana, Tüccar, Lenciberi, Vesiyet, Aff** და მრავალი სხვა.

კლარჯული კილო ყურადღებას იქცევს **ანდაზებითაც**: **გლახა მოზვერმა რამ არ იქნავსო** (კრებ. IX: 150); **ბერი ჭარის ქამან მოხნისო** (იქვე).

კედელო, გისხენებ, გელინო, შენ გესმოდეს (იქვე, 241); **ნეხვიანი ტალახიანზე იცინის**. კლარჯულში დადასტურდა მისი ვარიანტი: **ნეხვმა ტალახი არ მოწონსო** (იქვე, 262); (შდრ. ფაშამ ფოშას გასცინაო)...

ზოგ ანდაზას ახლავს ვრცელი განმარტებანი: **ჭკვას თვალი არ ეცემა**: ჭკვას რატომ თვალი არ ეცემა, ყველას მისი ჭკვა მოსწონს. ასე რომ დაანყო ჭკვები სირაზე, ყველამ მის ჭკვა ასწევს. ამაზე ამბობენ, ჭკვას თვალი არ ეცემაო. ვინმე ვინმეს ჭკვას არ ასწევს (კლარჯ. კრებ. VI: 244).

§5. სიტყვანარმოება

5.1. ნარმოქმნილი სახელები. კლარჯული დიალექტის სიტყვანარმოების თავისებურებანი შეისწავლა მ. ცინცაძემ (ცინცაძე, 2014:15-23) და გამოავლინა, რომ გავრცელებულია **-იან** სუფიქსით ნანარმოები **მქონებლობის სახელები**:

ერთმა კაცმა მოვდა, თოფიანმა (კირნათი); **ილიასამ** წამეკიდა

ძიანი კარდალი (ჯივანი); **ჭკვიანი** კაცი სერსემი რატომ'ნა გახდე? (ბუჯური); ცოტა წამლიანია (გურბინი).

ამავე ფუნქციით იხმარება **-ა** სუფიქსი: ნიკორაჲ ძროხის სახელია, ნიკორი აქ (ქართლა, ადაგული); ძროხას ყარაყიზას ვეტყვით, **პირნათელას, ბუკნათელას; ტყუბაჲ** (ტყუპაჲ) ქლიავია (ქლასკური); ქალები ვამუშავე, **თაფშაჲაჲ**, კვალისანი (ერეგუნა); ჩემი **შავიაჲ** (ხარის სახელია) გაზდილა, კოლექტურში მუშაოფს (მარადიდი); **ყოჩაჲ** თხილი ჯობია (ადაგული).

-ა სუფიქსი ანარმოებს სხვადასხვა შინაარსის ზედსართავს: **ძირაჲ** (ძირს ჩამოყრილი, ჩამოცვენილი) ვაშლი ვის მიაქვან, ჭო? (მარადიდი); სხვა, **უკანაჲ** (შემდეგი, მომდევნო) არ ვიცი (ჯივანი); **ბაშქოჲ და უკანაჲ** სოფლის ჰუდუდია (დევესქელი).

კლარჯულში გამოყოფენ უცხო თურქული აფიქსებით ნანარმოებს სახელებს: **-ლი**: ჰურიევ, შენ **ფარალი** (ფარიანი, ფულიანი) ხარ (კირნათი); ხუთი **ოდალი** (ხუთოთახიანი) სახლი გქონებია (მარადიდი); ასი **ოყალი** (ასოყიანი) ქვაბი ყიდევდა იმან გუშინეზე (მარადიდი); მე ვიცი, შენ **შანსლი** (შანსიანი) ქალი ხარ (ერენქოი); მემრე დასლულია, **ბერექეთლი** (ბარაქიანი, უხვად) კეთდება (დევესქელი). **ემექლი** (პენსიონერი) ვარ (ბუჯური); კაი ქალია, **ხიზმეთლია** (ერენქოი).

გვხვდება სხვა თურქული სუფიქსებით ნანარმოები სიტყვებიც...

ნარმომავლობის სახელებს ანარმოებს **-ელ, -ურ// -ულ, -დელ** სუფიქსები: **-ელ**: **მაჭახლელი, კახელი, ბურსელია, ერევანელები...** **-ელ** ანარმოებს ადამიანის ნარმომავლობას.

სადაურობის აღნიშვნის ეს წესი კლარჯულში მტკიცედ არ არის დაცული: **-ელ** სუფიქსით აღნიშნება **რა** ჯგუფის საგანთა ნარმომავლობაც, ხოლო **-ურ//ულ** სუფიქსით – ადამიანთა ნარმომავლობა.

-ელ: **ისტამბულელი** ელმას (ვაშლს) ვეტყვით დიდგან-დიდვანია (ისკები); ყურძენი **ისტამბულელია** (ბუჯური); უნიდელი სახელია **ბუჯურელია** ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაა (ბუჯური); **ქართველი** (ქართული) კაი არ ვიცი (თხილაზორი).

-ურ//ულ: ეს ქალი **ქართული** არაა, ართვინიდანაა (ბუჯური);

ჩემი ნენე- ბაბოა **ქართული** არაა (ბუჯური). შდრ: **ქართველია**, ჰამა ვერ ლაპარაკობს (ჯივანი).

ერთი და იგივე მოსაუბრე ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ერთსა და იმავე წინადადებაში იყენებს ორივე სუფიქსს: ჩემი რძალი **გურბინელია**, მე – **ისკებური** (ისკები); ჩემი ოჯახი **ქართველია**, ჩემი ბიჭი **ქართველია**, რძალი **ქართულია**, ცოლი **ქართული** იყო (მურღული).

გვხვდება უსუფიქსო წარმოებაც: სახელი წარმომავლობა გადმოცემულია მხოლოდ ძირეულით: მერა **მურღული** (მურღულელი) **ძლები** მყავ (დევისქელე); ამან მეტი **გურჯი** (**გუჯული**) ლაპარაკი იცის (თხილაზორი); **გურჯი** (**გურჯული**) წყევლა არ ვიცი (ჯივანი); **გურჯი** (**გურჯული**) კანალები ჩქარ-ჩქარა იძახის (ჯივანი).

კლარჯულში **-ურ** ერთვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, ამ ფორმათა მნიშვნელობა ზედსართაული ჩანს: მერიემი **ჩვენებური** სახელია (კლარჯ. კრებ. VI:270); შენ **შენური** საქმე დაგრჩა (იქვე, 247); იმან **თქვენური** იცის (დევისქელი).

პარალელურად გამოიყენება აგრეთვე **შენებური**: შენ **შენებური** გაანყე (დევისქელი); ასეთი წარმოება მესამე პირის ნაცვალსახელთანაც გვაქვს. მე არ ვიცი, **მისებური** შავდება (ერენქოი).

სადაურობის მნიშვნელობის გარდა **-ურ// -ულ** სუფიქსი სხვა ფუნქციითაც გამოიყენება. ალ. მანჯგალაძე აღნიშნავს, რომ **-ურ** სუფიქსის `თავდაპირველი ფუნქცია არის სახელის დეტერმინაცია (მანჯგალაძე, 1953: 473). მეცნიერის დაკვირვებით, თვისების გამოსახატავად იგი მე-11 საუკუნიდან გვხვდება, ისიც სპონტანურად, მე-12 საუკუნეში კი – უფრო ხშირად.

მ. ბარამიძის დაკვირვებით, კლარჯი მუჭაჯირების მეტყველებაში კლარჯული კილოსაგან განსხვავებით არ გვხვდება სადაურობის სახელთა წარმოსაქმნელ სუფიქსთა განურჩეველი ხმარების შემთხვევები **ვინ** და **რა** ჯგუფის საგანთა სახელებთან: ისიც **აქვერელია**, ჩემ **სოფლელია** (ბორჩხა); ეს **ქართველი** არაა, დერინჯედანაა (ბორჩხა); **ომანელი** ბერი დედეს ეტყოდენ (ბორჩხა); ეს **გურჯია**, **ბორჩხელი** (ბორჩხა); ჩემი ბაბანე **აჯარელია** (იჯადიე); არ არიან ქი **მაჭახლელები** (იჯადიე); **ტრაბზონელი** ლაზია (ნიმეთიე); მე ვილაპარაკო თუ, **ჭანური** დაგასწავლო`და (აივაზფინარი);

ყველაფერი **ქართული** ვიცი (ნუსრეთიე).

ერთ შემთხვევაში **-ელ** სუფიქსით გადმოცემულია **რა** ჯგუფის საგნის სადაურობა: ათ და ხუთი სოფელი ქართველია (ბორჩხა). თუმცა სოფელი ამ კონტექსტში შეიძლება სოფლის მკვიდრებს ნიშნავდეს.

ზედმეტი **-ელ** სუფიქსი წარმომავლობის სახელში **თურქელი**: ჩემ ბაბოს სამი ქალი იყო - ორი ქართველი, ერთი - **თურქელი** (ბორჩხა) (ბარამიძე, 2014:12).

წარმომავლობა გადმოიცემა თურქული **-ჩა// -ჩე// -ჯა// -ჯე** აფიქსებით: თურქჩა (თურქულად) ადვილად მობრუნდები **გურჯიჯა** (ქართულად) ჩეთინია (გურბინი); ჩუენი დუები **არაბჩაა** (არაბულია); იმან **არაბჩა** იცის (გურბინი); **თურქჩა** (თურქულად) ოხლავას ვუძახით (გურბინი); ზავოთი რუსჩეა, ფაბრიკაა (ისკები); ბახირ – **გურჯიჯე**, ქართულად – სპილენძი (ბუჯური); გურჯიჯა (ქართული) აზები უნდა (დევისქელე), მე **გურჯიჯა** (ქართველი) ანგაე მყავს (თხილაზორი). **გურჯიჯა** (ქართულად) დუას ვიტყვით (ჯივანი); იმან **გურჯიჯა** (ქართული) ვაიზი იცოდა (ჯივანი).

თურქული სუფიქსი -ჯი მნიშვნელობით **მე-ე** კონფიქსის შესატყვისია: **ჭექიაჯი** (მეზლაპრე) ერთი სოფელია აქა (ბუჯური); მივდა **ბალჯისთან** (მეზალესთან), ბალჯიმ უთხრა (კირნათი); გზაზე შეეყარა ერთი **გემიჯი** (კირნათი); კითხა მეგერ დერდიები, რომენ დაანდეს თევზმა, **გემიჯიმ და ბაჯლიმ** (კირნათი)...

გემიჯ ფორმაში დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი. **აბსტრაქტული** სახელების მანარმოებლად პროდუქტიულია **-ობა** სუფიქსი: გამგეობა (კირნათი); ხაზირობა (იბრაქი); ელჩობის (იბრაქი). გოგეობაში, ღარჭობაში (ერენქოი); ძალობა (=რძლობა) (ჯივანი); კარგობა (ჯივანი).

-ობა დაერთვის **-ეულ** სუფიქსიან ზმნიზედას **ავად**: **ავადე-ვლი** **ავადეული**: ინა შექერი ავადევლობისთვინ (ავადმეფობისთვის) კაე ყოფილა (ერენქოი); გონჯი ავადევლობა ქონდა (ჯივანი).

-ობა სუფიქსი მოქმედების აღმნიშვნელი, სანყისის ფარდი სახელებსგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: **თამაშობა** არ დიმიწახიან (ჯივანი); ჩვენთან ლალატობა არ იციან (მურათლი);

მე არ მიყვარდა **მღერობა** (ისკები); ფიქრობაში შევქეტამა ეს ამბავი შეიტყოო (კირნათი).

პარალელური ლექსიკური ერთეულებია **საქმე** და **საქმობა**: იქნებოდა **საქმე** იქმოდა (გურბინი); ერმენები მოსულან **საქმო-ბისთვინ** (ტრაპენი).

-**ობა** უცხო სახელთაგანაც აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: **მოპაჯირობაში** შიგ დარჩენილან (იბრაქი); **მოაჯირობის** დროს წასულან (ბუჯური); ჩემი **მერაყობა** მე დამჩა (ჯივანი); **ჩობნობას** ვიჯებოდი (ქართლა); უწინ იყო **ყაფალობა** (გურბინი)...

სი-ე კოფნიქსით წაწარმოები აბსტრაქტული სახელიც დაი-რთავს -**ობა** სუფიქსს – გვაქვს ორმაგი წარმოება: **სიცოცხლობა** მაქ (ჯივანი).

-**ობა** სუფიქსს კლარჯულში სხვა ფუნქციაც აქვს; იგი მრავლობითობის -**ებ** მანარმოებელს ენაცვლება: **თქვენობიდან** (თქვენებიდან) ქალი ახლავს (იბრაქი); სველში არ გემეველებიან, რა **ამბავობაა** აჯავ ბახჩიეფში? (მარადიდი).

მრავლობითობას (და არა კრებითობას) უნდა გამოხატავდეს -**ობ** ამ წინადადებაშიც: დასაქორწილებელი არვინაა, **ბერობაა** უმფო (დევესქელი).

დანიშნულების სახელს აწარმოებს **სა-ე** კონფიქსი: **საქათმე** ვერ გააკეთეფს კაცმა (კირნათი); **საქათმეისთინ** რაფერი ხეები მოგიტანია? (კირნათი); **სათვალე** ვერ მოვძებნე (ქლასკური).

„ჩვენებურების ქართულში“ გვხვდება **სა-ო** კონფიქსით წაწარმოები **სათვალო**, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ასეთ კონტექსტში: ხარებსა **სათვალოს** შააბმენ (გვ. 363)...

სათვალო აქ **თვალისცემის** აცილების საშუალებაა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **სათვალოს** მნიშვნელობაა თვალადი, კარგი, შესახედავი, წარმოსადეგი (VI ტომი).

რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან **ერთი მე-ე** კონფიქსით წაწარმოებია რიგობითი: მეერთე არა, მევრე (<მეორე) არა, მესამე და გამეარო (ისკები).

მეერთედი გვხვდება „ჩვენებურების ქართულში“: გავფაჭავთ, **მეერთედი** გავფაჭვა, მეორედი გავფაჭვა (გვ. 364).

უქონლობის სახელს აწარმოებს კონფიქსი **უ-ო**: ხალხმა **უკრო-**

ხო ზდიან, თქვენ ისე ვერ ზდით (კირნათი).

კონტექსტის მიხედვით **უკროხო** ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობითაა – **უკროხო**. ვიყიდე **უჩახმალო** თოფი (კირნათი) შდრ: უწინ ჩალმალი იყო (ჯივანი). უძროხო არ იქნა (ადაგული); ყი-სირ **უკაცოს** ეტყვიან (დევესქელი).

ჩვენებურების ქართულში, ლივანური მეტყველების ნიმუშებში, დავადასტურეთ მეტად საინტერესო ფორმა – **მოპატინა**: **მოპატინა** ბიჭი ბურსას მყავს (ჩვენებ. 324).

5.2. კომპოზიტები. კლარჯულში კომპოზიტების სხვადასხვა ჯგუფი დასტურდება. ხშირია სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტი. გვხვდება ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: **დიდნენე** მეტი სეფილი ყოფილა (ჯივანი); **ყუელდღე** (<ყოველდღე) ჰასტანე არაა (ისკები); ქლიავები არი: **წყალქლიავი**, ტყუბაა... (ბუჯური).

მსაზღვრელის ფუნქციით არის ზმნიზედა: **მალმოსული** ბალია (ბუჯური).

ასეთი კომპოზიტის მეორე ნაწილი თურქულია: მოვდონ'ნა იქი-დან, **ყინაგეჯე** 'ნა ქნან (ისკები) (**ყინაგეჯე** – საქორწილო რიტუალის ნაწილი, ქორწილის წინა დღეს პატარძალს იწით შეუღებავენ ხელს).

თურქულია ჩვენებითი და კითხვით-ნაცვალსახელიანი კომპოზიტების მეორე ნაწილი: ახლა **იმსო** ჯუხსუზი არიან (ისკები). **იმსო** – ისეთი, **იმსო** შეები აქ არ არი (ჯივანი); **იმსო** შეები გაგონილა მაქ (ბუჯური); წინდელი დრო **ამსო** იყო (ადაგული), **ამსო** კაცი არ ვარ (დევესქელი), **სო** (soy) გვარი, ჯიშია.

ჩვენებითი ნაცვალსახელის შემცველია შემდეგი ფრაზების კომპოზიტები: ისე **მანგვარი** (<მაგვარი) რამე მე არ ვიცი (დევესქელი). შდრ: **მაგვარები** მე არ გემეგნება (დევესქელი); **ანგვარი** (<ამგვარი) რამე არ ვიცი (იბრაქი).

კომპოზიტების პირველი ნაწილი კითხვითი ნაცვალსახელია: იქ **რასო** (=როგორ) გახველი? (ჯივანი); ახლა ვუყურავ, რასო ჩეცვამენ (ჯივანი); **რამსო** (<რასო) გული აქვა, ბელქი ახსი გული აქვა? (გურბინი).

რთული სიტყვის პირველი კომპონენტია საწყისის ნათესაობითის ფორმა, რომელსაც ჩამოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი, მეორე კომპონენტია სახელი, რომელსაც არა აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი.

ჩაყუდებიან (ჩავლის დროს) იქ ჩეარო (ისკები); რამაზანი(ს) დადგომიან ლივერ ისრიან (იბრაქი); ჩვენ დიდენემა **გაზარდებიან** ქართული არ გველაპარაკებოდა (ისკები).

ხან გვხვდება განყენებულ სახელთან: ჩემ **დრობიან** (<დროებიან) არ იყო კითხვა (ქართლა).

კომპოზიტის პირველ ნაწილს აკლია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს: **ძუძუნაჭამი** ღარჭობაში არ მეიყვანება (დევესქელე); ტააბიბიშვილი იქნება, იქნება, **ძუძუნაჭამი** არ იქნება (ადაგული).

რაოდენობით რიცხვითს ახლავს სახელი **პირი** ფუძის სახით. კირნათ-მარადიდში დაცულია წესი: **ერთ** და **პირ** ფუძეთა შემცველი კომპოზიტის მნიშვნელობაა ერთდროულად, ერთად: ორ გოდორ ერთპირ აკეთეფ-თუ? (მარადიდი); რამითი აბავ, გო, **ერთპირ**, ოძდაოთხი ძაფი? (კირნათი).

ერთი და სხვა რიცხვითი სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმისა და **პირ** ფუძის შემცველი კომპოზიტები მიუთითებს მოქმედების ჯერობაზე, აღნიშნავს, რამდენჯერ ხდება მოქმედება:

ერთპირ ვნახე მაგა, ჰამა ვერ მიცნო (კირნათი); **ხუთპირ** ვუთხარ იმა, ჰამა ყურში არ შუუშვა (კირნათი); შვილსავეფ მყავდენ ამოზდილი, ჰამა **ერთპირაც** არ მოსულა (კირნათი); არ იჭმება, არა **ერთპირ** რომ გეტყვიან, დეაჯერე ისი (მარადიდი).

კლარჯულში ეს წესი ნაწილობრივ არის დაცული: რიცხვითი სახელისა და **პირ** ფუძეების შემცველი კომპოზიტები უმეტესად მოქმედების ჯერობას აღნიშნავენ:

ამის ბაბოა **ორპირ** დაქორწილებულა (ისკები); **შვიდპირ** ამელია ვარ, გამჭრეს (ჯივანი); **ორპირ** გავმარგლავთ (ჩვენებ. 304). ზოგჯერ **ორპირ** იჯებიან გათოხნას, ჩუენ ერთპირ ვიქთ (ჩვენებ. 304, ბუჯური). შდრ.: **ექსაპირ** ეს'ნა ჩეიკითხო, მეშვიდეზე ეს'ნა თქვა (ჯივანი).

ერთცნებიანი კომპოზიტები. კლარჯულსა და, საერთოდ, ჩვენებურთა მეტყველებაში, მ. ცინცაძის დაკვირვებით, ქართული

ენის სხვა დიალექტებთან შედარებით ფართოდ არის გავრცელებული **ასონანსური კომპოზიტები**. ასეთ კომპოზიტებში შედარებით მეტია ისეთები, რომლებშიც შეცვლილია პირველი ნაწილის პირველი მარცვლის თანხმონი.

ახლა **შაკიკი-მაკიკი** არ იციან (ერენქოი); **დელე-მელე** აქ არაა (ერენქოი); ხარები-მარები ყავან (ბუჯური); **პენსია-მენსია** ქალ დარჩება (მურლული); ამოვთუშავთ თენჯერში, მემრე **ხახვი-მახვი**, თელი ვურთავთ (იბრაქი); ღარჭი ქი მოკდება, **ტანი-მანი** დაბანებენ (იბრაქი); ჭიაო, ჭიაო, ჭახევ-მახევ (შელოცვიდან. ადაგული). **სიმღერა-მიმღერა** არ მიმღერია (ქართლა); კვამლმა **ხეები-მეები** დანვა (ისკები); ბურსას **ქალები-მალები** ხარებიან (ქართლა); იქ **გოგვები-მოგვები** არიან (ერენქოი). ბათუმი-მათუმი, თელი მუუვლიან (ერენქოი).

შეცვლილია პირველი კომპონენტის პირველი მარცვალი: ორი თანხმონის ნაცვლად გვაქვს ერთი, სხვა თანხმონი: **ქვაბიკარი-მაბიკარი**, რაცხაები ვიცი (ისკები). შეცვლილია ერთმარცვლიანი ფუძეების ხმონი: კაცები არ სმიან, ზოგი **ყლოპ-ყლუპ** (გურბინი).

ეს მოვლენა თურქულ სიტყვებშიც გვხვდება: ჩვენი **ტაფე-ბი-მაფე** ყოფილან გურჯისტანში (გურბინი); **ხოჯამა-მოჯამა** ყურანს უკითხავს (იბრაქი); უწინდელ დროს **ყაბი-მაბი** არ იყო (ქართლა); **დილ-მილ** არ მუუთლიდენ (ჯივანი). ზამთარში აქ ვინმე ვერ დეინახ, **თექ-თუქ** სახლი დარჩება (ერენქოი) (ცინცაძე, 2014: 22).

ზმნური კომპოზიტია: ემიჯის გოგო გააქციეს, ჰამა ჰუქუმეთმა **აართვეს-მართვეს**, ეძებენ (ისკები).

მეორე კომპონენტის პირველ მარცვალს ემატება თავკიდური თანხმონი: **ბათუმი-მათუმი**, **არხვანი-მარხვანი**, თელი მუუვლიან (ერენქოი); ფეხ დაცდი **აჯი-ბაჯიობით** არ წამომადგა, იმ წელწად, თუ ცოტა ახვევლი ხარ... (ადაგული). მოსაუბრე გულისხმობს ახალი წლის მეკვლის „ფეხს“.

ორცნებიანი კომპოზიტები: ჩემი **გოგო-ბიჭი** მამამისის აკვანში დავანვინე (ჯივანი); ბიჭი-გოგო წავლენ, გოგო მემრე **ნენე-ბაბოსთან** წავა (ისკები); ლემს ვიკეთებ **ახშამ-დილას** (ერენქოი); ილა-

ჯებ ვსვამ ახშამ-საბაჰ (მურლული) (ცინცაძე, 2014:22).

ამრიგად, ლინგვისტიკისთვის ფრიად საყურადღებოა კლარჯული კილოს ფონემატური სტრუქტურა, ფონეტიკური მოვლენები, სახელისა და ზმნის გრამატიკული კატეგორიები. კერძოდ, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, ზმნის II კავშირებითი ნე-ვდოს/ ნევდონ ტიპის ფორმები, გეიზდა, გეიშლა ტიპის ზმნები, ენ სუფიქსის უნიფიკაცია, ევ//ემ თემის ნიშნიანი ზმნების პოვნიერება ანმყოსა და მყოფადში (ზიდევს); ავ თემის ნიშანი ამ-ის ნაცვლად (მიართავს, ურტყავს, შესვავს, დგავს); ნიშანდობლივია ავ თემის ნიშნის გაბატონება შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც კი (ატეხიავს). საინტერესოა მიმღეობის წარმოება (დასახლული, დაჭირული, შენუხვილი...); სიტყვანარმოებითი მოდელები და ჭარბი ერგატიულობა: კაცმა მოდის, კაცმა მოვა, კაცმა მოსულა.

კლარჯულმა შემოგვინახა არქაული ვითარება. არქაიზმებია: მაქვანან, მაქვან, მაქვა ტიპის ფორმები; ბ) ზმნები, რომლებშიც ან/ენ სუფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმაზეა დართული: გურჯი მიძახიან; რძალი მყავან.

კლარჯულის ზოგი თავისებურება ვერ იხსნება ძველ ქართულთან მიმართებით: აღარ ენევა ანგარიში სახელის რიცხვს: მე ხოჯა მყავან, მაჭახლეღი.

ზოგი მაგალითი ვინ მათამაშებდენ; ფეხებზე შემცივდენ და ა.შ. აზრობრივი შეთანხმების ნიმუშია. ეს ტენდენცია შესაძლებელია ავხსნათ ცოცხალი მეტყველების, ენის შინაგანი განვითარებით. ის ენის სისტემურობის დასტურია. რატომ შემოგვინახა ეს მოვლენები კონკრეტულად აქ და არ ვლინდება სხვაგან, ესეც საგანგებო კვლევის საგანია.

§6. ბრუნების ძირითადი პარადიგმები კლარჯულში

წარმოვადგენთ სახელის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების ძირითად პარადიგმებს კლარჯულში.

პარადიგმების შედგენისას გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნი-

ერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივ-მოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ კლარჯთა სოფლებში შეკრებილი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალები, რომელთაც სხვადასხვა დროს აგროვებდნენ პროფესორები: მერი ცინცაძე, მამია ფალავა, თინა შიოშვილი, ასოც. პროფესორი მათა ბარამიძე, ფილოლოგიის დოქტორი ვარდო ჩოხარაძე. ასევე გავითვალისწინეთ ნიკო მარისა და პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩანერილი დიალექტოლოგიური ტექსტები და კლარჯული კილოს შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები.

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელები

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	(მ) გელ-ი	(მ) გელ-ებ-ი
მოთხ.	(მ) გელ-მა	(მ)გელ-ებ-მა
მიც.	(მ) გელ (ს)	(მ)გელ-ებ (ს)
ნათ.	(მ) გელ-ის// (მ) გლ-ის	(მ)გელ-ებ-ის
მოქმ.	(მ) გელ-ით// (მ) გლ-ით	(მ)გელ-ებ-ით
ვით.	(მ) გელ-ათ// (მ) გლ-ათ	(მ)გელ-ებ-ათ
წოდ.	(მ) გელ-ო	(მ)გელ-ებ-ო

მხ.რ		მრ.რ.
სახ.	სოფელ-ი	სოფელ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მა	სოფელ-ებ-მა
მიც.	სოფელ-(ს)	სოფელ-ებ(ს)
ნათ.	სოფელ-ის// სოფლის	სოფელ-ებ-ის
მოქმ.	სოფელ-ით// სოფლით	სოფელ-ებ-ით
ვით.	სოფელ-ათ	სოფელ-ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფელ-ებ-ო

სახ.	ყურძენ-ი
მოთხ.	ყურძენ-მა
მიც.	ყურძენ-ს
ნათ.	ყურძენ-ის

მოქმ. ყურძენ-ით
 ვით. ყურძენ-ათ
 წოდ. ყურძენ-ო

ფუძეუკუმშველი სახელების ბრუნება

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ლექს-ი	ლექს-ები
მოთხ.	ლექს-მა	ლექს-ებ-მა
მიც.	ლექს- (ს)	ლექს-ებ- (ს)
ნათ.	ლექს-ი(ს)	ლექს-ებ (ის)
მოქმ.	ლექს-ით	ლექს-ებ-ით
ვით.	ლექს-ათ	ლექს-ებ-ათ
წოდ.	ლექს-ო	ლექს-ებ-ო

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	თა	თე-ები
მოთხ.	თა-მ	თე-ებ-მა
მიც.	თა-ს	თე-ებ-ს
ნათ.	თ-ის (ა)	თე-ებ-ის
მოქმ.	თ-ით	თე-ებ-ით (ა)
ვით.	თა-თ	თე-ებ-ად (ა)
წოდ.	თა-ვ(//ო)	თე-ებ-ო

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	დღე- ე	დღი-ები
მოთხ.	დღე-მ	დღი-ებ-მა
მიც.	დღე- ს	დღი-ებ-ს
ნათ.	დღე-ჟს	დღი-ებ-ის
მოქმ.	დღე-ჟთ	დღი-ებ-ით
ვით.	დღე -თ	დღი-ებ-ათ
წოდ.	დღე -ო/ვ	დღი-ებ-ო

მხ.რ		მრ.რ.
სახ.	მამა-ე	მამი-ები
მოთხ.	მამა-მ	მამი-ებ-მა
მიც.	მამა-ს	მამი-ებ-ს
ნათ.	მამ-ის	მამი-ებ-ის
მოქმ.	მამ-ით	მამი-ებ-ით
ვით.	მამა-თ	მამი-ებ-ათ
წოდ.	მამა-ვ	მამი-ებ-ო

უკვეცელი სახელების ბრუნება

მხ.რ		მრ. რ
სახ.	ნალიაჲ	ნალი-ები
მოთხ.	ნალია-მ	ნალი-ებ-მა
მიც.	ნალია-ს	ნალი-ებ-ს
ნათ.	ნალია-ჟს	ნალი-ებ-ის
მოქმ.	ნალია-ჟთ	ნალი-ებ-ით
ვით.	ნალია-თ	ნალი-ებ-ათ
წოდ.	ნალია-ვ	ნალი-ებ-ო

კლარჯულში არსებითი სახელი **ღვინო** უკვეცელია

მხ. რ.	
სახ.	ღვინო
მოთხ.	ღვინო-მ
მიც.	ღვინო-ს
ნათ.	ღვინო-ჟს
მოქმ.	ღვინო-ჟთ
ვით.	ღვინო-თ
წოდ.	ღვინო-ვ

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	კალო	კალო-ები
მოთხ.	კალო-მ	კალო-ებ-მა
მიც.	კალო-ს	კალო-ებ-ს

ნათ. კალო-ჲს კალო-ებ-ის
 მოქმ. კალო-ჲთ კალო-ებ-ათ
 ვით. კალო-თ კალო-ებ-ათ
 წოდ. კალო-ვ კალო-ებ-ო

მხ. რ. **მრ. რ.**
 სახ. ბუ //ჲ ბუ-ებ-ი
 მოთხ. ბუ-მ ბუ-ებ-მა
 მიც. ბუ-ს ბუ-ებ (ს)
 ნათ. ბუ-ჲს ბუ-ებ-ის
 მოქმ. ბუ-ჲთ ბუ-ებ-ით
 ვით. ბუ-თ ბუ-ებ-ათ
 წოდ. ბუ-ვ ბუ-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნება

მხ. რ. **მრ. რ.**
 სახ. ქვეყანა ქვეყნ-ებ-ი
 მოთხ. ქვეყანა-მ ქვეყნ-ებ-მა
 მიც. ქვეყანა-ს ქვეყნ-ებ-ს
 ნათ. ქვეყნ-ის ქვეყნ-ებ-ის
 მოქმ. ქვეყნ-ით ქვეყნ-ებ-ით
 ვით. ქვეყნ-ათ ქვეყნ-ებ-ათ
 წოდ. ქვეყანა-ვ ქვეყნ-ებ-ო

საკუთარი სახელების ბრუნება

სახ. მემედაჲ კახაბერი
 მოთხ. მემედა-მ//მა კახაბერ-მა
 მიც. მემედა-ს კახაბერ-ს
 ნათ. მემედა-ჲს//სი კახაბერ-ის
 მოქმ. მემედა-ჲთ კახაბერ-ით
 ვით. მემედა-თ კახაბერ-ათ
 წოდ. მემედა-ვ კახაბერ-ო

ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელების ბრუნება

სახ. ბორჩხა
 მოთხ. ბორჩხა-მ
 მიც. ბორჩხა-ს
 ნათ. ბორჩხა-ჲს
 მოქმ. ბორჩხა-ჲთ
 ვით. ბორჩხა-თ(ი)
 წოდ. ბორჩხა-ვ

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მხ.რ **მრ.რ.**
 სახ. კაჲ ქალ-ი კაჲ ქალე-ბ-ი
 მოთხ. კაჲ ქალ-მა კაჲ ქალე-ბ-მა
 მიც. კაჲ ქალ-ს (ა) კაჲ ქალე-ბ-ს (ა)
 ნათ. კაჲ ქალ-ის კაჲ ქალე-ბ-ის
 მოქმ. კაჲ ქალ-ით კაჲ ქალე-ბ-ით
 ვით. კაჲ ქალ-ად კაჲ ქალე-ბ-ათ
 წოდ. კაჲ ქალ-ო კაჲ ქალე-ბ-ო

მხ.რ **მრ.რ.**
 სახ. ჩემ-ი შვილ-ი ჩემ-ი შვილ-ე-ბ-ი
 მოთხ. ჩემ \emptyset შვილ-მა ჩემ \emptyset შვილ-ე-ბ-მა
 მიც. ჩემ \emptyset შვილ (ს) ჩემ \emptyset შვილ-ე-ბ (ს)
 ნათ. ჩემ \emptyset შვილ-ის ჩემ \emptyset შვილ-ე-ბ-ის
 მოქმ. ჩემ \emptyset შვილ-ით ჩემ \emptyset შვილ-ე-ბ-ით
 ვით. ჩემ \emptyset შვილ-ათ ჩემ \emptyset შვილ-ე-ბ-ათ
 წოდ. ჩემ-ო შვილ-ო ჩემ-ო შვილ-ე-ბ-ო

მხ.რ **მრ.რ.**
 სახ. კაჲ ქვა-ჲ კაჲ ქვ-ე-ბ-ი
 მოთხ. კაჲ ქვა-მ კაჲ ქვ-ე-ბ-მა
 მიც. კაჲ ქვა-ს კაჲ ქვ-ე-ბ-ს

ნათ.	კაჲ ქვაჲ-ს	კაჲ ქვ-ებ-ის
მოქმ.	კაჲ ქვაჲ-თ	კაჲ ქვ-ებ-ით
ვით.	კაჲ ქვა-თ	კაჲ ქვ-ებ-ათ
წოდ.	კაჲ ქვაჲ-ვ	კაჲ ქვ-ებ-ო

მხ.რ

სახ. ჩემ-ი ძმა-ჲ
 მოთხ. ჩემ \emptyset ძმა-მ
 მიც. ჩემ \emptyset ძმა-ს
 ნათ. ჩემ \emptyset ძმ-ის
 მოქმ. ჩემ \emptyset ძმ-ით
 ვით. ჩემ \emptyset ძმა-დ-ა
 წოდ. ჩემ-ო ძმა-ო

მრ.რ.

ჩემ-ი ძმებ-ი
 ჩემ \emptyset ძმებ-მა
 ჩემ \emptyset ძმებ-ს
 ჩემ \emptyset ძმებ-ის
 ჩემ \emptyset ძმებ-ით
 ჩემ \emptyset ძმებ-ათ
 ჩემ-ო ძმებ-ო

სახ. ერთი დაჲ
 მოთხ. ერთჲ და -მ
 მიც. ერთჲ და -ს
 ნათ. ერთ-ი დას(ი)
 მოქმ. ერთ-ი და -თი
 ვით. ერთ-ი და -თ
 წოდ. ერთ-ო და-ო/ვ

სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მხ.რ

სახ. ხეს სახლ-ი
 მოთხ. ხეს სახლ-მა
 მიც. ხეს სახლ-ს
 ნათ. ხეს სახლ-ის
 მოქმ. ხეს სახლ-ით
 ვით. ხეს სახლ-ათ
 წოდ. ხეს სახლ-ო

მრ.რ.

ხეს სახლებ-ი
 ხეს სახლებ-მა
 ხეს სახლებ -(ს)
 ხეს სახლებ-ი (ს)
 ხეს სახლებ-ით
 ხეს სახლებ-ათ
 ხეს სახლებ -ო

მხ.რ

სახ. მიწი ხაპ-ი
 მოთხ. მიწი ხაპ-მა
 მიც. მიწი ხაპ-(ს)
 ნათ. მიწი ხაპ- ი (ს)
 მოქმ. მიწი ხაპ-ით
 ვით. მიწი ხაპ-ათ
 წოდ. მიწი ხაპ-ო

მრ.რ.

მიწი ხაპებ-ი
 მიწი ხაპებ-მა
 მიწი ხაპებ-ს
 მიწი ხაპებ-ის
 მიწი ხაპებ-ით
 მიწი ხაპებ-ათ
 მიწი ხაპებ-ო

§7. უღლების ძირითადი პარადიგმები კლარჯულში

I სერია

1. აწმყო - რას ვაქნავ?
2. უწყვეტელი - რას ვიქნევდი?
3. აწმყოს კავშირებითი - რას ვიქნევდე?
4. მყოფადი - რას ვიქავ?
5. ხოლმეობით-შედევობითი - რას ვიქავდი?
6. მყოფადის კავშირებითი - რას ვიქავდე?

II სერია

7. წყვეტილი - რა ვქენ?
8. II კავშირებითი - რა ვქნა?

III სერია

9. I თურმეობითი - რა მიქნია?
 10. II თურმეობითი - რა მექნა?
 11. III კავშირებითი - რა მექნას?
- პარადიგმებში ასახულია პარალელური ფორმებიც. ისინი სპო-რადულად, მაგრამ მაინც გვხვდება.

ერთთემიანი ზმნების უღლება

I სერია

აწმყო

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვწერავ	ვწერავთ
II. წერავ	წერავთ
III. წერავს	წერვენ

უწყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვწერევი//ვწერავდი//ვწერვიდი	ვწერევიდით//ვწერავდით//ვწერვიდით
II. წერევი //წერავდი//წერვიდი	წერევიდით//წერავდით// წერვიდით
III.წერევიდა/ წერვიდა//წერავდა	წერევიდენ/ წერავდენ// წერვიდენ

აწმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვწერავდე//ვწერევიდე//ვწერვიდე	ვწერავდეთ//ვწერევიდეთ//ვწერვიდეთ
II. წერავდე //წერევიდე//წერვიდე	წერავდეთ//წერევიდეთ//წერვიდეთ
III.წერავდეს//წერევიდეს//წერვიდეს	წერავდენ//წერევიდენ//წერვიდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავწერავ	დავწერავთ
II. დაწერავ	დაწერავთ
III. დაწერავს	დაწერვენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.
I. დავწერავდი/დავწერევიდი/დავწერვიდი

მრ.რ. დავწერავდით/დავწერევიდით// დავწერვიდით/

II. დაწერავდი //დაწერევიდი//დაწერვიდი
დაწერავდით//დაწერევიდით// დაწერვიდით
III. დაწერავდა//დაწერევიდა//დაწერვიდა
დაწერავდენ// დაწერევიდენ// დაწერვიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავწერავდე/დავწერევიდე/დავწერვიდე	დავწერავდეთ/დავწერევიდეთ/დავწერვიდეთ
II. დაწერავდე/დაწერევიდე/დაწერვიდე	დაწერავდეთ/დაწერევიდეთ/დაწერვიდეთ
III. დაწერავდეს/დაწერევიდეს/დაწერვიდეს	დაწერავდენ/დაწერევიდენ/დაწერვიდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავწერევი	დავწერევიტ
II. დაწერევი	დაწერევიტ
III. დაწერა	დაწერენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავწერო	დავწეროტ
II. დაწერო	დაწეროტ
III. დაწეროს	დაწერონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დიმიწერია//დემიწერია	დიგვიწერია/დიმიწერია/დეგვიწერია
II. დიგვიწერია //დეგვიწერია	დიგვიწერიან/დეგვიწერიან

III. დუუნერია	დუუნერიან
II თურმეობითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. დემენერა	დეგვენერეს//დემენერეს
II. დეგენერა	დეგენერეს/ნ
III. დეენერა	დეენერენ
III კავშირებითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. დემენეროს	დეგვენეროს/დემენეროს
II. დეგენეროს	დეგენერონ
III. დეენეროს	დეენერონ

I სერია

ანმყო	
მხ. რ.	მრ.რ.
I. ვჭამავ	ვჭამავთ
II. ჭამავ	ჭამავთ
III. ჭამავს	ჭამვენ
უნყვეტილი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. ვჭამავდი	ვჭამავდით
II. ჭამავდი	ჭამავდით
III. ჭამავდა	ჭამავდენ

ანმყოს კავშირებითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. ვჭამავდე	ვჭამავდეთ
II. ჭამავდე	ჭამავდეთ
III. ჭამავდეს	ჭამავდენ

მყოფადი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შევჭამავ	შევჭამავთ
II. შეჭამავ	შეჭამავთ
III. შეჭამავს	შეჭამვენ

ხოლმეობით- შედეგობითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შევჭამავდი	შევჭამავდით
II. შეჭამავდი	შეჭამავდით
III. შეჭამავდა	შეჭამავდენ

მყოფადის კავშირებითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შევჭამავდე	შევჭამავდეთ
II. შეჭამავდე	შეჭამავდეთ
III. შეჭამავდა	შეჭამავდენ

II სერია

წყვეტილი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შევჭამევი	შევჭამევით
II. შეჭამევი	შეჭამევით
II. შეჭამა	შეჭამენ/შეჭამეს

II კავშირებითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შევჭამო	შევჭამოთ
II. შეჭამო	შეჭამოთ
III. შეჭამოს	შეჭამონ

III სერია

I თურმეობითი	
მხ. რ.	მრ.რ.
I. შიმიჭმია	შიმიჭმიან// შიგვიჭმიან

II. შიგთქმია შიგთქმიან
 III. შუუქმია შუუქმიან

II თურმეობითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. შემეჭამა შემეჭამენ//შეგვეჭამენ
 II. შეგეჭამა შეგეჭამენ//შეგეჭამეს
 III. შეეჭამა შეეჭამენ//შეეჭამეს

III კავშირებითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. შემეჭამოს შემეჭამოს// შეგვეჭამოს
 II. შეგეჭამოს შეგეჭამონ
 III. შეეჭამოს შეეჭამონ

I სერია -ი თემის ნიშნიანი (ყიდავს)

ანმყო

მხ. რ. მრ.რ.
 I. ვყიდავ ვყიდავთ
 II. ყიდავ ყიდავს
 III. ყიდავს ყიდავენ

უნყვეტილი

მხ. რ. მრ.რ.
 I. ვყიდავდი/ ვყიდებდი ვყიდავდით/ვყიდებდით
 II. ყიდავდი /ყიდებდი ყიდავდით/ვყიდებდით
 III. ყიდავდა /ყიდებდა ყიდავდენ/ყიდებდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. ვყიდავდე ვყიდავდეთ/ვყიდებდეთ
 II. ყიდავდე ყიდავდეთ/ვყიდებდეთ
 III. ყიდავდეს ყიდავდენ/ყიდებდენ

მყოფადი

მხ. რ. მრ.რ.
 I. გავყიდავ გავყიდავთ
 II. გაყიდავ გაყიდავთ
 III. გაყიდავს გაყიდავდენ

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. გავყიდავდი გავყიდავდით
 II. გაყიდავდი გაყიდავდით
 III. გაყიდავდა გაყიდავდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. გავყიდავდე გავყიდავდეთ
 II. გაყიდავდე გაყიდავდეთ
 III. გაყიდავდეს გაყიდავდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ. მრ.რ.
 I. გავყიდევი გავყიდევით
 II. გაყიდევი გაყიდევით
 III. გაყიდა გაყიდეს

II კავშირებითი

მხ. რ. მრ.რ.
 I. გაყიდო გაყიდოთ
 II. გაყიდო გაყიდოთ
 III. გაყიდოს გაყიდონ

I თურმეობითი მხ. რ.

I. გიმიყიდა
 II. გიგიყიდა
 III. გუყიდა

III სერია

მრ.რ.

გიმიყიდან//გიგიყიდა
 გიგიყიდან
 გუყიდან

II თურმეობითი მხ. რ.

I. გემეყიდა
 II. გეგეყიდა
 III. გეყიდა//გიეყიდა

მრ.რ.

გემეყიდენ//გეგეყიდა
 გეგეყიდენ//ს
 გეეყიდენ//გიეყიდენ

III კავშირებითი მხ. რ.

I. გემეყიდოს
 II. გეგეყიდოს
 III. გეეყიდოს//გიეყიდოს

მრ.რ.

გემეყიდოს// გეგეყიდოს
 გეგეყიდონ//ს
 გეეყიდონ//გიეყიდონ

ანმყო მხ. რ.

I. ვხნავ
 II. ხნავ
 III. ხნავს

I სერია

მრ.რ.

ვხნავთ
 ხნავთ
 ხნვენ

უნყვეტილი მხ. რ.

I. ვხნევდი
 II. ხნევდი
 III. ხნევდა

მრ.რ.

ვხნევდით
 ხნევდით
 ხნევდენ

ანმყო კავშირებითი მხ. რ.

I. ვხნევდე

მრ.რ.

ვხნევდეთ

II. ხნევდე
 III. ხნევდეს

ხნევდეთ
 ხნევდენ

მყოფადი მხ. რ.

I. დავხნავ
 II. დახნავ
 III. დახნავს

მრ.რ.

დავხნავთ
 დახნავთ
 დახნვენ

ხოლმეობით-შედგობითი მხ. რ.

I. დავხნევდი//დავხნებდი
 II. დახნევდი
 III. დახნევდის

მრ.რ.

დავხნევდით
 დახნევდით
 დახნევდენ

მყოფადის კავშირებითი მხ. რ.

I. დავხნევდე
 II. დახნევდე
 III. დახნევდეს

მრ.რ.

დავხნევდეთ
 დახნევდეთ
 დახნევდენ

წყვეტილი მხ. რ.

I. დავხან
 II. დახან
 III. დახნა

II სერია

მრ.რ.

დავხანთ
 დახანთ
 დახნეს

II კავშირებითი მხ. რ.

I. დავხნა
 II. დახნა
 III. დახნას

მრ.რ.

დავხნათ
 დახნათ
 დახნან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.

- I. დიმიხნია
- II. დიგიხნია
- III. დუუხნია

მრ.რ.

- დიმიხნიან// დიგიხნიან
- დიგიხნიან
- დუუხნიან

II თურმეობითი

მხ. რ.

- I. დემეხნა
- II. დეგეხნა
- III. დეეხნას

მრ.რ.

- დემეხნა/ დეგეხნა
- დეგეხნენ
- დეეხნეს

III კავშირებითი

მხ. რ.

- I. დემეხნას
- II. დეგეხნას
- III. დეეხნას

მრ.რ.

- დემეხნეს// დეგეხნას
- დეგეხნას
- დეეხნას

I სერია

ანმყო

მხ. რ.

- I. ვზიდავ//ეფ
- II. ზიდავ//ეფ
- III. ზიდავს//ეფს

მრ.რ.

- ვზიდავთ//ეფ
- ზიდავთ//ეფ
- ზიდვენ//ეფენ

უნყვეტელი

მხ. რ.

- I. ვზიდავდი
- II. ზიდებ //ფდი
- III. ზიდებ//ეფ და

მრ.რ.

- ვზიდებ//ეფ-დით
- ზიდებ//ეფ-დით
- ზიდებ//ეფ-დენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.

- I. ვზიდებ //ფდე

მრ.რ.

- ვზიდებ//ფდეთ

- II. ზიდებ //ფდე
- III. ზიდებ //ფდეს

- ზიდებ//ფდეთ
- ზიდებ//ფდენ

მყოფადი

მხ. რ.

- I. ავზიდებ//ფ
- II. აზიდებ//ფ
- III. აზიდებ//ფ-ს

მრ.რ.

- ავზიდებ//ფ-თ
- აზიდებ//ფ-თ
- აზიდებ//ფ-ენ

ხოლმეობით-შედგობითი

მხ. რ.

- I. ავზიდეფდი
- II. აზიდეფდი
- III. აზიდეფდა

მრ.რ.

- ავზიდეფდით
- აზიდეფდით
- აზიდეფდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.

- I. ავზიდეფდე
- II. აზიდეფდე
- III. აზიდეფდეს

მრ.რ.

- ავზიდეფდეთ
- აზიდეფდეთ
- აზიდეფდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.

- I. ავზიდევი
- II. აზიდევი
- III. აზიდა

მრ.რ.

- ავზიდევით
- აზიდევით
- აზიდენ

II კავშირებითი

მხ. რ.

- I. ავზიდო
- II. აზიდო
- III. აზიდოს

მრ.რ.

- ავზიდოთ
- აზიდოთ
- აზიდონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. იმიზიდია	იგვიზიდია
II. იგიზიდია	იგიზიდიან
III. უუზიდია	უუზიდიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ემეზიდია	ეგვეზიდია
II. ეგეზიდია	ეგეზიდენ
III. ეეზიდია	ეეზიდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ემეზიდოს	ეგვეზიდოს
II. ეგეზიდოს	ეგეზიდონ
III. ეეზიდოს	ეეზიდონ

ანწყო

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვუკრი	ვუკრით
II. უკრი	უკრით
III. უკრის	უკრიან

უნწყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვუკრიდი	ვუკრიდით
II. უკრიდი	უკრიდით
III. უკრიდა	უკრიდენ

ანწყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვუკრიდე	ვუკრიდეთ

II. უკრიდე	უკრიდეთ
III. უკრიდეს	უკრიდენ

წყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დუუკარ	დუუკართ
II. დუუკარ	დუუკართ
III. დუუკრა	დუუკრეს

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დუუკრა	დუუკრათ
II. დუუკრა	დუუკრათ
III. დუუკრას	დუუკრან

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დიმიკრია	დიგვიკრია/დიმიკრია
II. დიგიკრია	დიგიკრიან
III. დუუკრია	დუუკრიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დემეკრა	დეგვეკრა/დემეკრა
II. დეგვეკრა	დეგვეკრეს
III. დეეკრას	დეეკრან

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დემეკრას	დეგვეკრა/დემეკრას
II. დეგვეკრას	დეგვეკრენ//ს
III. დეეკრას	დეეკრან

ანმყო

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვასხამ//ავ	ვასხამთ
II.ასხამ	ასხამთ
III. ასხამს	ასხმენ

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვასხემდი	ვასხემდით
II. ასხემდი	ასხემდით
III. ასხმიდა	ასხმიდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვასხმიდე	ვასხმიდეთ
II. ასხმიდე	ასხმიდეთ
III. ასხმიდეს	ასხმიდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავასხამ	დავასხამთ
II.დაასხამ	დაასხამთ
III. დაასხამს	დაასხმენ

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავასხმიდი	დავასხმიდით
II.დაასხმიდი	დაასხმიდით
III.დაასხმიდა	დაასხმიდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავასხმიდე	დავასხმიდეთ
II.დაასხმიდე	დაასხმიდეთ
III.დაასხმიდეს	დაასხმიდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავასხი	დავასხით
II.დაასხი	დაასხით
III.დაასხა	დაასხეს//ენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დავასხა	დავასხათ
II. დაასხა	დაასხათ
III.დაასხას	დაასხან

II სერია**I თურმეობითი**

მხ. რ.	მრ.რ.
I. დიგისხმია	დიგისხმია/დიგისხმია
II. დიგისხმა	დიგისხმან
III.დუუსხმია	დუუსხმან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დემესხა	დემესხა/დემესხა
II. დეგესხა	დეგესხენ
III. დეესხას	დეესხენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. დემესხას	დემესხას/დემესხას
II. დეგესხას	დეგესხან
III. დეესხას	დეესხან

I სერია

ანმყო

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვაკეთავ	ვაკეთავთ
II. აკეთავ	აკეთავთ
III. აკეთავს	აკეთავენ

უნყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვაკეთავდი	ვაკეთავდით
II. აკეთავდი	აკეთავდით
III. აკეთავდა	აკეთავდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვაკეთავდე	ვაკეთავდეთ
II. აკეთავდე	აკეთავდეთ
III. აკეთავდეს	აკეთავდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გავაკეთავ	გავაკეთავთ
II. გააკეთავ	გააკეთავთ
III. გააკეთავს	გააკეთავენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გავაკეთავდი	გავაკეთავდით
II. გააკეთავდი	გააკეთავდით
III. გააკეთავდა	გააკეთავდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გავაკეთავდე	გავაკეთავდეთ

II. გააკეთავდე	გააკეთავდეთ
III. გააკეთავდეს	გააკეთავდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გავაკეთევი	გავაკეთევით
I. გააკეთევი	გააკეთევით
II. გააკეთა	გააკეთეს

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გავაკეთო	გავაკეთოთ
II. გააკეთო	გააკეთოთ
III. გააკეთოს	გააკეთონ

III სერია-

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გიმიკეთებია	გიმიკეთებთან// გიგვიკეთებია
II. გიგვიკეთებია	გიგვიკეთებთან
II. გუუკეთებია	გუუკეთებთან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I გემეკეთა	გემეკეთეს// გეგვეკეთეს
II. გეგვეკეთა	გეგვეკეთენ
III გეეკეთა	გეეკეთენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გემეკეთოს	გემეკეთოს// გეგვეკეთოს
II. გეგვეკეთოს	გეგვეკეთონ
III. გეეკეთოს	გეეკეთონ

I სერია სტატიკური ზმნა

აწმყო

მხ. რ.

I. მაცვია

II. გაცვია

III. აცვია

მრ.რ.

მაცვიან//გვაცვია

გაცვიან

აცვიან

უწყვეტელი

მხ. რ.

I. მაცვიოდა

II. გაცვიოდა

III. აცვიოდა

მრ.რ.

მაცვიოდენ/ გვაცვიოდენ

გაცვიოდენ

აცვიოდენ

აწმყოს კავშირებითი

მხ. რ.

I. მაცვიოდეს

II. გაცვიოდეს

III. აცვიოდეს

მრ.რ.

მაცვიოდეს/ გვაცვიოდეს

გაცვიოდენ

აცვიოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.

I. მეცვა

II. გეცვა

III. ეცვა

მრ.რ.

მეცვა/ გვეცვა

გეცვა

ეცვა

II კავშირებითი

მხ. რ.

I. მეცვას

II. გეცვას

III. ეცვას

მრ.რ.

მეცვას/ გვეცვას

გეცვან

ეცვან

I თურმეობითი

მხ. რ.

I. მცმია

მრ.რ.

მცმიან/ გვცმია

II. გცმია

III. სცმია

გცმიან

სცმიან

II თურმეობითი

მხ. რ.

I. მცმოდა

II. გცმოდა

III. სცმოდა

მრ.რ.

მცმოდა/ გვცმოდა

გცმოდენ

სცმოდენ

III კავშირებითი

მხ. რ.

I. მცმოდეს

II. გცმოდეს

III. სცმოდეს

მრ.რ.

მცმოდეს/ გვცმოდეს

გცმოდენ

სცმოდენ

I სერია

აწმყო

მხ. რ.

I. ვდგები

II. დგები

III. დგება

მრ.რ.

ვდგებით

დგებით

დგებიან

უწყვეტელი

მხ. რ.

I. ვდგებოდი

II. დგებოდი

III. დგებოდა

მრ.რ.

ვდგებოდით

დგებოდით

დგებოდენ

აწმყოს კავშირებითი

მხ. რ.

I. ვდგებოდე

II. დგებოდე

III. დგებოდეს

მრ.რ.

ვდგებოდეთ

დგებოდეთ

დგებოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავდგები	ავდგებით
II. ადგები	ადგებით
III. ადგება	ადგებიან

ხოლმეობით-შედგობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავდგებოდი	ავდგებოდით
II. ადგებოდი	ადგებოდით
III. ადგებოდა	ადგებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავდგებოდე	ავდგებოდეთ
II. ადგებოდე	ადგებოდეთ
III. ადგებოდეს	ადგებოდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავდექ	ავდექით
II. ადექ	ადექით
III. ადგა	ადგენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავდგე	ავდგეთ
II. ადგე	ადგეთ
III. ადგეს	ადგენ

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავმდგარვარ	ავმდგარვართ

II. ამდგარხარ	ამდგარხართ
III. ამდგარა	ამდგარან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავმდგარიყავ	ავმდგარიყავით
II. ამდგარიყავ	ამდგარიყავით
II. ამდგარიყო	ამდგარიყვენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ავმდგარიყო	ავმდგარიყოთ
II. ამდგარიყო	ამდგარიყოთ
II. ამდგარიყოს	ამდგარიყონ

I სერია**ანმყო**

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქვია	მქვიან/ქვქვიან
II. ქქვია	ქქვიან
III. ქვია	ქვიან

უნწყვეტელი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქვიოდა	მქვიოდა/ქვქვიოდა
II. ქქვიოდა	ქქვიოდენ
III. ქვიოდა	ქვიოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქვიოდეს	მქვიოდეს/ ქვქვიოდეს
II. ქქვიოდეს	ქქვიოდენ
III. ქვიოდეს	ქვიოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექვიება	მექვიება / გვექვიება
II. გექვიება	გექვიებიან
III. ექვიება	ექვიებიან

ხოლმეობით-შედევობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექვიებოდა	მექვიებოდა / გვექვიებოდა
II. გექვიებოდა	გექვიებოდენ
III. ექვიებოდა	ექვიებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექვიებოდეს	მექვიებოდეს / გვექვიებოდეს
II. გექვიებოდეს	გექვიებოდენ
III. ექვიებოდეს	ექვიებოდენ

II სერია**წყვეტილი**

მხ. რ.	მრ.რ.
I. მერქვა	მერქვენ // გვერქვა
II. გერქვა	გერქვენ
III. ერქვა	ერქვენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მერქვას	მერქვას / გვერქვას
II. გერქვას	გერქვან
III. ერქვას	ერქვან

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქვიებია	მქვიებია / ქვექვიებია

II. გქვიებია	ქვექვიებიან
III. ქვიებია	ქვიებიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქვიებოდა	მქვიებოდა / ქვექვიებოდა
II. ქვექვიებოდა	ქვექვიებოდენ
III. ქვიებოდა	ქვიებოდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ქვიებოდეს	მქვიებოდეს / ქვექვიებოდეს
II. ქვექვიებოდეს	ქვექვიებოდენ
III. ქვიებოდეს	ქვიებოდენ

I სერია**ანმყო**

მხ. რ.	მრ.რ.
I. მიინდა	მიინდანან / გვიინდა
II. გინდა	გინდებიან // გინდანან // გინდარან
III. უნდა	უნდებიან // უნდანან // უნდარან

უნწყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მიინდოდა	მიინდოდენ // გვიინდოდა
II. გინდოდა	გინდოდენ
III. უნდოდა	უნდოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მიინდოდეს	მიინდოდეს / გვიინდოდა
II. გინდოდეს	გინდოდენ
III. უნდოდეს	უნდოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდება	მომინდებიან// მოგვინდება//მოგვინდებიან
II. მოგინდება	მოგინდებიან
III. მუუნდება	მუუნდებიან

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდა	მომინდებოდენ//მოგვინდებოდა
II. მოგინდებოდა	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდა	მუუნდებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდებოდეს	მომინდებოდეს// მოგვინდებოდა
II. მოგინდებოდეს	მოგინდებოდენ
III. მუუნდებოდეს	მუუნდებოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდა	მომინდენ//მოგვინდა
II. მოგინდა	მოგინდენ
III. მუუნდა	მუუნდენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომინდეს	მომინდეს// მოგვინდეს
II. მოგინდეს	მოგინდენ
III. მუუნდეს	მუუნდენ

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებიან	მომდომებიან// მოგვდომებიან

II. მოგდომებიან	მოგდომებიან
III. მონდომებიან	მონდომებიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებოდა	მომდომებოდა//მოგვდომებოდა
II. მოგდომებოდა	მოგდომებოდენ
III. მონდომებოდეს	მონდომებოდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მომდომებოდეს	მომდომებოდეს// მოგვდომებოდეს/
II. მოგდომებოდეს	მოგდომებოდენ/ეს/ნ
III. მონდომებოდეს	მონდომებოდენ/ეს/ნ

ანმყო

მხ. რ.	მრ. რ.
I. მაქვან// მაქვან	მაქვან//გვაქვან //გვაქვან
II. გაქვან	გაქვან
III. აქვან	აქვან

უნწყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მქონდა (მქონდენ)	მქონდენ// გვქონდა
II. ქქონდა	ქქონდენ
III. ქონდა	ქონდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
I. მქონდეს	მქონდეს//გვქონდეს
II. ქქონდეს	გქონდენ
III. ქონდეს	ქონდონ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექნება	მექნებიან// გვექნებიან
II. გექნება	გექნებიან
III. ექნება	ექნებიან

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექნებოდა	მექნებოდენ// გვექნებოდა
II. გექნებოდა	გექნებოდენ
III. ექნებოდა	ექნებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მექნებოდეს	მექნებოდეს// გვექნებოდეს
II. გექნებოდეს	გექნებოდენ
III. ექნებოდეს	მექნებოდენ

III სერია**I თურმეობითი**

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქონებია	მქონიან// გვექონებია
II. ქქონია	ქქონებიან
III. ქონია	ქონებიან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქონოდა	მქონოდენ/ ქვექონოდენ
II. ქქონოდა	ქქონოდენ
III. ქონოდა	ქონოდენ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მქონოდეს	მქონოდენ/ ქვექონოდენ

II. ქქონოდეს	ქქონოდენ
III. ქონოდეს	ქონოდენ

I სერია**ანმყო**

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვიზდები	ვიზდებით
II. იზდები	იზდებით
III. იზდება	იზდებიან

უნყვეტელი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვიზდებოდი	ვიზდებოდით
II. იზდებოდა	იზდებოდით
III. იზდებოდა	იზდებოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. ვიზდებოდე	ვიზდებოდეთ
II. იზდებოდე	იზდებოდეთ
III. იზდებოდეს	იზდებოდენ

მყოფადი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გევზდე	გევზდეთ
II. გეიზდე	გეიზდეთ
III. გეიზდეს	გეიზდენ

ხოლმეობით-შედეგობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. გევზდებოდი	გევზდებოდი
II. გეიზდებოდი	გეიზდებოდი
III. გეიზდებოდა	გეიზდებოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.

- I. გეგზდებოდე
- II. გეიზდებოდე
- III. გეიზდებოდეს

მრ.რ.

- გეგზდებოდეთ
- გეიზდებოდეთ
- გეიზდებოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.

- I. გეგზდი
- II. გეიზდი
- III. გეიზდა

მრ.რ.

- გეგზდით
- გეიზდით
- გეიზდენ

II კავშირებითი

მხ. რ.

- I. გეგზდე
- II. გეიზდე
- III. გეიზდეს

მრ.რ.

- გეგზდეთ
- გეიზდეთ
- გეიზდენ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.

- I. გავზდილვარ
- II. გავზდილხარ
- III. გავზდილა

მრ.რ.

- გავზდილვართ
- გავზდილხართ
- გავზდილან

II თურმეობითი

მხ. რ.

- I. გავზდილიყავ
- II. გავზდილიყავ
- III. გავზდილიყო

მრ.რ.

- გავზდილიყავთ
- გავზდილიყავთ
- გავზდილიყონ

III კავშირებითი

მხ. რ.

- I. გავზდილიყო

მრ.რ.

- გავზდილიყოთ

II. გავზდილიყო

გავზდილიყოთ

III. გავზდილიყოს

გავზდილიყონ

I სერია

ანმყო

მხ. რ.

- I. მივალ
- II. მიხვალ
- III. მივა

მრ.რ.

- მივალთ
- მიხვალთ
- მივლიან

უნყვეტელი

მხ. რ.

- I. მივდოდი
- II. მიხვიდოდი
- III. მივდოდა

მრ.რ.

- მივდოდით
- მიხვიდოდით
- მივდოდენ

ანმყოს კავშირებითი

მხ. რ.

- I. მივდოდე
- II. მიხვიდოდე
- III. მივდოდეს

მრ.რ.

- მივდოდეთ
- მიხვიდოდეთ
- მივდოდენ

მყოფადი

მხ. რ.

- I. მივალ
- II. მიხვალ
- III. მივა

მრ.რ.

- მივალთ
- მიხვალთ
- მივლიან

ხოლმეობით- შედეგობითი

მხ. რ.

- I. მივდოდი
- II. მიხვიდოდი
- III. მივდოდა

მრ.რ.

- მივდოდით
- მიხვიდოდით
- მივდოდენ

მყოფადის კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მივდოდე	მივდოდეთ
II. მიხვიდოდე	მიხვიდოდეთ
III. მივდოდეს	მივდოდენ

II სერია

წყვეტილი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მიველ (ი)	მიველ(ი)თ
II. მიხველ (ი)	მიხველ(ი)თ
III. მივდა (ი)	მივდენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მივდე	მივდოთ
II. მიხვიდე	მიხვიდოთ
III. მივდეს	მივდონ

III სერია

I თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მივსულვარ	მივსულვართ
II. მისულხარ	მისულხართ
III. მისულა	მისულან

II თურმეობითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მივსულიყავ	მივსულიყავთ
II. მისულიყავ	მისულიყავთ
III. მისულიყო	მისულიყონ

III კავშირებითი

მხ. რ.	მრ.რ.
I. მივსულიყო	მივსულიყოთ
II. მისულიყო	მისულიყოთ
III. მისულიყოს	მისულიყონ

დასკვნა: კლარჯული კილოს მოკლე ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური დახასიათების შემდეგ წარმოვადგინეთ სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების ძირითადი პარადიგმები. ძირითად ტაბულებში აისახა ყველა სახელური და ზმნური ფორმა, რომელიც კლარჯულის საერთო მახასიათებლად მივიჩნიეთ. შესაძლებელია, ზოგიერთი ფორმა ყურადღების მიღმა დაგვრჩა, რაც არაა მოულოდნელი; ვიმედოვნებთ, რომ მომავალი კვლევები გამოავლენს მათ და შეავსებს ჩვენს „პარადიგმებს“.

ბოლოთქმა

დავასრულეთ საუბარი ქართული ენის სამხრული კილოების შესახებ. შევეცადეთ ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმებით გვეჩვენებინა აჭარულის, შავშურის, კლარჯულისა და ტაოურის მთავარი თავისებურებები...

აღვნიშნავთ, რომ სამხრული კილოები ავლენენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ქართულ დიალექტთა ცალკე ჯგუფად და სამხრულ დიალექტებს ან სამხრულ კილოებს ვუწოდებთ. შესაბამისად ქართულ ენათმეცნიერებაში შემოგვაქვს სინონიმური ცნებები: სამხრული დიალექტები||სამხრული კილოები||სამხრული მეტყველება.

სამხრული დიალექტებია:

I. აჭარული, კილოკავებით: ა. ზემოაჭარული (აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა მეტყველება. სხვაგვარად, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების აბორიგენი მოსახლეობის მეტყველება). ბ. ქვემოაჭარული (ბათუმის შემოგარენის სოფლების ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველება. მისი ყველაზე კარგად გადარჩენილი მონმეა ორთაბათუმის (ყოროლისწყლის) ხეობაში გაშენებული სოფლების მეტყველება. აღვნიშნავთ, რომ აჭარულის კილოკავთაგან ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი ქვემოაჭარული). გ. ქობულეთური – ქობულეთისა და ჩაქვის მკვიდრი მოსახლეობის მეტყველება. აჭარული ძირითადად გავრცელებულია აჭარის არ ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. აჭარულის გავრცელების არეალი უკანასკნელი ასორმოცი წლის განმავლობაში გაფართოვდა საქართველოს რეგიონებში აჭარელი ეკომიგრანტებისა და თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში გაშენებული მუჰაჯირთა დასახლებების ხარჯზე.

II. შავშური შავშებისა და მაჭახლელების მეტყველებაა. აღვნიშნავთ, რომ შავშეთის ნაწილი (იმერხევის ხეობის სოფლები, უსტამისი და მთელი მაჭახლის ხეობა) მექართულეა, ნაწილიც – მეთურქულე. თანამედროვე თურქეთის რეგიონებში გვხვდება

შავშური (მაჭახლური) სოფლები, რომლების მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში გააშენეს შავშმა და მაჭახლელმა მუჰაჯირებმა.

შავშურ დიალექტში გამოვყოფთ **ა. იმერხეულ და ბ. მაჭახლურ კილოკავებს.**

III. კლარჯული ისტორიული კლარჯეთის ავტოქტონური მოსახლეობის მეტყველებაა. ძველი კლარჯეთი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ბორჩხის, მურღულის, ართვინისა და არტანუჯის რაიონებს (ართვინის ილი, თურქეთის რესპუბლიკა) და სამ სოფელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ, საქართველო), ესენია: მირვეთი, მარადიდი და კირნათი. კლარჯმა მუჰაჯირებმა რამდენიმე ათეული კლარჯული სოფელი გააშენეს თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში. დღეს კლარჯეთის ნაწილი მეთურქულეა, ნაწილი – მექართულე. ქართული ენა ისმის ბორჩხის, მურღულისა და ართვინის (ყველაზე მცირე) სოფლებში და საქართველოს კლარჯეთში.

პირობითად კლარჯულში გამოვყოფთ **ა. ზემოკლარჯულს** (დევსქელისა და მურღულის ხეობების მეტყველება) და **ბ. ქვემოკლარჯულს** (ბორჩხის ქვემო სოფლების (ქლასკური, ზემო მარადიდი, ხება, ქვემო მარადიდი, კირნათი, მირვეთი) მეტყველება).

IV. ტაოური ისტორიული ტაოს მეტყველებაა. ტაოს დიდი ნაწილი დღეს მეთურქულეა, ქართული გადარჩენილია ელიასხევის ხეობის რამდენიმე მცირე სოფელში (იუსუფელის ილჩე) და ბინათში. რამდენიმე ტაოური სოფელი გვხვდება თურქეთის შიგა პროვინციებში, რომლებიც შექმნილია მეოცე საუკუნის 40-იან წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს უმეტესი ნაწილი მეთურქულეა, გადარჩენილი ქართული მეტყველება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ შავშური, კლარჯული და ტაოური კილოების ლინგვისტური პორტრეტი.

მონოგრაფიაში მსჯელობაა სამხრული დიალექტების ფონეტიკურ, გრამატიკულსა და ლექსიკურ მახასიათებლებზე და მათზე დაყრდნობით მოცემულია თითოეულ კილოში სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების ძირითადი პარადიგმები. „ძირითადი“ იმიტომ, რომ მომავალმა კვლევებმა შესაძლებელია, გამოავლინოს

სამხრული კილოების ახალი ფორმები, რომლებმაც, შეიძლება, გარკვეული ცვლილება შეიტანოს ჩვენს ტაბულაში.

შევიმნავთ, რომ ბრუნებასა და უღლებასთან მიმართებით მონოგრაფიაში (სხვაგანაც – ავტ.) პარადიგმასა და ტაბულას სინონიმებად ვიყენებთ.

წარმოდგენილი პარადიგმები, ვფიქრობთ, იძლევა სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფის მყარ ლინგვისტურ საფუძველს.

შემოკლებათა განმარტებანი:

ად.: ადაგული; **ადდლ.:** აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა; **არ.:** არხვა; **აჭ.:** აჭარული;

ბსუ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. **ბ.:** ბორჩხა; **ბაზგ.:** ბაზგირეთი **ბაშქ.:** ბაშქოი; **ბრ.:** ბრილი **ბუჯ.:** ბუჯური; **ბოსტ.:** ბოსტნები; **გურ.:** დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ. 1992 წ.; **გურბ.:** გურბინი; **დაბ.:** დაბანვრილი; **დევსქ.:** დევსქელე; **ედ.:** ედებე (სოფელი); **ერ.:** ერენქო; **ვისრ.:** ვისრამიანი, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით, თბ. 1964 წ. **ვტყ.:** ვეფხისტყაოსანი; **ზ.ქ.:** ზემო ქურა; **ზ. ზიოსი;** **თხილაზ.:** თხილაზორი; **იბრ.:** იბრიკლი; **იკე:** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება; **იმერხ.:** მამია ფალავა, მერი ცინცაძე, **იმერხეული ტექსტები.** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული V. 2007. ბათუმი; **იფხ.** იფხრეველი; **კირნ. მარად. –** კირნათ-მარადიდი; **კლარჯ.:** მამია ფალავა, მერი ცინცაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI. 2009 ბათუმი; **ლივ.:** ლივანური მეტყველება- ნიგნში: შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი 1993. **მარ.:** მარეთი; **მურღ.:** მურღული; **მაჩხ.** მაჩხატეთი; **მაჭახხ.:** მაჭახელი; **მ.ც.:** მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები. ქეს VII, თბ. 1998; **მუჰ.:** კომპლექსური საველე ექსპედიცია კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, 2013

წლის ზაფხული; **ნიგ.:** ეთერ ბერიძე, ნიგალი. ბათუმი. 2009; **რუს.:** რუსუდანია, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედ. თბ. 1957 წ. **ს.:** საუკუნე. **სმამ:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე; **საბა:** სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“, თბ. ქათული მწერლობა, ტ.VII, 1989. **სათ.:** სათიბი; **სოფ.:** სოფელი; **ტრაპ.:** ტრაპენი; **უ.:** უსტამისი, **ფერდ.:** ფერდობი; **ქართ.:** ქართლი; **ქურ.:** ქურა; **ქ.:** ქედა; **ქლ.:** ქლასკური; **ქობ.:** მზია ხახუტაიშვილი, შუშანა ფუტკარაძე, ქობულეთური კილოკავის მასალები (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI; ბათუმი, 2009; **ქესს.:** ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. **ქეგლ.:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ.II, თბ. 1951; **ქობ. მუჰ.:** ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება; **ყარ.:** „ყარამანია-ნი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიას და სარგის ცაიშვილმა, თბ. 1965 წ.; **შავშ.:** შავშეთი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2011; **შ.:** შუახევი; **ჩაქვ.:** ჩაქველთა, **ჩაქ.:** ჩაქვი; **ჩხ.:** ჩხალა; **ჩვენებ.:** შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993 წ. **წეთ.:** წეთილეთი; **ცხ.:** ცხარეთი; **ჭ.:** ჭალა; **ჭილ.:** ჭილაგრი; **ხ.:** ხულო; **ჯ.:** ჯუანა; **ჯანს.:** ჯანსული; **ხევწ.** ხევწრული.

წყაროები

იმერხეული ტექსტები, მამია ფალავა, მერი ცინცაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული, IX, ბათუმი.

ტაოური მეტყველების ნიმუშები, მამია ფალავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, რეზო დიასამიძე, ლილე თანდილავა, ბსუ-ს სა-

მხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული IV, ბათუმი, 2005.

შავშეთი: მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, თბ. 2011.

კლარჯეთი: მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თბილისი, 2016.

კლარჯული მასალები, მამია ფალავა, მერი ცინცაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2007 წლის ექსპედიციის მასალები, კრებული, VI, ბათუმი, 2009.

ორდ. ფალავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, მასალები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული VIII, ბათუმი.

მაჭახელა. შაჰინი, „ Macacheli net, dejimler“;

მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრის **2013 წლის ექსპედიციის მასალები**, კრებული, VIII, ბათუმი, 2014;

მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრის **2014 წლის ექსპედიციის მასალები**, კრებული, VIII, ბათუმი, 2014;

შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993;

ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, **2012 წლის ექსპედიციის მასალები;** კრებული VII, 2013

www. Mygeorgia.ge საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი, ქართული დიალექტური კორპუსი.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.;

ანდრონიკაშვილი, 1996: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გამომცემლობა „ირმისა“ თბ.;

ახვლედიანი, 1995: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ.

ახვლედიანი, 1949: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ.

ბარამიძე, 2011: ბარამიძე მ., მასალები სამხრული კილოების ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონისთვის (შავშეთის ქართულის მიხედვით). I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები,“ შრომები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თელავი.

ბარამიძე, 2016: ბარამიძე მ., მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართული მეტყველების ზოგიერთი თავისებურებისათვის, XXXVI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.

ბარამიძე, 2013: ბარამიძე მ., ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი.

ბარამიძე, 2015: ბარამიძე მ., ზმნურ ფუძეთა წარმოებისათვის კლარჯულში. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული X, ბათუმი.

ბარამიძე, 2014: ბარამიძე მ., კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული IX, ბათუმი.

გამყრელიძე, 1965: გამყრელიძე თ. მაჭავარიანი გ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ.;

გამყრელიძე, 2000: გამყრელიძე თ. რჩეული ქართველოლოგი-

ური შრომები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.;

გოგოლაშვილი, 2010: გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.

გოგოლაშვილი, 2011: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით) თბ.

გურგენიძე, 1973: გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.

დადიანი, 2013: დადიანი ე., **ემე'** ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ.

ეზუგბაია, 1998: ეზუგბაია ლ., მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვის გამოხატვის პრინციპები ჭანურში. ქესს VII. 1998 თბ.;

ენუქიძე, 1977: ენუქიძე თ., ტბეთის სულთა მათიანე, როგორც საისტორიო წყარო. წიგნში: ტბეთის სულთა მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ.

თანდაშვილი, 2016: თანდაშვილი მ., „ენის დიგიტალური დოკუმენტირება“ (შესავალი დოკუმენტისტიკაში), გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.

თანდილავა, ცეცხლაძე, 2015: თანდილავა ლ., ცეცხლაძე ნ., **გულ'** კომპონენტური ფრაზეოლოგიზმები ქართულსა და თურქულში, ლინგვისტურ მეცნიერებათა სწავლების ინტერნაციონალური სიმპოზიუმის მასალები, თურქეთი.

თაყაიშვილი, 1961: თაყაიშვილი ა., ფრაზეოლოგიის ძირითადი საკითხები, თბ.

თაყაიშვილი, 1974: თაყაიშვილი ა., კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქესს IV თბ.

თოფურია, 1930: თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში II, ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა: ტუმ, X, ტფილისი.

თოფურია, 1946: თოფურია ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე I. თბ.

თოფურია 1979: თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. შრომები ტომი III თბ.

თოფურია 1961: თოფურია ვ., მთარაჭულის დახასიათებისათვის ქესს II. თბ.

თოფურია, 1963: თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქესს III. თბ.

თოფურია, 1979: თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. შრომები ტომი III თბ.

თოფჩიშვილი, 2008: თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოლოგია, თბ.

თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბოლი, 2001.

იმნაიშვილი 1963: იმნაიშვილი გრ., ინგილოურის ბგერითი შედგენილობა. ქესს III, თბ.

იმნაიშვილი 1966: იმნაიშვილი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ.

ინაიშვილი... 1961: ინაიშვილი ა., ნოლაიდელი ჯ., ჩხიკვაძე გრ., მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ.

იმნაიშვილები... 1995: იმნაიშვილი ივ., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში. მაინის ფრანკფურტი.

იმნაიშვილი, 1957: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ.

კახიძე, 2013: კახიძე ნ., ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, ბათუმი.

კახაძე, 1954: კახაძე ო., ოკრიბულის ზოგიერთი თავისებურებანი. იკე, VI, თბ.

კიზირია, 1985: კიზირია ა., წარმომავლობის სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, იკე XXIII. თბ.;

კიკვაძე, 2015: კიკვაძე მ., კვლავ ქართული ლექსიკიდან კლარჯთა თურქულ მეტყველებაში ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული X, ბათუმი.

კიკნაძე, 1946: კიკნაძე ლ., ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში თსუ შრომები 28. თბ.

კიკნაძე, 1947: კიკნაძე ლ., I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები თსუშ 30 B – 3 B, თბ.

კუბლაშვილი, 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოთმეორული დიალექტი, თბ.

ლობჯანიძე, 2010: ლობჯანიძე ი., იდიომური გამოთქმების ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმისათვის“. I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი.

მამულია, 2006: მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომცემლობა „ცისარტყელა“ თბ.

მარი, 1911: Марр Н. Я. 1911-Георгий Мерчул, Жизнь св. Григория хандзийского с дневником поездки в Шавшетию и Кларджию. Тексты и разискиание по Армиано-Грузинской Филологии, VII, СПб.;

მგელაძე, ფალავა, 1998: მგელაძე ნ., ფალავა მ., ხე|ფხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბსუ-ს შრომები, II ბათუმი.

მანჯგალაძე, 1953: მანჯგალაძე ალ., -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იკე, V, თბ.

მარტიროსოვი, 1958: მარტიროსოვი ა., აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე IX-X, თბ.

მაჭავარიანი, 2012: მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ;

მაჭავარიანი, 1988: მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, 27, თბ.

მგელაძე, 2001: მგელაძე ნ., პატრონიმული ორგანიზაცია: გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის საფუძვლები. კრებული ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბილისი;

მგელაძე, ფალავა, 1998: მგელაძე ნ., ფალავა მ., ფხე//ხე - ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბსუ-ს შრომები, ტ. II, ბათუმი;

მარტიროსოვი, 1972: მარტიროსოვი ა., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ.;

მარტიროსოვი, 1984: მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახურ დიალექტი, თბ.

ნიჟარაძე, 1975: ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1971: ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

ნიჟარაძე, 1957: ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1961: ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი.

ნოზაძე, 1958: ნოზაძე ლ. ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხი ქართულში, იკე, IX-Xთბ.;

ნოლაიდელი, 1971: ნოლაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, ნიგნი I. ბათუმი.

ნოლაიდელი, 1941: ნოლაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი.

ნოლაიდელი, 1972: ნოლაიდელი ჯ., აჭარულის მიმართება მესხურთან. ნიგნი: ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი.

ნოლაიდელი, 1936: ნოლაიდელი ჯ. აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი.

ნოლაიდელი, 1960: ნოლაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.

ნოლაიდელი, 1998: ნოლაიდელი ნ., ხატოვანი გამოთქმები და დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბსუ-ს შრომები II, ბათუმი.

ნოლაიდელი, 2008: ნოლაიდელი ნ., ზმნასთან დაკავშირებული რამდენიმე თავისებური მოვლენა ქობულეთურ მეტყველებაში. XXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბ.

პაქსაძე, 1995: პაქსაძე გ., არქაული ლექსიკა „ჩვენებურების ქართულში“, XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ. ეძღვნება ბსუ-ს 60 (5) წლისთავს.

ჟღენტი, 1936: ჟღენტი ს., გურული კილო, თბ.

როგავა, 1963: როგავა გ., მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ.

სარჯველაძე, 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის შესავალი, თბ.

სარჯველაძე, 2001: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ.

სახოკია, 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ.

სიხარულიძე, 1958: იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, თბ.

სურმავა, 1989: სურმავა ნ., ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან XVI-XVIII საუკუნის ქართული საბუთების მიხედვით. იკე, XXVIII თბ.;

სურმავა, 1990: სურმავა ნ., კირნათ-მარადიდის მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ, იკე, XXIX. თბ.;

სურმავა, 1976: სურმავა ნ., აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა I. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.

სურმავა, 1986: სურმავა ნ., სიტყვანარმოების ძირითადი თავისებურებანი აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა V. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.

სურმავა, 1983: სურმავა ნ., სიტყვანარმოების შესახებ აჭარულში (ქედის რაიონის მასალების მიხედვით). ადღ, IV, თბ.

სურმანიძე, 2014: სურმანიძე ნ., **ბგერათცვლილებანი მურღულურში, 1. ასიმილაცია**, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი.

ფალავა, ცეცხლაძე, 2016: ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., **აჭარული კილოს თავისებურებანი**. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ფილოლოგიური მაცნე III. გამომცემლობა „ივერიონი“ თბ.;

ფალავა, ცეცხლაძე, 2016 (1): შავშური კილო, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ISBN 978-9941-0-8643-4. თბ.;

ფალავა, ცეცხლაძე, 2016 (2): კლარჯული კილო, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 811-837; ISBN978-9941-0-8643-4; თბ.

ფალავა, 1995: ფალავა მ., აჭარულის ბგერითი შედგენილობიდან, 2 ბგერა აჭარულში, ბსუ-ს შრომები I. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია; გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.

ფალავა, 2003: ფალავა მ., სამხრული კილოების ფონემატური

სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. (ხელნაწერი).

ფალავა, 2009: ფალავა მ., მასალები „შვილის“ სემანტიკისათვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI; ბათუმი.

ფალავა, 2011: ფალავა მ., თანდებული შავშურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ III, თბ.

ფალავა, 2013: ფალავა მ., მუჭაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი.

ფალავა, 2013(1): ფალავა მ., ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი:

ფალავა, 2014: ფალავა მ., თემის ნიშანთა მონაცვლეობა კლარჯულში. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული IX, ბათუმი.

ფალავა, 2002: ფალავა მ. უმლაუთი სამხრულ კილოებში. ბსუ-ს მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული II, ბათუმი.

ფალავა, 2015: ფალავა მ. სამხრული კილოები, შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები. ქესს, XIII, თბ.

ფალავა, 2015 (1): ფალავა მ. ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, გორი.

ფალავა, 1997: ფალავა მ., მახვილის საკითხისათვის სამხრულ კილოებში. კრებული **საუნივერსიტეტო მეცნიერებანი ორი ათასწლეულის მიჯნაზე**. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი-თბილისი.

ფალავა, 1995: ფალავა მ., აჭარულის ბგერითი შედგენილობი-

დან, ა ბგერა აჭარულში, ბსუ-ს შრომები I. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია; გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.

ფალავა, 2005: ფალავა მ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ბსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IV; ბათუმი;

ფალავა, 2004: ფალავა მ., გ სამხრულ კილოებში. ბსუ-ს შრომები, VI, ბათუმი.

ფალავა, 2009: ფალავა მ., მასალები „შვილის“ სემანტიკისათვის ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI; ბათუმი;

ფალავა, 2009: ფალავა მ., ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ.

ფალავა, 2003: ფალავა მ. ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი, ბსუ-ს შრომები V, ბათ.

ფალავა, 2011: ფალავა მ., თანდებული შავშურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბილისი.

ფალავა, 2013(1): ფალავა მ., ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი.

ფალავა, 2014: ფალავა მ., გვარ-სახელები კლარჯეთიდან, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული VIII, ბათუმი. 3-14

ფალავა, 2009: ფალავა მ., ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ.

ფალავა, 2009(1): ფალავა, მ., ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშთა გამოქვეყნების გამო. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული VI, ბათუმი.

ფალავა, 2013: ფალავა მ., ექსპედიცია კლარჯელ მუჭაჯირთა შთამომავლებთან და კლარჯეთში. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ.

ფალავა, 2015: ფალავა მ., ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიში, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. X, ბათუმი.

ფალავა, ცინცაძე, 2005: ფალავა მ. ცინცაძე მ. კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში (წინასწარი შენიშვნები), ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IV, ბათუმი.

ფოჩხუა, 1961: ფოჩხუა ბ., მრავლობითობის წარიანი მანარმოებლები ძველ ქართულში ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტომი II. თბ.

ფუტკარაძე, 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“ ბათუმი.

ფუტკარაძე, 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ნიგნი II. ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი.

ფუტკარაძე, 2010: ფუტკარაძე შ., ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხეულში. ბსუ-ს სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ დასოციალურ მეცნიერებათა მიმართულება. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, XI. ბათუმი.

ფუტკარაძე, 1995: ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, თბ.

ფუტკარაძე, 2008: ფუტკარაძე შ., იმერხეულის ბგერითი შედგენილობისათვის, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა X. ბათუმი;

ფუტკარაძე, 2009: ფუტკარაძე შ., ნასახელარი ზმნების წარმოების თავისებურებანი ნიგალის ქართულში, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში I. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი;

ფუტკარაძე, 1993: ფუტკარაძე შ., ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.

ფუტკარაძე, 2008: ფუტკარაძე შ., ნასახელარი ზმნები იმერხეულში, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში I. ბათუმი.

ფუსქულუოღლუ, 2006: Ali Püsküllüoğlu, Türkçe deyimler sözlüğü, Ankara.

ქავთარაძე, 1954: ქავთარაძე ივ., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში თბ.;

ქავთარაძე 1985: ქავთარაძე ივ., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ქავთარაძე 1964: ქავთარაძე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის, I, XII-XVIII სს. თბ.

ქალდანი, 1981: მაქსიმე ქალდანი, წარმომავლობის -არ სუფიქსისათვის ქართულში. ქესს, V, თბ.

ქამადაძე, 1978: ქამადაძე მ., ზემოაჭარული ოიკონიმების წარმოების ზოგიერთი საკითხი. სმამ, ტ.90- 1, თბ.

ღლონტი, 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.

ღლონტი, 1988: ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ.

შანიძე, 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.

შანიძე, 1980: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბ.

შანიძე, 1981: შანიძე ა., -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, თხზ. ტ.II, თბ.

შანიძე, 1953: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ.

შანიძე, 1957: შანიძე ა., ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ.

შანიძე 1981: შანიძე ა., უმლაუტი სვანურში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ.

შაშიკაძე, კარალიძე, 2009: შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., შავშეთის ისტორიისათვის, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული VI, ბათუმი.

ჩანტლაძე, 2008: ჩანტლაძე ი., კიდევ ერთხელ ფხეხე, ფხეხე სუფიქსისთვის ქართველურ ონომასტიკონში, არნოდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბ.

ჩიქობავა, 2010: ჩიქობავა არნ., შრომები I. თბ.

ჩიქობავა, 1936: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ.;

ჩიქობავა, 1942: ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ.

ჩიქობავა, 1938, ჩიქობავა ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, თბ.

ჩიქობავა, 1964: ჩიქობავა არნ., ანმცოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის აგ-ამ, ევ-ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა (წინასწარი მოხსენება) იკე XIV, თბ.

ჩიქობავა, 2010: ჩიქობავა ა., შრომები I. თბ.

ჩიქოვანი, 1956: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია თბ.

ჩოხარაძე, 2009: ჩოხარაძე ვ., თურქიზმები შავშეთა ქართულ მეტყველებაში; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VI ბათუმი.

ჩოხარაძე, 2014: ჩოხარაძე თ., რიცხვის წარმოება კლარჯულ კილოში. ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VIII, ბათუმი.

ჩოხარაძე, 2014: ჩოხარაძე თ., ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები მუჰაჯირთა მეტყველებაში; ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული IX, ბათუმი;

ჩოხარაძე, 2015: ჩოხარაძე თ., ბრუნვათა ფუნქციებისათვის კლარჯულში, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული X, ბათუმი.

ჩოხარაძე, 2014: ჩოხარაძე ვ., ბგერის დაკარგვის შემთხვევები კლარჯულში. ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VIII, ბათუმი.

ჩოხარაძე, 2013: ჩოხარაძე ვ., თურქული ლექსიკა ქართული მანარმოებლით მუჰაჯირთა მეტყველებაში, ბსუ-ს განათლებისა

და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VII, ბათუმი.

ძიძიგური, 1960: ძიძიგური შ.; საენათმეცნიერო საუბრები. თბ.

ძიძიგური, 1946: ძიძიგური შ., ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. იკე, 1, თბ.

ძიძიგური, 1956: ძიძიგური შ., ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ.;

ძიძიგური, 1960: ძიძიგური შ.; ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ. ე

ძონენიძე, 1952: ძონენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, ქპი-ს შრომები, XI. ქუთ.

ძონენიძე, 1973: ძონენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ.;

ცეცხლაძე, 2014: ცეცხლაძე ნ., მიმღობა კლარჯულში. თსუ-ს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ.

ცეცხლაძე, 2016: კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკული ანალიზი სამხრულ კილოებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები I. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბ.

ცეცხლაძე, 2011: ცეცხლაძე ნ., ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლესიკა-ფრაზეოლოგიის კვლევის რამდენიმე ასპექტი. ბსუ-ს ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ჩვენი სულიერების ბალავარი III. თბ.

ცეცხლაძე, 2011: ცეცხლაძე ნ., კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში; XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია. თელავი. 2011 წლის 12 ნოემბერი. თეზისები;

ცეცხლაძე, 2009: ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულ მეტყველებაში. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. ტ. XII. გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი.

ცეცხლაძე, 2013: ცეცხლაძე ნ., სინონიმური პარალელიზმი „ჩვენებურთა“ მეტყველებაში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტი“ 1(45). თბ. აპ-რილი IntellectI@yahoo.com; www.intelecti.ge

ცეცხლაძე, 2014: ცეცხლაძე ნ., ინვერსიულ ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში. ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VIII ბათუმი.

ცეცხლაძე, 2014: ცეცხლაძე ნ., მცირე პარემია „ჩვენებურთა“ მეტყველებაში“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი „ფილოლოგიური მაცნე“ I გამომცემლობა „ივერიონი“ ISBN - 978-9941-9336-4-6 2013 თბ.;

ცეცხლაძე, ახვლედიანი, 2009: ცეცხლაძე ნ., ახვლედიანი დ., ზოგი საერთო ქართველური მოვლენის კვალი აჭარულში; ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VI, ბათუმი.

ცეცხლაძე, 2006: ცეცხლაძე ნ., მიმღობა ძველ ქართულში, ბათუმი.

ცეცხლაძე, 2007: ცეცხლაძე ნ., კვლავ ავ და ამ თემისნიშნან ზმნათა უღლების შესახებ, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული V, ბათუმი.

ცეცხლაძე, 2013: ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმი.

ცეცხლაძე, 1997: ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ოიკონიმების წარმოების ზოგიერთი საკითხი. აჭარის კომერციული ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი.

ცინცაძე, 1954: ცინცაძე მ., „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები. I. ბათუმი.

ცინცაძე, 2014: ცინცაძე მ., სიტყვანარმოებისათვის შავშურში, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VIII ბათუმი.

ცინცაძე, 2015: ცინცაძე მ., „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული X, ბათუმი.

ცინცაძე, ფალავა, 1998: ცინცაძე მ., ფალავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამხრელობო ენა, XII-XVIII სს. ბათუმი.

ცინცაძე, ბარამიძე, 2011: ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში, XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები.

ცინცაძე, 2009: ცინცაძე მ., ფონეტიკური მოვლენები შავშეთის ქართულ მეტყველებაში, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VI. ბათუმი.

ცინცაძე, 1995: ცინცაძე მ., კვლავ არქაიზმების საკითხისათვის აჭარულში, XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ. ეძღვნება ბსუ-ს 60 (5) წლისთავს.

ცხადაძე, 1984: ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბ.

ჭარაია, 1896: ჭარაია პ., მეგრული დიალექტის ნათესაური დამოკიდებულება ქართულთან. მოამბე, I, ტფილისი;

ჭიკაძე, 2015: ჭიკაძე რ., სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ჩვენებურების ქართულში. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ.

ხახუტაიშვილი, 2013: ხახუტაიშვილი მ., ნაწილაკი ქობულეთურ კილოკავში (მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმი.

ხახუტაიშვილი, ფუტყარაძე, 2009: ხახუტაიშვილი მზ., ფუტყარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI. ბათუმი.

ხახუტაიშვილი, 2008: ხახუტაიშვილი მ., ზმნის ზოგიერთი თავისებურება ქობულეთურ კილოკავში. XXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბ.

ხახუტაიშვილი, 2011: ხახუტაიშვილი მ., თანდებულთა ხმარების ზოგი თავისებურება მუჭაჯირთა მეტყველების მიხედვით, XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ.

ხახუტაიშვილი, 2013: ხახუტაიშვილი მ., ზმნიზედები ქობულეთურ კილოკავში (მუჭაჯირთა მეტყველების მიხედვით). XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ.

ხახუტაიშვილი, 2014: ხახუტაიშვილი მ., თემის ნიშანთა უნიფიკაცია კლარჯულში, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ.

ხახუტაიშვილი, 2014: ხახუტაიშვილი მ., სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისთვის (ქობულეთელ მუჭაჯირთა მეტყველების მიხედვით), ბსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IX, ბათუმი.

ხახუტაიშვილი, 2015: ხახუტაიშვილი მ., ქობულეთური მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ.

ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2016: ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., „თემის ნიშანთა ხმარების ფსიქოლინგვისტური ასპექტები კლარჯულში“; ფსიქოლინგვისტიკის მე-11 საერთაშორისო კონგრესი, 27-30 ივნისი, თბ.

ხორნაული, 1973: ხორნაული გ., -ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულურის ტოპონიმთა მიხედვით. მაცნე ე/ლ №1, თბ.

ხუბუა, 1932: ხუბუა მ., ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი.

ხუბუტია, 1995: ხუბუტია პ., ილია ჭავჭავაძის ლექსიკისათვის. თსუ შრომები, 71. თბ.

ჯავახიშვილი, 1938: ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ.

ჯიქია, 1964: ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ-ს შრომები ტომი 108. თბ.

ჯორბენაძე, 1995: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბ.

ჯორბენაძე, 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბ.

ჯორბენაძე, 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

ჯორბენაძე, 1995: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბ.

SOUTHERN DIALECTS – BASIC DECLENSION AND CONJUGATION PARADIGMS

SUMMARY

We have summed up the research outcomes about the southern dialects of the Georgian language. We tried to show the main peculiarities of conjugation and case in Adjarian, Shavsheti, Klarji and Tao through the key paradigms.

It is noteworthy to mention that the southern dialects are characterized with the general phonetic and grammatical transformations. They have much of the lexics and phraseology in common, therefore, we classify them as a separate group of the Georgian dialects, under the name – Southern Dialects. Therefore, we introduce in the Georgian linguistics synonymous concepts: Southern Dialects||Southern Dialects||

Southern dialects include:

I Adjarian, including the following dialects: a. Adjarian highland (speech patterns of the Adjaristskali gorge inhabitants, otherwise, speech patterns of the indigenous people who live in Khulo, Shuakhevi and Keda regions). B. lower Adjarian (speech patterns characterized to the population in the Batumi vicinities), This pattern is best reflected in the speech of the inhabitants of Ortabatumi (near Korolitskali gorge, and the villages settled around it. It is noteworthy, that lower Adjarian is the least studied dialect); c. Speech pattern in Kobuleti – spoken by the population of Kobuleti and Chakvi. Adjarian is spoken in the municipalities of Khulo, Shuakhevi, Keda of the Adjara Autonomous Republic. The area of speech pattern usage has increased during the last one hundred and forty years, mostly due to the displacement of the Adjarian eco migrants in various regions in Georgia, and Muhajirs settled in Turkish provinces.

II Shavshian is a speech pattern characterized to Shavshi and Machakhela village population. It should be pointed out, that part of the Shavsheti area (the villages of Imerkhevi, Ustamis, and the rest Machakhela gorge) speak Georgian, while another part speaks Turkish. There are modern Turkish settlements, e.g. Shavshi and Machakhela villages which were settled by the Shavshi and Machakhela Muhajirs in 80ies of 19th c.

We have distinguished **a. Imerkhevi and b. Machakhela dialects** in the Shavshetian dialect.

III Klarji is the dialect spoken by the autochthonous population of the historical Klarjeti. The old Klarjeti, with the contemporary administrative demarcation includes Borchkha, Murghuli, Artvin and Artanuji regions (Artvini Ili, Turkish Republic), and three villages in the Khelvachauri municipality (Adjara AR, Georgia), which are: Mirveti, Maradidi and Kirnati. The Klarji Muhajirs settled several dozens of Klarji villages in various Turkish provinces. Today, part of the population in Klarjeti speaks Turkish, while the other part speaks Georgian. Georgian language is heard in Borchkha, Murghuli, and Artvini (in some of the smallest) villages, and in the Georgian part of Klarjeti.

IV Tao dialect is a speech pattern in the historical Tao. The greater area in the contemporary Tao is Turkish speaking. Georgian is preserved in several smaller villages in the Eliaskhevi gorge (Iusupheli Ilce) and in Binati. A couple of Tao villages are settled in the midland provinces of Turkey, which were domiciled in the 40th of 20th c.

The Klarji dialect is divided in a. higher Klarji (the speech patterns characteristic to the indigenous population of the Devskeli and Murghuli gorges). And b. lower Klarji, (speech patterns in the lower villages of Borchkha (Klaskur, higher Maradidi, Kheba, lower Maradidi, Kirnati, Mirveti)).

Despite Shavsheti, Klarjeti and Tao inhabitants speak Turkish, there is still part of the population, who speaks Georgian, and their share is reasonable for restoring the linguistic portraits of Shavshian, Klarjian and Tao dialects.

The monograph outlines phonetic, grammatical and lexical fea-

tures of the Southern dialects. Based on the findings, scholars have developed key paradigms of the noun conjugation and verb case for each dialect. We apply the term “key” because the future research may expose us to the new forms of the Southern dialects, which, presumably, will mean future amendments to the tables.

The terms “paradigm” and “table” are used as synonyms as related to conjugation and case (and elsewhere too, auth.)

The presented paradigms give the strong linguistic background for the classification of the dialects observed in the Southern speech.

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:
გამომცემლობა „ივერიონი“

თბილისი, კოსტავას ქ. № 6.

E-mail: info@iverioni.com.ge